



შპსი თაობის
არჩევანი

სურათის

GATHERING BLUE
LOIS LOWRY

ძიუბუ

ლუის ლოური



LOIS LOWRY
GATHERING BLUE

ლოის ლოური ლორჯის ძიება

ინგლისურიდან თარგმნა დათო აკრიანმა

- დედა!

არავის უპასუხია. არც ელოდა. დედა უკვე ოთხი დღის მკვდარი იყო და კირას შეეძლო ეთქვა, რომ მიცვალებულის სული უკვე ტოვებდა იქაურობას.

- დედა, - თქვა ისევ. ხმადაბლა დაუძახა იმას, ვინც იქ აღარ უნდა ყოფილიყო. გაიფიქრა: „შემიძლია ვიგრძნო ეს დამშვიდობება, როგორც სიოს ჩურჩული ღამით.“

ახლა მთლად მარტო იყო. სიმარტოვეს, გაურკვევლობას და დიდ სევდას გრძნობდა.

დედამისს - თბილ, ენერგიულ ქალს - კატრინა ერქვა. ხანმოკლე და მოულოდნელი ავადმყოფობის შემდეგ ის იქცა სხეულად, რომელშიც ჯერაც ყოვნდებოდა სული. ოთხი აისისა და დაისის შემდეგ კი სულიც წავიდა. დარჩა მხოლოდ სხეული. მთხრელები მოვიდოდნენ და მიწას მიაყრიდნენ ამ სხეულს, მაგრამ ღამით მოგროვილი მშვიერი მხეცები მას მაინც ნაფლეთებად აქცევდნენ. მერე ძვლები გაიფანტებოდა, გამოიფიტებოდა და დაიფხვნებოდა, რათა მიწას შერთოდა.

კირამ სწრაფად შეიმშრალა თვალები, ცრემლებმა რომ აუვსო უცებ. უყვარდა დედა და ძალიან დააკლდებოდა. მაგრამ დედას წასვლის დრო დაუდგა. კირამ თავისი ხელჯოხნი რბილ მიწაში ჩაარჭო, ზედ დაეყრდნო და წელში გაიმართა.

დაბნეულმა მიმოიხედა. ჯერ ძალიან ახალგაზრდა იყო, აქამდე სიკვდილი არ უნახავს. მათ პატარა, ორსულიან ოჯახში სიკვდილს ფეხი არასდროს შემოუდგამს. რასაკვირველია, ენახა, როგორ ატარებდნენ სხვები ამ რიტუალს. ზოგი ამყრალებულ განშორების ველზეც უნახავს, იმათ ირგვლივ შემოკრებილნი, ვის შეყვონებულ სულებსაც მანამდე პატრონობდნენ. იცოდა, რომ იქ იყო

ქალი, ჰელენა, რომელიც თვალს ადევნებდა სულის გასვლას ნა-ადრევად დაბადებული თავისი ჩვილის სხეულიდან. ჰელენა ველ-ზე მხოლოდ ერთი დღით ადრე მოვიდა. ჩვილებს ოთხდღიანი გაცილება არ სჭირდებოდათ: სულ ცოტა ხნის წინ მოვლენილი მათი სულის ნაფლეთები სწრაფად მიფარფალებდა ზემოთ, ამიტომაც ჰელენა მალე დაუბრუნდებოდა სოფელს და თავის ოჯახს.

კირას კი ახლა ოჯახი აღარ ჰყავდა. არც სახლი ჰქონდა. ქოხი, რომელშიც დედასთან ერთად ცხოვრობდა, დაწვეს. ავადმყოფობას მუდამ ეს მოსდევდა. პატარა ნაგებობა - კირას ერთადერთი თავშესაფარი - აღარ არსებობდა. ცხედართან მჯდარმა, შორს კვამლი დაინახა. უყურებდა დედას მოფარფატე სულს და ხედავდა, მისი ბავშვობის ფერფლად ქცეული ფრაგმენტები ტრიალბზრიალით როგორ მიიწევდა ცისკენ.

შიშნეულად შეაჟრჟოლა. შიში ადამიანთა ცხოვრების თანამდევია. შიშის გამო იშენებდნენ ისინი სახლებს, პოულობდნენ საკვებს, ზრდიდნენ რაღაცებს და ვიღაცებს. ამავე მიზეზით ინახავდნენ იარაღსაც, თავისი ჯურის მოლოდინში რომ მიყუჩებულყო სადღაც. ეშინოდათ სიცივის, სნეულების, შიმშილის. ეშინოდათ მხეცების.

და ახლა ჯოხზე დაყრდნობილ კირასაც შიმშია უბიძგა. უკანასკნელად დახედა უსიცოცხლო სხეულს, რომელიც ცოტა ხნის წინ დედამისი იყო და დაფიქრდა, საით წავიდეო.

* * *

ახალი ქოხის აშენებაზე ფიქრობდა. თუ ვინმე დაეხმარებოდა (თუმცა, ამას არ ელოდა), ქოხს უცებ ააშენებდა, განსაკუთრებით - წლის ამ დროს, ზაფხულის დასაწყისში, როცა ხის ტოტები მოქნილია, ტალახი სქელი, თან ბევრიც იპოვება მდინარესთან. ხშირად უნახავს, როგორ აშენებდნენ სხვები და მიხვდა, რომ თვითონაც შეძლებდა თავშესაფრის აგებას. ახალი საბინადროს

კუთხეები და საკვამლე მილი, შესაძლოა, უზადოდ სწორი არ ყოფილიყო, სახურავის დახურვაც გაუჭირდებოდა, რადგან ზადიანი ფენით რამეზე აცოცებას ვერ შეძლებდა, მაგრამ მაინც იპოვიდა გზას ცხოვრების გასაგრძელებლად.

დედამისის ძმამ ორი დღე დაჰყო მის გვერდით განშორების ველზე, თუმცა, კატრინას - თავის დას - კი არ დარაჯობდა, არამედ მდუმარედ იჯდა თავისი ცოლის ფეთქებადი სოლორას - და შვილის ცხედრებთან. ბავშვი ისეთი ჩვილი გარდაიცვალა, სახელის დარქმევაც ვერ მოასწრეს. კირამ და დედას ძმამ ცნობის ნიშნად ერთმანეთს თავი დაუქნიეს, მაგრამ მერე ის კაცი წავიდა, რაკი განშორების ველზე ყოფნის დრო ამოეწურა. პატარები ჰყავდა მისახელი: მას და სოლორას კიდევ ორი შვილი დარჩათ. მესამის გაჩენამ შეიწირა დედის სიცოცხლე. ორივე პატარა იყო და სახელებიც თითომარცვლიანი ერქვათ: დენ და მარ. იქნებ მათთვის მეპატრონაო, გაიფიქრა კირამ, რომელიც ცდილობდა, წარმოედგინა თავისი მომავალი, მაგრამ ამ აზრის გაელვებისთანავე მიხვდა, რომ ამის უფლებას არ მისცემდნენ. სოლორას პატარებს მიაბარებდნენ ისეთ ოჯახებს, ვისაც ბავშვი არ ჰყავდა. ჯანმრთელ, ღონიერ პატარებზე უარს არავინ იტყოდა. კარგად თუ გაიწვრთნებოდნენ, ოჯახს მოემსახურებოდნენ და საჭირო ადამიანებადაც იქცეოდნენ.

კირა არავის მოუხდებოდა. არც აქამდე ნდომებია ვინმეს, დედას გარდა. ხშირად უყვებოდა კატრინა კირას მისი დაბადების ამბავს - ამბავს უმამო, ფეხმოღრეცილი გოგონასი და იმის, თუ როგორ იბრძოლა დედამ მის გადასარჩენად.

- შენს წასაყვანად მოვიდნენ, - ჩურჩულით უყვებოდა კატრინა ქოხში, აგიზგიზებული ღუმლის გვერდით მიყუჟულს, - ერთი დღის იყავი და ჯერ ერთმარცვლიანი საბავშვო სახელიც კი არ გერქვა...

- კირ.

- ჰო, კირ. მე საჭმელი მომიტანეს, შენ კი წაყვანას გიპირებდნენ განშორების ველზე...

კირას გააჟრჟოლა. ეს იყო გზა, ჩვეულება, გულმოწყალება უსახელო, ხეიბარი ჩვილის ჩაბრუნება მიწაში, სანამ ამ მიწის სული აავსებდა და ადამიანად აქცევდა, მაგრამ კირას მაინც გააჟრჟოლა.

კატრინამ თავზე ხელი გადაუსვა და შეახსენა:

- ისინი არაფრის ტკენას არ გიპირებდნენ.

კირამ თავი დაუქნია:

- არ იცოდნენ, რომ ეს მე ვიყავი.

- ჯერ არ იყავი შენ.

- კიდევ მომიყევი, რატომ გაისტუმრე უარით, - დაიჩურჩულა კირამ.

დედამ ამოიოხრა. ყოველთვის ოხრავდა, როცა ამას იხსენებდა.

- ვიცოდი, რომ სხვა ბავშვი არ მეყოლებოდა. მამაშენი მხეცებმა გაიტაცეს. რამდენიმე თვის წინ წავიდა სანადიროდ და გაქრა. ამიტომ ბავშვს ვეღარ გავაჩენდი.

- ეჰ, - განაგრძო დედამ, - შეიძლებოდა, ბოლოს და ბოლოს, ერთი ობოლი მოეცათ აღსაზრდელად. მაგრამ მაშინაც კი, ხელში რომ დაგიჭირე - შენი ჯერაც მოუსვლელი სულით და გამრუდებული ფეხით, რომლის გამო ვერასოდეს ირბენდი - უკვე თვალები გიბრწყინავდა, თითები კი გრძელი და ლამაზი გქონდა...

- და ღონიერი. ღონიერი ხელები მქონდა, - დაუმატა კირამ კმაყოფილებით. ეს ამბავი ბევრჯერ მოესმინა და ყოველთვის სიამაყით დასცქეროდა თავის ღონიერ ხელებს.

დედამ გაიცინა:

- ისეთი ღონიერი, რომ ცერა თითზე მებღაუჭებოდი და არ მიშვებდი. ასეთი ჩაჭიდების მერე იმათ ვერ გაგაყოლებდი. ჰოდა, უარი ვუთხარი.

- გაბრაზდნენ.

- ჰო, მაგრამ მე მტკიცედ ვიდექი. მე და, რა თქმა უნდა, მამაჩემი. ჯერაც ცოცხალი იყო ხანდაზმული, ოთხმარცვლიანი. დიდხანს უხელმძღვანელა ხალხს, როგორც მთავარმა მეურვემ. მას პატივს სცემდნენ. მამაშენიც დიდად პატივდებული ლიდერი იქნებოდა, ხანგრძლივ ნადირობას რომ არ შეეწირა. უკვე არჩეული იყო მეურვედ.

- მითხარი მამაჩემის სახელი, - შეეხვეწა კირა.

დედამ ცეცხლის ალს ჩაჰლიმა და თქვა:

- კრისტოფერ. შენ ეს იცი.

- მაინც მსიამოვნებს გაგონება. მსიამოვნებს, როცა შენ წარმოთქვამ.

- გინდა, განვაგრძო?

გოგონამ თავი დაუქნია.

- შენ მტკიცედ იდექი. შენსას არ იშლიდი, - შეახსენა დედას.

- მაინც დამადებინეს პირობა, რომ შენ ტვირთად არ იქცეოდი.

- არც ვქცეულვარ, არა?

- არა, რასაკვირველია. შენი ღონიერი ხელები და ჭკვიანი თავი ანაზღაურებს შენს კოჭლობას. მტკიცე და საიმედო დამხმარე ხარ საქსოვ ფარდულში - ამას იქ მომუშავე ყველა ქალი ამბობს. და ცალი ფეხი არაფერია შენს გონიერებასთან შედარებით. საოცარია ამბები, რომლებსაც უყვები პატარებს, სურათები, რომლებსაც ქმნი სიტყვებით და - ძაფებით! როგორ ქარგავ! ასეთი ქარგვა არავის არასდროს უნახავს. მე ასეთი რამ არ ძალმიძს! - დედა გაჩუმდა და გაიცინა.

- კარგი! არ უნდა მძალავდე ქათინაურებს. ნუ დაგავიწყდება, რომ ჯერ კიდევ გოგონა ხარ, ხშირად - ჯიუტიც. დღეს დილით კი ქონის დალაგება დაგვიწყებია, თუმცა, შემპირდი.

- ხვალ არ დავივიწყებ, - თქვა ძილმორეულმა კირამ, დედას მიეკრა, ჩულოში გახვეული, და გამრუდებული ფეხიც მოხერხებულად მოიკეცა, - გპირდები.

* * *

ახლა კი არავინ იყო, რომ კირას დახმარებოდა. არც ოჯახი დარჩა, არც სოფლისთვის იყო რამით გამორჩეული. კირა საქსოვ ფარდულში ყოველდღიურ საქმეში ეხმარებოდა ქალებს, აგროვებდა დარჩენილ ნაჭრებს და ნაგლეჯებს, მაგრამ მოდრეცილი ფეხი აკნინებდა მისი, როგორც მუშის, ისე სამომავლოდ - როგორც მეწყვილის ღირსებას.

მართალია, ქალებს მოსწონდათ საკვირველი ისტორიები, რომლებითაც კირა ართობდა მოუსვენარ ბავშვებს; მოსწონდათ კირას პატარ-პატარა ნაქარგები, მაგრამ ეს ყველაფერი გართობა იყო და არა - საქმე.

ცამ, სადაც მზე შუბისტარზე კი აღარ იდგა, არამედ განმორების ველზე განაპირას მდგარი ხეებისა და ბუჩქების გრძელ ჩრდილებს ფენდა, კირას ამცნო, რომ უკვე გვარიანად გადასცდენოდა შუადღეს, ფიქრში დიდი დრო გასულიყო. მან ფრთხილად შეაგროვა ტყავები, რომლებზეც ამ ოთხი ღამის განმავლობაში ეძინა და დედას სულს დარაჯობდა. მისი კოცონი ცივ ფერფლად და ჩაშავებულ მტვრად ქცეულიყო. წყლის მათარა ცარიელი ჰქონდა, საკვები - გამოლეული.

ხელჯოხის დახმარებით, ნელ-ნელა, კოჭლობით გავიდა სოფლისაკენ მიმავალ ბილიკზე. იმედს ებღაუჭებოდა, რომ იქ მაინც მიიღებდნენ თბილად.

მდელოს განაპირას ბავშვები თამაშობდნენ, ხავსით დაფარულ მიწაზე დარბოდნენ. შიშველ სხეულებსა და თმაზე წიწვები მიკრობოდათ. კირამ გაიღიმა. ყველას იცნობდა. აქ იყო დედას მეგობრის ქერა ვაჟიშვილი. ახსოვს მისი დაბადება ორი შუა ზაფხულის წინ. აქვე იყო გოგონა, რომელსაც ტყუპისცალი მოუკვდა, ქერაზე უმცროსი ახლავდა იწყებდა სიარულს, მაგრამ ისიც სხვებთან ერთად კისკისებდა, ჭყიოდა, დაჭრობანას თამაშობდა. პატარები ჩხუბობდნენ, ერთმანეთს ხელ-ფეხს ურტყამდნენ, სათამაშო ჯოხებს უქნევდნენ, პაწაწინა მუშტებს უბაგუნებდნენ. კირას გაახსენდა, როგორ ადევნებდა ოდესღაც თვალს თავის თანატოლებს, რომლებიც ცხოვრების ორომტრიალისთვის ემზადებოდნენ. რაკი ფეხის გამო ვერ თამაშობდა, სათამაშო მოედნის გარედან შურით შეჰყურებდა მათ გართობას.

უფროსი ბავშვი - რვა თუ ცხრა წლის სახემოთხუპნილი ბიჭი, სქესობრივად ჯერაც მეტისმეტად უმწიფარი და ორმარცვლიანი სახელის მისაღებად მცირეწლოვანი - ბუჩქების ძირებს ასუფთავებდა და შეგროვილ ფიჩხს საცეცხლე კონებად კრავდა, თან კირას გამოსცქეროდა. კირამ გაიღიმა: ეს იყო მატ - თავიდანვე მისი მეგობარი. მას მოსწონდა ეს ბიჭი, ალბათ, მზიდავის ან მთხრელის ვაჟიშვილი, რომელიც ჭაობიან, უამურ ფენში¹ ცხოვრობდა. ყოველთვის თავისუფლად დარბოდა სოფელში გიჟმაჟ მეგობრებსა და ერთთავად კუდში ადევნებულ თავის ძაღლთან ერთად. ხშირად ჩერდებოდა, როგორც ახლა, რამე პატარა საქმის გასაკეთებლად, ცოტაოდენი ხურდა ფულის თუ ტკბილეულის მოლოდინში. კირამ მატს გასძახა. ფიჩხსა და ფოთლებში შეყუჟული ძაღლის მოდუნული კუდი მიწაზე აბაგუნდა და საპასუხოდ ბიჭიც გაიკრიჭა.

¹ ფენი, ფენზი (*The Fens*) - დაბალი, ჭაობიანი ადგილები კემბრიჯ-შიპირის, ლინკოლნშიპირის და ნორფოლკის საგრაფოებში.

- მაშ, დაბრუნდი ველიდან, - უთხრა მან, - როგორია იქ? შეგე-
შინდა? მხეცები თუ მოვიდნენ ღამით?

კირამ თავი გააქნია და გაუღიმა. ნორჩი, ერთმარცვლიანი
ბავშვები ველზე არ შეიშვებოდნენ. ამიტომაც მატს აინტერესებ-
და, როგორი იყო იქაურობა და ცოტათი ეშინოდა კიდეც.

- ერთი მხეციც არ მინახავს, - გაამხნევა კირამ, - ცეცხლი მენ-
თო და ვერ მოვიდნენ.

- ესე იგი, ახლა კატრინა თავისი სხეულიდან გასულია? -
ჰკითხა მატმა თავის დიალექტზე. ფენის მკვიდრნი სხვებისგან
განსხვავდებოდნენ. თავიანთი უცნაური მეტყველებითა და ტლან-
ქი მანერებით ყოველთვის იოლად საცნობ ფენელებს ადამიანთა
უმრავლესობა ზემოდან უყურებდა. კირა ასეთი არ იყო. მას ძალი-
ან უყვარდა მატ.

ახლაც თავი დაუკანტურა.

- დედაჩემის სული წავიდა, - დაუდასტურა კირამ, - ვუყუ-
რებდი, როგორ გამოდიოდა სხეულიდან. ნისლს ჰგავდა და გაცურ-
და.

ბიჭი მოუახლოვდა გულზე ახუტებული ფიჩხის კონებით.
თვალეები ნაღვლიანად მოჭუტა და ცხვირი შეჭმუნა.

- შენი ქოხი დაიწვა, - უთხრა.

კირამ თავი დაუქნია. იცოდა, რომ მისი სახლი დაწვეს, თუმ-
ცა, გულის სიდრმეში იმედი ჰქონდა, რომ შეცდა.

- ჰო, - ამოიოხრა, - და ყველაფერი დაიწვა, რაც შიგ იყო? ჩემი
ჩარჩოც? ჩემი საქარგავი ჩარჩოც დაწვეს?

ბიჭი შეიშმუნა:

- ვცადე, რაღაცები გადამერჩინა, მაგრამ თითქმის ყველა-
ფერი დამწვარია. მარტო შენი ქოხი დაწვეს, კირა, რადგან მარტო
შენი დედიკო იყო ავად. დიდი სნეულების დროს სხვანაირადაა
ხოლმე.

- ვიცი, - ისევ ამოიოხრა კირამ. წარსულში ჩნდებოდა სნეულეები, რომლებიც ქოხიდან ქოხში გადადიოდა და მრავალადამიანს იწირავდა. ამას მოჰყვებოდა დიდი ხანძარი, ხანძარს - ისევ მშენებლობა, რომელიც თითქმის დღესასწაულად იქცეოდა: მუშები ხმაურობდნენ, სველი ტალახით გლესდნენ ახალი სახლების ხის კედლებს და ნელ-ნელა აბრტყელებდნენ, თუმცა, ჰაერში ნახანძრალის სუნი ახალი ქოხების მშენებლობისასაც რჩებოდა.

მაგრამ დღეს არავინ მხიარულობდა, მხოლოდ ჩვეულებრივი ხმები ისმოდა. კატრინას სიკვდილს არაფერი შეუცვლია სხვების ცხოვრებაში. უწინ ის აქ ცხოვრობდა. ახლა ადარ იყო. მათი ცხოვრება კი გრძელდებოდა.

ბიჭი ისევ გვერდით ედგა, როდესაც კირა ჭასთან შეჩერდა და მათარა წყლით აივსო. ყოველი კუთხიდან კამათის ხმა ისმოდა. სოფელში ყოველთვის გაიგონებდით დავა-კინკლაობას: ძალაუფლებას მოწყურებული კაცების მკვანე შეძახილებს; მოტრაბახე და დამცინავი ქალების წივილს, ერთმანეთის რომ შურდათ და აღიზიანებდათ პატარები, რომლებიც მათ ფერხთით დაფორთხავდნენ და ზღუქუნებდნენ და რომლებსაც ხშირად წიხლით იშორებდნენ გზიდან.

კირამ ნაშუადღევის მზე ხელით მოიჩრდილა და თვალები მოჭეტა თავისი ნასახლარის დასანახავად. მერე დრმად ჩაისუნთქა. შორს მოუხდებოდა წასვლა ახალამოყრილი ხეების შესაგროვებლად და არც მდინარესთან ტალახის ამოთხრა გაუადვილდებოდა. კუთხის მორებიც ძნელი ასაწევ-მოსატანი იქნებოდა.

- მშენებლობა უნდა დავიწყო, - უთხრა მატს, რომელსაც ფიჩხი ისევ დასვრილ-დაკაწრული ხელებით ეჭირა, - დამეხმარები? ორნი უფრო ხალისით ვიმუშავებდით.

- ვერ გადაგიხდი, მაგრამ ახალ ისტორიებს მოგიყვები, - და-
ამატა.

ბიჭმა თავი გააქნია:

- გამროზგავენ, თუ ცეცხლისთვის ფიქს არ მოვაგროვებ, -
და შეტრიალდა.

მცირე ჭოჭმანის შემდეგ მობრუნდა და ხმადაბლა უთხრა:

- გავიგონე, რას ამბობდნენ. არ უნდათ, რომ დარჩე. რაკი დე-
დაშენი მოკვდა, გაგლებას გიპირებენ. ველზე გაგიყვანენ მხეცების
ლუკმად. მზიდავები წაიყვანენო, ამბობდნენ.

კირას შიშმა მუცელი აატკივა, თუმცა, მშვიდი ხმის შენარჩუ-
ნება სცადა. მატისგან ყველაფერი უნდა გაეგო, ის კი, თუ მიხვდე-
ბოდა, რომ კირა შეშინდა, ათარაფერს ეტყოდა.

- ვინ ამბობს მაგას? - ჰკითხა უკმაყოფილო ტონით.

- ის ქალები, - უპასუხა ბიჭმა, - ჭასთან მოვუსმინე. ხის ნაფო-
ტებს ვაგროვებდი ნაგავში და იმათ არც შევუმჩნევივარ. შენი ად-
გილი უნდათ. ის ადგილი, სადაც შენი ქონი იდგა. უნდათ, ბაკი აა-
შენონ იქ და ბავშვები და ფრინველები ჩამაწყვილონ, რომ სულ
კუდში დევნა არ სჭირდებოდეთ.

კირა მატს მისჩერებოდა. თავზარდამცემი, თითქმის და-
უჯერებელი იყო ასეთი სისასტიკე და დაუნდობლობა: თავიანთი
ცელქი ბავშვებისა და ქათმების დასამწყვდევად ქალები მზად იყ-
ვნენ, კირა სოფლიდან გაეგდოთ და იმ მხეცების ლუკმად ექციათ,
ველზე ყოველ წუთს რომ ელოდნენ საკბილოს გამოჩენას.

- ყველაზე მეტად ვინ იმაღლებდა ხმას ჩემს წინააღმდეგ? -
იკითხა კირამ.

ბიჭი დაფიქრდა. ხელში ფიქსი მოინაცვლა. კირამ შენიშნა,
რომ მატს თავისი ხვედრი აფიქრებდა და უხალისოდ ერეოდა მის
საქმეში. თუმცა, ის კირას მეგობარი იყო. მატმა ჯერ ირგვლივ

შერა მოატარა და რომ დარწმუნდა, ვერავინ გაიგონებდა, დაუსახელა ქალი, ვისთანაც კირას ბრძოლა მოუწევდა.

- ვანდარა, - დაიხურჩულა მან.

ეს მოულოდნელი არ იყო. და მაინც - გოგონას გული გადაუქანდა.

2

კირამ გადაწყვიტა, რომ თავდაპირველად ჯობდა თავის ისე მოჩვენება, თითქოს არაფერი იცოდა. დაბრუნდებოდა თავიანთ ნასახლარზე და ქოხის აშენებას შეუდგებოდა იქნებ იქ მომუშავე კირას დანახვას მისი განდევნის მოსურნე ქალები დაეფრთხო.

ჯოხს დაეყრდნო და ხალხმრავალ სოფელში შეაბიჯა. აქაიქ ადამიანები თავის უხმო დაქნევით ხვდებოდნენ. ყველა თავისი დღიური საქმით იყო გართული, ხალისიანი გამოლაპარაკება კი არ სჩვეოდათ.

თვალი მოჰკრა დედის ძმას, რომელიც თავის ვაჟიშვილ დენტან ერთად მუშაობდა ბაღში იმ ქოხთან, სადაც მანამდე სოლორასა და ბავშვებთან ერთად ცხოვრობდა. სანამ მის ცოლს მშობიარობის დრო მოუახლოვდა, მოილოგინა და გარდაიცვალა, ხეები და ბუჩქები მისახელი დარჩა. მერე, სანამ კაცი გვერდით ეჯდა თავის მკვდარ ცოლ-შვილს, კიდევ გავიდა დღეები და ბაღში ბევრი რამ გაიფურჩქნა. ლობიოშემოხვეული სარები წაქცეულიყო და ახლა გულმოსული აყენებდა ფეხზე. დენ ეხმარებოდა, უმცროსი გოგო კი, სახელად მარ, ბაღის განაპირას, ტალახში თამაშობდა. კირას თვალწინ მამამ ვაჟს გამეტებით ჩასცხო ბეჭებში - დატუქსა, სარი რატომ გამართულად არ გიჭირავსო.

კირამ გვერდით ჩაუარა. ჯოხს ყოველ ნაბიჯზე მტიცივედ არჭობდა მიწაში და განზრახული ჰქონდა, თავი დაეკრა, თუკი ისინი

მიესალმებოდნენ, მაგრამ ტალახში მოთამაშე პატარა გოგონა მხოლოდ ფრუტუნებდა და იფურთხებოდა: ეტყობა, კენჭების გემოს გაგება სურდა, როგორც პატარა ბავშვებს სჩვევიათ, ბოლოს კი მიხვდა, რომ პირი სადაგელგემოიანი ხრეშით ჰქონდა სავსე. დენმა გამოხედა კირას, მაგრამ ცნობის ან მისალმების სურვილი არ გამოუმჟღავნებია, მამამისის შემორტყმისგან მობუზულს. არც კაცს - დედამისის ერთადერთ ძმას აუღია თავი თავისი საქმიდან.

კირამ ამოიოხრა: მის ბიძას დამხმარე მაინც ჰყავდა, მას კი, თუ გვერდით არ დაუდგებოდა მატ, თავისი პატარა მეგობარი, და ზოგიერთი მისი ამფსონი, მთელი სამუშაო - ახალი სახლის აშენება, ბაღის მოვლა - მარტოს უნდა ეტვირთა. რა თქმა უნდა, თუ დარჩენის ნებას მისცემდნენ.

მუცელი უყმოდა და მიხვდა, რომ შიოდა. პატარა ქოხების მწკრივს შემოუარა და თავის ნასახლართან მივიდა, სადაც ფერფლის შავი გროვავა იდგა. აღარაფერი გადარჩენილიყო მათი საოჯახო ნივთებიდან. თუმცა, ესიამოვნა, რომ პატარა ბაღი ხელუხლებელი დახვდა. დედამისის ყვავილები ისევ ყვავოდა, ზაფხულის პირის ბოსტნეული კი მზუზე მწიფდა. ახლა საკვები მაინც გამოუჩნდა.

მაგრამ გამოუჩნდა კი? ბოსტანს რომ უყურებდა, ხეებს უკნიდან ქალი გადმოხტა, ერთხელ გამოხედა გოგონას და უსირცხვილოდ დაიწყო სტაფილოების გლეჯა დედა-შვილის მოვლილ ნაკვეთში.

- შეჩერდი! ეგ ჩემია! - კირამ შეძლებისამებრ სწრაფად გაათრია ფეხი.

ქალმა ზიზღნარევი სიცილი დააყარა და მიწიანი სტაფილოებით აუჩქარებლად გაეცალა იქაურობას.

კირა აჩქარებით მივიდა ბოსტანთან, მათარა მიწაზე დადო, რამდენიმე ბოლქვი ამოიღო, ტალახი გააცალა და ჭამას შეუდგა.

მონადირე ოჯახის წევრი რომ არ ჰყავდათ, კირა და დედამისი არასოდეს ჭამდნენ ხორცს, იშვიათად იმ პატარ-პატარა ცხოველების ხორცს თუ გასინჯავდნენ, შემთხვევით რომ მოიხელთებდნენ ხოლმე სოფლის განაპირას. კაცებივით ვერ წავიდოდნენ ტყეში სანადიროდ. მდინარეში დიდძალი და იოლად დასაჭერი თევზი მოიპოვებოდა და მეტი არც არაფერი სჭირდებოდათ.

ბოსტნეულიც ძალიან საჭირო იყო. კირამ გაიხარა ველზე გატარებული ოთხი დღის განმავლობაში ბაღია არ გაეძარცვათ.

შიმშილი ჩაცხრა, კირა ფეხის დასასვენებლად ჩამოჯდა და მიიხედ-მოიხედა. მისი ნასახლარის კიდეზე, ფერფლის გროვასთან, ტოტებასხეპილი ნორჩი ხეები ეწყო, თითქოს ვიდაც უკვე ემზადებოდა სახლის აღდგენაში კირას დასახმარებლად, მაგრამ კირამ უკეთ იცოდა, რა ხდებოდა. წამოდგა და, საცდელად, ერთი მოქნილი ხე აიღო.

იმწამსვე ვანდარამ შემოაბიჯა მდელოდან, სადაც, კირას მიხვედრით, იცდიდა და უთვალთვალებდა. გოგონამ არ იცოდა, სად ცხოვრობდა ის, ან ვინ იყვნენ მისი ქმარი და შვილები. მათი ქონი ახლომანლო არ იდგა, თუმცა, ამ ქალს მთელი სოფელი იცნობდა. ხალხი მასზე ზურგს უკან ჩურჩულებდა. პატივს სცემდნენ. ან - ეშინოდათ.

მაღალ, დაკუნთულ ქალს გრძელი, აწეწილი თმა უხეშად გადაეყარა უკან და კისერთან თასმით შეეკრა. მუქი ფერის თვალები ჰქონდა, მისი პირდაპირი და ავი მზერა კი კირას სიმშვიდეს უკარგავდა. დაკბილული ნაიარევი, ნიკაპიდან რომ ეწყებოდა და, ყელის გავლით, ფართო მხრამღე ჩამოსდევდა, როგორც ამბობდნენ, ტყის ერთ-ერთ ბინადართან დიდი ხნის წინათ მომხდარი შეტაკების კვალი იყო. არავინ გადარჩენია ცოცხალი ასეთ განასერს. ეს ყველას ახსენებდა ვანდარას ძალას და სიმამაცეს და - მის ღვარძლიანობასაც. მაშინ ეცნენ და დაბრჭყალეს, როცა

პატარა ნაშიერის მოტაცებას აპირებდა დედის ბუნაგიდანო, ჩურჩულებდნენ ბავშვები.

ახლა კი, კირას წინაშე მდგარი, ისევ სხვისი პირმშოს მოსასპობად ემზადებოდა.

ტყის მკვიდრთაგან განსხვავებით, კირას საბრძოლველად ბრჭყალები არ გააჩნდა, ამიტომ მან მაგრად ჩაბღუჯა ხელჯოხნი და სცადა, ქალისთვის თვალი თვალში უშიშრად გაეყარა.

- დავბრუნდი, რომ ჩემი ქოხი აღვადგინო, - უთხრა ვანდარას.

- შენი ტერიტორია აღარ არსებობს. ახლა ის ჩემია. ეს მოჭრილი ხეებიც ჩემია.

- მე ჩემსას მოვჭრი, - დაუთმო კირამ, - მაგრამ აშენებით, აქ ავაშენებ. ეს მამაჩემის ტერიტორია იყო, სანამ მე დავიბადებოდი, და დედაჩემის - მამას სიკვდილის შემდეგ. ახლა, როცა დედაჩემიც მოკვდა, ეს ადგილი ჩემია.

მეზობელი ქოხებიდან გამოჩნდნენ სხვა ქალებიც.

- ჩვენ აქაურობა გვჭირდება, - დაიძახა ერთმა, - ხეებით გავაკეთებთ ბაკს ჩვენი პატარებისთვის. ვანდარამ მოიფიქრა.

კირამ შეხედა ამის მთქმელ ქალს, რომელსაც უხეშად ჩაებღუჯა ახალფენადგმული ბავშვი და უპასუხა:

- კარგი იდეაა, თუ თქვენი პატარების დამწყვდევა გინდათ. მაგრამ არა ამ ტერიტორიაზე, არამედ სადმე სხვაგან.

ამის შემდეგ ვანდარა დაიხარა და ბავშვის მუშტისხელა ქვას დასწვდა.

- ჩვენ არ გვინდინარ აქ, - მოაყოლა ამას, - შენ ამ სოფელს აღარ ეკუთვნი. არაფრად არ ღირხარ მაგ ფებით. დედაშენი მუდამ გიცავდა, მაგრამ ახლა ცოცხალი აღარ არის. შენც უნდა წახვიდე. რატომ არ დარჩი ველზე?

კირას გარს შემოერთყნენ მტრულად განწყობილი ქალები, რომლებიც თავ-თავიანთი ქოხებიდან გამოვიდნენ და ახლა

ვანდარასგან ელოდნენ მითითებებს და წინამძღოლობას. რამდენიმეს, კირამ შენიშნა, ქვები ეჭირა ხელში. მან იცოდა: თუ ერთი ქვა გამოვარდებოდა, დანარჩენიც მოჰყვებოდა. ისინი პირველ სროლას ელოდნენ.

რას იზამდა დედაჩემი ასეთ დროსო, გაიფიქრა გამალებით და სცადა, გამოეხმო სიბრძნე დედას სულის იმ ნარჩენიდან, რომელიც ახლაც ცოცხლობდა კირაში.

„ან მამაჩემი, რომელმაც ჩემი დაბადებაც ვერ შეიტყო? მისი სულიც ხომ ჩემშია.“

კირა მხრებში გაიმართა და ალაპარაკდა. მტკიცე ხმა ჰქონდა და ცდილობდა, რიგრიგობით ჩაეხედა თითოეული ქალის თვალებში. ზოგიერთმა მზერა დახარა და მიწას ჩააცქერდა. ეს კარგი იყო. ისინი სუსტები იყვნენ.

- თქვენ იცით, რომ სოფლის კონფლიქტში, რომელსაც შეიძლება მოჰყვეს სიკვდილი, ჩვენ უნდა მივმართოთ მეურვეთა საბჭოს, - შეახსენა მათ კირამ. აქეთ-იქიდან თანხმობის ჩურჩული გაისმა. ვანდარას ისევ ქვა ჩაებღუჯადა ძარღვებდაძაგრული ქალი სასროლად ემზადებოდა.

კირამ პირდაპირ შეხედა ვანდარას, მაგრამ ამწუთას ის სხვებს ელაპარაკებოდა - მათი მხარდაჭერა სჭირდებოდა, თუმცა, თანაგრძნობას არ ელოდა, რადგან იცოდა, ამას ვერ მოიპოვებდა. მხოლოდ მათი შიშის იმედად იყო.

- გაიხსენეთ, რომ თუკი კონფლიქტი არ მივა მეურვეთა საბჭომდე და ვინმეს მოკლავენ...

კირამ გაიგონა ჩურჩული.

- თუ ვინმეს მოკლავენ... - გაიმეორა ქალმა გაურკვეველი, შიშნული ხმით.

კირა ელოდა - როგორც შეეძლო, მაღალი და წელგამართული.

ბოლოს ჯგუფის ერთ-ერთმა ქალმა კანონის მუხლი დაამთავრა:

- მაშინ სიკვდილის მიზეზი თვითონაც უნდა მოკვდეს.

- დიახ, სიკვდილის მიზეზი თვითონაც უნდა მოკვდეს, - გაიმეორეს სხვებმაც. ქვები სათითაოდ დაცვივდა. ქალებმა გადაწყვიტეს, არ გამხდარიყვნენ სიკვდილის მიზეზი. კირას ნელ-ნელა გულზე მოეშვა. ელოდებოდა. უყურებდა.

ბოლოს მხოლოდ ვანდარასტა ეჭირა იარაღი. აპილპილებული უყურებდა, ემუქრებოდა, იდაყვს ხრიდა, თითქოს სასროლად, მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, მანაც დააგდო ქვა, მხოლოდ ოდნავ გამოისროლა კირასკენ.

- მაშინ მეურვეთა საბჭოში მივიყვან, - აუწყა ქალებს,

- მსურს, მისი ბრალმდებელი ვიყო. დაე, გააგდონ, - და მკვახედ გაიცინა, - მაგის თავიდან მოშორებაში დიდი დრო არ უნდა დაკვარგოთ. ხვალ, მზის ჩასვლისას, ეს მიწა ჩვენი უნდა იყოს, ის კი - წასული ველზე, მხეცების მოლოდინში.

ყველა ქალმა ტყეს გახედა, მომლოდინე მხეცების სამყოფელს, უკვე ღრმა ჩრდილებში ჩაძირულს. კირამ თავს ძალა დაატანა, რომ მათი მზერისთვის თვალი არ გაეყოლებინა.

ის ხელი, რომელსაც ქვა ეჭირა, ვანდარამ ნაიარევზე ჩამოისვა და სასტიკმა ღიმილმა გაუპო ბაგე.

- ვიცი, როგორი სანახავია მიწაზე დაღვრილი საკუთარი სისხლი, - თქვა მან.

- მე გადავრჩი, - შეახსენა ყველას, - გადავრჩი ჩემი ძალის გამო.

მერე განაგრძო:

- ხვალინდელი ღამის დადგომისას, როცა საკუთარ ყელზე იგრძნობს კლანჭებს, ეს ორმარცვლიანი გოგონა ინატრებს, სწულებას მოეკლა ღედამისის გვერდით.

ქალებმა თანხმობით დაუქნიეს თავი, ზურგი აქციეს კირას და წავიდ-წამოვიდნენ, თან, გზადაგზა, გვერდით მიმავალ თავიანთ პატარებს თათხავდნენ და ხელის კვრით მიერეკებოდნენ. მზე ჰორიზონტზე დაშვებულიყო. ახლა ისინი მიხედავდნენ თავიანთ სადამოს საქმეებს, სოფლის კაცების დაბრუნებისთვის მოემზადებოდნენ, კაცების, რომლებსაც ენდომებოდათ საკვები, ცეცხლი, ჭრილობების შეხვევა.

ერთ-ერთ ქალს მალე მშობიარობა უწევდა. ეს შეიძლებოდა ამაღამ მომხდარიყო. მას დანარჩენები მიხედავდნენ, დაუხშობდნენ ხმას, ახალშობილს შეაფასებდნენ. სხვები ამავე ღამეს შეწყვილდებოდნენ, ახალ ადამიანებს ჩასახავდნენ, მომავალ მონადირეებს, რაკი მოხუცები ჭრილობების, სნეულების ან ასაკისგან გარდაიცვალნენ.

კირამ არ იცოდა, რას გადაწყვეტდა მეურვეთა საბჭო. იცოდა მხოლოდ, რომ აი დარჩებოდა, ან წავილოდა; ან ააღორძინებდა დედამისის კარ-მიდამოს, ან გავილოდა ველზე, სადაც შეებმებოდა ტყეში მომლოდინე მხეცებს. მარტოდმარტო. დაქანცული ჩაჯდა ფერფლისგან გაშავებულ მიწაზე და ღამეს დაელოდა.

იქვე ახლოს დაგდებული ხის ნაჭერი აიღო და ხელში შეატრიალ-შემოატრიალა, მისი ძალა და სისწორე გაზომა. თუ ხვალ დარჩენის უფლებას მისცემდნენ, ქონისთვის დასჭირდებოდა ხის მკვრივი ნაჭრები. ტყისმჭრელ მარტინთან მივიდოდა. ეს კაცი დედამისის მეგობარი იყო. რადაცებს ცვლიდნენ ხოლმე: დედა დეკორატიულ ქსოვილს სთავაზობდა ცოლისთვის, სანაცვლოდ კი ჭერისთვის კოჭებს ართმევდა.

იმ საქმისთვის, რითიც, თავისი აზრით, უნდა ეარსება, კირას სამომავლოდ ხის პატარა, სწორი ნაჭრები დასჭირდებოდა. ეს ნაჭერი მეტისმეტად ღრეკადია, არ გამომადგებაო, მიხვდა და მი-

წაზე დააგდო. ხვალ, თუკი მეურვეთა საბჭო მის სასარგებლოდ გადაწყვეტდა საქმეს, დაუწყებდა ძებნას მოკლე, გლუვ ნაჭრებს, რომლებსაც კუთხეებში შეაერთებდა და ახალ საქარგავ ჩარჩოს გააკეთებდა.

კირას ხელები ყოველთვის გონივრულად ირჯებოდნენ. პატარაობაში ასწავლა დედამ ნემსის ხმარება, ნაქსოვში გაყრა და ფერადი ძაფებით ქარგვა. მაგრამ უეცრად, ამ ცოტა ხნის წინ, კირას ოსტატობა გასცდა ცოდნას. ერთი განსაცვიფრებელი შემოქმედებითი აფეთქებისას მისმა უნარმა დედისეულ სწავლებას აჯობა. ამჯერად, რჩევისა და გამოცდილების გარეშე, თითებმა უყოყმანოდ იგრძნეს, როგორ დაეგრინათ, ერთიმეორეში ჩაექსოვათ და ჩაეწნათ ძაფები, რათა შექმნილიყო ფერებით მდიდარი და კაშკაშა სურათები. კირამ არ იცოდა, საიდან მოვიდა ეს ცოდნა, მაგრამ გრძნობდა მას თითის წვერებში, რომლებიც ახლა ოდნავ უთრთოდა დაწყების სურვილისგან. ოღონდაც დარჩენის ნება მიეცათ!

3

გათენებისას მოღუშულმა შიკრიკმა მოაკითხა კისერზე მწერის ნაკბენის ფხანით და უთხრა, შუადღეს მეურვეთა საბჭოში უნდა გამოცხადდეთ. მზე რომ შუბისტარს მიუახლოვდა, კირამ თავი მოიწესრიგა და წავიდა, წესის მორჩილი.

საბჭოს შენობა - განსაცვიფრებლად დიდებული - დიდი ნგრევის წინა პერიოდიდან შემორჩენილიყო. ამ შორეულ დროს დღეს ცოცხალთაგან არავინ მოსწრებოდა, არც მათი მშობლები და არც მათი პაპა-ბებიები. დიდი ნგრევის ამბავი იცოდნენ მხოლოდ სიმღერიდან, ყოველწლიურ შეკრებაზე რომ იმღერებოდა.

გავრცელებული მოსაზრებით, მომღერალი, რომლის ერთადერთი საქმე ყოველწლიური სიმღერა იყო, ხმას დღეების განმავლობაში ავარჯიშებდა და საგანგებო ზეთებს წრუპავდა. დიდი ნგრევის სიმღერა გრძელი იყო, გამსავათებელი და, შიგადაშიგ, შემადრწუნებელიც; იწყებოდა სამყაროს შექმნის ამბით და ხალხის უთვალავი საუკუნის ისტორიას ჰყვებოდა. ისტორია სავსე იყო ომებით და უბედურებით. განსაკუთრებით შემზარავად გაისმოდა დიდი ნგრევის ამბავი, წინაპართა ცივილიზაციის დასასრული. სტრიქონები ჰყვებოდა მხრჩოლავ, მომწამლავ გაზებზე, დედამიწაში გაჩენილ დიდ ბზარებზე, ვეებერთელა შენობების ჩამოქცევასა და ზღვებით წალეკვაზე. სიმღერა ყველას უნდა მოესმინა წელიწადში ერთხელ, თუმცა, დიდი ნგრევის ზოგიერთი ეპიზოდის თხრობისას დედები თავიანთ უმრწემეს შვილებს ყურებზე ხელებს აფარებდნენ.

დიდ ნგრევას ძალიან ცოტა რამ გადაურჩა, მათ შორის - მტკიცედ მდგარი საბჭოს შენობა. ამ განუზომლად ძველი ნაგებობის რამდენიმე ფანჯარას დღემდე შემორჩენოდა ორნამენტებიანი მუქწითელი და ოქროსფერი მინა და საკვირველი მოხატულობები. ასეთი მინის დამზადების ტექნიკა უკვე დავიწყებული იყო და ზოგიერთ ფანჯარაში, რომლებსაც ფერადი მინა ჩამსხვრეოდა, ჩაესვათ ჩვეულებრივი მინა, რომელიც ხედს ამახინჯებდა თავისი ბუშტულებითა და ნაოჭებით. სხვა ფანჯრები სულაც აეფიცრათ, ინტერიერის ზოგიერთი ნაწილი კი ჩაებნელებინათ. მაგრამ სოფლის ჩვეულებრივ ფარდულებსა და ქოხებთან შედარებით, შენობა მაინც ბრწყინვალედ გამოიყურებოდა.

კირა იქ შიკრიკის მითითებულ დროს, ანუ შუადღისას მივიდა და მარტო აღმოჩნდა გრძელ დერეფანში, რომელსაც ორივე მხარეს ჩამწკრივებულ მათალ შანდლებში მოპარპალე ალები ანათებდა. დაკეტილი კარიდან ესმოდა ხმაური - მოკამათე კაცების

ყრუ ხმები. მისი ხელჯოხი ხის იატაკზე კაკუნობდა, მრუდე ფეხი კი შრიალით ეხახუნებოდა ფიცრებს, თითქოს ცოცხს მიათრევსო.

- ამაყად გაუძელი ტკივილს, - ყოველთვის ეუბნებოდა დედა, - შენ უფრო ძლიერი ხარ, ვიდრე ისინი, ვისაც ტკივილი არ აწუხებს.

ახლა გაახსენდა ეს და სცადა, გამოეჩინა სიამაყე, რომლის განცდასაც დედა ასწავლიდა. გამხდარი მხრები გაშალა და უხეშად ნაქსოვი პერანგის ნაკეციები გაისწორა. მანამდე კარგად იბანავა სუფთა მდინარეში და ფრჩხილებიც გაისუფთავა წაწვეტილებული ჩხირით. თმა დაივარცხნა დედამისის ნაქონი ხის სავარცხლით, რომელიც მისი სიკვდილის შემდეგ თავის პატარა ჩანთაში შეინახა. დავარცხნილი თმა დაიწნა - მისმა ხელებმა მარჯვედ ჩაახვიეს ერთმანეთს სქელი, მუქი კულულები, მძიმე ნაწნავის ბოლო კი ტყავის ზონრით შეიკრა.

შიში ღრმა ჩასუნთქვით გაფანტა და დააკაკუნა მძიმე კარზე, რომლის მიღმა, ოთახში, მეურვეთა საბჭოს შეხვედრა უკვე ძალას იკრებდა. კარი ოდნავ შეიღო და შიგნიდან გამოტყორცნილი სინათლის სოლი დერეფნის ბინდებუნდს ჩაესო. კაცმა გამოიხედა და იჭვნულად შეათვალიერა. მერე კარი უფრო ფართოდ გააღო და ჟესტით შეიწვია შიგნით.

- ბრალდებული ობოლი გოგონა, კირა, მოსულია! - აუწყა კარის მცველმა და ბუტბუტი ჩაცხრა. ჩამოვარდნილ ღუმელში შიგნით მყოფები მოტრიალდნენ და ოთახში შესულ კირას გამოხედეს.

ვეებერთელა ოთახი იყო. კირა უწინაც ყოფილა აქ დედასთან ერთად ყოველწლიური შეკრების ცერემონიაზე. მაშინ ისინი სხვებთან ერთად ისხდნენ გრძელ სკამზე და უყურებდნენ სცენას, რომელზეც იდგა მხოლოდ საკურთხევლის მაგიდა თაყვანისცემის ობიექტით - იღუმალი ხის კონსტრუქციით - ჯვრის ფორმით შეერთებული ორი ჯოხით. როგორც ამბობდნენ, ამ ნივთს დიდი ძალა

ჰქონია წარსულში და ადამიანებიც მუდამ მიაგებდნენ პატივის სწრაფი და მოკრძალებული თავდაკვრით.

მაგრამ დღეს კირა მარტო იყო. ახლა აქ არ ისხდა ხალხი, ჩვეულებრივი სოფლელები. მხოლოდ მეურვეთა საბჭო იყო - თორმეტი კაცი, რომლებიც კირას პირდაპირ გრძელ მაგიდას ესხდნენ, სცენის წინ. ზეთის ლამპების მწკრივები ოთახს აკამკაშებდა, თითოეულ მეურვეს კი ზურგს უკან თითო ჩირაღდანი ენთო და მაგიდაზე დასტებად დაწყობილ თუ გაფანტულ ქათალებს უნათებდა. ისინი უყურებდნენ კირას, რომელიც ტორტმანით მიუყვებოდა სკამებს შორის გასასვლელს.

რაკი ახსოვდა ყოველ ცერემონიაზე ნანახი, კირამ ახლაც მოწინებით შეატყუპა ხელები, თითის წვერები ნიკაპის ქვემოთ მიიბჯინა, მივიდა მაგიდასთან და პატივისცემით შეხედა თაყვანისცემის ობიექტს. მეურვეებმა თავი მოწონებით დააკანტურეს. როგორც ჩანდა, კირა სწორად მოიქცა. ამის შემდეგ იგი ოდნავ მოეშვა და დაელოდა, რა მოხდებოდა.

კარის მცველმა მეორე კაკუნზეც გაიხედა და ოთახში მყოფებს ამცნო:

- ბრალმდებელი ვანდარა!

მაშორნი იქნებოდნენ. კირა თვალს ადევნებდა ვანდარას. მან სწრაფად მიაშურა მაგიდას და ისინი გვერდიგვერდ აღმოჩნდნენ მეურვეთა საბჭოს პირისპირ. კირამ კმაყოფილება იგრძნო - ვანდარა ფეხშიშველი იყო და სახეც დაუბანელი ჰქონდა. ქალი შეხვედრისთვის არ მომზადებულა. იქნებ ეს არც იყო აუცილებელი, მაგრამ კირამ იგრძნო, რომ თავისი სისუფთავით მან პაწაწინა პატივისცემა, პაწაწინა უპირატესობა მოიპოვა.

თაყვანისცემის ჟესტი არც ვანდარას დავიწყებია და, ამ მხრივ, ისინი თანასწორნი იყვნენ. მერე მან თავი დახარა და შემფოთებულმა კირამ დაინახა, რომ მეურვეებმაც დაუქნიეს თავები.

„მეც უნდა დამეხარა თავი. შესაფერისი დრო უნდა ვიპოვო.“

- ჩვენ შევხვდით, რათა გადაწყვეტილება მივიღოთ მომხდარ კონფლიქტთან დაკავშირებით, - ავტორიტეტული ხმით განაცხადა ჭადარა კაცმა, რომლის ოთხმარცვლიან სახელს კირა ვერასოდეს იმახსოვრებდა.

- ვინ არის ბრალმდებელი? - იკითხა ჭადარა კაცმა. რასაკვირველია, პასუხი იცისო, გაიფიქრა კირამ. მაგრამ შეკითხვა ცერემონიული ჩანდა, ფორმალური ნაწილისთვის აუცილებელი. ამ კითხვას უპასუხა მეორე მეურვემ - მაგიდის ბოლოში მჯდარმა ზორბა კაცმა, რომელსაც წინ რამდენიმე სქელტანიანი წიგნი და ფურცლების დასტა ეწყო. კირამ ცნობისწადილით შეხედა ტომებს. ყოველთვის სურდა, სცოდნოდა კითხვა, მაგრამ ქალებს ამის უფლება არ ჰქონდათ.

- მთავარო მეურვევ, ბრალმდებელი არის ქალი, ვანდარა.

- და ბრალდებული?

- ბრალდებული არის ობოლი გოგონა, კირა.

კაცმა ქაღალდებს ჩახედა, თუმცა, ვერ იტყოდი, რომ რამეს კითხულობდა.

„ბრალდებული? რას მამბალებენ?“ ამ სიტყვის მეორედ გაგონებამ კირას ისევ დაუკარგა მოსვენება. „მაგრამ შემოძლია, გამოვიყენო ეს შანსი, რომ თავი დავხარო და თავმდაბლობა გამოვავლინო.“ კირამ ოდნავ მოდრიკა თავი და სხეულის ზედა ნაწილი, აქაოდა, ვაცნობიერებ, რომ ბრალდებული მე ვარო.

ჭადარა კაცმა ორივეს აუღელვებლად შეხედა. ჯოხზე დაყრდნობილი კირა ცდილობდა, შეძლებისამებრ წელგამართული მდგარიყო. ასე თითქმის ბრალმდებლის სიმამლისა ჩანდა. მაგრამ ვანდარა უფრო ასაკოვანი იყო, უფრო დონიერი და უნაკლო, გარდა ნაიარევისა, რომელიც თვალს ახსენებდა ამ ქალის მხეცთან შებრძოლებას და გადარჩენას. საძაგელი ნაიარევი იყო, ეგ

იყო მხოლოდ, მის ძალას ადასტურებდა. კირას ნაკლი კი ღირსშესანიშნავ ამბავს არ უკავშირდებოდა და გოგონაც თავს სუსტად, განწირულად გრძნობდა ამ დაგონჯებულ-გაავებული ქალის გვერდით.

- ჯერ ილაპარაკებს ბრალმდებელი, - თქვა მთავარმა მეურვემ.

ვანდარას მტკიცე და დაუნდობელი ხმა ჰქონდა.

- გოგონა უნდა გაეყვანათ ველზე, როცა დაიბადა და ჯერ სახელიც არ ჰქონდა. ეს არის გზა.

- განაგრძე, - თქვა მთავარმა მეურვემ.

- ის არასრულყოფილი იყო. უმამოც. ის არ უნდა დაეტოვებინათ.

„მაგრამ მე ღონიერი ვიყავი. თვალელები მიბრწყინავდა. დედაჩემმა მითხრა. ის არ გამიშვებდა.“ კირა შესწორდა და მოღრეცილი ფეხი მოინაცვლა. თავისი დაბადების ამბავს იხსენებდა და აინტერესებდა, აქ თუ მიეცემოდა მისი მოყოლის შანსი. „ისე მაგრად ვუჭერდი დედას ცერათითს...“

- ჩვენ ყველა ვითმენდით მის არსებობას მთელი ეს წლები, - განაგრძო ვანდარამ, - მაგრამ მას არაფერში შეუტანია წვლილი. არც თხრა შეუძლია, არც დარგვა, არც ამოძირკვა, შინაური ცხოველების მოვლაც კი, მისი ასაკის სხვა გოგონებისგან განსხვავებით. ყველგან უსარგებლო ტვირთივით დაათრევს ამ თავის მკვდარ ფენს. ნელია და ბევრს ჭამს.

მეურვეთა საბჭო ყურადღებით უსმენდა. კირას სახე უხურდა შეცბუნებისგან. მართლაცდა, ბევრს ჭამდა. მისი ბრალმდებელი ყველაფერში მართალი იყო.

„ვეცდები, რომ ნაკლები ვჭამო. შემიძლია, მშიერმა ვიარო.“ გონებაში კირა თავდაცვისთვის ემზადებოდა, თუმცა, გრძნობდა,

რომ ეს თავდაცვა რომც მოეხერხებინა - სუსტი იქნებოდა და ბლუყუნა.

- ის მაინც დატოვებს, წესების საწინააღმდეგოდ, რადგან პაპა ჯერაც ცოცხალი ჰყავდა და მას ძალაუფლება ჰქონდა. მაგრამ ის კაცი დიდი ხნის წინ მოკვდა და შეიცვალა ლიდერით, ვისაც ძალაუფლებაც მეტი აქვს და სიბრძნეც...

ვანდარამ ქათინაურებიც არ დაიშურა თავისი მდგომარეობის გასამყარებლად. კირამ მთავარ მეურვეს გახედა, აბა, პირმოთნეობამ თუ შეძრაო, მაგრამ ჭადარა კაცს კვლავ უდრტვინველი სახე ჰქონდა.

- მამამისი მხეცებმა მოკლეს ჯერ კიდევ მის დაბადებამდე. ახლა დედაც მოუკვდა, - განაგრძო ვანდარამ, - ჩვენ გვგონია, რომ დედამისის სნეულება საფრთხეს შეუქმნის სხვებს...

„არა! მხოლოდ ის დაავადდა. მის გვერდით ვიწეეი, როცა გარდაიცვალა, მაგრამ მე ავად არ ვარ!“

- ...ქალებს კი სჭირდებათ მიწა, სადაც მათი ქონი იდგა და ამ უსარგებლო გოგოსთვის ადგილი აღარ რჩება. ვერც გათხოვდება. არავის სჭირდება ხეიბარი. ის გვაკლებს სივრცეს, საკვებს, პატარების ყოფაქცევაზე ცუდ გავლენას ახდენს: უყვება ამბებს, ასწავლის თამაშებს, რის შედეგადაც ისინი ხმაურობენ და შრომას აფერხებენ...

მთავარმა მეურვემ ხელი გააქნია.

- საკმარისია, - განაცხადა.

ვანდარამ შუბლი შეჭმუხნა და გაჩუმდა. ოდნავ თავიც დახარა.

მთავარმა მეურვემ მზერა მოავლო დანარჩენ თერთმეტს, თითქოს მოსაზრებებს ან კითხვებს ელოდა. ყველამ სათითაოდ დაუქნია თავი, თქმით არავის არაფერი უთქვამს.

- კირა, - მიმართა ჭადარა კაცმა, - როგორც ორმარცვლიან გოგოს, შენ არ მოგეთხოვება თავის დაცვა.

- არ დავიცვა თავი? მაგრამ...

კირას ჩაფიქრებული ჰქონდა თავის დახრა, მაგრამ მთლად გადაავიწყდა. ახლა კი გაახსენდა, მაგრამ მისი თავდახრა მოუქნელი იყო და ნაგვიანევი.

მთავარმა მეურვემ კვლავ გაიქნია ხელი, რითაც გაჩუმება ანიშნა. კირამაც თავს ძალა დაატანა, გაჩუმებულიყო და ესმინა.

- შენი სინორჩის გამო გეძლევა არჩევანის უფლება, - აუხსნა იმან, - შეგიძლია დაიცვა თავი...

კირამ ისევ შეაწყვეტინა, რაკი გაჩუმება ვერ შეძლო:

- ოჰ, დიახ! მსურს, თავი დავ...

მეურვემ თითქოს ვერ გაიგო გოგონას ამოძახილი.

- ან ჩვენ დაგინიშნავთ დამცველს. ერთ-ერთი ჩვენგანი დაგიცავს, ჩვენს აღმატებულ სიბრძნესა და გამოცდილებაზე დაყრდნობით. აუჩქარებლად დაფიქრდი, რადგან შენი სიცოცხლე შეიძლება ამაზე ჰკიდია, კირა.

„მაგრამ თქვენ უცხოები ხართ ჩემთვის! საიდან გეცოდინებათ ჩემი დაბადების ამბავი? როგორ აღწერთ ჩემს მბრწყინავ თვალებს, ჩემი ხელის ძალას, როცა დედაჩემის ცერათითს ვბღუჯავდი?“

კირა უმწეოდ იდგა. მისი მომავალი წყდებოდა. გვერდით დაუნდობელი მტერი ედგა. ვანდარა სწრაფად და ბრაზიანად სუნთქავდა, თუმცა, ღუმდა. კირა უყურებდა მაგიდის გარშემო მსხდომ კაცებს და ცდილობდა, შეეფასებინა ისინი, როგორც დამცველები. თუმცა, ვერც მათ მტრობას გრძნობდა და ვერც - განსაკუთრებულ ინტერესს, მხოლოდ მოლოდინს: ისინი მის გადაწყვეტილებას ელოდნენ.

ამ ტანჯვა-წვალებაში კირამ ხელები ჩაიყო ნაქსოვი პერანგის ღრმა ჯიბეებში. იქ დედასეული ხის სავარცხლის ნაცნობი კონტურები დახვდა და, ნუგეშისთვის, თითები გადაუსვა. ცერათითით შეეხო დეკორირებული ნაქსოვი ნაჭრის კუთხეს. ბოლო, თავგზისამბნევ დღეებში, სულ მიავიწყდა ეს ფთილა, ახლა კი გაახსენდა, როგორ ანაზღუულად ამოქარგა ეს ორნამენტი მისმა ხელებმა, როცა დედასთან იჯდა ბოლო დღეებში.

წლების წინანდელმა ცოდნამ მოულოდნელად მოაკითხა. ახსოვს დედას განცვიფრებული მზერა ერთ ნაშუადღევს, როცა ის თვალს ადევნებდა, როგორი თავდაჯერებით ირჩევდა და ერთმანეთს უხამებდა მისი გოგონა ძაფებს.

- მე ეს არ მისწავლებია!

არც კირამ იცოდა, როგორ გამოუვიდა. არ იცოდა. ეს თითქოს ჯადოსნურად მოხდა - თითქოს ძაფები თვითონ დაელაპარაკნენ, ან ამღერდნენ. ამ პირველი ცდის შემდეგ ცოდნა მოემატა.

ნაჭერი ჯიბეშივე ჩაბღუჯა: ახსოვდა თავდაჯერებულობის განცდა, რომელიც მან მიანიჭა. მაგრამ ახლა ამას ვერ გრძნობდა. თავის დამცავ სიტყვებს კირა ვერ იპოვიდა. იცოდა, რომ ეს როლი ამ კაცებიდან ერთ-ერთისთვის უნდა დაეთმო, თუმცა, ყველა უცნობი იყო.

შემინებული თვალეებით უყურებდა კაცებს, როდესაც მათგან ერთ-ერთის მშვიდ, გამამხნეველ საპასუხო მზერას წააწყდა. კირამ იგრძნო, რომ ეს ადამიანი მისთვის საჭირო და სანდო იქნებოდა. იგრძნო მეტიც: ცოდნა და გამოცდილება. კირამ ღრმად ჩაისუნთქა. ჯიბეში ჩაყოფილი ხელისთვის მოქსოვილი ნაჭერი თბილი იყო და ნაცნობი. გოგონა თრთოდა, თუმცა, მისი ხმა მკაფიოდ გაისმა:

- გთხოვთ, დამინიშნოთ დამცველი.

მთავარმა მეურვემ თავი დააქნია.

- ჯემისონ, - თქვა მტკიცედ და თავი დაუქნია მესამე კაცს, თავისგან მარცხნივ.

ის კაცი, რომელსაც მშვიდი, ყურადღებიანი მზერა ჰქონდა, კირას დასაცავად წამოდგა. გოგონა იცდიდა.

4

მას ერქვა ჯემისონ. კირას არ ეცნობოდა ეს სახელი. იმდენი ვინმე იყო სოფელში, ხოლო ბავშვობის შემდეგ ზღვარი კაცსა და ქალს შორის - იმდენად დიდი!

კირა უყურებდა პირისპირ მდგარს. მაღალი კაცი იყო, კარგად დავარცხნილი მოგრძო, შავი თმა კისერთან შეეკრა ხის გრავირებული შესაკრავით, რომელშიც კირამ ახალგაზრდა გრავიორის ნამუშევარი ამოიცივნო. რა ერქვა იმ ყმაწვილკაცს? თომას. ჰო, ასე. თომას-გრავიორი. ჯერ ბიჭი იყო, არცთუ კირაზე უფროსი, მაგრამ - უკვე გამორჩეული თავისი დიდი ნიჭიერებით. მისი მარჯვე ხელით შექმნილ გრავიურებს იტაცებდა სოფლის ელიტა. ჩვეულებრივი ადამიანები სამკაულებს არ ხმარობდნენ. კირას დედას ყელსაბამად თასმაზე ჩამობმული სამშვენისი ჰქონდა, თუმცაღა - მუდამ ჩამალული სამოსის საყელოში.

დამცველმა მის წინ დაწყობილი ფურცლების დასტა აიღო. მანამდე კირამ დაინახა, როგორი გულდასმით ინიშნავდა რაღაცას ამ ფურცლებზე, როცა ბრალმდებელს უსმენდა. დიდი ხელები ჰქონდა, გრძელთითება, მტკიცედ მოძრავი. არც მერყეობა ეტყობოდა, არც გაურკვევლობა. მის მარჯვენა მაჯაზე კირამ დაწნული ტყავის სამაჯური შენიშნა, სამაჯურის ზემოთ - ძარღვიანი და დაკუნთული მკლავი. იგი არ იყო ხანდაზმული. მისი სახელი - ჯემისონ - ჯერაც სამმარცვლიანი იყო და არც თმაში შეჰპაროდა

ჭადარა. კირას აზრით, ეს კაცი შუახნის იქნებოდა, შეიძლება - დედამისის ასაკის.

დასტის ზედა ფურცელს დახედა. თავისი ადგილიდან კირა ხედავდა, რომ დამცველი იმ ფურცელზე დაწერილ ნიშნებს აკვირდებოდა. ნეტავ, კითხვა ვიცოდეთ, ინატრა გოგონამ.

მერე დამცველი ალაპარაკდა:

- ბრალდებებს სათითაოდ მივყვები.

ფურცელს დასცქეროდა და ვანდარას ნათქვამს იმეორებდა, თუმცა, მასავით მძვინვარე ტონით - არა.

- „გოგონა უნდა გაეყვანათ ველზე, როცა დაიბადა და ჯერ სახელი არ ჰქონდა. ეს არის გზა.“

აჰ, აი, თურმე რას ინიშნავდა ეს კაცი! სიტყვები ჩაიწერა, რომ გამეორება შესძლებოდა! მტკივნეული იყო ბრალდებების მოსმენა განმეორებით, მაგრამ კირამ მაინც შიშნარევი მოწინებით გააცნობიერა ამ გამეორების ფასი: ამას ვეღარ მოჰყვებოდა დავა იმაზე, რა ითქვა მანამდე. რაოდენ ხშირად დაწყებულა პატარების მუშტი-კრივი და შეხლა-შემოხლა: შენ თქვი, მე ვთქვი, მან თქვა და სხვა უამრავი ვარიაციით.

ჯემისონმა ფურცლები მაგიდაზე დააწყო და აიღო სქელტანიანი, მწვანეტყავისყდიანი წიგნი. კირამ შენიშნა, რომ ასეთი წიგნი ყველა მეურვეს ელო წინ.

წიგნი გადაფურცლა იმ გვერდზე, რომელიც პროცესის დროს ჩანიშნა. კირას არ გამოჰპარვია, როგორ ფურცლავდა ეს კაცი წიგნს, როცა ვანდარა საბრალდებო სიტყვას ამბობდა.

- ბრალმდებელი მართალია, რომ ეს არის გზა, - მიმართა ჯემისონმა მეურვეებს. კირას ეს სიტყვები ღალატის მათრახვით მოხვდა. ეს კაცი ხომ დამცველად დაუნიშნეს?

მან მიუთითა გვერდი და წვრილად დაწერილი ტექსტი ამ გვერდზე. კირამ დაინახა, რომ ზოგმა მეურვემ თავისი წიგნი

გადაშალა და იგივე ადგილი მოძებნა. სხვებმა თავი დააქნიეს, ეტყობა, ისე კარგად ახსოვდათ, რომ წაკითხვა არ სჭირდებოდათ.

კირამ ვანდარას ჩაღიმებაც შენიშნა.

დამარცხებულმა ისევ მოისინჯა ჯიბეში პატარა ფთილა. მისი სითბო გამქრალიყო. გამქრალიყო ნუგეში.

- თუმცადა, გადავშალოთ შესწორებათა მესამე მუხლზე...

ყველა მეურვემ გადაშალა თავ-თავისი წიგნი. მათაც კი, ვისი წიგნებიც აქამდე დახურული ეწყო, ახლა გადაფურცლეს და მითითებული ადგილი მოძებნეს.

- ცხადია, რომ შესაძლებელია გამონაკლისის დაშვება.

- შესაძლებელია გამონაკლისის დაშვება, - გაიმეორა ერთერთმა მეურვემ თითის გაყოლებით წაკითხული იმ გვერდზე.

- ამრიგად, შეგვიძლია განზე გადავდოთ მტკიცება, რომ ეს არის გზა, - დარწმუნებით წარმოთქვა ჯემისონმა, - არ არის სავალდებულო, გზა ყოველთვის ასეთი იყოს.

„ის ჩემი დამცველია. შეიძლება მიპოვოს გზა, რომ სიცოცხლის უფლება მომცენ!“

- ლაპარაკი ხომ არ გასურს? - ჰკითხა მეურვემ.

კირა ქსოვილს შეეხო ჯიბეში და თავი გააქნია, არაო.

დამცველი თავის ჩანაწერებს გაუყვა:

- „ის არასრულყოფილი იყო. უმამოც. ის არ უნდა დაეტოვებინათ“.

ამის გამეორებამ კირას გული ატკინა, რადგან ეს სიმართლე იყო. ფეხის ტკივილიც იგრძნო. მიჩვეული არ იყო ჩუმად დგომას ასე ხანგრძლივად. სცადა, სხეულის წონა ავადმყოფ ფეხს არ ეგრძნო.

- ბრალდებები მართებულია, - ჯემისონმა გაიმეორა: - გოგონა კირა დეფექტიანი დაიბადა. თვალსაჩინო და უკურნებელი ნაკლი გამოჰყვა.

მეურვეები კირას მისჩერებოდნენ. ვანდარაც, - ოღონდ ზიზ-
ლით. გოგონა მიჩვეული იყო ასეთ მზერას. მთელი ბავშვობა და-
ცინვაში გაატარა. მერე თანდათან, დედის დარიგებითა და მეგზუ-
რობით, თავის ამაყად დაჭერა ისწავლა. ასე მოიქცა ახლაც და თვა-
ლებში შეხედა მსაჯულებს.

- და უმამოც, - განაგრძო ჯემისონმა.

მეხსიერებაში შემონახული ჰქონდა დედის ხმა, რომელიც
უხსნიდა ამას. მაშინ კირა პატარა იყო და უკვირდა, რატომ არ ჰყავ-
და მამა.

- ადარ დაბრუნდა დიდი ნადირობიდან. ეს შენს დაბადებამ-
დე მოხდა, - თქვა დედამ დინჯად, - მხეცებმა მოკლეს.

კირამ გაიგონა, როგორ გაიმეორა ჯემისონმა მის ფიქრში
ნათქვამი სიტყვები, თითქოს ხმამაღლა წარმოეთქვას.

- მის დაბადებამდე მამამისი მხეცებმა მოკლეს, - განმარტა
დამცველმა.

მთავარმა მეურვემ ფურცლებიდან თავი აიღო, დანარჩენებს
მიუბრუნდა და ჯემისონს შეაწყვეტინა:

- მამამისს ერქვა კრისტოფერ. მშვენიერი მონადირე იყო,
ერთ-ერთი საუკეთესო. ზოგ თქვენგანს, ალბათ, ახსოვს.

რამდენიმე კაცმა თავი დააქნია, მათ შორის - კირას დამ-
ცველმაც.

- იმ დღეს მეც მონადირეთა შორის ვიყავი და ვნახე, როგორ
გაიტაცეს მხეცებმა, - თქვა ჯემისონმა.

„თქვენ დაინახეთ, როგორ მოიტაცეს მამაჩემი?“ კირამ დაწ-
ვრილებით არ იცოდა, რა მოხდა. იცოდა მხოლოდ ის, რაც დედამ
უამბო. მაგრამ ეს კაცი იცნობდა მამას. ეს კაცი იმ დროს იქ იყო!

„შეუშინდა? შეუშინდა მამაჩემს?“ - ეს იყო უცნაური, არამკით-
ხე შეკითხვა, რომელიც კირას ხმამაღლა არ დაუსვამს. მაგრამ თვი-
თონაც ძალიან შეშინდა. ისე გრძნობდა ვანდარას სიძულვილს,

როგორც ცოცხალ არსებას. ისეთი განცდა გაუჩნდა, თითქოს ამწუ-
თას მხეცები იტაცებდნენ, თითქოს, სადაცაა, უნდა მომკვდარიყო.
აინტერესებდა, როგორი იყო ეს წამი მამასთვის.

- აქაც გამოსადეგია მესამე შესწორება, - გამოაცხადა ჯემი-
სონმა, - ბრალდებაზე - „ის არ უნდა დაეტოვებინათ“ - მე ვპასუხობ,
რომ მესამე შესწორების მიხედვით, შესაძლებელია გამონაკლისე-
ბის დაშვება.

მთავარმა მეურვემ თავი დააქნია.

- მამამისი კარგი მონადირე იყო, - გაიმეორა.

მაგიდასთან მსხდომებმა მას მიჰბადეს და ჩურჩულით და-
ეთანხმნენ.

- გსურს, ილაპარაკო? - ჰკითხეს კირას. მან ისევ გაიქნია თავი.
ახლაც გადარჩენის განცდა გაუჩნდა.

- „მაგრამ მას არაფერში შეუტანია წვლილი, - განაგრძო
ჯემისონმა ტექსტის კითხვა, - არც თხრა შეუძლია, არც დარგვა,
არც ამოძირკვა, შინაური ცხოველების მოვლაც კი, მისი ასაკის სხვა
გოგონებისგან განსხვავებით. ყველგან უსარგებლო ტვირთივით
დაათრევს ამ თავის მკვდარ ფეხს. ნელია...“, - აქ კირამ ჯემისონს
ჩადიმება შენიშნა, - „და ბევრს ჭამს“, - დაამთავრა მან კითხვა.

დამცველს ერთხანს ხმა აღარ ამოუღია. მერე თქვა:

- როგორც დამცველი, ვაპირებ, დავთმო ზოგიერთი პუნქტი.
ცხადია, მას არ ძალუძს თხრა, თესვა, ამოძირკვა ან შინაური ცხო-
ველების მოვლა. მაგრამ მიუხედავად ამისა, მჯერა, რომ მან თავი-
სი წვლილის შემოტანის გზა იპოვა. კირა, შენ საქსოვ ფარდულში
მუშაობ, ხომ მართალი ვარ?

- დიახ, - კირას ნერვიულობისგან ხმა წართმეოდა, - მაგრამ
არ ვქსოვ, ნაკუწებს ვგვი და დაზგების მომზადებაში ვეხმარები. ეს
არის სამუშაო, რომელსაც ხელებით ვასრულებ და ღონიერიც ვარ.

ეხსენებინა თუ არა თავისი უნარი ძაფების შერჩევისა? თავისი იმედი, რომ ამას ერთხელაც შემოსავლის წყაროდ აქცევდა? მაგრამ არ იცოდა, როგორ ელაპარაკა ამაზე ისე, რომ მის სიტყვებს ფუჭად არ გაეჟღერა, ამიტომაც გაჩუმდა.

- კირა, თქვა მეურვემ, - უჩვენე მეურვეთა საბჭოს შენი ნაკლი. ვნახოთ, როგორ დადინარ. მიდი კარამდე და დაბრუნდი.

რა შეუბრალებლად მექცევასო, გაიფიქრა კირამ. ყველამ იცოდა მისი გამრუდებული ფეხის ამბავი. რატომ უნდა გამოეფინა ეს ყველას წინაშე და აეტანა მათი დამამცირებელი მზერა? წამით ცდუნება მოეძალა, უარი ეთქვა ან შეჰკამათებოდა მაინც, მაგრამ ფსონი ძალიან მაღალი იყო. ეს პატარების თამაში არ გახლდათ, სადაც კამათი და ჩხუბი არასდროს არის მოულოდნელი. ამას უნდა განესაზღვრა მისი მომავალი, ან ის, ჰქონდა თუ არა მომავალი. კირამ ამოიოხრა, შებრუნდა, ჯოხს დაეყრდნო და ნელა წავიდა კარისკენ. ტუჩს იკვნეტდა და მტკივან ფეხს მიათრევდა, ზურგში კი ვანდარას ზიზღნარევ მზერას გრძნობდა.

კართან მისული კირა მოტრიალდა და ნელა დაბრუნდა თავის ადგილზე. ტერფში ტკივილი დაეწყო და მწვავედ ამოჰყვა მრუდე ფეხს. ერთი სული ჰქონდა, როდის დაჯდებოდა.

- ის ფეხს ათრევს და ნელა დადის, - განმარტა ჯემისონმა უამისოდაც ყველასთვის ცხადი თვალსაჩინოება, - ამ ორ პუნქტს ვთმობ, მაგრამ მისი მუშაობა საქსოვ ფარდულში არ უნდა დავივიწყოთ. ყოველდღე დადის იქ ერთსა და იმავე დროს და არასდროს აგვიანებს. იქაური ქალები აფასებენ მის დახმარებას.

- ბევრს თუ ჭამს? - იკითხა მან და ჩაიცინა, - არა მგონია. შეხედეთ, როგორი გამხდარია. მისი წონა უკუაგდება ასეთ ბრალდებას, თუმცა, მე მგონი, ახლა მშვიერია. მეც მშია. წინადადება შემომაქვს, შევისვენოთ და დავნაყრდეთ.

მთავარი მეურვე წამოდგა.

- გსურს, ილაპარაკო? - ჰკითხა კირას მესამედ. და გოგონამ მესამედაც თავი გააქნია უარის ნიშნად. აუტანელ დადლილობას გრძნობდა.

- შეგიძლიათ, დასხდეთ, - მიმართა კირას და ვანდარას, - საჭმელს მოიტანენ.

კირა შვებით დაეშვა იქვე მდგარ სკამზე. ცალი ხელით აცახცახებული ფეხი დაიზილა. გასასვლელის მეორე მხარეს თვალი მოჰკრა ვანდარას, რომელმაც თავი დახარა („ისევ დამავიწყდა! მეც უნდა მექნა!“) და დაჯდა, ქვისსახიანი.

მთავარმა მეურვემ თავის დასტას დახედა.

- კიდევ ხუთი ბრალდებაა, - თქვა მან, - მათაც გავეცნობით და გადაწყვეტილებას დანაყრების შემდეგ მივიღებთ.

კარის მცველმა საჭმელი შემოიტანა. კირას თეფში მიაწოდეს. გოგონამ დაინახა და დაყნოსა შემწვარი ქათამი და ქერქზე თესლებმოხნული პური. რამდენიმე დღის განმავლობაში არაფერი ეჭამა, უმი ბოსტნეულის გარდა. ქათამი უკანასკნელად რამდენიმე თვის წინ გასინჯა, მაგრამ მაინც ჩაესმოდა შურისმაძიებელი ვანდარას ყურისწამლები ბრალდება: „ბევრს ჭამს“.

რაკი ეშინოდა, რომ შიმშილის გამომჟღავნებას შეიძლებოდა ცუდი შედეგი მოჰყოლოდა, კირამ ნებისყოფა მოიკრიბა და მხოლოდ მოციცქნა მაცდუნებელი საჭმელი. მერე ნახევრად დაცარიელებული თეფში გვერდზე გადადო და წყალი მოსვა შემოტანილი თასით. დადლილმა, ისევ მშვიერმა და შეშინებულმა, ჯიბეში ქსოვილის ფთილა მოსინჯა და ბრალდებების მომდევნო რაუნდს დაელოდა.

* * *

თორმეტი მეურვე სადღაც გავიდა გვერდითა კარით, ალბათ, კერძო სატრაპეზოში. რამდენიმე ხანში მეურვეები დაბრუნდნენ

კირას ლანგრის წასატებად და შესვენების საათი გამოაცხადეს. სასამართლო განახლდება, როდესაც ზარი ორჯერ დარეკავსო, უთხრეს. ვანდარა ადგა და ოთახიდან გავიდა. კირა ცოტა ხანს დაელოდა. მერე საბჭოს შენობის კარისკენ წავიდა, გრძელ ღერეფანს გაუყვა და გარეთ გავიდა.

ქვეყნიერება იგივე იყო, რაც უწინ. ადამიანები მიდი-მოდიოდნენ, სხვადასხვა საქმეს აკეთებდნენ, ხმამაღლა კამათობდნენ. ბაზრის მოედანზე წვილ-კვილი გაიგონა: ფასებით გულშემოყრილი ქალები ყვიროდნენ, გამყიდველები ყვირილითვე პასუხობდნენ. ჩვილები ტიროდნენ, პატარები ჩხუბობდნენ, ნაგვის მჭამელი ძაღლები უღრენდნენ და ემუქრებოდნენ ერთმანეთს გადაყრილი ნარჩენებისთვის.

გამოჩნდა ბიჭუნა მატ. სხვებთან ერთად ჩაურბინა კირას, მაგრამ რომ დაინახა, შეეკოყმანდა, მერე შეჩერდა და მობრუნდა.

- პატარა ხეები გიშოვთ, - ჩაუჩურჩულა მატმა, - მე და კიდევ რამდენიმე ბიჭმა. ერთად დავაწყვეთ. მერე შენს ქოხს დავიწყებთ, თუ გინდა, - ცნობისწადილმა შეაყოვნა, - თუ გჭირდება... რა ხდებოდა იქ?

მაშ, მატს სცოდნია სასამართლოს შესახებ. არც იყო გასაკვირი. ბიჭმა სოფლის თითქმის ყველა ამბავი იცოდა. კირამ ყალბი უდარდლოობით აიჩეჩა მხრები. არ სურდა, მატს გაეგო, როგორმა შიშმა აიტანა დარბაზში.

- ბევრს ლაპარაკობენ, - უთხრა ბიჭს.

- ისიც იქ იყო? ის ქალი, საშინელი ნაიარევით...

კირამ იცოდა, ვის გულისხმობდა ბიჭი.

- ჰო. ის ბრალმდებელია.

- სასტიკი ვინმეა ეგ ვანდარა. თავისი ბავშვი მოკლაო, ამბობენ. ოლეანდრი აჭამაო. თურმე, იჯდა და მისი თავი ეჭირა, სანამ ჭამდა, არადა, იმას, თურმე, ჭამა არ უნდოდა.

კირასაც სმენოდა ეს ისტორია.

- ეგ უბედურ შემთხვევად ჩაითვალა, - შეახსენა მატს, თუმცა, ეჭვი კი ჰქონდა, - სხვა ბავშვებსაც უჭამიათ ოლეანდრი. საშიშია, როცა შხამიანი მცენარე ყველგან ყვავის. უნდა ამოძირკვონ ყველგან, სადაც ბავშვები შეიძლება მოხვდნენ.

მატმა თავი გააქნია:

- ჩვენ ეგ უნდა ვისწავლოთ. რომ შევეხე, დედაჩემმა ისე ჩამარტყა თავში, მეგონა, კისერი მომწყდებოდა. ასე გავიგე, რაც იყო ოლეანდრი.

- მეურვეთა საბჭომ განსაჯა ვანდარა და დაასკვნა, რომ მას ეს არ ჩაუდენია, - გაიმეორა კირამ.

- მაინც სასტიკი ვინმეა. საშინელი ჭრილობის გამო, ამბობენ. ტკივილმა შეუბრალებელი გახადა.

„ტკივილმა მე ამაყი გამხადა,“ - გაიფიქრა კირამ, მაგრამ არ თქვა.

- როდის დაამთავრებ?

- დღეს მოგვიანებით.

- ჩვენ ავაშენებთ შენს ქოხს. ზოგი ჩემი ძმობილი დაგვეხმარება.

- გმადლობ, მატ. შენ კარგი მეგობარი ხარ.

ბიჭი დაიჭყანა, შეცბუნებული.

- შენ ქოხი დაგჭირდება.

მერე შეტრიალდა და სხვა ბიჭებს დაედევნა.

- მერე შენ ამბები მოგვიყვი. ამისთვის ადგილი დაგჭირდება.

კირა გაქცეულს ღიმილით გაჰყურებდა. საბჭოს შენობის თავზე ზარმა ორგზის ჩამოჰკრა. კირა ისევ შენობაში შევიდა.

- „ის მაინც დატოვეს, წესების საწინააღმდეგოდ, რადგან პაპა ჯერაც ცოცხალი ჰყავდა და მას ძალაუფლება ჰქონდა. მაგრამ ის კაცი დიდი ხნის წინ მოკვდა...“ ჯემისონმა ნუსხაში მომღვენო ბრალდება წაიკითხა.

კირას ნება დართეს, ნაშუადღევის პროცესზე მჯდარიყო. ვანდარასაც უთხრეს, დაჯექიო. კირა მალღიერი იყო, რადგან თუკი ვანდარა ფეხზე იდგებოდა, კირაც აიძულებდა თავს, არ შეემჩნია ტკივილი და მდგარიყო.

მისმა დამცველმა კვლავ გაიმეორა, რომ შესაძლებელი იყო გამონაკლისის დაშვება. გულის გამხეთქი ბრალდებების გამოვრება, მუღმივმა გაფაციცებამ კირა დაღალა. ჯიბეში ნაქსოვი ფთილა მოსინჯა და გონებაში მისი ფერები წარმოიდგინა.

თემს, ძირითადად, რუხ-ყავისფერი, უფერული სამოსი ეცვა. უფორმო პერანგები და შარვლები იქსოვებოდა და იკერებოდა უეცარი წვიმის, ეკლების თუ შხამიანი კენკრისგან თავდასაცავად. სოფელი, ჩვეულებრივ, უორნამენტო ქსოვილს იყენებდა.

მაგრამ კირას დედამ იცოდა შეღებვის ხელოვნება. მისი დალაქავებული ხელებიდან გამოდიოდა ფერადი ძაფები, რომლებსაც იშვიათი დეკორირებისთვის იყენებდნენ. მანტია, რომელსაც ყოველწლიურად იცვამდა მომღერალი ნგრევის სიმღერის შესრულებისას, უხვად იყო მოქარგულ-მოსირმული. მასზე საუკუნეების წინ ამოქარგათ რთული სცენები. ყოველ მომღვენო მომღერალს ეს მანტია ეცვა და ასე გადადიოდა თაობიდან თაობაზე. ერთხელ, მრავალი წლის წინ, კატრინას სთხოვეს, შეეცვალა რამდენიმე ძაფი, რომლებიც მანტიას აწყვეტოდა. მაშინ კირა მთლად პატარა იყო, მაგრამ მაინც ახსოვდა: ქონის ჩაბნელებულ კუთხეში იდგა, როდესაც მეურვემ ლეგენდარული მანტია შემოიტანა და დაელოდა, სანამ დედა ხელს შეავლებდა. ახსოვს, როგორი მონუსხული

უყურებდა, როგორ გაუყარა დედამ მანტიის ქსოვილს ძვლის ნემსზე აგებული სქელი ფერადი ძაფი. სახელოს გაცვეთილი ადგილი ნელ-ნელა კაშკაშა ოქროსფრით დაიფარა. მერე მანტია წაიღეს.

კირას ახსოვდა: იმ წლის შეკრებაზე ორივე - დედაც და თვითონაც - თავიანთი ადგილებიდან აკვირდებოდნენ, ჩანდა თუ არა შეკეთებული ადგილი სახელოზე, როცა მომდერალი სიმდერის დროს ხელებს შლიდა, მაგრამ მეტისმეტად შორს ისხდნენ, განახლებული ადგილი კი ძალზე პატარა იყო.

ყოველ მომდევნო წელს ძველი მანტია დედასთან მოჰქონდათ შესაკეთებლად.

- ოდესმე ჩემი გოგონა გააკეთებს ამას, - უთხრა ერთხელ კატრინამ მეურვეს მანტიის მოტანისას, - შეხედეთ მის ნახელავს!

და უჩვენა პაწაწინა ქსოვილი, რომელიც კირას ახალი დამთავრებული ჰქონდა და რომელსაც მისმა თითებმა ასეთი ჯადოსნური ფერადოვნება შესძინეს.

- მისი ოსტატობა ჩემსას აღემატება.

კირა ჩუმად იდგა - შეცბუნებული, მაგრამ ამაყი - როდესაც მეურვე მის ნაქსოვს ათვალთქმობდა. თქმით არაფერი უთქვამს, მხოლოდ თავი დააქნია და ქსოვილი დააბრუნა. მაგრამ კირამ დაინახა, რომ კაცს თვალები აუციმციმდა. მერე, ყოველ მომდევნო წელს, ითხოვდა, გოგონას ნამუშევარი ეჩვენებინათ.

კირა ყოველთვის დედას გვერდით იდგა, არასდროს ეხებოდა ძველ, სათუთ ქსოვილს და ყოველთვის განცვიფრებული დასცქეროდა მსოფლიოს ისტორიის ამსახველ მდიდრულ ფერებს. ოქროსფერი, წითელი, ყავისფერი. აქა-იქ კი - ჩამქრალი და თითქმის თეთრად ქცეული ოდინდელი ლურჯი. დედამ უჩვენა ჩამქრალი ადგილები, რომლებიც წარსულიდნ შემორჩა.

დედამ არ იცოდა, როგორ მიეღო ლურჯი ფერი. ზოგჯერ ისინი - კირა და კატრინა - როცა ქვეყნიერების თავზე დამხობილ

ცის ვეებერთელა თასს ასცქეროდნენ, სწორედ ამაზე საუბრობდნენ.

- ეჰ, ლურჯის მიღება რომ შემეძლოს! - თქვა ერთხელ დედამ. - გაგონილი მაქვს: სადღაც, თურმე, საამისოდ გამოსადეგი მცენარე ხარობს.

თავის ბაღს გასცქეროდა, სავსეს იმ ყვავილებით, რომლებიც განაც იღებდა ოქროსფერს, მწვანეს, ვარდისფერს, და თავი გაიქნია იმ ფერის მონატრებით, რომელსაც ვერ ამზადებდა.

ახლა დედა მკვდარი იყო.

„ახლა დედა მკვდარია.“

კირამ თავი გააქნია და ნაოცნებარი ხსოვნიდან აწმყოს დაუბრუნდა. ვიღაც ამბობდა ამ სიტყვებს და კირა მოსასმენად მოემზადა.

- „...ახლა დედაც მოუკვდა, ჩვენ გვგონია, რომ დედამისის სნეულება საფრთხეს შეუქმნის სხვებს...“

„...ქალებს კი სჭირდებათ მიწა, სადაც მათი ქოხი იდგა და ამ უსარგებლო გოგოსთვის ადგილი აღარ რჩება. ვერც გათხოვდება. არავის სჭირდება ხეიბარი. ის გვაკლებს სივრცეს, საკვებს, პატარების ყოფაქცევაზე ცუდ გავლენას ახდენს: უყვება ამბებს, ასწავლის თამაშებს, რის შედეგადაც ისინი ხმაურობენ და შრომას აფერხებენ...“

პროცესი იწელებოდა. ვანდარას ბრალდებებს დამცველი ჯერ იმეორებდა, მერე ისევ და ისევ მოიხმობდა შესწორებას, რომლის მიხედვითაც გამონაკლისები დაიშვებოდა.

მაგრამ კირამ მისი ტონის ცვლილება შეამჩნია. მსუბუქი, მაგრამ მაინც ცვლილება. რაღაც მოხდა მეურვეთა საბჭოში, როცა მისი წევრები ლანჩისთვის გავიდნენ. კირამ დაინახა, რომ ვანდარა თავის სკამზე უხერხულად ცმუკავდა, და მიხვდა, რომ ეს ცვლილება მისმა ბრალმდებელმაც იგრძნო.

კირამ, რომელიც ჯიბეში ბლუჯავდა ფთილა-თილისმას, უცებ გააცნობიერა, რომ ქსოვილს სითბო და ნუგეში დაუბრუნდა.

არცთუ ხშირი მოცალებობისას, როცა თითებში თავისი საკვირველი უნარის მოზღვავებას გრძნობდა, კირა პატარა დაფებით რადაცების მოქარგვას ცდილობდა. საქსოვი ფარდულიდან წუნდებულ ქსოვილს იღებდა. ეს არ იყო დანაშაული: კირა ნებართვას ითხოვდა თავის ქოხში ნაფლეთების წასაღებად.

ზოგჯერ, თავისი შრომის შედეგით კმაყოფილი, ნახელავს დედას უჩვენებდა და ნიშნად მოწონებისა, მის ამაყ ღიმილს იღებდა. მაგრამ უფრო ხშირად თავის ძალისხმევას - ჯერ კიდევ გაუწაფავი ხელით შექმნილ ნაქარგს - კირა გულის აცრუებამდე მიჰყავდა, რის შემდეგაც, კარგა ხანს, დაფებს ხელს ადარ ჰკიდებდა.

ეს ნაჭერი, რომელიც ახლა მარჯვენა ხელის თითებით ნერვიულად ჩაებლუჯა, მაშინ მოქსოვა, როცა დედა უკვე ლოგინად იყო ჩავარდნილი. მომაკვდავი ქალის გვერდით უმწეოდ მჯდარი გოგონა წამდაუნუმ წინ იხრებოდა დედას ტუჩებთან წყლიანი ჭურჭლის მისატანად. მერე თმას უსწორებდა, ცივ ფეხებს უზელდა და მოცახცახე ხელებს უჭერდა. მეტი არაფერი შეეძლო. სანამ დედამისს მოუსვენრად ეძინა, კირა თავის კალათაში შეღებილ დაფებს ახარისხებდა და ძვლის ჩხირით ქსოვდა. ეს საქმიანობა ამშვიდებდა და ღროის გაყვანაში ეხმარებოდა.

დაფები მღეროდნენ მის გასაგონად. მღეროდნენ არა სიტყვებს ან ტონებს, არამედ ფერებს, ცოცხალივით თრთოდნენ, ფეთქავდნენ მის ხელებში. ახლა თითები კი არ მართავდნენ დაფებს, არამედ მისდევდნენ, სადაც მათ მიჰყავდათ. შეეძლო, დაეხუჭა თვალები და ეგრძნო ნემსის გავლა ქსოვილში, ნემსის, რომელსაც მთრთოლავი, შეუპოვარი დაფები ექაჩებოდნენ.

როდესაც დედა ჩურჩულებდა, კირა წინ იხრებოდა წყლიანი ჭურჭლით და გამშრალ ტუჩებს უსველებდა. მაშინდა დახედა დედას კალთაში ქსოვილის ვიწრო ზოლს, რომელიც ქოხში ჩამომდგარ ბინდებუნდს ანათებდა. ქსოვილის ოქროსფერში წითელი ისე ელავდა, თითქოს დილის მზეს სხივები ჩაეწნა. მბრწყინავი ძაფები ერთიმეორეში იხლართებოდა მარყუჯების და კვანძების რთულ ქარგად. ასეთი კირას არასოდეს ენახა. თვითონ ამას ვერ მოქსოვდა. ეს არავის უსწავლებია და არც არავის უჩვენებია.

დედამ უკანასკნელად გაახილა თვალები. კირას ისე ეჭირა მთრთოლარე ქსოვილი, რომ მომაკვდავს დაენახა. მეტყველების უნარი კატრინას უკვე წართმეოდა, მაგრამ გაღიმება შეძლო.

ახლა მის ხელში საიდუმლოდ შეყუჟული ქსოვილი თითქოს ფეთქავდა და რაღაცას ატყობინებდა გოგონას. ეუბნებოდა, რომ საფრთხე ისევ არსებობდა, თუმცა, იმასაც აგრძნობინებდა, რომ გადარჩებოდა.

5

კირამ ახლავდა შეამჩნია, რომ მეურვეთა საბჭოს სავარძლების უკან, იატაკზე, დიდი ყუთი იდგა.

კირას და ვანდარას თვალწინ ერთ-ერთმა მეურვემ მთავარი მეურვის თავის დაქნევის პასუხად ყუთი მაგიდაზე დადო და სახურავი ახადა. კირას დამცველმა, ჯემისონმა, იქიდან რაღაც ამოიღო და გაშალა. კირამ იმწამსვე იცნო და სიხარულით აღმოხდა:

- მომღერლის მანტია!

- ამას აქ არაფერი ესაქმება, - ჩაიბუტბუტა ვანდარამ, თუმცა, ცნობისმოყვარეობამ სძლია და თვითონაც წინ გადაიხარა.

დიდებული მანტია მაგიდაზე გაშალეს ყველას დასანახავად. ჩვეულებრივ, მას წელიწადში ერთხელ ნახულობდნენ, როცა

სოფელი იკრიბებოდა ნგრევის სიმღერის, თავისი გრძელი ისტორიის მოსასმენად. იმ დროს დარბაზში თავშეყრილი ხალხის უმრავლესობა შორიდან ხედავდა მომღერლის მანტიას. ისინი ერთმანეთს ხელს ჰკრავდნენ და წინ წაწევას ცდილობდნენ, უფრო ახლოს რომ დაენახათ.

მაგრამ კირა კარგად ცნობდა მანტიას - დედა ყოველ წელს საგულდაგულოდ აახლებდა მის გაცვეთილ ადგილებს. ამ დროს მუდმივად იქვე იდგა ფხიზელი მეურვე. კირა გაფრთხილებული იყო, რომ მანტიას არ შეხებოდა, ამიტომ მხოლოდ უყურებდა და უკვირდა დედას ოსტატობა, ტონების შერჩევის განსაცვიფრებელი უნარი.

აგერ, მარცხენა მხარზე! კირას ახსოვდა ის წერტილი, სადაც შარშან დედამ ფრთხილად გამოაცალკევა რამდენიმე გაწყვეტილი ძაფი, მერე შეარჩია მქრქალი ვარდისფერი, უფრო მუქი წითელი და სხვა ტონები, რომლებიც სისხლისფრამდე მუქდებოდა, თითოეული - წინაზე უფრო მუქი. ყველა თავ-თავის ადგილზე ჩაწნა და უნაკეროდ მიაქსოვა ნატიფი ქარგის კიდეებს.

ჯემისონ კირას თვალს ადევნებდა და ხვდებოდა, რომ გოგონა რაღაცას იხსენებდა. მერე უთხრა:

- დედაშენი ხელოვნებას გასწავლიდა.

კირამ თავი დაუქნია:

- ბავშვობიდან, - დაადასტურა ხმამაღლა.

- დედაშენი დახელოვნებული მუშაკი იყო, მისი ფერები გამოძლე. დღემდე არ გახუნებულა.

- ის ფერებს ზუსტად არჩევდა, თქვა კირამ.

- ჩვენ გვითხრეს, რომ შენი ოსტატობა აღემატება მისას.

მამ, იცოდნენ.

- მე კიდეც ბევრი რამ მაქვს სასწავლი, - უპასუხა მან.

- დაფერვაც ისევე გასწავლა, როგორც ქარგვა?

კირამ თავი დაუქნია, რადგან იცოდა, რომ დამცველი მისგან ამას ელოდა, მაგრამ ეს მთლად სიმართლე არ იყო. დედამისს განზრახული ჰქონდა, კირასთვის დაფერვის ხელოვნება ესწავლებინა, მაგრამ მანამდე სწეულებამ იმძლავრა. გოგონამ სცადა, კეთილსინდისიერად ეპასუხა.

- უკვე იწყებდა სწავლებას. მითხრა, რომ თვითონ ისწავლა ქალისგან, რომელსაც ერქვა ანაბელ.

- ამჟამად ანაბელა, - თქვა ჯემისონმა.

კირა გაოგნდა:

- ისევ ცოცხალია? ოთხმარცვლიანია?

- მეტისმეტად ხანდაზმულია. მხედველობა დაუქვეითდა. მაგრამ მაინც გამოდგება მასწავლებლად.

რის მასწავლებლად? მაგრამ კირას ხმა არ ამოუღია. ხელზე ჯიბეში ჩადებული ქსოვილის სითბო ელამუნებოდა.

უცებ ვანდარა ადგა:

- მოვითხოვ, რომ პროცესი გაგრძელდეს, - თქვა მოწყვეტით და მკვანედ, - დამცველი გაჭიანურების ტაქტიკას მიმართავს.

მთავარი მეურვე წამოდგა. მის ირგვლივ მოჩურჩულე სხვა მეურვეები დადუმდნენ.

ვანდარასადმი მიმართული მისი ხმა ავად არ ჟღერდა.

- შენ შეგიძლია, წახვიდე, - თქვა მან, - პროცესი დასრულდა. ჩვენ უკვე მივიღეთ გადაწყვეტილება.

ვანდარა ჩუმად და უძრავად იდგა. გამომწვევად უყურებდა მთავარ მეურვეს, რომელმაც თავი დააქნია და ორი მეურვე წინ გამოვიდა ოთახიდან ვანდარას გასაყვანად.

- მე მაქვს უფლება, ვიცოდე თქვენი გადაწყვეტილება! - იყვირა სიშმაგისაგან სახემოდრეცილმა ქალმა. მკლავები მეურვეებისგან გათავისუფლა და მეურვეთა საბჭოს მიუტრიალდა.

- შენ არაფრის უფლება არ გაქვს, - თქვა მთავარმა მეურვემ მშვიდად, - მაგრამ მე მაინც გაცნობებ გადაწყვეტილებას, რათა გამოირიცხოს ყოველგვარი გაუგებრობა: ობოლი გოგონა, კირა, დარჩება და ახალი მისია დაეკისრება.

მან მიუთითა მომდერლის მანტიაზე, რომელიც ისევ მაგიდაზე ეფინა.

- კირა, - ამის თქმისას ის გოგონას უყურებდა, - შენ გააგრძელებ დედაშენის საქმეს. შენ მეტს გააკეთებ, რაკი შენი ხელოვნება მისას აღემატება. ჯერ ამ მანტიას შეაკეთებ, როგორც დედაშენი აკეთებდა ყოველ წელს. მერე დაზიანებულ ადგილებს სრულად ადადგენ. ბოლოს კი შეუდგები შენს ნამდვილ საქმეს: მანტიას დაასრულებ.

და მთავარმა მეურვემ დიდ სიცარიელეზე მიუთითა მხრების არეში, თან ისე ასწია წარბი, თითქო რაღაცას ეკითხებო.

კირამ ნერვიულად დაუქნია თავი და წელშიც ოდნავ მოინახრა.

- შენ კი, - მთავარმა მეურვემ ისევ ვანდარას შეხედა, კოპებშეკრული რომ იდგა ორ მეურვეს შორის, და თავაზიანად მიმართა: - შენ არაფერი წაგიგია. გოგონას მიწა გინდოდა და შეგიძლია, წაიღო. შენც და სხვა ქალებმაც. მოაწყვეთ თქვენი ბაკი. ჭკვიანური იქნება თქვენი პატარების ჩაკეტვა. შფოთიანები არიან და უმჯობესია, გამომწყვდეულები იყვნენ. ახლა კი წადი, - უბრძანა ბოლოს.

ვანდარა შეტრიალდა. მისი სახე მრისხანებას აფრქვევდა. მეურვეთა ხელები მოიშორა, წინ დაიხარა და კირას გესლიანად ჩასჩურჩულა:

- ვერ იმუშავებ და ესენი მოგკლავენ.

ჯემისონს კი ცივად გაუღიმა:

- მაშ, ასე. გოგონა თქვენია, - ამაყად გაიარა რიგებს შორის და ფართო კარში გავიდა.

მთავარმა მეურვემ და საბჭოს სხვა წევრებმა ყურადღება არ მიაქციეს მის ამოძახილს, თითქოს აბუზარი მწერი იყო, რომელიც ბოლოს და ბოლოს მiasრისეს. ვიღაც მომღერლის მანტიას კეცავდა.

- კირა, - თქვა ჯემისონმა, - წადი და მოიტანე ყველაფერი, რაც გჭირდება, რაც გამოგადგება. დაბრუნდი, როცა ზარი ოთხჯერ ჩამოჰკრავს. შენს ბინაში წაგიყვანთ, სადაც ამიერიდან იცხოვრებ.

საგონებელში ჩავარდნილმა კირამ ცოტა ხანს შეიცადა, მაგრამ სხვა მითითება არ მიუღია. მეურვეები თავიანთ ფურცლებს ასწორებდნენ, წიგნებს და პირად ნივთებს თავს უყრიდნენ. თითქოს გადაავიწყდათ, რომ გოგონა იქ იყო. ბოლოს კირა წამოდგა, გამართულად დაეყრდნო ხელჯოხს და კოჭლობით გავიდა ოთახიდან.

როდესაც საბჭოს შენობიდან კაშკაშა მზის სინათლეში გასული სოფლის ცენტრალური მოედნის ქაოსს შეერია, მიხვდა, რომ ჯერ ისევ ნაშუადღევი იყო, ადამიანთა ყოფის ერთი ჩვეულებრივი დღე, და რომ არავის ცხოვრება არ შეცვლილა, მისი ცხოვრების გარდა.

* * *

ზაფხული ცხელი ღლით იწყებოდა. საყასბოს უკან, შენობის საფეხურებთან, ბრბო შეკრებილიყო ღორების დაკვლის სანახავად. როცა საუკეთესო ნაჭრები გაიყიდებოდა, ნარჩენებს გადაყრიდნენ და ადამიანები და ძაღლები დაიტაცებდნენ. აჭყვივლებული ღორების ექსკრემენტის სქელი გროვის სუნმა და სიკვდილის მოლოდინში ყურისწამლებმა ჭყვიტინმა კირას თავბრუ დაახვია და გულისრევა იგრძნო. აჩქარებით შემოუარა ბრბოს და საქსოვი ფარდულისკენ გასწია.

- შენ გარეთ ხარ! რა მოხდა? ველზე მიდიხარ? მხეცებთან?

მატის ხმა იყო - ადელვებული ეძახდა კირას. გოგონამ გაიღიმა. ბიჭის ცნობისწადილი იზიდავდა, მისას ეხმიანებოდა. ამ

სიველურის უკან კეთილი გული იმალებაო, ფიქრობდა. ახსოვდა, როგორ იპოვა მატმა ეს ძაღლი - თავისი პატარა კომპანიონი, მანამდე უპატრონო ცხოველი, გათელილი და ყველგან საჭმლის მძებნელი. ერთ წვიმიან ნაშუადღევს მას ვირშებმული ფორანი დაეჯახა. მძიმედ დაშავებული, გასისხლიანებული ცხოველი ტალახში ეგდო და სიკვდილი ელოდა, მაგრამ ბიჭმა იქვე ბუჩქნარში დამალა, სანამ ქრილობები მოურჩებოდა. საქსოვი ფარდულიდან კირა ყოველდღე ხედავდა მალვით მიმავალ მატს, რომელიც ძაღლს საჭმელს უზიდავდა, სანამ ფეხზე დააყენებდა. ახლა იგი - ცოცხალი და ჯანმრთელი - ბიჭს ადარ შორდებოდა, თუმცა, კირას ფეხის არ იყოს, იმასაც დაგრეხილი და უსარგებლო კუდი ჰქონდა. მატმა მას ბრანჩი დაარქვა ხის პატარა ტოტის მიხედვით, რომელსაც დაზიანებულ კუდაზე არტახის დასადებად იყენებდა.

კირა დაიხარა და ქოფაკს ყურთან მოფხანა.

- გამომიშვეს, - უთხრა ბიჭს.

მატს თვალები გაუფართოვდა. მერე გაიღიმა.

- მაშ, ისევ მოვისმენთ ამბებს მე და ჩემი ძმაკაცები, თქვა კმაყოფილებით.

- ვანდარა ვნახე, - განაგრძო მერე, - ასე გამოვიდა.

შენობის საფეხურებზე ახტა და მედიდური სახით ჩამოაბიჯა. კირას გაეღიმა ამ მიბაძვაზე.

- ახლა უფრო შესძულდები, - დაამატა მხიარულად.

- ჩემი მიწა მათ მისცეს, - უთხრა კირამ, - ჰოდა, შეუძლიათ, ბაკი გაუკეთონ თავიანთ ბავშვებს, როგორც უნდოდათ. იმედი მაქვს, იქ ჩემთვის ახალი ქობის შენება ჯერ არ დაგიწყია, - გაახსენდა კირას ბიჭის შემოთავაზება.

- არა, ჯერ არა, - გაიღიმა მატმა, - ვაპირებდით, მაგრამ თუ შენ მხეცებთან გაგგზავნიდნენ, ადარ იქნებოდა საჭირო.

ბიჭი გაჩუმდა და ბრანჩს ჭუჭყიანი ფეხი გაუსვ-გამოუსვა.

- მაშ, სად უნდა იცხოვრო?

კირამ მკლავზე დამჯდარი კოდო მიისრისა და ნაკბენი ადგილი დაიზილა.

- არ ვიცი, - აღიარა მან, - მითხრეს, შენობაში დაბრუნდი, როცა ზარი ოთხჯერ ჩამოჰკრავსო. ჩემი ნივთები უნდა შევაგროვო, - ამ ნათქვამზე ჩაეცინა, - ბევრი არაფერი მაქვს შესაგროვებელი. უმეტესობა დაიწვა.

მატს გაეღიმა.

- რაღაცები გადაგირჩინე, - უთხრა კმაყოფილმა, ქოხის დაწვამდე ავწაპნე. ხომ გითხარი. ველოდებოდი, რა მოგივიდოდა.

ბილიკზე, საყასბოს იქით, მატის ამფსონები გამოჩნდნენ და გამოსძახეს, სასწრაფოდ წამოდიო.

- მე და ბრანჩი უნდა წავიდეთ, - მიუბრუნდა კირას, - მაგრამ შენს ნივთებს მოგიტან, როცა ზარი ოთხჯერ დარეკავს, საფეხურებთან, კარგი?

- გმადლობ, მატ. საფეხურებზე დაგელოდები.

კირამ ღიმილით გააყოლა თვალი მტვრიან ბილიკზე მგობრებთან შესახვედრად მიმავალი ბიჭის გამხდარ, ჭუჭყიან ფეხებს. მის გვერდით ბრანჩი მიხტოდა და მოღრეცილ კუდს აქიცინებდა.

კირამ გზა განაგრძო ბრბოში. სურსათის მაღაზიებს, ერთმანეთის მლანძღავ მოვაჭრე ქალებს ჩაუარა. ძაღლები ყეფდნენ. ორი მათგანი ერთმანეთს კბილებდაკრეჭილი უღრენდა ბილიკზე, მათ შუაში კი ლუკმა ეგდო. იქვე კულულებიანი ბავშვი იდგა და ფრთხილად უთვალთვალეობდა ძაღლებს. მერე მოხერხებულად ისკუპა მათ შორის, ლუკმას ხელი დაავლო და პირში ჩაიტენა. დედამისმა, რომელიც თავისი საქმით იყო გართული მაღაზიაში, უკან მოიხედა. როგორც კი ბავშვი ძაღლებთან დაინახა, მაშინვე მივარდა და წაათრია. გვერდით რომ ამოიყენა, მკლავზე მოქაჩა

და თავშიც წაუთაქა. ბავშვი სულელურად იღმიჭებოდა და გამალე-
ბით ღეჭავდა ბილიკიდან აღებულს.

საქსოვი ფარდული უფრო შორს იდგა, მშვიდად შეყუჟული
დიდი ხეების ჩრდილში. აქ სიწყნარე და სიგრილე იყო, თუმცა -
ბევრი კოდოც. დაზგებთან მსხდარმა ქალებმა მოახლოებულ კი-
რას თავი დაუქნიეს.

- ბევრი ნაგლეჯია ასაკრეფი, - გამოსძახა ერთმა და ქსოვა არ
შეუწყვტია, თავის გაქნევით მიუთითა.

კირა ყოველთვის ამ საქმეს აკეთებდა: აქაურობას ასუფთა-
ვებდა. ჯერ ქსოვის უფლება არ ჰქონდა, თუმცა, ყოველთვის გაფა-
ციცებით ადევნებდა თვალს, როგორ ქსოვდნენ სხვები და ფიქ-
რობდა, რომ თვითონაც შეძლებდა, თუ მათ დასჭირდებოდათ.

მრავალი დღე გავიდა საქსოვ ფარდულში ბოლო შემოს-
ვლის შემდეგ. ეს დედამისის ავადმყოფობამდე და სიკვდილამდე
იყო. რამდენი რამე მოხდა ამასობაში. რამდენი რამე შეიცვალა. კი-
რამ გაიფიქრა, რომ ამიერიდან აქ აღარ მოვიდოდა, რადგან, რო-
გორც ჩანდა, სტატუსი შეეცვალა. მაგრამ რაკი აქაური ქალები მე-
გობრულად შეხვდნენ, კირამ ხის დაზგების ხმაურში ფარდულში
დაყრილი ნაჭრები აკრიფა. ერთი დაზგა გაჩერებული იყო, ბოლო-
დან მეოთხე, რომელთანაც, ჩვეულებრივ, კამილა იჯდა... დღეს იქ
არავინ მუშაობდა.

კირა ცარიელ დაზგასთან შეჩერდა და შეიცადა, სანამ ახ-
ლოს მჯდომი მქსოველი მაქოს დასამაგრებლად დაზგას გააჩე-
რებდა.

- სად არის კამილა? - ცნობისწადილით იკითხა კირამ. დრო-
დადრო, რასაკვირველია, ქალები ცოტა ხნით მიდიოდნენ: ქორწი-
ლება, მშობიარობა ან რაღაც სხვა დროებითი საქმე ჰქონდათ.

მქსოველმა გამოხედა, თუმცა, ხელები ისევ განაგრძობდნენ
საქმეს და ფეხებიც ამოძრავდნენ პედალზე.

- დაეცა, მდინარესთან.

თავით ანიშნა.

- რეცხავდა, ქვები კი ხავსიანი იყო.

- ჰო, იქ ფენი სხლტება.

კირამ იცოდა ეს. თვითონაც დასცდენია ფენი მდინარესთან, იქ, სადაც ქალები რეცხავდნენ.

ქალმა მხრები აიჩეჩა.

- მხარი მოტყდა. ძალიან ცუდად. ვერ უფიქსირებენ. ვერ უსწორებენ. ვეღარ მოქსოვს. მისმა ქმარმა ყველაფერი იღონა, რომ გაესწორებინა, რადგან ცოლი სჭირდება, ბავშვებისთვის და ყველაფრისთვის, მაგრამ, როგორც ჩანს, კამილას ველზე მოუწევს წასვლა.

კირას გააჟრჟოლა, რომ წარმოიდგინა, როგორ ეტკინებოდა კამილას მოტეხილი მხარი, როცა ქმარი მის ჩასმას ცდილობდა.

- ხუთი ბავშვი ჰყავს. ახლა ვერც იმათ პატრონობს და ვერც მუშაობს. ბავშვებს წაიყვანენ და გაანაწილებენ. ხომ არ გინდა ერთი?

ქალმა გაუღიმა. სულ რამდენიმე კბილი ჰქონდა.

კირამ თავი გააქნია და მწუხარედ გააგრძელა სიარული დაზგებს შორის.

- მისი დაზგა ხომ არ გინდა? - დააღევნა ქალმა. - ვინმე დასჭირდებათ მანდ. შენ, ალბათ, მზად ხარ საქსოვად.

კირამ ისევ გააქნია თავი. ოღესდაც სურდა ქსოვა. მქსოველები ყოველთვის კეთილად ეპყრობოდნენ, მაგრამ ახლა მისი მომავალი სხვანაირი ჩანდა.

დაზგები ისევ რახრახებდა. ფარდულის ბინდბუნდიდან კირამ შენიშნა, რომ მზე ქვემოთ დაწეულიყო. მალე ზარი ოთხჯერ ჩამოჰკრავდა. მქსოველ ქალებს დაემშვიდობა და უკან გამოჰყვა ბილიკს იმ ადგილისკენ, სადაც დედასთან ერთად იცხოვრა, სადაც

ამდენ ხანს იდგა მისი ქოხი - ერთადერთი ადგილი, სადაც კირა იყო შინ. იქაურობასთან დამშვიდობება მოუნდა.

6

საბჭოს შენობის კომპის დიდმა ზარმა ჩამოკვრა იწყო. ეს ზარი ადამიანთა ცხოვრებას აწესრიგებდა. ეუბნებოდა, როდის დაეწყოს სამუშაო და როდის დაემთავრებინათ, როდის შეკრებილიყვნენ შეხვედრებისთვის, მომზადებულიყვნენ სანადიროდ, ეზეიმათ ესა თუ ის მოვლენა, ან იარაღი აესხათ საფრთხის ჟამს. ოთხი ზარი - ახლა უკვე მესამე გუგუნებდა - ადამიანებს აუწყებდა, რომ დღის სამუშაო შეიძლებოდა დამთავრებულიყო. კირასთვის ეს ნიშნავდა მეურვეთა საბჭოში გამოცხადების დროს და მიიქაროდა კიდევ ცენტრალური მოედნისკენ. სამსახურებიდან გამოსულ ხალხში გზას მიიკვლევდა.

დაპირებისამებრ, მატ საფეხურებზე უცდიდა. გვერდით ბრანჩი ედგა, რომელიც გაავებული უღერებდა თათს დიდ, ფერად ხოჭოს - გზას უხერგავდა, ის კი გვერდის ავლას ცდილობდა. კირას მისალმებაზე ძაღლმა თავი ასწია და მოკვნიტილი კუდი გააქიცინა.

- მანდ რა გაქვს? - ჰკითხა მატმა, როცა გოგონას ზურგზე პატარა ფუთა შენიშნა.

- ბევრი არაფერი, - სევდიანად გაიცინა კირამ, - რამდენიმე ნივთი დავმალე განაკაფში და ამიტომაც დაწვას გადარჩა: ჩემი ძაფების კალათა, ქსოვილების ნიმუშები. და ამას შეხედე, მატ.

კირამ ჯიბე მოიჩხრიკა და ხორკლიანი, მოგრძო საგანი ამოიღო.

- ჩემი საპონი იქვე ვიპოვე, სადაც დამრჩა, ქვაზე. კარგია, რადგან არ ვიცი, როგორ გავაკეთო საპონი, და არც ფული მაქვს, რომ ვიყიდო.

მერე გაიცინა, რადგან მიხვდა, რომ მოთხუპნილ და დაუვარცხნელ ბიჭს საპონი არ სჭირდებოდა. კირას აზრით, მატს სადღაც უნდა ჰყოლოდა ღედა, ხოლო ღელები, როგორც წესი, თავიანთ პატარებს დროდადრო ბანენ ხოლმე, მაგრამ კირას არასოდეს უნახავს ეს ბიჭი სუფთა და მოწესრიგებული.

- მე ესენი მოვიტანე.

მატმა უჩვენა ჭუჭყიან ქსოვილში ფაცხაფუცხით შეხვეული ნივთები.

- ზოგი რაღაც სახლის დაწვამდე წამოვიღე, რომ გქონოდა, თუ დარჩენის უფლებას მოგცემდნენ.

- გმადლობ, მატ.

კირას გაუკვირდა, რაები შეერჩია მატს გადასარჩენად.

- მაგრამ შენ ხომ ვერ ატარებ ამას შენი ფეხით, ჰოდა, მე წამოგიღებ, სადაც გაგზავნიან. თან, გავიგებ, სად იცხოვრებ.

კირას მოეწონა ეს აზრი. მართლაც კარგი იქნებოდა, ბიჭი წაჰყოლოდა და გაეგო მისი საბინადროს ადგილსამყოფელი. ასე ყველაფერი არც ისე უცნაური ჩანდა.

- მაშინ აქ მოიცადე, - უთხრა მატს, - ჯერ შიგნით უნდა შევიდე და მეტყვიან, სად ვიცხოვრებ. მერე დავბრუნდები. უნდა ვიჩქარო, მატ, რადგან ზარის რეკვა დამთავრდა, მათ კი მითხრეს, ოთხი ზარის ჩამორეკვისას მოდიო.

- მე და ბრანჩს შეგვიძლია ლოდინი. შაქარყინული დავითრიე მაღაზიაში, - თქვა მატმა და ჯიბიდან დასვრილი შაქარყინული ამოიღო, - ბრანჩს კი გიგანტური ხოჭოს წვალეობა უყვარს.

თავისი სახელის გაგონებაზე ძაღლმა ყურები ცქვიტა, თუმცა, ხოჭოსთვის თვალი არ მოუცილებია.

კირა აჩქარებით შევიდა საბჭოს შენობაში, ბიჭი კი საფეხურებზე ჩამოჯდა.

* * *

დიდ ოთახში მხოლოდ ჯემისონ უცდიდა. კირა დაფიქრდა: სასამართლო პროცესზე ჩემს დამცველად ყოფნა იმასაც ხომ არ ნიშნავს, რომ ახლა ზედამხედველადაც უნდა დამიდგესო. უცნაურია, მაგრამ ცოტა გაღიზიანდა. უკვე დიდი იყო და შეუძლო, მართოს მოეწყო თავისი ცხოვრება. მისი ასაკის ბევრი გოგონა უკვე გასათხოვებლად ემზადებოდა. კირამ იმთავითვე იცოდა, რომ არ გათხოვდებოდა: მრუდე ფეხის გამო ეს შეუძლებელი იყო. ვერასდროს იქნებოდა კარგი მეუღლე, ვერასდროს შეასრულებდა ბევრ მოვალეობას. აი, მარტო კი ყველაფერს გაართმევდა თავს. დედამ ხომ შეძლო ეს და მასაც ასწავლა.

მაგრამ ჯემისონმა კეთილგანწყობილად დაუქნია თავი და კირას გაღიზიანებაც უკვალოდ გაქრა.

- მოხვედი, - თქვა ჯემისონმა, წამოდგა და დაკეცა ფურცლები, რომლებსაც მანამდე კითხულობდა, - ახლა შენს ბინას გაჩვენებ. შორს არ არის. ამ შენობის ფრთაშია.

მერე კირას ზურგზე პატარა ფუთას შეხედა:

- სულ ეგ გაქვს?

კირას გაუხარდა, რომ დამცველი შეეკითხა, რადგან ამით გოგონას მატის ხსენების შესაძლებლობა მიეცა.

- არა, კიდევ არის, მაგრამ ბევრს ვერ ვზიდავ, აი, ამის გამო... - ჟესტიმით მიუთითა ფეხზე და ჯემისონმაც კვერი დაუკრა.

- ჰოდა, მყავს ბიჭი, რომელიც მენმარება. მატს ეძახიან. ალბათ, არ გაბრაზდებით, რომ კიბეზე მელოდება. მას აქვს ჩემი სხვა ნივთები. ვფიქრობდი, იქნებ ნება დართონ, რომ ჩემი თანაშემწე იყოს-მეთქი. კარგი ბიჭია.

ჯემისონმა წარბი შეკრა. მერე შებრუნდა და ერთ-ერთ მცველს უხმო:

- კიბუზე ბიჭი იქნება. შემოიყვანეთ.

- აჰ! - შეაწყვეტინა კირამ. ჯემისონ და მცველი შემობრუნდნენ. კირამ თავი უხერხულად იგრძნო და ოდნავ წელშიც მოიხარა. - ძაღლი ჰყავს, - თქვა ხმადაბლა, - არსად დადის უიმისოდ.

- ძალიან პატარა ძაღლია, - დაამატა ჩურჩულით.

ჯემისონის მზერაში მოუთმენლობა გამოკრთა, თითქოს ახლად გააცნობიერა, რა ტვირთი აიკიდა ამ გოგოს სახით. ბოლოს ამოიოხრა და მცველს უთხრა:

- ძაღლიც შემოიყვანეთ.

* * *

სამივეს დერეფანში წაუძღვნენ. უცნაური ტრიო იყო: წინ კირა მიბორძიკობდა თავისი ჯოხით და ფეხსაც ცოცხის ხმით მიათრევდა: სმშმ, სმშმ; უკან მიჰყვებოდა მატ, ამჯერად - უსიტყვოდ, თვალეზგაფართოებული ისრუტავდა ამ გარემოს სიღიადეს; ბოლოს, შორეუნიანი იატაკზე ფრჩხილების წკაპუნით და მოგრეხილი კუდის ნარჩენით, მოდიოდა ძაღლი და ბედნიერს მოჰყავდა პირში გაჩრილი ხოჭო, რომელიც იკლავებოდა.

* * *

მატმა კირას ნივთებიანი ფუთა ოთახის შესასვლელში, იატაკზე დადო. თვითონ შიგნით არ შესულა. ფართოდ გახელილი თვალეზობითა და დამკვირვებლის მზერით ყველაფერს ადიქვამდა და გადაწყვეტილებაც მიიღო.

- მე და ბრანჩი აქ დაგელოდებით. რა ჰქვია ამას? - იკითხა, როცა გარშემო უყურებდა ფართო სივრცეს, რომელშიც იდგა.

- დერეფანი, - უთხრა ჯემისონმა.

ბიჭმა თავი დააქნია.

- მე და ბრანჩი ამ დერეფანში დაგელოდებით. ტილების გამომოთახში არ შემოვალთ.

კირამ სწრაფად გახედა, მაგრამ ძაღლს ხოჭო უკვე გადაეყლაპა. არც გაჰკვირვებია - არც ისე დიდი იყო, მატმა მონათლა მამონტად.

- ტილების? - იკითხა ჯემისონმა შეჭმუხნილი შუბლით.

- ბრანჩს ტილები ჰყავს, - აუხსნა მატმა, თან იატაკს დაჰყურებდა.

ჯემისონმა თავი გააქნია. კირამ დაინახა, როგორ უცნაურად მოდრიცა ტუჩები კაცმა, მერე კი მოთახში შეიყვანა.

კირა სახტად დარჩა. სახლი, რომელშიც მთელი ცხოვრება გაატარა დედასთან ერთად, ერთი უბრალო, ტალახისიატაკიანი ქოხი იყო, მათი საწოლები კი ნამჯით გატენილი ლეიბები ხის თაროებზე. ხელით ნაჩორკნ ავეჯში ნივთებს და საკვებს ინახავდნენ. ყოველთვის ჭამდნენ ხის მაგიდაზე, რომელიც მამას გაეკეთებინა დიდი ხნით ადრე გოგონას დაბადებამდე. კირა გლოვობდა ამ მაგიდის დაწვას, რადგან ის დედას აგონებდა. კატრინა აღუწერდა მამას ღონიერ ხელებს, რომლებითაც იგი მაგიდას რანდავდა და კუთხეებს უმრგვალებდა, რომ მომავალი ბავშვისთვის არაფერი ევნო მახვილ კიდეებს. ეს ყველაფერი ახლა ფერფლად იყო ქცეული: გლუვი მერქანი, მომრგვალებული კუთხეები, მამას ხელების ხსოვნა.

ამ მოთახში კი რამდენიმე მაგიდა იდგა - ოსტატურად გაკეთებული, გრავირებული და ნატიფი. საწოლი ხისა იყო, თავის ფეხებზე იდგა და თხლად ნაქსოვი ჩულო ეფარა. კირას არასოდეს ენახა ასეთი საწოლი და აქამდე ეგონა, რომ საწოლის ფეხები მხეცების ან ბაღლინჯოებისგან დასაცავად იყო საჭირო. თუმცა, საბჭოს შენობაში არც მხეცები იყვნენ და არც - ბაღლინჯოები. ეს მატმაც იგრძნო და თავისი ძაღლის ტილებს დერეფანში მიუჩინა ადგილი.

აქ იყო შეშინული ფანჯრები, საიდანაც ხეების კენწეროები მოჩანდა. ოთახი შენობის უკან გადაშლილ ტყეს გაჰყურებდა.

ჯემისონმა ოთახის სიდრემში კარი შეაღო და კირამ დაინახა პატარა, უფანჯრო ოთახი, სადაც დიდი და ბევრი უჯრა იყო.

- მომდერლის მანტია აქ ინახება, - უთხრა და ოდნავ გამოადო ერთი დიდი უჯრა, რომელშიც კირამ დაკეცილი მანტიის კაშკაშა ფერები დაინახა. ჯემისონმა უჯრა ისევ დახურა და სხვა, უფრო პატარა უჯრებზე ანიშნა:

- აქ ყველაფერია, რაც კი შეიძლება დაგჭირდეს.

ჯემისონ საწოლ ოთახში დაბრუნდა და სხვა მხარეს გამავალი კარი შეაღო. კირამ თვალი მოჰკრა რადაცას, რაც თავდაპირველად ბრტყელ ქვებს მიახსენებდა. ეს იყო ღია მწვანე შორენკეცის იატაკი.

- აქ წყალია, დასაბანად და ყოველგვარი საჭიროებისთვის.

„წყალი? შიგ შენობაში?“

ჯემისონ შემოსასვლელ კართან მივიდა და დერეფანში მომლოდინე მატს და ბრანჩს გახედა. ბიჭი ჩაცმულიყო და შექარყიწულს წუწნიდა.

- თუ გინდა, რომ ბიჭი აქ იყოლიო, უნდა დაბანო. ბიჭიც და ძაღლიც. აქ აბაზანაა.

მატმა გაიგონა ეს სიტყვები და შეშინებულმა გახედა კირას.

- არა, მე და ბრანჩი წავალთ, - თქვა მან, მერე კი შეწუხებული გამომეტყველებით ჰკითხა: - აქ ხო არ დაგაპატიმრებენ?

- არა, ის პატიმარი არ არის, - დაამშვიდა ჯემისონმა ბიჭი, - ეს რამ გაფიქრებინა?

- ვახშამს შემოგიტანენ, - მიუბრუნდა კირას, - აქ მარტო არ ხარ. გრავიორიც ამ დერეფნის გაყოლებაზე ცხოვრობს, მოპირდაპირე მხარეს. ჯემისონმა ხელით ანიშნა დაკეტილ კარზე.

- გრავიორი? იმ ბიჭს ხომ არ გულისხმობთ, თომასს? - კირა გაოგნებული იყო. - ისიც აქ ცხოვრობს?

- ჰო. მიწვეული ხარ მის ოთახში. დღისით ორივემ უნდა იმუშაოთ, თუმცა, შეგიძლია მასთან ერთად ჭამო კიდეც. გაუშინაურდი შენს საბინადროს და ხელსაწყობს. დაისვენე. ხვალ წაგიყვან და შენს დავალებას მიიღებ, ახლა კი ბიჭს და ძაღლს გარეთ გავიყვან.

კირა გაღებულ კართან იდგა და აჰყურებდა გრძელ ღერეფანში მიმავლებს: კაც-მეგზურს, უკან მხიარულად ადევნებულ მატს და მის კუდში მიმავალ ძაღლს. ბიჭმა გამოიხედა, ხელი მსუბუქად დაუქნია და კითხვის გამომხატველი მზერით გაიღიმა. წებოვანი შაქარყინულით მოთხუპნილი სახე გაბრწყინებოდა. იცოდა, რომ რამდენიმე წუთში ძმაკაცებს უამბობდა, როგორ ძლივს გადაურჩნენ თვითონ, მისი ძაღლი და ყველა რწყილი დაბანას - ძალიან სარისკო საქმეს.

ნელა დახურა კარი და მიიხედ-მოიხედა. გაუჭირდა ჩაძინება. ამდენი უცხო და უცნობი რამ!

* * *

მხოლოდ მთვარე იყო ნაცნობი. ამაღამ თითქმის შევსებული, ფანჯრებში იყურებოდა და ვერცხლისფერი შუქით ტბორავდა კირას ახალ საბინადროს. ასეთ ღამეს თავის ძველ ცხოვრებაში, დედასთან ერთად უფანჯრო ქოხში მყოფ კირას შეიძლებოდა მთვარიანით დატკობა მონღოლებოდა. ზოგჯერ ასეთ ღამეში ის და დედა გარეთ გადიოდნენ, ერთად იდგნენ ნიავეში, სხეულზე ისრესდნენ კოდოებს და კამკამა მნათობთან ღამეულ ცაში მოსრიალე ღრუბლებს აჰყურებდნენ.

აქ, ოდნავ გამოღებული ფანჯრიდან, ოთახში ღამის ნიავეც შემოდინოდა და მთვარის ნათელიც, რომელიც - კუთხეში მიმდგარ მაგიდაზე გადასრიალებული გაპრიალებულ ხის იატაკს ეფინებოდა. ხედავდა წყვილ სანდალს იმ სკამთან, რომელზეც მანამდე

დაჯდა და გაიძრო. ხელავდა კუთხეში მიყუდებულ ხელჯოხს, რომლის ჩრდილი კედელს მიხაროდა.

ხელავდა საგნების ფორმებს მაგიდაზე, ნივთებს, რომლებიც მატმა მოუტანა შეფუთული. უკვირდა, როგორ შეარჩიაო. იქნებ ეს ფაცნაფუცნით მოხდა, ცეცხლი რომ ავარდა, მაშინ. იქნებ, უბრალოდ, ბიჭმა მოიტაცა, რაც კი შეძლო თავისი მხურვალე, კეთილი პატარა ხელებით.

აქ იყო მისი ძაფების ჩარჩო და გონებაში მადლობა უთხრა მატს. მან იცოდა, რას ნიშნავდა კირასთვის ეს ჩარჩო.

აი, გამხმარი ბალახებით სავსე პატარა კალათაც. კირას გაუხარდა, რომ ესეც გადარჩა, იმედი ჰქონდა, რომ გაიხსენებდა, რომელი ბალახი რას კურნავდა. თუმცა, ბალახებმა დედას ვერაფერი უშველა, როცა საშინელი სნეულება დაატყდა თავს. ისინი მხოლოდ პატარ-პატარა რამეებისთვის თუ გამოდგებოდა: მხრის ტკივილის, ან დაჩირქებული და გასივებული ნაკბენის. ასეთ რაღაცებს ბალახები შველოდა. კირას კალათის გადარჩენაც უხაროდა. ახსოვდა, როგორ დაწნა დედამ მდინარის ბალახისგან.

მსხვილი ბოლქვები. კირას გაეღიმა: წარმოიდგინა მატ, რომელიც საჭმელს ეცა და, ალბათ, კბეჩდა კიდეც, სანამ ხელში ეჭირა. ეს კირას ადარ დასჭირდებოდა. საკვები, სადამოხანს რომ შემოუტანეს ლანგრით, მდიდრული იყო: დიდი პური და ხორცის, ქერისა და ბოსტნეულის სუპი, თან - უხვად შეზავებული ბალახით, რომლითაც ყელიც კი ჩაიკოკლოზინა, მაგრამ ვერ ამოიციწო. ეს სუპი კირამ მოჭიქული თიხის თასიდან მიირთვა ძვლის კოვზით, ბოლოს კი პირი და ხელები თხლად ნაქსოვი დაკეცილი ნაჭრით მოიწმინდა.

არც ერთხელ არ უვახშმია კირას ასე ელეგანტურად. და ასე ეულად.

სხვა ნივთებთან ერთად კირამ იპოვა დედამისის დაკეცილი სამოსი: კიდზე ფოჩემოვლებული შალის მოსახვევი; ბოლოკაბა - ისეთი დალაქავებული დედამისის საღებავებით, რომ ეს ყოვლად უბრალო, უსახო ქსოვილი ფერებით დეკორირებულს ჰგავდა. ნახევრად მძინარე კირა დედას დალაქავებულ ბოლოკაბაზე ფიქრობდა და წამოიდგენდა, როგორ გამოიყენებდა თავის ძაფებს ამ ფერადი ზოლების შემოსაკემსად ისე, რომ, თუკი ოსტატობა ეყოფოდა და დროც ექნებოდა (ამას დრო უთუოდ დასჭირდებოდა), კირა შეძლებდა, დედას ბოლოკაბა რომელიმე დღესასწაულისთვის შესაფერის კოსტიუმად ექცია.

არასოდეს ჰქონია რამე საზეიმო. მაგრამ იქნებ, სწორედ ეს ამბავი - ახალი საბინადრო, ახალი სამუშაო, ცოცხლად გადარჩენა - იყო დღესასწაული,

კირა მოუსვენრად ტრიალებდა ლოგინში. კისერთან რაღაც საგანი იგრძნო. ესეც მატის მოტანილი ფუთიდან იყო - უძვირფასესი საუნჯე კირასთვის, ყველა გადარჩენილ საგანთა შორის: სამშენისი, რომელიც დედას ტყავის თასმაზე დაკიდებული დაჰქონდა და რომელიც სამოსის ქვეშ მუდამ უხილავი იყო. კირამ იცოდა ამ სამშენისის არსებობა, ხშირად შეხებია და ხელი გადაუსვამს, ჯერაც ძუძუთა ბავშვს. ეს იყო ქვის მბზინვარე ნატენი, ცალ მხარეს სუფთად ჩასხიპული, მეორე მხარეს კი მანათობელი ძოწით დაფარული, თასმის გასაყრელი ნახვრეტი. ამ უბრალო, თუმცა, უჩვეულო საგანს - კირას მამის ნაჩუქარს - კატრინა თილისმასავით უფრთხილდებოდა. კირამ მაშინდა ჩამოხსნა დედას ყელიდან, როცა ის ავად იყო და როცა გოგონას მისი ციებცხელებიანი სხეული უნდა დაეხანა. ბალახებიან კალათასთან დადო თაროზე და მატმაც, როგორც ჩანს, იქ იპოვა.

ამჟამად თილისმა კირას ეკიდა ყელზე. ასწია და ლოყაზე მიიღო იმ იმედით, რომ ისევ შეიგრძნობდა დედას, შესაძლოა, მის

სუნსაც - ბალახების, საღებავების, გამხმარი ყვავილების, მაგრამ პატარა ქვა ცივი იყო და უსუნო, სიცოცხლის არც ნიშანი ახლდა და არც ხსოვნა.

ამის საპირისპიროდ, ქსოვილის ფთილა, რომელიც ჯიბით დაჰქონდა და რომელიც ასე ჯადოსნურად შეიქმნა მის თითებში, იქვე შეტოკდა, სადაც იღო - კირას თავთან. შეიძლება ღია ფანჯრიდან დაბერილმა ღამის ნიავმა შეარხია. კირამ, რომელიც მთვარის სინათლეს უყურებდა და დედაზე ფიქრობდა, თავდაპირველად ეს ვერ შენიშნა, მერე კი დაინახა, რომ მქრქალ სინათლეში ქსოვილი ცოცხალივით შეირხა. კირამ გაიღიმა და გაუელვა აზრმა, რომ ახლა ქსოვილი მათის პატარა ძაღლს ჰგავდა, რომელიც ქვემოდან გიყურებდა, ყურებს ატოკებდა და საცოდავ კუდს აქიცინებდა იმ იმედით, რომ შეამჩნევდი.

ხელი გაიშვირა და ქსოვილს შეეხო. მისი სითბო რომ შეიგრძნო, კირამ თვალეები დახუჭა.

მთვარე ღრუბელმა დაჩრდილა და ოთახშიც ჩამოხნულდა. ბოლოს გოგონას ჩაეძინა - უსიზმრო ძილით. დილას კი, რომ გაიღვიძა, დაინახა - მის საწოლში უსიცოცხლოდ იღო პატარა ფთილა, მშვენიერი ქსოვილის დაჭმუჭნილი ნაფლეთი.

7

კვერცხი! აი, სიამოვნება. მოხარშულ კვერცხთან ერთად მისი საუზმის ლანგარზე ისევ იღო ერთი სქელი პურის ნაჭერი და კრემში მცურავი თბილი ბურღული - თასით მორთმეული. კირამ დაამთენარა და ჭამას შეუდგა.

ჩვეულებრივ, გაღვიძების შემდეგ დედა და კირა მდინარესთან მიდიოდნენ. აქ, გოგონას აზრით, მდინარეს მწვანე შორენკეციანი ოთახი შეენაცვლა. თუმცა, კირამ ამ ოთახს ვერაფერი გაუგო.

გუშინ შემოვიდა აქ და სხვადასხვა მბზინავი სახელური გადაატრიალა. წყლის ერთი ნაწილი ცხელი იყო და კირა გაოგნებული დარჩა. ეს აქ, როგორც ჩანს, კერძების გასაკეთებლად ჰქონდათ შემოყვანილი. სადღაც ქვემოთ უეჭველად ენთებოდა ცეცხლი. რაღაცნაირად სამზარეულოს წყალი აქამდე ამოდიოდა, მაგრამ რაში ესაქმებოდა ეს ახლა? კირას კერძების კეთება არ სჭირდებოდა. ამაზე ამ დილასაც იფიქრა და წუხელ დაძინებამდეც. თვითონვე მოჰქონდათ გამზადებული საჭმელი.

ჯერაც საგონებელში ჩავარდნილმა კირამ ამ დილით ყურადღება დაბალ, გრძელ ვარცლს მიაქცია. ჯემისონმა ურჩია, ბიჭი აქ დაბანეო. აქ იღო რაღაც, რაც საპონივით გამოიყურებოდა და სუნიც საპნისა ჰქონდა. კირა ვარცლის კიდეზე გადაეყუდა და ასე სცადა დაბანა, მაგრამ მოუქნელად და არაბუნებრივად გამოუვიდა. მდინარეში უფრო იოლი იყო. იქვე შეეძლო გაერეცხა თავისი ტანსაცმელი და ბუჩქებზე გადაეკიდა. აქ, ამ ჰატარა, უფანჯრო ოთახში, არაფრის გასაშრობი ადგილი არ იყო. არც ნიავი უბერავდა, არც მზე ანათებდა.

კირას აზრით, შენობაში წყლის შემოყვანა საინტერესო კი იყო, მაგრამ - არაპრაქტიკული და ანტისანიტარიული. არც ნარჩენების დასამარხი ადგილი ჩანდა სადმე. სახეზე შესხმული ცივი წყალი შორენკეციან ოთახში ნაპოვნი ნაჭრით შეიმშრალა და გადაწყვიტა, რომ ყოველდღე ისევ მდინარეზე ივლიდა და იქ მიხვდავდა თავის თავს რიგიანად.

სწრაფად ჩაიცვა, სანდლები შეიკრა, ხის სავარცხელი გრძელ თმაში გაიტარ-გამოიტარა და ხელჯოხნი ჩაბღუჯა, რათა ახალი ბინიდან სასეირნოდ გასულიყო. მაგრამ ორიოდ ნაბიჯიც არ ჰქონდა გადადგმული, რომ დერეფანში კარი გაიღო. გამოჩნდა ბიჭი, რომელიც კირამ იცნო და რომელიც გამოელაპარაკა.

- მქარგავი კირა, - თქვა მან, - მითხრეს, რომ მოხვედი.

- შენ გრავიორი ხარ, - გაუღიმა გოგონამ, - ჯემისონმა მითხრა, რომ აქ ცხოვრობ.

- ჰო, თომასს მეძახიან, - ბიჭმაც გაიღიმა. დაახლოებით მისი ასაკისა ჩანდა, ორმარცვლიანი, კარგი გარეგნობით, სუფთა კანით და მოელვარე თვალებით. თმა სქელი ჰქონდა და მოწითალო-მოყავისფრო. რომ გაიღიმა, ჩამოტეხილი წინა კბილი გამოუჩნდა.

- ამ ოთახში ვცხოვრობ, - უთხრა და კარი უფრო ფართოდ გააღო, რათა გოგონას ინტერიერი დაენახა. ბიჭის ოთახი კირასას ჰგავდა, ოღონდ ღერეფნის მოპირდაპირე მხარეს იყო და ამიტომ მისი ფანჯარაც დიდ ცენტრალურ მოედანზე გადიოდა. კირამ შენიშნა, რომ ეს ოთახი უფრო დიდხანს ნაცხოვრებს ჰგავდა. ნივთებიც იატაკზე იყო მიმოფანტული.

- ეს ჩემი სამუშაო ოთახიცაა, - ხელი გაიშვირა ბიჭმა და კირამაც დაინახა დიდი მაგიდა ზედ მიმობნეული ამოსაკვეთი იარაღებითა და ხის ნაჭრებით, - აქ კი საწყობია მარაგისთვის.

- ჰო, ჩემიც ასეთია, უთხრა კირამ, - ჩემს საწყობში ბევრი უჯრა აღმოჩნდა. ჯერ არ დამიწყია მუშაობა, თუმცა, ფანჯარასთან მაგიდა დგას და კარგი სინათლეა. ალბათ, იქ მოვექსოვ. და ის კარი? ეს შენი სამზარეულოს წყალია და შენი ვარცლი? იყენებ კი? მოუხერხებელი რამეა, თან მდინარეც ასე ახლოა...

- მომვლელები გიჩვენებენ, როგორ მუშაობს, - აუხსნა ბიჭმა.

- მომვლელები?

- ის, ვინც საჭმელი მოგიტანა, მომვლელია. ეგენი დაგეხმარებიან, რაშიც დაგჭირდება. დამცველი კი ყოველდღიურად შეგამოწმებს.

კეთილი. როგორც ჩანს, თომასმა იცოდა, რა როგორ მუშაობდა. „ეს მე დამეხმარება, - ფიქრობდა კირა, - აქ ყველაფერი ასეთი ახალია და ასეთი უცხო..“

- დიდი ხანია, აქ ცხოვრობ? - ჰკითხა თომასს თავაზიანად.

- კი, თითქმის ბავშვობიდან.

წარსული რომ ახსენა, ბიჭს შუბლი შეეჭმუნა.

- სულ ახალი დაწყებული მქონდა ხეზე ჭრა. ძალიან პატარა ვიყავი, მაგრამ უეცრად აღმოვაჩინე: თუ ავიღებდი ბასრ ხელსაწყოს და ხის ნაჭერს, სურათების ამოტვიფრას შევძლებდი. ყველა ამბობდა, ეს განსაცვიფრებელიაო, - გაიცინა თომასმა, - ჰო, მგონი, იყო კიდეც.

კირასაც ჩაეცინა: გაახსენდა თავისი თავი, ძალიან პატარა, როცა აღმოაჩინა, რომ ფერადი ძაფების შეხებისას მის თითებს თითქოს მაგია იპყრობდა. გაახსენდა დედას გაოგნება, მეურვის გამომეტყველება. ამ ბიჭის შემთხვევაშიც ასე იქნებოდაო, გაიფიქრა.

- მეურვეებმა შეიტყვეს ჩემი საქმიანობის შესახებ, ჩვენს ქოხში მოვიდნენ და აღტაცებული დარჩნენ.

„როგორ ჰგავს ჩემს ამბავს.“

- მერე, - განაგრძო თომასმა, - არცთუ დიდი ხნის შემდეგ, ჩემი მშობლები ქარიშხალმა დახოცა. მენი დაეცა ორივეს ერთად.

კირა გაოგნდა. სმენოდა მეხით გაპობილ ხეებზე, მაგრამ არა - ადამიანებზე. ადამიანები ქარიშხალსა და ჭექა-ქუხილში გარეთ ხომ არ გადიან.

- შენც იქ იყავი? როგორ გადარჩი?

- არა, მე მარტო ვიყავი ქოხში. მშობლები რაღაც საქმეზე იყვნენ წასული. მახსოვს, შიკრიკი გამოუგზავნეს და წაიყვანეს. მერე კი ვიდაც მეურვეები მოვიდნენ, წამიყვანეს და დედ-მამის სიკვდილის ამბავი შემატყობინეს. იღბლად, ისინი მიცნობდნენ და იცოდნენ ჩემი საქმიანობის ფასი, თუმცა, ჯერ მთლად ბავშვი ვიყავი. სხვა შემთხვევაში ვიდაცას მიმაბარებდნენ. მაგრამ, ამის სანაცვლოდ, აქ მომიყვანეს. მას შემდეგ აქ ვარ, - თომასმა ოთახზე ანიშნა, - დიდხანს ვმუშაობდი და ვსწავლობდი. ბევრი მეურვისთვის

შევქმენი ორნამენტი. თუმცა, ნამდვილ და მნიშვნელოვან საქმეს ახლადა ვაკეთებ.

თომასმა კირას დაანახვა მაგიდაზე მიყუდებული ხის გრძელი ნაჭერი, ისევე მიყრდნობილი, როგორც თვითონ აყრდნობდა ხოლმე ხელჯოხს, მაგრამ ამ ჯოხს რთული ორნამენტები ჰქონდა, მაგიდაზე დაყრილი ბურბუშელა კი ამხელდა, რომ თომასს საქმე ჯერ არ დაემთავრებინა.

- ჩინებული იარაღი მომცეს, - უთხრა თომასმა. გარეთ ზარმა დარეკა. კირა დაიბნა. ქოხში ცხოვრების პერიოდში ზარის ხმა სამსახურში წასვლის დროს ნიშნავდა.

- ჩემს ბინაში უნდა დავბრუნდე? - იკითხა მან. - მდინარემდე ვაპირებდი გასეირნებას.

თომასმა მხრები აიჩეჩა.

- ამას მნიშვნელობა არ აქვს. შეგიძლია აკეთო, რაც გინდა. მკაცრი წესები არ არსებობს. მხოლოდ ის გმართებს, რომ შეასრულო სამუშაო, რომლისთვისაც მოგიხმეს. ისინი ყოველდღე შეგიმომწმებენ ნამუშევარს.

- ახლა დედაჩემის დასთან მივდივარ. ახალი ბაია ჰყავს, გოგონა. აი, სათამაშო მიმაქვს, - თომასმა ხელი ჯიბეში ჩაიყოდა კირას დახვეწილად გამოკვეთილი ჩიტი უჩვენა. ჩიტუნა შიგნით ცარიელი იყო. თომასმა პირში ჩაიღო და დაუსტვინა.

- გუშინ გავაკეთე. დრო მოვაკელი ჩემს ყოველდღიურ საქმეს, თუმცა, არც ისე ბევრი. იოლი გასაკეთებელი აღმოჩნდა.

- ლანჩისთვის დავბრუნდები, - დაამატა ბოლოს, - ნამუშაოდ ვსაქმე მელოდება. გინდა, ჩემი ლანჩიანი ლანგარი შენთან შემოვიტანო და ერთად ვჭამოთ?

კირა სიხარულით დათანხმდა.

- აგერ, - თქვა თომასმა, - მომვლელი მოდის, დილის ლანგრებს წაიღებს. ძალიან კარგი ქალია. სთხოვე, რომ... არა, მოიცა, მე თვითონ ვთხოვ.

სანამ კირა ცნობისწადილით უყურებდა, თომასი მომვლელს მიუახლოვდა და რაღაც უთხრა მოკლედ. ქალმა თავი დააკანტურა.

- გაჰყევი შენს საბინადროში, კირა, - უთხრა თომასმა, - მდინარესთან წასვლა არ გჭირდება. აგიხსნის, როგორ არის მოწყობილი სააბაზანო. აბა, ლანჩამდე!

თომასმა ხეში გამოჭრილი ჩიტუნა ჯიბეში ჩაიდო, თავისი ოთახის კარი გამოხურა და დერეფანს გაუყვა. კირა მომვლელს გაჰყვა იქით, საიდანაც მოვიდა.

* * *

ლანჩის დამთავრებიდან ცოტა ხნის შემდეგ კირას ჯემისონმა მოაკითხა. თომასმა მანამდე მიირთვა თავისი ულუფა და სასწრაფოდ გავიდა თავის საბინადროში მუშაობის გასაგრძელებლად. კირა წუთის წინ შევიდა უჯრებჩამჭკრივებულ პატარა ოთახში და გამოაღო ის უჯრა, რომელშიც მომდერლის მანტია იდო. ჯერ არ გაეშალა. აქამდე არასოდეს მიუციათ მისი შენების უფლება. ახლაც შიშნარევი მოწიწებითა და მღელვარებით დაჰყურებდა მდიდრულად დეკორირებულ ქსოვილს და იხსენებდა დედას მკვირცხლ ხელებს, რომლებსაც ძვლის ნემსი ეჭირა. ამ დროს ჯერ კაკუნნი გაიგონა, მერე - ჯემისონიც შემოვიდა.

- აჰ, - თქვა მან, - მანტია.

- ახლა ვფიქრობდი, მალე უნდა შევუდგე ჩემი მოვალეობის შესრულებას-მეთქი. მაგრამ დაწყება მაშინებს, ისეთი ახალია ეს ჩემთვის.

ჯემისონმა მანტია უჯრიდან ამოიღო და ფანჯარასთან მდგარ მაგიდაზე დადო. იქ, სინათლეში, ფერები უფრო დიდებული გამოჩნდა და კირასაც მღელვარება მოემატა.

- კარგად მოეწყვე? როგორ გეძინა? საჭმელი ხომ შემოგიტანეს? გემრიელი იყო?

ამდენი შეკითხვა! კირა ფიქრობდა, ვუთხრა თუ არა, რა მოუსვენრად მეძინაო, მაგრამ გადაიფიქრა. გახედა საწოლს, აბა, თუ ეტყობა, რომ ვბორგავდიო, და შეამჩნია, რომ ვიდაცას - ალბათ, მომვლელს, რომელმაც საჭმელი შემოიტანა და გაიტანა - ისე გაესწორებინა საწოლი, მისი წოლის კვალიც არ ეტყობოდა.

- დიახ, - უთხრა ჯემისონს, - გმადლობ. და თომას-გრავიორიც გავიცანი. ერთად გეახელით. კარგი იყო ვინმესთან დალაპარაკება. მომვლელმაც ამიხსნა რაღაცები, რისი ცოდნაც მჭირდებოდა, - დაამატა შემდეგ, - მეგონა, ცხელი წყალი საჭმლის მოსამზადებლად იყო. აქამდე არასოდეს გამომიყენებია მხოლოდ დასაბანად.

ჯემისონს ყურადღება არ მიუქცევია კირას შეცბუნებული ახსნისთვის სააბაზანოს თაობაზე. ფრთხილად დაჰყურებდა მანტიას და ხელს ქსოვილზე ასრიალებდა.

- დედამენი ჰატარ-ჰატარა რამეებს უსწორებდა ყოველ წელიწადს, ახლა კი მთლიანად სჭირდება ადდგენა. ეს შენი საქმეა.

კირამ თავი დაუქნია:

- მესმის, - თქვა, თუმცა, კარგად მაინც არ ესმოდა.

- აქ ჩვენი ქვეყნის ისტორიაა. ჩვენ ის ხელშეუხებლად უნდა შევინახოთ და უფრო უკეთაც.

კირამ დაინახა, რომ კაცის ხელმა წაინაცვლა და ახლა ქსოვილის ფართო, მოუქარგავ მონაკვეთზე დასრიალებდა, რომელიც მომღერლის მხრებს ეხებოდა.

- აქ მომავალი უნდა ამოიქარგოს, - განაგრძო ჯემისონმა, - ჩვენი ქვეყნიერება ამ ნაქარგზეა დამოკიდებული. შენი მარაგი? ყველაფერია, რაც გჭირდება? აქ კიდეც ბევრი რამ არის მოსაწყობი.

მარაგი? კირას გაახსენდა, რომ თან მოიტანა თავისი ძაფების კალათა. ახლა, როცა დიდებულ მანტიას უყურებდა, იცოდა, რომ მეჩხერი კოლექცია, რამდენიმე დარჩენილი ფერადი ძაფი, რომელთა გამოყენების უფლება დედამ მისცა, სრულებითაც არ იყო საკმარისი. ოსტატობა რომც ჰქონოდა (ამასაც ვერ იტყოდა დანამდვილებით), ვერასდროს ატადგენდა მანტიას იმ ძაფებით, აქამდე რომ შემორჩა. ახლავა გაახსენდა უჯრები, რომლებიც ჯერ არ გამოედო.

- ჯერ არ მინახავს, - აღიარა. მერე მივიდა ჰატარა უჯრებთან, გუშინ რომ მიუთითა ჯემისონმა. ისინი სავსე აღმოჩნდა სხვადასხვა სიგანისა და ფაქტურის დახვეული თეთრი ძაფებით. იქვე იყო ყველა ზომის ნემსი, ხოლო საჭრელი იარაღები ერთ მწყობრ მწკრივად ელავა ერთიმეორის გვერდით.

გოგონას გული გადაუქანდა. იმედი ჰქონდა, რომ ძაფები შელებილი დახვდებოდა. გამოხედა მაგიდაზე გაშლილ მანტიას, მისულ ფერთა და ტონთა ფართო სპექტრს და შეძრწუნდა. ეჰ, დედას ძაფები რომ გადარჩენილიყო! მაგრამ ისინი აღარ იყო, ყველა დაიწვა.

კირამ ტუჩზე იკბინა და ნერვიულად შეხედა ჯემისონს.

- შელებილი არ არის, - ჩაიჩურჩულა.

- შენთქვი, დედა შელებვას მასწავლიდაო, - შეახსენა იმან.

კირამ თავი დაუქნია. თუმცა, ეს არ იყო სრული სიმართლე. მან იგულისხმა, რომ დედამისი აპირებდა, ესწავლებინა.

- კიდევ ბევრი რამე მაქვს სასწავლი, - აღიარა კირამ, - სწრაფად კი ვსწავლობ, - დაამატა იმ იმედით, რომ მისი ნათქვამი მუდიდურად არ გაიჟღერებდა.

ჯემისონმა ოდნავ მოღუშულად შეხედა.

- ანაბელასთან გაგზავნი, - უთხრა შემდეგ, - უღრან ტყეში ცხოვრობს, თუმცა, ბილიკი უსაფრთხოა. ის ქალი დაასრულებს სწავლების პროცესს, რომელიც დედაშენმა დაიწყო.

- ნგრევის სიმღერა შემოდგომის დასაწყისში შესრულდება, - დაამატა მან, - მანამდე რამდენიმე თვეა და მომღერალს მანტიას არ დასჭირდება. შენ დიდი დრო გაქვს.

კირამ გაურკვევლად დაუქნია თავი. ჯემისონ - მისი ყოფილი დამცველი - ახლა, როგორც ჩანს, მის მრჩევლად იქცა. კირა მადლიერი იყო ამ კაცის თანადგომისთვის, მაგრამ ახლა მის ხმაში გრძნობდა ზღვარს, სიმწვავეს, რაც აქამდე არ უგრძნია.

ჯემისონმა უჩვენა თოკი კედელზე, რომელსაც კირა ჩამოქაჩავდა, თუ რამე დასჭირდებოდა და ოთახიდან გავიდა. გოგონამ ისევ დახედა მაგიდაზე გაშლილ მანტიას. რამდენი ფერია! თითოეული ფერის რამდენი ტონალობა! ჯემისონის გამხნეების მიუხედავად, შემოდგომა არც ისე შორს იყო.

კირამ გადაწყვიტა: დღეს მანტიას დავათვალიერებ და ჩემს სამუშაოს დავგეგმავ. ხვალ კი ანაბელას ვიპოვი და დახმარებას ვთხოვო.

8

მატს სურდა, გაჰყოლოდა.

- მე და ბრანჩი დაგჭირდებით მცველებად. ის ტყეები სავსეა მძვინვარე მხეცებით.

კირას გაეცინა:

- მცველებად? თქვენ?!

- მე და ბრანჩი მაგრები ვართ, - თქვა მატმა და დაბერა ის, რასაც კუნთებად მიიჩნევდა თავის მჭლე მკლავებში, - მერე, რა, რო შესახედავად პატარა ვარ.

- ჯემისონის თქმით, სანამ ბილიკს არ გადავუხვევ, არაფერი სახიფათო, - შეახსენა კირამ ბიჭს, თუმცა, ფიქრობდა, კარგი სერი იქნება მატის და ძაღლის თანხლებათ.

- მაგრამ წარმოიდგინე, რომ დაიკარგე, - არ თმობდა ბიჭი, - სადაც უნდა ვიყოთ, მე და ბრანჩი ყველგან გავაგნებთ გზას, შენ კი ნამდვილად დაგჭირდებით, თუ დაიკარგები.

- მაგრამ მე მთელი დღით მივდივარ. მოგშივდებათ.

თავისი ფართო შორტის ჯიბიდან მატმა ტრიუმფალურად დააძრო პურის სქელი ნაჭერი.

- მეფუნთუშეს ავწაპნე, - განაცხადა ამყად.

ასე გაიმარჯვა ბიჭმა კირას გასახარად და მასაც ტყის ბილიკზე თანამგზავრები გამოუჩნდა.

* * *

დაახლოებით ერთი საათის სავალი იყო. ჯემისონ მართალი აღმოჩნდა: გარშემო საფრთხე არ ჩანდა. მართალია, ხშირ-ფოთლიანი ხეები ბილიკს ჩრდილავდა, ახალამოყრილი ტევრიდან კი ფაჩუნი და ტყის უცნობ ფრინველთა ძახილი ისმოდა, მაგრამ მაინც თითქოს არაფერი იყო სახიფათო. დროდადრო ბრანჩი დაედევნებოდა ხოლმე რომელიმე პატარა მღრღნელს, ან დრუნჩს ყოფდა მიწის ნახვრეტში და იქ მობინადრე რომელიდაც მხეცუნას გულს უხეთქდა.

- ალბათ, აქაურობა გველებით არის სავსე, - უთხრა მატმა ეშმაკური ღიმილით.

- მე არ მეშინია გველების.

- გოგოების უმრავლესობას ეშინია.

- მე - არა. დედაჩემის ბაღში ყოველთვის იყვნენ პატარა გველები. დედა ამბობდა, მცენარეების მეგობრები არიანო. ხოჭოებს სანსლავდნენ.

- როგორც ბრანჩი. შეხედე, ერთი ახლა დაიჭირა, - ხელი გაიშვირა მატმა. ძალღი ზედ დაახტა რომელიღაც უიღბლო, გრძელწვრილფეხებიან არსებას, - ამას ჰქვია გრძელფეხება მამიკო.

- გრძელფეხება მამიკო? - კირამ გადაიკისკისა. არასდროს გაეგონა ეს სახელი. - მამა გყავს? - ჰკითხა ბიჭს ცნობისწადილით.

- არა. მყავდა აღრე. ახლა მარტო დედა მყავს.

- რა დაემართა მამაშენს?

მატმა მხრები აიჩეჩა:

- რავი. ფენში სხვანაირად არის. ბევრს მამა არ ჰყავს. და ვისაც ჰყავს, ეშინიათ მამების, იმიტომ, რომ მაგრად სცემენ.

- მე დედაც მცემს, - დაამატა ოხვრით.

- მე მყავდა მამა, მაგარი მონადირე, - უთხრა კირამ ამაყად, - ჯემისონმაც ასე თქვა. ბოლოს მხეცებმა გაიტაცეს.

- ჰო, გამიგონია ეგ.

კირა ხედავდა, რომ ბიჭი ცდილობდა, თავისი ამბის გამო სევდიანი სახე ჰქონოდა, მაგრამ ასეთი მხიარული ტემპერამენტის ბიჭისთვის ეს ძნელი იყო. უკვე უჩვენებდა პეპელას, ტყის ბინდბუნდში შეჭხაროდა მისი ფრთების ხასხასა, დაწინწკლულ ნარინჯისფერს.

- ხედავ ამას? ეს შენ მომიტანე დედაჩემის სხვა ნივთებთან ერთად, გახსოვს?

კირამ კისერზე ჩამოკიდებული ქვა გამოაჩინა პერანგის საყელოდან.

მატმა თავი დაუქნია:

- სულ მეწამულია და ბზინავს.

კირამ ქვა ისევ ნაზად ჩაუშვა პერანგში.

- მამაჩემმა გააკეთა, დედასთვის საჩუქრად.

მატი დაიჭყანა. დაფიქრდა.

- საჩუქარი?

კირა გაოგნდა - ბიჭმა ამ სიტყვის მნიშვნელობა ვერგაიგო.

- როცა ვინმეზე ზრუნავ და რაღაც განსაკუთრებულს აძლევ, ისეთს, რაც მისთვის ძვირფასია, ეს არის საჩუქარი.

მატმა გაიცინა.

- ფენში ეს არ იციან. ფენში განსაკუთრებულს მხოლოდ ტრაკში წიხლს გითავაზებენ, მაგრამ ეგ კი ლამაზი რამეა, დაამატა თავაზიანად, - გაგიმართლა, რომ გადავარჩინე.

* * *

კირას მოღრეცილი ფეხით ამხელა გზის გავლა გაუჭირდა. ხელჯოხი ბილიკზე ამოჩრილ ფესვებში იხლართებოდა და ღრო-ღადრო წაიბორძიკებდა ხოლმე, მაგრამ იმთავითვე ნაჩვევი იყო მოუქნელ მოძრაობას და ტკივილს.

მატ წინ გავარდა ბრანჩთან ერთად და მალე ორივე აქოშინებული დაბრუნდა კირასთან: მგზავრობის მიზანი აქვია, მომდევნო მოსახვევის იქითო.

- ერთი ბეწო ქონია! - დაიძახა ბიჭმა. - გარეთ, ეზოში, ბებრუხუნაა, მოკაუჭებელი ხელები ცისარტყელებით აქვს სავსე!

კირამ ნაბიჯს აუჩქარა, მოსახვევს გასცდა და მიხვდა, რას გულისხმობდა ბიჭი. პაწაწინა ქონის წინ, ხშირი ყვავილნარის გვერდით, წელში მოხრილი ჭადარა ბებო მუშაობდა. მიწაზე დადგმულ კალათაზე იხრებოდა, პეშვებით იღებდა კამკამაფერებიან ნართებს - სხვადასხვა ტონის ყვითელს, ღია ლიმონისფრით დაწყებულს, მუქი ოქროსფრით დამთავრებული - და ხიდან ხემდე გაბმულ თოკზე ჰკიდებდა. ჟანგისფრისა და წითლის უფრო მუქი ტონები უკვე ეკიდა.

ქალს ხელები დაკოჟრილი და დალაქავებული ჰქონდა. მან ცალი ხელი ასწია და მისულეებს მიესალმა. რამდენიმე კბილიდა შერჩენოდა, კანი ნაოჭებად დაჰკეცოდა, ნათელი თვალები კი მაინც უციმციმებდა. სტუმრებს ხელჯოხით მოუახლოვდა. როგორც

ჩანდა, მათი მოსვლა არ გაჰკვირვებია. დაჟინებით დააცქერდა კირას სახეზე.

- დედაშენს ჰგავხარ, - თქვა.

- თქვენ იცით, ვინ ვარ? - ჰკითხა საგონებელში ჩავარდნილმა კირამ. ქალმა თავი დაუკანტურა.

- დედაჩემი გარდაიცვალა.

- ჰო, ვიცი.

„საიდან? საიდან შეიტყვეთ?“ - გაიფიქრა კირამ, მაგრამ არ უკითხავს.

- მე კირა მქვია. ეს ჩემი მეგობარია, მატ.

ბიჭი უეცრად წინ გამოვიდა - ცოტა დარცხვენილი.

- ჩემი პური მოვედი. მე და ბრანჩი არ შეგაწუხებთ.

- დაჯექი, - უთხრა კირას ანაბელამ, ისე, რომ ყურადღება არ მიუქცევია მატისა და ბრანჩისთვის, რომელიც ბაღს ყნოსავდა და ფენის ასაწევად ადგილს ეძებდა, - დაღლილი იქნები.

და მიუთითა ხის დაბალ, გაბრტყელებულ კუნძზე, რომელზეც კირა მაღლიერებითა და ატკივებული ფენის სრესით დაეშვა. სანდლებიც შეიხსნა და კენჭები გადმოყარა.

- ფერები უნდა ისწავლო, - უთხრა მოხუცმა, - ამისთვის მოხვედი, არა? დედაშენი მოდიოდა ხოლმე და შენთვისაც აპირებდა სწავლებას.

- დრო არ გვქონდა, - ამოიოხრა კირამ, - ახლა კი უნდათ, რომ ეს ყველაფერი ვისწავლო და საქმე გავაკეთო... მომღერლის მანტია შევაკეთო. იცით ეს ამბავი?

ანაბელამ თავი დააქნია. მერე საშრობ თოკს მიუბრუნდა და ყვითელი ნართების ჩამოკიდება დაამთავრა.

- შემიძლია, ზოგი ძაფი მოგცე შეკეთების დასაწყებად, მაგრამ შენ თვითონ უნდა ისწავლო შელებვა. ისინი სხვა რამეებსაც მოგთხოვენ.

კირას კიდევ ერთხელ დაუდგა თვალწინ ცარიელი მონაკვეთი მანტიის მხრებზე. კირასგან სწორედ ამას ელოდნენ: ამ ადგილის შევსებას მომავლის სურათებით.

- ყოველდღე უნდა მოხვიდე, ყველა მცენარე ისწავლო. შეხედე... - ქალმა ბაღნარზე მიუთითა, სადაც უამრავი მცენარე იზრდებოდა, - ბევრი ზაფხულში იწყებს აყვავებას.

- ენდრონიკა, - მოხუცმა კირას დაანახა ოქროსფერი ყვავილებით დახუნძლული მაღალი მცენარე, - მაგის ფესვებით კარგი წითელი გამოდის. თუმცა, წითლისთვის უკეთესია ენდრო. აგერ, უკან, ჩემი ენდრო, - მან ისევ მიუთითა და კირამაც დაინახა მცოცავი სარეველასებრი მცენარე მოვლილ კვალში, - ახლა მაგისი ფესვების ამოღება არ შეიძლება. უმჯობესია, შემოდგომის დასაწყისში ამოიღო, როცა სძინავს.

„ენდრონიკა, ენდრო, - უნდა დავიხსოვო ესენი. უნდა ვიცოდე.“

- საღებავი კურდღლისცოცხა, - ქალმა ჯოხი პატარაყვავილებიან ბუჩქში შეყო, - ყლორტებისგან კარგი ყვითელი გამოდის, ოღონდ არ უნდა გადარგა, დააცოტავებ. კურდღლისცოცხას არ უყვარს გადარგვა.

„საღებავი კურდღლისცოცხა. ყვითლისთვის.“

გოგონა უკან მისდევდა ქალს. მან ბაღის კუთხეში მოუხვია, შეჩერდა და ჯოხი შეყო თავჩახრილ მცენარეში, რომელსაც ხისტი ღეროები და პატარა ოვალური ყვავილები ჰქონდა.

- ეს მაგარი ვინმეა, - თქვა თითქმის სიყვარულით, - სენტ ჯონსვორტ ჰქვია. ჯერ არ ყვავის, მეტიხმეტად ადრეა, მაგრამ როდესაც ყვავის, მისი ყვავილებისგან მშვენიერი ყავისფერი გამოდის. ეგ არის, ხელებსაც გითხვრის, - მოხუცმა ხელი ასწია და გაიცინა.

- მწვანეებიც დაგჭირდება. მაგას გვირილა მოგცემს. კარგად უნდა მორწყა. ოღონდ, მწვანისთვის მხოლოდ ფოთლები გამოიყენე. ყვავილები ჩაისთვის შეინახე.

კირას უკვე თავბრუ ეხვეოდა - ამდენი მცენარის სახელი და მათგან მიღებული ფერები ადვილი დასამახსოვრებელი არ იყო, არადა, ჯერ ამ ხშირი ბაღნარის მხოლოდ ერთი კუთხე მოიარეს. თანაც, „წყალი“ და „ჩაი“ რომ გაიგონა, გაახსენდა, რომ სწყუროდა.

- ჭა ხომ არ გაქვთ აქ? შეიძლება წყალი დავლიო?

- და ბრანჩმაც. ნაკადულს ეძებდა, მაგრამ ვერ იპოვა, - გაისმა მატის ხალისიანი ხმა კირას გვერდით, რომელსაც აღარც ახსოვდა ბიჭის იქ ყოფნა.

ანაბელამ სტუმრები ჭასთან მიიყვანა, ქოხის უკან, და ყველა წყალს დაეწაფა. მატმა ძაღლს წყალი ამოდრმავებულ ქვაში ჩაუსხა, იმანაც თქლაფუნით ამოსვლიპა და კიდევ დაელოდა.

ბოლოს კირა და მოხუცი ქალი, ანაბელა, ჩრდილში ჩამოსხდნენ. მატმა თავისი პურის ლოდნით გაისეირნა და კუდში ადევნებული ძაღლიც თან გაიყოლა.

- ყოველდღე უნდა მოხვიდე, - გაუმეორა ანაბელამ, - ისწავლო ყველა მცენარე, ყველა ფერი. როგორც დედაშენი იქცეოდა, როცა გოგონა იყო.

- ეგრე ვიზამ. გპირდებით.

- მითხრა, რომ შენ თითებში გაქვს ცოდნა. მასზე მეტი ცოდნა.

კირამ კალთაში დაწყობილ ხელეებზე დაიხედა.

- რადაც ხდება, როცა დაფებით ვმუშაობ. ხელებმა თითქოს თვითონ იციან ყველაფერი, თითები კი უბრალოდ მოძრაობენ.

ანაბელამ თავი დაუქნია.

- ეგ არის ცოდნა. მე ეგ ფერებში ვიპოვე, დაფებში - არა. მეტიმეტად უხეში ხელები მქონდა.

მან ხელები ასწია - დალაქავებული და დეფორმირებული.

- მაგრამ ქარგვისთვის უნდა ისწავლო ფერთა გრადაციების კეთება: როდის ჩაამუქო რკინის ქოთნით; როგორ აანთო ფერები; როგორ გაახუნო.

„ჩაამუქო, აანთო, გაახუნო... სიტყვების რა უცნაური წყებაა!“

- და ფერის ამომჭმელებიც უნდა ისწავლო. ზოგჯერ თუთუბო, ფსტაც კარგია, ან ცოტაოდენი ლიქენი². საუკეთესოა... აქეთ მოდი, გიჩვენებ. აბა, გამოიცანი ამის დაბადების ადგილი, ამ ფერის ამომჭმელის.

ანაბელა ოთხმარცვლიანი ქალისთვის მოულოდნელი სიმარდით წამოდგა და კირას წაუძღვა თავდახურული ჭურჭლისკენ იმ ადგილთან ახლოს, სადაც, კოცონის მინავლულ ნაკვერჩხლებზე ეკიდა მუქი წყლით სავსე ვეება ქვაბი ანაბელა ქვაბს საკვების მოსამზადებლად არ გამოიყენებდნენ.

კირა წინ გადაიხარა დასანახავად, მაგრამ როდესაც ანაბელამ სახურავი ახადა, გოგონა ქვაბიდან ამოვარდნილი უამური სუნისგან უკუიქცა. სითხე საშინლად ყარდა.

ანაბელა სიამოვნებისგან ახითხითდა.

- მიხვდი?

კირამ თავი გააქნია. არ იცოდა, რა შეიძლებოდა მდგარიყო საძაგელსუნიან ჭურჭელში, ან რისგან უნდა მიეღოთ ეს სითხე.

მოხუცმა - ჯერაც მოხითხითემ - სახურავი ისევ დაახურა.

- ასე ინახავ და აძველებ. მერე კი იგი ფერს აცოცხლებს და მდგრადს ხდის. ძველი შარდია! - აუხსნა კირას კმაყოფილი ფხუკუნით.

² მცენარე, ლეკრონასებრთა ოჯახისა; დაკუთხულ-მომრგვალო ფორმა და მონაცრისფრო, იშვიათად ქანგისფერ-მოწითალო ფერი.

შუადღის შემდეგ კირა შინისკენ დაიძრა მატსა და ბრანჩთან ერთად. მხარზე გადაკიდებული ჩანთა სავსე ჰქონდა ანაბელას მიცემული ფერადი ძაფებით და ნართებით.

- ჯერჯერობით ესენი გამოიყენე, - უთხრა მოხუცმა მღებავმა, - მაგრამ უნდა ისწავლო, როგორ გააკეთო შენ თვითონ. ახლა კი მითხარი, რა დაგამახსოვრდა.

კირამ თვალები დახუჭა, დაფიქრდა და ხმამაღლა თქვა:

- ენდრო - წითლისთვის. ენდრონიკა - ასევე წითლისთვის, ოდონდ - მხოლოდ ფესვები. ასფურცელას წვერები და საღებავი კურდღლისცოცხა - ყვითლისთვის. ფარსმანდუკი - ყვითლისა და ოქროსფრისთვის. შავი ბალბა - მხოლოდ ფურცლები - ვარდის-ფერ-იისფრისთვის.

- ჟღვლინტსარეველა, - თქვა გაღრეჭილმა მატმა ხმამაღლა და ცინგლიანი ცხვირი დასვრილი სახელოთი მოიწმინდა.

- გაჩუმდი! - სიცილით გასძახა კირამ, - ნუ სულელობ. საჭიროა, რომ დავიხსოვო.

- ურო, - დაამატა ესეც, რაკი ახსოვდა, - ოქროსფერი, ყვითელი და ყავისფერი. და სენტ ჯონსვორტიც ყავისფრისთვის, თუმცა, ეს ხელებს დამილაქავებს. და ბრინჯაოსფერი კამა ფოთლებიც და ყვავილებიც, გამოვიყენოთ ახალმოკრეფილი; შეგვიძლია, შევჭამოთ კიდევ. გვირილა - ჩაისა და მწვანე ტონებისთვის.

- მეტი არაფერი მახსოვს, - მობოდიშებით წარმოთქვა კირამ. კიდევ ბევრი იყო.

ანაბელამ მოწონებით დააქნია თავი.

- ჯერ ახლა იწყებ.

- უნდა წავიღეთ, თორემ გზაში დაგვიბნელდება, - თქვა კირამ, შებრუნდა და ცას ახედა დროის განსასაზღვრად. უეცრად რაღაც გაახსენდა.

- ლურჯის მიღება თუ შეგიძლიათ?

ანაბელამ შუბლი შეჭმუნა.

- შენ მათრახა გჭირდება. შეაგროვე მათრახას ერთწლიანი რტოს ახალი ფოთლები და რბილი წვიმის წყალი და მიიღებ-
ლურჯს, - მერე თავი გააქნია, - მე არ მაქვს. სხვებს აქვთ, მაგრამ
აქედან შორს არიან.

- სხვები ვინ არიან? - ჰკითხა მატმა.

მოხუც ქალს ბიჭისთვის არ უპასუხია, მხოლოდ ბადის განა-
პირისკენ მიუთითა, საიდანაც ტყეები იწყებოდა და ვიწრო, აბალა-
ხებული ბილიკი მოჩანდა. მერე ქოხისკენ შებრუნდა. კირამ გაიგო-
ნა ხმადაბლა წარმოთქმული სიტყვები:

- მე ვერასოდეს მივიღე ლურჯი, მაგრამ იქ ვიღაცებს აქვთ.

9

მომღერლის მანტიას რამდენიმე პაწაწინა ლურჯი ადგილი
ჰქონდა, სითეთრემდე ფერგადასული. ნავახშმევს, როცა ზეთის
ლამპები აანთეს, კირამ მანტია გულდასმით დაათვალიერა. ძაფე-
ბი დიდ მაგიდაზე დააწყო - თავისი პატარა კოლექციისა და ანა-
ბელას გამოტანებულიც. იცოდა: სანამ შეკეთებას შეუდგებოდა,
ჯერ სათუთად და დღის სინათლეზე უნდა შეეხამებინა ერთმანე-
თისთვის ტონალობები. სწორედ ამ დროს შენიშნა - შვებით, რად-
გან, სხვაგვარად არ ეცოდინებოდა, როგორ შეეკეთებინა ეს ადგი-
ლები, და გულაცრუებით, რადგან ცისფერი ეგზომ მშვენიერ შტრი-
ხად შეერწყმოდა მთლიან ქარგას - რომ ნამდვილი ლურჯი ფერი
აღარსად იყო მთელ მანტიაზე, მხოლოდ უწინდელის კვალი ეტყო-
ბოდა.

მცენარეთა სახელებს ერთთავად იმეორებდა ხმამაღლა.
ცდილობდა, სიმღერად ექცია უკეთ დასახსომებლად. „ბალბა და
ასფურცელა, ენდრო და ენდრონიკა...“

მაგრამ ეს სახელები არც რიტმში ჯდება და არც ერთმე-
ბოდა ერთმანეთს.

თომასმა კარზე დააკაკუნა. კირამ სიხარულით მიიღო, უჩვენა
მანტია და ძაფები, უამბო მოხუც მღებავთან შეხვედრაზე.

- ყველა სახელი ვერ დავიხსოვე, - თქვა იმედგაცრუებით, -
მაგრამ მე მგონი, თუ დილით ჩემს ნასახლარზე წავალ, ეგებ ისევ
დამხვდეს დედაჩემის ბაღის მცენარეები, რომლებსაც განაც ის სა-
ღებავებს ამზადებდა. რომ დავინახავ, მათ ფერებსაც გავიხსენებ.
ოღონდ, იმედია, ვანდარამ...

კირა შეყოვნდა. გრავიორისთვის ჯერ არაფერი ეთქვა თავი-
სი მტრის შესახებ და ახლა მისი სახელის ხსენებამაც კი შეაკრთო.

- ნაიარევმა ქალმა? - ჰკითხა თომასმა.

კირამ თავი დაუქნია:

- იცნობ?

თომასმა თავი გააქნია.

- მაგრამ ვიცი, ვინ არის. ყველამ იცის.

პატარა სისხლისფერ-წითელი ნართი აიღო და ცნობისწადი-
ლით იკითხა:

- როგორ შედება ეს მღებავმა?

კირა დაფიქრდა. ენდრო - წითლისთვის.

- ენდროთი, - გაიხსენა, - მხოლოდ ფესვებით.

- ენდრო, - გაიმეორა თომასმა, მერე კი იღეა მოუვიდა, - შე-
მეძლო სახელები ჩამეწერა შენთვის, - შესთავაზა კირას, - ასე უფ-
რო იოლად დაგახსომებოდა.

- შენ იცი წერა? და კითხვა?

თომასმა თავი დაუქნია.

- პატარაობაში ვისწავლე. ბიჭებს შეუძლიათ, იმათ, ვისაც
ირჩევენ. და ზოგიერთ ჩემს ნახელავ გრავიურაზეც ამოტვიფრუ-
ლია სიტყვები.

- მე კი არ ვიცი. სახელები რომც დამიწერო, მაინც ვერ წავიკითხავ. გოგონებს სწავლის უფლება არ აქვთ.

- მაინც დაგეხმარებოდით დახსომებაში. თუ შენ მეტყობდი და მე ჩავწერდი, მერე წაგიკითხავდი. ვიცი, რომ ასე გაგიაღვივლებოდა.

გოგონა მიხვდა, რომ გრავიორი მართალი იყო. ჰოდა, თავისი ოთახიდან თომასმა მოიტანა კალამი და მელანი და კირამაც კიდევ ერთხელ წარმოთქვა სიტყვები, რომლებიც ახსოვდა. მოციმციმე შუქში გოგონა უყურებდა, როგორ გულდასმით იწერდა ბიჭი ამ სიტყვებს. ხედავდა, როგორ ქმნიდა ასოებს ხვეულებისა და ხაზების კომბინაციები, მერე კი როგორ შეეძლო თომასს ამ სიტყვების გამეორება კირასთვის.

როცა სიტყვაზე თითდადებულმა თომასმა ხმამაღლა წარმოთქვა:

- ბაღბა, - კირამ დაინახა, რომ ეს იყო გრძელი, მაღალი ღეროებივით მრავალხაზიანი სიტყვა³. თვალი სწრაფად აარიდა, ასოები რომ არ ესწავლა, დანაშაული არ ჩაედინა ისეთი რამის შესწავლით, რაც ეკრძალებოდა. თუმცა, გაეღიმა იმის დანახვაზე, როგორ ქმნიდა კალამი ფორმებს, ფორმები კი ამბავს ჰყვებოდნენ.

* * *

მეორე დღეს, ადრიან დილით, კირამ ფაცხაფუცხით ისაუზმა და დედამისის ფერადი ბადისკენ გაემართა. გარეთ მზის ამოსვლისას ცოტა ვინმე თუ გამოჩნდებოდა. თვალით მატსა და ბრანჩს ეძებდა, მაგრამ ბილიკები ცარიელი იყო და სოფელიც დუმდა. აქა-იქ ბავშვის ტირილი ისმოდა, შიგადაშიგ ქათმების კაკანიც, მაგრამ დღის გაცხოველებული გნიასი ჯერაც არ დაწყებულ იყო.

³ ეს იყო გრძელი... სიტყვა“ - ინგლისურად ბაღბა არის hollyhock (მთარგმნ.).

თავიანთ ნასახლართან მიახლოებულმა კირამ ნახევრად აშენებული ბაკი დაინახა. სულ რამდენიმე დღე გავიდა, მაგრამ ქალებს უკვე შემოედობათ ეკლიანი ბუჩქებით იმ ქოხის ნაშთები, რომელშიც კირა გაიზარდა. შემოვლებული ადგილი ჯერ კიდევ ფერფლი და რიყის ქვა იყო, ძალიან მალე მას მთლიანად შემოესალტებოდა ეკლის მესერი. კირას აზრით, ჭიშკარსაც გაუკეთებდნენ, მერე კი შიგნით თავიანთ ქათმებსა და ბავშვებს შეყრიდნენ. ახლა იქ ხის ბასრი ნატეხები და დამსხვრეული ქოთნების დაკბილული ნამტვრევები ეყრებოდა. ამის წარმოდგენაზე კირამ ამოიოხნრა. პატარები დაიკაწრებოდნენ და დაისერებოდნენ მისი წარსულის ნამსხვრევებით, მაგრამ კირა ვერაფერს გააწყობდა. სწრაფად გაცდა ნანგრევებს და ნახევრად აშენებულ მესერს და ტყის პირას დედას ფერად ბაღს მიადგა,

ბაღია გაძარცული დახვდა, ყვავილნარი კი ისევ იქ იყო, თუმცა, მცენარეები გაეთელათ. ცხადია, ქალები, რომლებიც ბაკის ასაშენებლად ეკლიან ტოტებს მოათრევდნენ, ზედ გადი-გამოდიოდნენ. მაგრამ ყვავილები მაინც ყვაოდა და კირა შეძრა ამ მფეთქავი სიცოცხლის დანახვამ, რომელიც - ასეთი ნგრევის მიუხედავად - მაინც ლამობდა გადარჩენას.

კირამ თავისთვის წარმოთქვა სახელები, რომლებიც ახსოვდა, დაკრიფა, რაც კი შეძლო და თან წამოდებულ ქსოვილში გაახვია. ანაბელამ უთხრა, ყვავილებისა და ფოთლების უმრავლესობა შეიძლება გავახმოთ და მერეც გამოვიყენოთ, მაგრამ ზოგიერთს, ვთქვათ, ბრინჯაოსფერ კამას, ასე ვერ მოექცეოდი.

- დაკრეფისთანავე მოიხმარე, - ასწავლა ანაბელამ. შეგეძლო მიგერთმია კიდევ. გოგონამ კამა იქ დატოვა, სადაც იზრდებოდა, თუმცა, აინტერესებდა, იცოდნენ თუ არა ქალებმა, რომ ეს მცენარე საკვებადაც გამოიყენებოდა.

სადაც ახლოს ძაღლმა დაიყვია. კირას ჩხუბის ხმა მოესმა: ქმარი ცოლს უყვიროდა, ბავშვს სილას აწნავდნენ. სოფელი იღვიძებდა. კირას წასვლის დრო მოახლოვდა. ეს მისი მიწა აღარ იყო.

ქსოვილის ბოლოები ერთმანეთზე გადაანასკვა, მერე მხარზე გადაიგდო, ხელჯოხი აიღო და სწრაფად გაეცალა იქაურობას. გვერდით ბილიკზე, სოფლის მთავარ შუკას არიდებულმა კირამ ვანდარა დაინახა და თვალი აარიდა. იმან დაუძახა.

- მოგწონს შენი ახალი ცხოვრება? - გამოსძახა თავმომწონედ და დამცინავად და კითხვას მკვახე სიცილიც მოაყოლა. კირამ სასწრაფოდ გაუხვია კუთხეში, რომ თავიდან აეცილებინა დაპირისპირება, მაგრამ სარკასტული შეკითხვის ხსოვნა და ქალის თვითკმყოფილი ქირქილი სახლამდე გაჰყვა.

* * *

- ადგილი დამჭირდება, სადაც ფერების ბაღს გავაშენებ, - ყოყმანით უთხრა ჯემისონს რამდენიმე დღის შემდეგ, - და ჰაერიანი ადგილი, სადაც მცენარეები გამოშრება. ასევე ადგილი, სადაც კოცონი დაინთება და საღებავებიანი ქვაბები დაიდგმება.

ცოტა კიდეც დაფიქრდა და დაამატა:

- და წყალი.

იმან თავი დააქნია და თქვა, ასეთი რამეებით მომარაგება შესაძლებელიაო.

ყოველ საღამოს მოდიოდა კირას მუშაობის შესაფასებლად და საჭიროებათა გამოსაკითხად. გოგონას ეუცნაურებოდა, რომ შეეძლო, რაღაცები ეთხოვა და მიეღო კიდეც.

თუმცა, თომასმა უთხრა, ჩემთვისაც ყოველთვის ასე იყო. ხეების ჯიშები - იფანი, ხის გულის მერქანი, კაკალი თუ დატალღული ნეკერჩხალი - თხოვნისთანავე მოჰქონდათ. ყველანაირი ხელსაწყო-იარაღიც მოუტანეს, რომელთაგან ზოგიერთი მანამდე არც კი ენახა.

დღეები - დამღლელი და საქმიანი - ერთმანეთს მიჰყვებოდა.

ერთ დღიას, როდესაც კირა მოხუც მღებავთან წასასვლელად ემზადებოდა, თომასმა მოაკითხა.

- წუხელ ხომ არაფერი გაგიგონია? - ჰკითხა გოგონას გაურკვევლად, - ვთქვათ, ხმა, რომელმაც გაგაღვიძა?

- არა, - თქვა კირამ დაფიქრების შემდეგ, - მაგრად მეძინა. რატომ მეკითხები?

ბიჭი საგონებელში ჩავარდნილს ჰგავდა, თითქოს რაღაცის გახსენებას ცდილობდა.

- მეგონა, რაღაც მომესმა, ბავშვის ტირილის მსგავსი. მეგონა, ამან გამაღვიძა. მაგრამ, შესაძლოა, სიზმარი იყო. ჰო, ალბათ, სიზმარში ჩამესმა.

სახე გაუნათლა და პატარა მისტერია მხრებიდან ჩამოიფერთხა.

-რაღაც გაგიკეთე, - უთხრა კირას, - რამდენიმე დღია მოვანდომე, სანამ ყოველდღიურ საქმეს დავიწყებდი.

- რა არის შენი ჩვეულებრივი სამუშაო, თომას? ჩემი, რასაკვირველია, ეს მანტიაა. შენ რაღა დაგავალეს?

- მომღერლის კვერთხი. ძალიან ძველია. მისმა და წარსულში სხვა მომღერლების ხელებმა გაცვითა ზედ ამოკვეთილი გრავიურები და ყველაფერი თავიდან არის ამოსაჭრელი. რთული სამუშაოა, თუმცა, მნიშვნელოვანი. მომღერალი იყენებს კვერთხის გრავიურებს ადგილის მოსაძებნად, საკუთარი თავისთვის სიმღერის ეტაპების შესახსენებლად. ზედა ნაწილში დიდი ადგილია, რომელზეც არასოდეს არაფერი ამოკვეთილა. ალბათ, მე ამოკვეთ პირველად ჩემს ფიგურებს, - თომასმა გაიცინა: - სინამდვილეში არა ჩემს საკუთარს... ისინი მეტყვიან, რა უნდა ამოკვეთო.

- აი, - თომასმა მორცხვად ჩაიყო ხელი ჯიბეში და კირას თავისი საჩუქარი გადასცა. ეს იყო პატარა ყუთი მჭიდროდ მორგებული სახურავით, რომლის თხემსა და გვერდებზე ამოკვეთა ქარგა იმ მცენარეებისა, რომელთაც კირა სწავლობდა. გოგონამ სიამოვნებით შეათვალიერა თავისი საჩუქარი. ამოიციწო ფარსმანდუკის მაღალი თავთავები და მისი ხშირი, მტევნისებრი ყვავილები. მათ ორკბილას მოქანავე ღეროები შემოხვეოდა, ამ მცენარის ამოჭრილ ძირს კი ზვინად დასდგომოდა მუქი ფერის ბუმბულისებრი ფოთლები.

კირა მაშინვე მიხვდა, რას ჩადებდა ამ ნატიფ ზარდახშაში. დეკორირებული ქსოვილის პატარა ნაგლეჯი, რომელიც ჯიბეში ელო სასამართლო პროცესზე და რომელიც ანუგეშებდა მარტოობისას, ძილის წინ ხელში ეჭირა, ახლა კი დამალული ჰქონდა ერთ-ერთ უჯრაში. კირას თან აღარ დაჰქონდა ეს ნაგლეჯი, რადგან ეშინოდა, ტყეში ან მღებავთან სიარულისას, ან სულაც მუშაობის დროს არ დაეკარგა.

მან თომასის თვალწინ ფთილა გამოიტანა და ყუთში ჩადო.

- მშვენიერი რამეა, - თქვა პაწაწინა ქსოვილის შემხედვარე თომასმა.

სანამ სახურავს დაახურავდა, გოგონამ ფთილას ხელი გადაუსვა.

- რატაცნაირად მელაპარაკება, - უთხრა თომასს, - თითქმის ცოცხალია.

შეცბუნებულმა გაიღიმა, რადგან იცოდა, რომ უცნაურ რამეს ამბობდა, ბიჭი ამას ვერ გაიგებდა და შეიძლება კირა სულელად მიეჩნია. მაგრამ ის დაეთანხმა.

- ჰო, - თქვა კირას გასაკვირად, - ერთი ხის ნაჭერი მაქვს, ისიც ასე შვრება. დიდი ხნის წინათ გამოკვეთე, ბავშვობაში. და ზოგჯერ ისევ ვგრძნობ თითებში იმ ცოდნას, რომელიც მაშინ მქონდა.

წასასვლელად შებრუნდა.

„რომელიც მაშინ გქონდა? და აღარ გაქვს? ცოდნა იკარგება?“ ამ აზრმა კირა შეაკრთო, მაგრამ მეგობრისთვის არაფერი უთქვამს.

* * *

ანაბელასგან კიდევ ბევრი რამ უნდა ესწავლა, მაგრამ კირა იძულებული გახდა, მღებავის ქოხში თავისი სასწავლო დრო შეემოკლებინა, რადგან მანტიასზე მუშაობის დაწყებაც საშური იყო, ამისთვის კი დღის შუქი სჭირდებოდა. ახლა უხაროდა შორენკევიან სააბაზანოში შესვლა, თავიდან ასე რომ შეაცბუნა. თბილი წყალი და საპონი ხელებიდან ლაქებს ამორებდა, სუფთა ხელები კი აუცილებელი იყო, მანტიას რომ შეხებოდა.

ისევ ჰქონდა თავისი პატარა ჩარჩო, რომელიც მატმა გადაარჩინა დაწვას, თუმცა, ახლა აღარ სჭირდებოდა. ერთ-ერთ უჯრაში აღმოჩნდა მშვენიერი ახალი ჩარჩო, რომელიც იშლებოდა და მტკიცე ფეხებზე დგებოდა, ანუ გოგონას აღარ სჭირდებოდა მისი კალთაში ჩადება. ჩარჩო ფანჯარასთან დადგა ისე, რომ მუშაობის დროს თვითონაც იქვე მისჯდომოდა.

მანტია დიდ მაგიდაზე გაშალა, რათა საგულდაგულოდ დაეთვალიერებინა და შეერჩია ადგილი, საიდანაც დაიწყებდა. ახლა პირველად დაიწყო აღქმა იმ ვეებერთელა სივრცის, რომლის მიხედვით მომღერალი ქმნიდა თავის სიმღერას. ადამიანთა ისტორია, რომელიც ნგრევის შემადრწუნებელი ამბით გვირგვინდებოდა, უჩვეულოდ რთულად იყო ჩაწნულ-ჩაგვირისტებული მანტიის ფართო ნაკეცებში.

კირა ხელავდა ღია მწვანე ზღვას, მის სიდრმეებში - ყველა ჯურის თევზს, ზოგიერთს - ადამიანზე უფრო დიდს, ერთად აღებული ათ ადამიანზე უფრო დიდსაც. შემდეგ ზღვა შეუმჩნევლად გა-

დადიოდა ხმელეთის დიდ სივრცეებში, სადაც ბინადრობდნენ კირასთვის უცნობი სახეობის ცხოველები, ვეებერთელა არსებები, რომლებიც მაღალ მოყვითალო-ყავისფერ ბალახს წიწკნიდნენ. ეს ყველაფერი მომღერლის მანტიის მხოლოდ ერთ პატარა კუნჭულში ჩანდა. გოგონას მზერამ გადაინაცვლა სხვა მიწაზე, რომელიც მქრქალი ზღვიდან ამოზრდილიყო, ბალახისმძოველთა მიწასთან ახლოს და რომელზეც მოჩანდნენ ადამიანები. პაწაწინა ნაწიბურები ქმნიდა შუბიან და შეიარაღებულ მონადირეთა ფიგურებს და კირამ დაინახა, რომ წითელი ფერის პატარა კვანძები (ენდრო - წითლისთვის, მხოლოდ ფესვები) მხეცებისგან დახოცილ ადამიანთა სისხლის დასაფერად იყო გამოყენებული.

მამა გაახსენდა. თუმცა, ეს სცენა დიდი ხნის წინანდელი იყო, მამამისზე, ყველა მათ ტომელზე უფრო დიდი ხნის წინანდელი. მაგრამ სისხლის წითელი ლაქებით დაწინწკლული კაცები მაინც მანტიის პაწია ნაწილი იყო, თვალის ერთი დახამხამება, დავიწყებული წარსული, რომელსაც სიმღერის დროს მომღერალი ყველას ახსენებდა.

როცა მანტიას დაჰყურებდა და თან დაბანილი ხელით ასწორებდა, კირამ ამოხვრით გააცნობიერა, რომ ასეთი განსჯის დრო არ ჰქონდა. წინ მნიშვნელოვანი სამუშაო ელოდა, თან ჯემისონის მოუთმენლობაც შემჩნეული ჰქონდა. ეს კაცი ყოველდღე აკითხავდა ოთახში, ამოწმებდა, რწმუნდებოდა, რომ კირა ყურადღებას არ აღუნებდა და პასუხისმგებლობით და კეთილსინდისიერად ეკიდებოდა სამუშაოს.

ერთ სახელოზე შესაკეთებელი ადგილის მონიშვნის შემდეგ კირამ მანტიის ეს ადგილი ჩარჩოზე გადაიტანა და კარგად დაჭიმა. შემდეგ, ძალიან ფრთხილად, საჭრელი იარაღით გაცვეთილი ძაფები მოაჭრა. აქ, ღია მწვანე მდინარის ფონზე აღმართული მა-

ღალი მზესუმზირების ოქროსფერი ტონებით რთულად ამოქარგულ ყვავილზე პატარა ლაქა იყო. დიდი ხნის წინ ვიღაცას, ხელოვნების ოსტატს, წყლის დინების გამოსახატავად თეთრი დაკლაკნილი ხაზები ამოუქარგავს, რომლებიც ქაფის შეგრძნებას ტოვებდა. როგორი ნიჭიერი ყოფილა უწინდელი მქარგველი! მაგრამ ახლა ამ დალაქავებული ძაფების შეცვლა იყო საჭირო.

სამუშაო ნელა მიმდინარეობდა. დედამისი მიუხედავად იმისა, რომ მის თითებს არ ჰქონიათ კირას თითებისთვის ნიშნული თითქმის ჯადოსნური ცოდნა - უფრო გამოცდილად, უფრო მკვირცხლად, უფრო სწრაფად იმუშავებდა.

ახალი ოქროსფერი ძაფები კირას ფანჯარასთან მიჰქონდა, ტონის დახვეწილ გადასვლას აკვირდებოდა და აღდგენისთვის სწორ ფერებს არჩევდა.

* * *

როდესაც გვიან ნაშუაღღევს ბინდი შემოეპარებოდა, კირა მუშაობას წყვეტდა. რამდენიმე დუიმს უყურებდა ჩარჩოში, აფასებდა, რა გააკეთა და ასკვნიდა, რომ კარგად გამოსდიოდა. დედა ნასიამოვნები დარჩებოდა, ჯემისონიც. კირას იმელი ჰქონდა, რომ როცა მანტიით შემოსვის დრო დადგებოდა, მომღერალიც კმაყოფილი იქნებოდა.

მაგრამ თითები სტკიოდა. კირა იზუღდა და ოხრავდა. ეს არ იყო მისი ნაქარგები - პატარ-პატარა ფთილები, ბავშვობაში რომ აკეთებდა. არ იყო ეს არც ის განსაკუთრებული ქსოვილი, თავისი ნებით რომ ამოქმედა კირას ხელები დედას სასიკვდილო სარეცელთან, ისე რომ დააგრეხინა და შეარევირა ძაფები, არსად რომ არ ესწავლა და ისეთი კარგები შეაქმნევირა, არსად რომ არ ენახა. მაშინ ხელები არ დაღლია.

ვანშმის დრო მოახლოვდა. კირამ გაშლილ მანტიას დასაცავად უბრალო ქსოვილი გადააფარა, მერე დერეფანს გაუყვა და თომასის კარს მიუკაკუნა.

ახალგაზრდა გრავიორიც უკვე ამთავრებდა დღიურ საქმეს.

- შემოდი!

კირა შევიდა და დაინახა, რომ ბიჭი ხელსაწყო-იარაღების ჰირებს წმენდდა და ცალკე აწყობდა. კავით დაჭერილი გრძელი კვერთხი სამუშაო მაგიდაზე იდო. თომასმა კირას დანახვაზე გაიღიმა. უკვე ყოველ სატამოს ერთად ვანშმოხდნენ.

- მოუსმინე, - უთხრა თომასმა და ფანჯრისკენ ანიშნა. კირამ მთავარი მოედნიდან მომავალი ხმაური გაიგონა. მის ოთახში, კი, ტყეს რომ გადასცქეროდა, მუდამ სიმშვიდე იდგა.

- რა ხდება?

- გაიხედე. ხვალინდელი ნადირობისთვის ემზადებიან.

კირა ფანჯარასთან მივიდა და ქვემოთ გადაიხედა. იქ კაცები იკრიბებოდნენ იარაღის გასანაწილებლად. ნადირობა ყოველთვის დილაუთენია იწყებოდა. მონადირეები სოფლიდან მზის ამოსვლამდე გადიოდნენ. ეს სამზადისი იყო. კირამ დაინახა, რომ საბჭოს შენობასთან მდგარი გარე ნაგებობის კარი გაეღოთ, საწყობიდან გრძელი შუბები გამოჰქონდათ და მოედნის შუაგულში ახვავებდნენ.

კაცები შუბებს სათითაოდ იღებდნენ, წონას უმოწმებდნენ, სათავისოს ეძებდნენ. შიგადაშიგ დაობდნენ კიდეც. კირამ დაინახა ორი კაცი, რომლებსაც ერთი და იგივე შუბი ჩაებღუჯათ და ერთმანეთს უყვიროდნენ.

ქაოსის შუაგულში კირამ თვალი მოჰკრა პატარა სხეულს, რომელიც კაცებს შორის შევარდა და შუბი დაითრია. ეს ვერავინ შენიშნა. ყველა თავისას ცდილობდა, ერთმანეთს ეძიძგილავებოდნენ და ხელს ჰკრავდნენ. გოგონამ ისიც დაინახა, რომ ერთი კაცი

შუბის წვერს გაესისხლიანებინა კიდეც და, ცხადი იყო, ამ ქაოსური განაწილების დასრულებამდე ზიანი არც სხვებს ასცდებოდათ. ბიჭს აინუნშიც არავინ აგლებდა. კირა ფანჯრიდან ხედავდა, რომ შუბიანი თამამად გაერიდა აყალმაყალს. მის შიშველ ფეხებთან მორბენალი ძაღლიც შენიშნა.

- ეს მატია! - შესძახა შეშინებულმა, - ჯერ მთლად ბავშვია, თომას! მეტისმეტად პატარაა ნადირობისთვის!

როცა გრავიორი ფანჯარასთან მივიდა, კირამ ბრბოსგან განაპირებული მათი დაანახვა.

თომასმა ჩაიცინა.

- ზოგჯერ პატარა ბიჭები ასე იქცევიან, - აუხსნა კირას, - კაცები აინუნშიც არ აგლებენ და სანადიროდ გაყოლის ნებას რთავენ.

- მაგრამ ეს ძალიან სახიფათოა ბავშვისთვის, თომას!

- რას დარდობ? - თუმცა, თომასს ცნობისმოყვარეობა დაეტყო, - ეგენი ბავშვები არიან, თანაც - მეტისმეტად ბევრნი.

- ის ჩემი მეგობარია!

თომასს შეეტყო, რომ გაიგო. კირამ დაინახა, როგორ შეეცვალა სახე და როგორ გახედა ბიჭს შეწუხებულმა. მატის ირგვლივ შემოკრებილიყო გიჟმაჟი ბავშვების გუნდი, რომელიც ხშირად ტრიალებდა მის გვერდით. ადტაცებით შეჰყურებდნენ, როგორ იქნევდა შუბს.

კირა უეცრად შექანდა, ბარძაყში ძლიერი ფეთქვა იგრძნო და ხელი იტაცა დასაზულად, იქნებ მეტისმეტად გადავეყუდე ფანჯრის რაფასო. მერე კი ხელი ინსტინქტურად ჩაიყო ჯიბეში, რაკი გაახსენდა, რომ ფთილა ისევ იქ ედო. როგორც კი შეეხო, დაძაბულობა, საშიშროება, გაფრთხილება იგრძნო.

- გთხოვ, თომას, დამენმარე მატის შეჩერებაში! - თქვა კირამ შემფოთებული ხმით.

იოლი არ იყო ხალხში გზის გაკვლევა. კირა მისდევდა თომასს, რომელიც მასზე უფრო მაღალი იყო და მუჯლუგუნებით მიიკვლევდა გზას მყვირალა, უწესრიგო კაცებში. კირა ცნობდა ზოგიერთს: აქ იყო ყასაბი, რომელიც ვიდაცას ეკამათებოდა და ილანდებოდა; ხედავდა დედამისის ძმასაც იმ ჯგუფში, რომლის წევრები ერთმანეთს უდარებდნენ თავ-თავიანთი იარაღის წონას და ხმამაღლა ტრაბახობდნენ.

კირა იშვიათად მოხვედრილა კაცების სამყაროში. ისინი ქალებისგან განყენებულად ცხოვრობდნენ. კირას არასოდეს შეშურებია მათი. ახლა, როცა გოგონას ზორბა, ოფლისსუნიანი სხეულები ეხლებოდნენ, როცა ესმოდა ლულულად ამოთქმული ბრაზიანი ფრაზები და ყვირილი, ერთდროულად იგრძნო შიშიც და გაღიზიანებაც. თუმცა, იმასაც მიხვდა, რომ ეს იყო მონადირული ქცევა, ნადირობის და ტრაბახის ჟამი, ჟამი ერთმანეთის გამოცდის. ამიტომ გასაკვირი არ იყო, რომ თავისი ბავშვური ყოყოჩობით მატს ამ ალიაქოთში მონაწილეობა სურდა.

მკლავგასისხლიანებულმა ქერა კაცმა თავი ანება შეხლამემოხლას, მოტრიალდა და აჩქარებით მიმავალ კირას ხელი სტაცა.

- ესეც ნადავლი! - გაიგონა გოგონამ კაცის ნათქვამი. მაგრამ მისი კომპანიონები თავიანთი დავით იყვნენ გართულნი. კირამ კაცს ხელჯოხი მოუქნია და ჩაბღუჯული მაჯაც გამოჰგლიჯა.

- შენ აქ არ უნდა იყო, - ჩასჩურჩულა თომასმა, როცა კირა წამოეწია. თითქმის უკვე გასულები იყვნენ მოედნის ბოლოში, სადაც ბოლოს შენიშნეს მატ.

- აქ ყოველთვის მხოლოდ კაცები არიან და ნადირობის დროს პირუტყვულად იქცევიან.

კირამ იცოდა ეს. სუნით, უხეში კინკლაობითა და ხმაურით ხვდებოდა, რომ ეს არ იყო გოგონების ან ქალების ადგილი. ამიტომაც მიაბიჯებდა თავდახრილი და მიწას დამტერებული, რათა არავის შეემჩნია და ისევ არ ჩაებღუჯა.

- აგერ, ბრანჩი! - მიუთითა პატარა ძაღლზე, რომელმაც იცნო და კუდის ნარჩენი გააქიცინა.

- მათიც ახლომანლო იქნება!

თომასთან ერთად გზა გაიკვლია და მათიც იპოვა. ისევ შუბს იქნევდა და დახტოდა. შუბის წვეტს სახიფათოდ ახლოს უტრიალებდა სხვა ბავშვებს.

- მატ! - დაუძახა კირამ გაბრაზებული ტონით. იმანაც დაინახა, ხელი დაუქნია და ღიმილით გამოსძახა:

- ახლა მე მათი ვარ!

აღშფოთებულმა კირამ ზუსტად ბიჭის თავს ზემოთ ჩაბღუჯა შუბის ტარი.

- შენ კიდევ დიდხანს არ იქნები ორი მარცვალი, მატ. ეს გამომართვი, თომას.

მატს შუბი გამოართვა და ფრთხილად გადასცა გრავიორს.

- დიახ, ვიქნები! - დაუბრუნა იმან სიცილითა და სიამაყით. - შეხედე, მე კაცური ტყავი ვიშოვე.

ბიჭუნამ ორივე ხელი თავზემით შემართა კირასთვის თავისი ხუმრობის დასადასტურებლად. იღლიებში რაღაც ბანჯგვლები ამოსვლოდა.

- ეგ რა არის? - ჰკითხა გოგონამ, მერე კი ცხვირი მოჭმუნა.

- საშინელი სუნი აქვს!

კირა შეეხო, ცოტაოდენი მოგლიჯა და სიცილი აუტყდა.

- მატ, ეგ ჭაობის ბალახია. საშინელი რამეა. მაგას რატომ იწებებ იღლიებში?

ბიჭს ეს ბალახი გულ-მკერდზეც მიეკრა.

თომასმა შუბი ვიღაც კაცს მისცა, რომელმაც გაშმაგებით ჩაბლუჯა, მერე კი დახედა მატს, რომელიც მის მხრებს ჩაფრენილი კირას ხელბეჭვემ იკლაკნებოდა.

- მხეცბიჭას ჰგავხარ! რას იტყვი, კირა, მე მგონი, დროა, მატს სააბაზანო ვუჩვენოთ! იქნებ გაგვესუფთავებინა და მეორე მარცვლიც ჩამოგვებანა?

სიტყვაზე „ჩამოგვებანა“ მატ უფრო მეტად დაიკლაკნა და თავის დახსნა სცადა, მაგრამ თომასს და კირას მაგრად ეჭირათ. ბოლოს მატ დანებდა თომასს, რომელმაც ხელში აიყვანა, ზურგზე შეისვა და ბრბოს ზემოთ მოქცეული გამოიყვანა.

როდესაც შუბის სახიფათო ხიბლი გაქრა, მატის ნორჩ თავისმცემელთა ჯგუფიც დაიშალა. კირას ესმოდა, როგორ გასძახოდა მხრებზე შემჯდარი ბიჭი ახმაურებულ, მოძიძგილავე კაცებს:

- შეხედეთ მხეცბიჭას! - მაგრამ არავინ უყურებდა და არავინ უსმენდა. კირამ თავის ფეხებზე ბრანჩი დაინანა და ხელში აიყვანა, რომ გასრესას გადაერჩინა. ძალიან თავისუფალ მკლავებზე ამოიღო, ხელჯოხს დაეყრდნო და თომასს მიჰყვა. ისინი ბრბოს გაერიდნენ და შენობის დერეფნების სიჩუმეს დაუბრუნდნენ.

* * *

კირა სიცილით უსმენდა ყმუილს და ზღუქუნს, როდესაც თომასი შეუბრალებლად ხენავდა მატსაც და ბრანჩსაც სააბაზანოში.

- თმა არა! - ყმუილით გააპროტესტა მატმა, როცა თომასმა წყალი დაასხა მის გაწეწილ თმის ბლუჯას, - ნუ მახრჩობ!

ბოლოს ივანხმეს ვარდისფერსახიან და დამორჩილებულ მატთან ერთად. დაბანილ თავზე პირსახოცი შემოეკრა, სუფთა სხეულზე ჩულო. ბრანჩმა მკვირცხლად შეიფერთხა სხეული, თითქოს ახლახან ითამაშა მდინარეში. მერე იატაკზე მოიკალათა და მისთვის ბოძებული ნარჩენების ღრღნას მოჰყვა. მატმა საკუთარი ხელი დასუნა და დაიჭყანა.

- ეს საპონი საშინელებაა. აი, საჭმელი კი მომწონს, - მან თეფში კიდევ ერთხელ გაივსო.

ვახშმის შემდეგ კირა თმას ვარცხნიდა, ბიჭი კი ისევ ხმამალ-ლა ჩიოდა. მერე გოგონამ სარკე გამოუტანა და ჩაახედა. სარკეები მისთვისაც სიახლე აღმოჩნდა, როცა აქ გადმოსახლდა. სარკემ მდინარეში არეკლილ გამოსახულებასთან შედარებით სხვანაირად დაანახვა თავი. მატმა ინტერესით გამოიკვლია თავისი სახე, ცხვირი მოჭმუნა და წარბები ასწია. კბილებიც გამოაჩინა, სარკეს შეუღრინა და მაგიდის ქვეშ მდინარე ბრანჩი გააოგნა.

- მე მაგარი ვარ, - თქვა თავმომწონედ, - ვერ დამახრჩობდით, მაგრად ვიბრძოლე.

ბოლოს ისევ ჩააცვეს თავისი გაცვეთილი სამოსი. მატმა ზედ დაიხედა, მერე კი უცებ კირას ყელზე დაკიდებულ ტყავის თასმას წაეტანა.

- მომე! - თქვა.

კირა უკუდგა, გულმოსული.

- არა, მატ! - და ყელსაბამზე ხელი გააშვებინა. - ნუ ბღუჯავ და ნუ ეტანები. თუ რამე გინდა, უნდა ითხოვო.

- მომე არის თხოვნა, - თქვა შეფიქრიანებულმა.

- არა, არ არის. უნდა ისწავლო მანერები. თუმცა, ყელსაბამს მაინც ვერ მიიღებ. უკვე გითხარი, განსაკუთრებულია-მეთქი.

- საჩუქარი.

- ჰო, მამაჩემის საჩუქარი დედასთვის.

- ესე იგი, დედას მამა ძალიან მოეწონა.

კირამ გაიცინა.

- შეიძლება. მაგრამ მანამდეც მოსწონდა.

- მეც მინდა საჩუქარი, მაგრამ არასოდეს მექნება.

თომასმა და კირამ სიცილით მიაწოდეს საპნის გლუვი ნაჭერი, რომელიც მატმა საზეიმოდ ჩაიღო ჯიბეში. მერე მატ გაუშვეს.

მოედანზე აღარც კაცები იყვნენ და აღარც შუბები ეწყო. თომასმა და კირამ ფანჯრიდან უყურეს, როგორ გადაკვეთა ძაღლადევნებულმა პატარა ფიგურამ დაცარიელებული მოედანი და ღამეში გაუჩინარდა.

* * *

თომასთან მარტო დარჩენილმა კირამ მეგობარს გაუმხილა, როგორ გააფრთხილა ქსოვილის ნაფლეთმა.

- ჩემს ხელში გრძნობებს გამოხატავს, - თქვა ყოყმანით, - შეხედე.

ფთილა ჯიბიდან ამოიღო და სინათლეს მიუშვირა, მაგრამ ქსოვილი არ ირხეოდა, წედანდელი დაძაბულობისა და ჟრჟოლის ნიშანწყალიც არ ეტყობოდა. მისგან გოგონა ნუგემსა და გარინდებს გრძნობდა, თუმცა, იმედგაცრუებასაც განიცდიდა, რომ ამწუთას ხელში სხვა არაფერი ეჭირა, ქსოვილის ნაგლეჯის გარდა. უნდოდა, თომასს გაეგო ეს.

- მაპატიე, - ამოიოხრა გოგონამ, - ახლა უსიცოცხლოს ჰგავს, ვიცი. თუმცადა, ზოგჯერ...

თომასი დაეთანხმა.

- შეიძლება ეგ გრძნობა მარტო შენთვისაა. აი, მე ჩემს ხის ნაჭერს გიჩვენებ.

მაგიდის ზემოთ დაკიდებულ თაროსთან მივიდა, სადაც თავის იარაღს ინახავდა, და ჩამოიღო ღია ფერის ფიჭვის პაწაწინა ნაჭერი, რომელიც ხელისგულშიც ჩაეტეოდა. კირამ დაინახა მერქანზე ამოკვეთილი რთული, ერთმანეთში ჩაწნული ორნამენტები.

- შენ ეს მაშინ ამოკვეთე, როცა ჯერ კიდევ ბავშვი იყავი? - ჰკითხა განცვიფრებულმა. არაფერი ენახა ესოდენ უჩვეულო. თომასის მაგიდაზე დაწყობილი ყუთები და ორნამენტებიანი ხეები ლამაზი, მაგრამ უფრო მარტივი იყო, ვიდრე ეს პატარა ნაჭერი.

თომასმა თავი გააქნია.

- როცა ამოკვეთა დავიწყე. იარაღების გამოყენებას ვსწავლობდი ხის ამ პატარა, გადაგდებულ ნაჭერზე. და ამან...

თომას ყოყმანობდა. ისე უყურებდა ხის ნაჭერს, თითქოს ის ახლაც იდუმალებაში ხვევდა.

- ამან თვითონ გამოკვეთა თავისი თავი? - ჰკითხა გოგონამ.

- ჰო. მგონი, ასე გამოვიდა.

- ჩემს ქსოვილსაც ასე დაემართა.

- ამიტომაც მესმის, როგორ შეიძლება გელაპარაკებოდეს ქსოვილი. ხეც ასე გელაპარაკება. ხელში ვგრძნობ. ზოგჯერ ის...

- გაფრთხილებს? - ჰკითხა კირამ, რომელსაც ახსოვდა, როგორ დაიძაბა და ათრთოლდა ქსოვილი, როცა მან შუბმომარჯვებული მატ დაინახა.

თომასმა თავი დაუქნია:

- და მამშვიდებს. აქ ძალიან პატარა მოვედი, რის გამოც ზოგჯერ თავს ძალიან მარტოდ ვგრძნობდი და მეშინოდა, მაგრამ მისი შეხება ყოველთვის მამშვიდებდა.

- ჰო, ქსოვილიც ზოგჯერ დამამშვიდებელია. თავიდან აქ შენსავით შიშმა ამიტანა. ყველაფერი უცხო და ახალი იყო. მაგრამ როდესაც ფთილას ვიღებდი, სიმხნევე მემატებოდა.

კირა ერთი წამით ჩაფიქრდა. სცადა, წარმოედგინა, როგორი შეიძლებოდა ყოფილიყო შენობაში ცხოვრება თომასისთვის, რომელიც აქ მთლად პატარა მოიყვანეს.

- ვფიქრობ, ჩემთვის უფრო იოლია, რადგან ისე მარტო არ ვარ, როგორც შენ იყავი, - უთხრა კირამ, - ჯემისონ ყოველდღე მოდის ჩემი სამუშაოს სანახავად. დერეფანში კი, აი, შენ მყავხარ.

ორი მეგობარი ერთხანს ჩუმად იჯდა. მერე გოგონამ ქსოვილი ისევ ჯიბეში ჩაიბრუნა და სკამიდან წამოდგა.

- ჩემს ოთახში წავალ. ბევრი არაფერია გასაკეთებელი.

- გმადლობ, რომ მატის ამბავი მომაგვარებინე, - დაამატა მერე, - ცელქი ბავშვია, არა?

თომასმა ხის ნაჭერი ისევ თაროზე დადო და ღიმილით დაეთანხმა:

- ძალიან ცელქი!

და ორივემ სიყვარულით გაიცინა თავიანთი პატარა მეგობრის ხსენებაზე.

11

აცანცანებული კირა მდელიოზე მიიჩქაროდა, ანაბელას ქონისკენ.

ამ დღით მარტო მიდიოდა. ზოგჯერ მატ ისევ მიჰყვებოდა, მაგრამ ბიჭს მოჰბეზრდა მოხუცი მღებავი და მისი უსასრულო რჩევა-დარიგებები. უფრო ხშირად ის და ძაღლი მეგობრებთან იყვნენ და ათასგვარ შარში ეხვეოდნენ. ჯერ კიდევ გულმოსული იყო ბანაობის გამო. ძმაკაცებმა სიცილი დააყარეს, სუფთა რომ ნახეს.

ასე რომ, ამ დღით კირა მარტო მიუყვებოდა ტყის ბილიკს. პირველად სწორედ ამ დღით შეეშინდა.

- რა მოხდა? - ჰკითხა ანაბელამ, რომელიც გარეთ დანთებულ კოცონთან დახვდა. გათენებამდე უნდა ამდგარიყო, ასე გაჩაღებული კოცონი რომ ჰქონოდა ახლა. ცეცხლი გუზგუზებდა და რკინის დიდი ქვაბის ქვეშ ნაპერწკლებს ისროდა. კირას გამოსვლისას დილის მზე, ის იყო, იწვევებოდა.

სულმოუთქმელად ჩაუარა ბალებს იქით მიმავალმა, სადაც მოხუც ქალს ცეცხლის მოპარპალე ალებისგან ოფლი სდიოდა. კირა გრძნობდა: აქ უსაფრთხოდ იქნებოდა, მის სხეულს კი მოდუნება სურდა.

- შიში გაწერია სახეზე, - უთხრა მღებავმა.

- მხეცი გამომყვა ბილიკზე, - აუხსნა კირამ, თან ნორმალურად სუნთქვას ცდილობდა. შიში განელებოდა, მაგრამ მაინც დაძაბული იყო, - მისი ღრენა და ნაბიჯების ხმა ბუჩქებიდან მესმოდა.

კირას გასაკვირად, ანაბელამ ჩაიცინა. ის მუდამ კეთილად და მოთმინებით ექცეოდა. რატომ უნდა დაეცინა მისი შიშისთვის?

- ფეხის გამო ვერც გავიქცევი... - უთხრა კირამ.

- სირბილი საჭირო არ არის, - თქვა ანაბელამ და ჯოხით მოურია წყალს, რომლის ზედაპირზე უკვე ჩნდებოდა პატარა ბუმბუკები, - ახლა რუდბეკიას მოვხარშავთ მოყავისფრო მწვანის მისაღებად. მხოლოდ ყვავილებს. ფოთლები და ღერო ოქროსფერს მოგცემს.

ანაბელამ თავით ანიშნა ყვავილებით სავსე ჩანთაზე, რომელიც იქვე მიწაზე იდო.

კირამ ჩანთა აიღო. როცა ანაბელამ წყალს ჯოხი მოურია და თავი დაიქნია, გოგონამ ჩანთა ქვაბში ჩააპირქვა. ორივენი ჩაჭყურებდნენ, სანამ ნაყენმა ნელი დუდილი არ დაიწყო. მერე ანაბელამ მოსარევი ჯოხი მიწაზე დადო და კირას უთხრა:

- შიგნით შემოდი. ჩაის დაგაღვევინებ, დაგამშვიდებს.

პატარა ცეცხლზე დაკიდებული ქვაბი კაუჭიდან ჩამოხსნა და ქოხში შეიტანა.

კირა უკან მიჰყვა. იცოდა: ყვავილებს შუადღემდე უნდა ეღუღა, მერე კი დიდხანს წყალში დაეტოვებინათ. ფერის მიღება ხანგრძლივი პროცესი იყო. რუდბეკიას საღებავი მეორე დღით იქნებოდა მზად.

კოცონის გამო სამღებრო ეზოში სუნთქვა ჭირდა, ქოხში კი, სქელი კედლების წყალობით, გრილოდა. ჭერის კაუჭებზე ეკიდა გამხმარი ბალახი, ჩალისფერი და მყიფე. ხის სქელ მაგიდაზე, ფანჯარასთან, ფერადი ნართები ეწყო და დახარისხებას ელოდა. ეს იყო კირას შესასწავლი საქმის ნაწილი: ძაფების სახელდება და

დახარისხება. იგი დასახარისხებელ მაგიდასთან მივიდა, ხელჯოხი კედელს მიაყუდა და დაჯდა. მის უკან ანაბელამ ორ დიდ ტოლჩაში გამხმარ ფოთლებს ქაფქაფა წყალი დაასხა.

- ეს მუქყავისფერი საღებავი ოქროწვეკვლასგან არის, არა? - კირას ფანჯრის სინათლეზე ეჭირა ნართები, - ახლა სველზე დიაფერის ჩანს, მაგრამ მაინც კარგი ყავისფერია.

რამდენიმე დღის წინ ის თვითონ მიეხმარა მღებავს საღებავის აბაზანაში ჩასაწყობად ყლორტების მომზადებაში.

ანაბელამ ტოლჩები მაგიდაზე გადმოდგა, მერე ნართებს გახედა და თავი დაუქნია.

- ოქროწვეკვლა მალე აყვავდება, ცოცხალ ყვავილებს გამოვიყენებთ უნათლესი ყვითლის მისაღებად. ყვავილებიც ცოტა ხანს უნდა ვადუღოთ, ყლორტებივით ხანგრძლივად არა.

ცოდნის ეს ნამცეცებიც უნდა შეესრუტა და გონებაში შეენახა. თომასს სთხოვდა, სხვა რამეებისთვის ესეც მიეწერა. კირამ მაგარი, ცხელი ჩაი მოსვა და ისევ ტყეში ადევნებულ ავბედით ხმაზე დაფიქრდა.

- ისე შევძინდი აქეთობისას, - აღიარა კირამ, - მართლა, ანაბელა! მე ხომ სირბილი არ შემეძლია, ჩემი ფეხი არაფრის მაქნისია.

დარცხვენით დაიხედა ფეხზე.

მოხუცმა მხრები აიჩეჩა.

- მაგ ფეხმა მოგიყვანა აქამდე.

- ჰო, და ამისთვის მადლობელი ვარ, მაგრამ ძალიან ნელა დავდივარ, - ჩაფიქრებულმა კირამ ხელი ჩამოუსვა თიხის ტოლჩის ხორკლიან მხარეს, - როცა მატ და ბრანჩი ჩემთან ერთად არიან, ვერაფერი მომეპარება უჩუმრად. იქნებ ბიჭმა უფლება მომცეს, მისი ძაღლი ყოველდღე წამოვიყვანო. პატარა ძაღლსაც კი შეუძლია მხეცების დაშინება.

ანაბელამ გაიცინა:

- იქ მხეცები არ არიან.

გოგონა მიაჩერდა. რასაკვირველია, არც ერთი მხეცი არ მოვიდოდა ტრიალ მინდორზე, სადაც ცეცხლი გიზგიზებდა. და მოხუცი ქალიც, როგორც ჩანს, არასოდეს ტოვებდა აქაურობას, არასოდეს გადიოდა სოფლისკენ მიმავალ ბილიკზე.

- ყველაფერი, რაც მჭირდება, აქ არის, - უთხრა ერთხელ კირას, როცა ზიზღით ახსენა სოფელი და მისი ხმაურიანი ცხოვრება.

მაგრამ მაინც მიაღწია ოთხ მარცვლამდე და ოთხი თაობის სიბრძნეც შეითვისა. მაშ, რატომ იკატუნებდა თავს და უმეცარი ბავშვივით ამტკიცებდა, რომ იქ არავითარი საფრთხე არიყო? ახლა ის მატს ჰგავდა, ტრაბახით რომ ირტყამდა მუშტს მკერდზე, რომელზეც სქლად დაეკრა ქაობის ბალახი, მისივე სიტყვით - კაცური ტყავი.

თუმცა, თავის მოკატუნება ვერ დაგიცავს.

- ღრენა გავიგონე, - თქვა კირამ ხმადაბლა.

- ძაფები დაახარისხე, - უბრძანა ანაბელამ.

კირამ ამოიოხრა.

- ფარსმანდუკი, - თქვა და მკრთალი ყვითელი მუქ ყავისფერს მიუღო გვერდით. მღებავმა კვერი დაუკრა.

უფრო კამკაშა ყვითელს სინათლეში გახედა და ბოლოს თქვა:

- ასფურცელა.

მღებავი ისევ დაეთანხმა.

- იღრინებოდა, - ჩაილაპარაკა კირამ.

- იქ მხეცები არ არიან, - მტკიცედ გაიმეორა მღებავმა.

კირამ ძაფების დახარისხება და საღებავების დასახელება განაგრძო.

- ენდრო, - თქვა, თან ხელს უსვამდა მუქ წითელს - მის ერთ-ერთ რჩეულს. მერე მკრთალი იისფერი ძაფი აიღო და შუბლი შეჭმუნა.

- ეს არ ვიცი. ლამაზია.

- ანწლი, - უთხრა მოხუცმა, - მაგრამ ეს დიდხანს არ ინახება. კირამ ლავანდის ძაფები ხელში ჩაკეცა.

- ანაბელა, - თქვა ბოლოს, - ის იღრინებოდა. მართლა.

- მაშინ ეს ადამიანია, რომელიც მხეცს თამაშობს, - უთხრა მოხუცმა მტკიცე და გარკვეული ხმით, - რათა შენ ტყის გემინოდეს. იქ მხეცები არ არიან.

ისინი ერთად, აუჩქარებლად, ახარისხებდნენ ძაფებს და ასახელებდნენ საღებავებს.

გვიან, როდესაც მდუმარე ტყის ბილიკით შინ ბრუნდებოდა და საშიში ხმა არ გაუგონია, კირა დაფიქრდა, ვინ შეიძლებოდა ამდევენებოდა და რატომო.

- თომას, - ჰკითხა გრავიორს ვახშმის დროს, - მხეცი თუ გინახავს ოდესმე?

- ცოცხალი არა.

- ესე იგი, მკვდარი გინახავს,

- ყველას გვინახავს მკვდარი, როცა მონადირეებს მოაქვთ. ის დამე გახსოვს, ნანადირევი რომ მოიტანეს ნადირობის შემდეგ? რამდენი დაზვინდა ყასბის ეზოში.

კირამ ცხვირი შეჭმუნა, თან იხსენებდა.

- რა სუნია... მაგრამ, თომას...

ბიჭი შეკითხვას ელოდა. დღეს ვახშმად ჰქონდათ ხორცის სქელი სოუსი. მის გვერდით, თეფშზე, წვრილად შემწვარი კარტოფილიც იდო.

კირამ ამ ხორცზე მიუთითა.

- ეს მონადირეების მოტანილია. კურდღელი უნდა იყოს...

გრავიორი თავის დაქნევით დაეთანხმა.

- მონადირეებს თითქმის ყოველთვის ველური კურდღლები ან ფრინველები მოაქვთ. დიდი ზომის არაფერია ხოლმე.

- ირმებიც იყო. ორი ირემი ვნახე ყასაბთან.

- მაგრამ ირმები ნაზი და მფრთხალი არსებებია. მონადირეებს ბრჭყალებიანი ან ეშვებიანი არაფერი მოაქვთ. არასოდეს იჭერენ ისეთ რამეს, რასაც მხეცი შეიძლება დაერქვას.

თომასს გააჟრჟოლა.

- საბედნიეროდ. მხეცმა შეიძლება მოგვლას.

კირას გაახსენდა მამა, რომელიც მხეცებმა გაიტაცეს.

- ანაბელა ამბობს, ტყეში მხეცები არ არიანო, - გაანდო კირამ.

- არც ერთი? - თომასი შეფიქრიანდა.

- ჰო, ეგრე თქვა.

- მატივით ლაპარაკობს? - თომასს არასოდეს ენახა მოხუცი მღებავი.

კირამ თავი დააქნია:

- დაახლოებით. შეიძლება ისიც ფენში გაიზარდა.

ცოტა ხანს ჩუმად ჭამდნენ. მერე კირამ ისევ იკითხა:

- მაშ, შენ არასოდეს გინახავს ნამდვილი მხეცი?

- არა, - აღიარა თომასმა.

- არც იცნობ ვინმეს, ვისაც უნახავს?

ბიჭი ცოტა ხანს დაფიქრდა, მერე თავი გააქნია:

- შენ?

კირა მაგიდას ჩასცქეროდა. ყოველთვის უჭირდა ამაზე ლაპარაკი, დედასთანაც კი.

- მამაჩემი მხეცებმა გაიტაცეს, - უთხრა თომასს.

- ეგ შენ თვითონ ნახე? - ჰკითხა შეშფოთებულმა.

- არა. მე ჯერ დაბადებულიც არ ვიყავი.

- დედაშენმა ნახა?

კირა შეეცადა, გაეხსენებინა დედას მონათხრობი.

- არა, არ უნახავს. მამა სანადიროდ წავიდა. ყველა ამბობს, ჩინებული მონადირე იყო. მაგრამ აღარ დაბრუნდა. დედაჩემს ამბავი მოუტანეს: მხეცები მისცვივდნენ და გაიტაცესო.

შეფიქრიანებული კირა თომასს მიაჩერდა:

- ანაბელა კი ამბობს, მხეცები არ არიანო.

- საიდან იცის? - ჰკითხა თომასმა.

- ის ოთხი მარცვალაა, თომას. ვინც ოთხ მარცვლამდე ცოცხლობს, ყველაფერი იცის.

თომასმა თავი დაუქნია თანხმობის ნიშნად, მერე დაამთქნარა. დიდიდან ბევრი იმუშავა. იარაღი ისევ მაგიდაზე ეწყო: პატარა საჭრეთლები, რომლებითაც ხელახლა გულდასმით ჭრიდა, ფორმას უცვლიდა გლუვ, გაცვეთილ ადგილებს მომღერლის ოსტატურად გამოკვეთილ კვერთხზე. ეს იყო ფაქიზი სამუშაო, შეცდომის უფლება არ ჰქონდა. კირას გაუმხილა, ხშირად მტკივდება თავი და ხშირად ვჩერდები თვალების დასასვენებლადო.

- წავალ, რომ დაისვენო, - უთხრა გოგონამ, - დაძინებამდე ჩემი რამეებიც ასალაგებელი მაქვს.

თავის ოთახში დაბრუნდა, დერეფნის მეორე ბოლოში და მაგიდაზე გაშლილი მანტია დაკეცა. მთელი ნაშუადღევი, ტყიდან დაბრუნების შემდეგ, დაგვირისტებას მოანდომა. ესეც უჩვენა ჯემისონს, როგორც ყოველდღე უჩვენებდა და იმანაც მოწონებით დააქნია თავი. ახლა კირა დადლილი იყო. ყოველდღე მღებავის ქოხში სიარული არაქათს აცლიდა, თუმცა, სუფთა ჰაერი კირას ამშვიდებდა და ენერგიით მუხტავდა. თომასიც უფრო მეტ დროს უნდა ატარებდეს გარეთო, იფიქრა კირამ. მერე თავისთვის გაეცინა: მკაცრი დედასავით ვფიქრობო.

წყლის გადავლების შემდეგ (როგორ შეხაროდა თბილ წყალს ახლა!) კირამ უბრალო ღამის ხალათი მოისხა, ყოველდღე რომ მოჰქონდათ გაწკრივებული. მერე გრავირებულ ყუთთან მივიდა, ფთილა ამოიღო და საწოლში გაიყოლა. ბილიკისპირა ბუჩქებში დამალული რაღაცის შიში ჯერაც არ გაჰქრობოდა და ძილის მოლოდინშიც ამაზე ფიქრობდა.

მაშ, სიმართლეა, რომ ტყეში მხეცები არ არიან? ფიქრი ამ კითხვას დასტრიალებდა და გონებასაც ჩურჩულით უპასუხა, როცა დახვეული ქსოვილი თბილად ჩაიყუჟა მის ხელისგულში.

„არა, არ არიან.“

მაშ, რა დაემართა მამაჩემს? კირამ ძილში შეცურა და სიტყვები ფიქრებიდან გამოსრიალდა. მერე კი ეს კითხვა ესიზმრა, როცა რბილად და თანაბრად სუნთქავდა ბალიშზე თავმიდებული.

ქსოვილმა თითქოს უპასუხა, მაგრამ ეს იყო მხოლოდ თრთოლა, თითქოს კირას ნიავმა დაუბერა და ეს აღარ ეხსომებოდა გამთენიისას გაღვიძებულს. ფთილამ რაღაც უთხრა მამას შესახებ, რაღაც ისეთი, რასაც აზრი და მნიშვნელობა ჰქონდა. მაგრამ ეს ცოდნა გოგონას ძილმა წაართვა, სიზმარივით შეთრთოლდა და დილით აღარ ახსოვდა, რას გრძნობდა ღამით.

12

როცა წამოდგომის ზარმა ჩამოჰკრა, კირამ გაიღვიძა იმ განცდით, რომ რაღაც შეიცვალა. ხვდებოდა, რომ რაღაც სხვაგვარად იყო, მაგრამ არ იცოდა, რა. წუთით საწოლის კიდეზე ჩამოჯდა, მაგრამ რაკი ვერაფერი გაიხსენა, ფიქრი შეწყვიტა. იცოდა: ზოგჯერ დაკარგული ხსოვნა და დავიწყებული სიზმარი უფრო ადვილად ბრუნდებოდა, თუკი მათზე აღარ იფიქრებდი.

გარეთ ავდარი იყო. ქარი არხევდა ხეებს და მძიმე წვიმის ფარდას შენობას ახლიდა. მკვრივი ნიადაგი წუხელ ტალახად ქცეულიყო და კირა მიხვდა, რომ ღღეს მღებავთან ვერ წავილოდა. ძალიანაც კარგიო, გაიფიქრა. ბევრი სამუშაო ჰქონდა, შემოდგომის დასაწყისი, ანუ შეკრების ჟამი კი ახლოვდებოდა. ბოლო ხანს ჯემისონ ხანდახან ღღეში ორჯერაც კი შემოდებოდა კირას მუშაობის შედეგის სანახავად და ეტყობოდა, რომ კმაყოფილი იყო გოგონას მუშაობით.

- აქ, - უთხრა გუშინწინ და ხელი გადაატარა დიდ, ცარიელ ადგილს, - დაიწყებ საკუთარ სამუშაოს. წლევანდელი შეკრების შემდეგ, როცა რესტავრირება უკვე დამთავრებული გექნება, წლების განმავლობაში ამ მონაკვეთზე იმუშავებ.

კირა შეეხო მანტიის იმ ადგილს, სადაც ჯემისონს ხელი ედო. სცადა, მიმხვდარიყო, გრძნობდნენ თუ არა მისი თითები მაგიას ამ ადგილას, მაგრამ იქ მხოლოდ სიცარიელე იყო, და მისი ამოვსების საჭიროების შეგრძნება.

თითქოს ჯემისონმა იგრძნო კირას გაურკვევლობა და გაამხნევა:

- ნუ ღელავ. ჩვენ აგიხსნით, რისი გამოსახვა გვსურს მანდ.

გოგონამ არ უპასუხა. ამ კაცის გამხნევება თითქოს უფრო ტვირთად დააწვა. კირას ინსტრუქცია კი არ სჭირდებოდა, არამედ თავისი ხელების ჯადოსნური ძალა.

რაკი ის საუბარი ახსოვდა, უცერად აზრად მოუვიდა: „ჯემისონ! შემოიძლია ვკითხო მხეცების შესახებ!“ მან ხომ უთხრა: იმ ღღეს მეც ვმონაწილეობდი ნადირობაში და შევესწარი მამამუნის სიკვდილსო.

და იქნებ მატისთვისაც ეკითხა. ამ პატარა ველურს, უეჭველია, ხშირად გადაუკვეთია საზღვრები და გასულა იმ ადგილებში, სადაც ბავშვები არ უნდა მიდიოდნენ. გოგონას მატისა და მისი

გიჟმაჟობის გახსენებაზე ჩაეცინა. ეს ბიჭი ყველაფერს უთვალთვალებდა, ყველაფერი იცოდა. კირას და თომასს რომ არ შეეჩერებინათ, კაცებს გაჰყვებოდა სანადიროდ და თავს საფრთხეში ჩაიდებდა. ალბათ, უწინაც უქნია ეს.

იქნებ მატს უნახავს მხეცები.

როცა მომვლელი მოვიდა და საუზმე მოიტანა, კირამ სთხოვა, სინათლეს ნუ ჩააქრობო. ავდარმა ოთახი ჩააბნელა იმ ფანჯარასთანაც კი, სადაც გოგონა იჯდა და მუშაობდა. ბოლოს წინ მანტია გაიშალა და ჩარჩოს შესაკეთებელი მონაკვეთი მოარგო. როგორც აქამდეც ხშირად უქნია, თვალებით და თითებით გაუყვა მანტიაზე დასურათბატებულ მსოფლიოს რთულ ისტორიას. ეს იყო საწყისი წერტილი, უკვე დიდი ხნის შეკეთებული: მწვანე წყალი, მუქი ფერის მხეცები მის ნაპირზე და ნადირობისგან გასისხლიანებული კაცები. შორს მოჩანდა სოფლები ათასნაირი საბინადროთი. კოცონებიდან ამავალ კვამლის გრაგნილებს მქრქალად ფერავდა მეწამულ-ნაცრისფერი. ამას ვერ შეაკეთებდა, რადგან შესაფერისი ძაფები კირას არ ჰქონდა. იფიქრა, რეჰანით იქნება შეღებილიო, ანაბელამ კი გაუმხილა, რა ძნელი მისაღები იყო რეჰანის საღებავი და როგორ ალაქავებდა ხელებს.

მერე ცეცხლის ჩახვეული, მბრუნავი ნაფლეთები: ნარინჯისფერი, წითელი, ყვითელი. აქა-იქ მანტიაზე სწორედ ეს ცეცხლი ჩნდებოდა, ნგრევის გამომსახველი. ცეცხლის მბრწყინავ ქარგაში კირა ხედავდა ადამიანთა ფიგურებს: განადგურებულ ხალხს, მათ პაწია სოფლებს, რომლებიც ინგრეოდა, მერე კი უფრო დიდ, მდიდრულ ქალაქებს - ცეცხლისგან გადამწვარ-გაპარტახებულს. მანტის ზოგიერთი ადგილი ბადებდა განცდას, რომ მთელი სამყარო ნადგურდებოდა. და მაინც: საღდაც, ახლოს, ყოველთვის იბადებოდა ახალი სამყარო, ახალი ხალხი.

ნგრევა. ისევ შენება. ისევ ნგრევა. ისევ ზრდა. კირა ამ სცენებს ხელით მიჰყვებოდა. ციკლი მუდმივი იყო და ისეთი ცოცხალი, რომ ქარგამ ტალღისებრი მოძრაობა დაიწყო ზემოთ-ქვემოთ. პატარა კუნჭულიდან, სადაც ეს დაიწყო და სადაც პირველად დაინგრა რაღაც, ყველაფერი თანდათან გაფართოვდა. ცეცხლი ისევე იზრდებოდა, როგორც სოფლები, მაგრამ ყველაფერი მაინც პაწაწინა იყო, უმცირესი გვირისტებითა და გვირისტების კომბინაციებით შექმნილი, კირა კი ხედავდა, როგორ იზრდებოდა ქარგა და მატულობდა ნგრევა, რთულდებოდა ყველაფრის ადღგენა.

საუკეთესო იყო სიმშვიდის ამსახველი ფრაგმენტები. უამრავი შეფერილობის პაწაწკინტელა ყვავილები ოქროსდაფებიანი მზის სინათლით დასერილ მდელოებზე ყვავდა. ადამიანები გულში იკრავდნენ ერთმანეთს. მშვიდობიანი პერიოდების ქარგა უსაზღვროდ მშვიდი ჩანდა სხვა პერიოდების მტანჯველ ქაოსთან შედარებით.

თითით მიჰყვებოდა თეთრ თუ მოვარდისფრო ღრუბლებს ნაცრისფერი ან მწვანე ცის ფონზე და ისევ ლურჯს ნატრობდა. სიმშვიდის ფერს. რა თქვა ანაბელამ? ლურჯი იქა აქვთო? რას ნიშნავდა ეს? ვინ იყვნენ ისინი? და სად იყო „იქ“?

აი, ისევ პასუხგაუცემელი კითხვები.

წვიმის დიდი ნაკადი თქრიალით ეხლებოდა ფანჯარას და კირას ყურადღებას უფანტავდა. გოგონამ ამოიოხრა და თვალი გააყოლა ქარში გადახრილ და მოქანავე ხეებს. შორს ჭექა-ქუხილი გრგვინავდა.

კირას აინტერესებდა, სად იყო მატ, რას აკეთებდა ამ ამინდში. იცოდა, რომ ჩვეულებრივი ხალხი - ისინი, ვინც ცხოვრობდა იმ ადგილთან ახლოს, სადაც კირას და დედას თავიანთი ქოხი ედგათ - დღეს შინ იქნებოდა, კაცები - მოღუშული და გაღიზიანებუ-

ლი, ქალები - ხმამაღლა მოწუწუნე, რაკი ამინდმა თავიანთ საქმეებს მოსწყვიტა. სახლში გამომწყვდეული ბავშვები ჯერ იჩხუბებდნენ, მერე კი იღნავლებდნენ, თავ-თავიანთი დედების ხელუკუღმა შემოლაწუნების პასუხად.

კირას ცხოვრება კი, თავის დაქვრივებულ, ტკბილმოზუბარ დედასთან, სხვანაირი იყო. ესეც გამოარჩევდა კირას სხვებისგან და ვანდარას მსგავსთ მათ მიმართ მტრულად განაწყობდა.

- კირა! - გაიგონა თომასის ხმა და კარზე კაკუნი.

- შემოდი.

ბიჭი შემოვიდა და ფანჯარასთან გაჩერდა, წვიმის მაცქერალი.

- ახლა ვფიქრობდი, რას შვრება მატ ასეთ ამინდში-მეთქი, - თქვა კირამ.

თომასს გაეცინა.

- ჰოო, მაგაზე შემოძლია გიპასუხო: ახლა ზის და ჩემს საუზმეს მიირთმევს. დილას მომადგა გალუმპული. დედამ გამომადგო, ძალიან ვხმაურობ და ვაწუხებო. ვფიქრობ, სინამდვილეში, საუზმე უნდოდა.

- ბრანჩიც აქ არის?

- ბრანჩიც, რასაკვირველია.

თითქოს ამის პასუხად დერეფნიდან ძაღლის თათების პაკაპუკი მოესმათ. ოთახის შემოსასვლელში გამოჩნდა ბრანჩი - შემართული თავით, დაცქვეტილი ყურებით და მონდომებით აქიცი-ნებული კუდის ნაგლეჯით. კირამ ჩაიმუხლა და ყურს უკან მოფხანა.

- კირა, - გრავიორი ისევ წვიმას გასცქეროდა.

- ჰო... - გოგონამ ამოხედა.

- ისევ მომესმა ღამით. ამჯერად ეჭვი არ მეპარება, ბავშვი ტიროდა. ხმა, მგონი, ქვედა სართულიდან ამოდიოდა.

კირამ შეხედა. ბიჭი მართლაც შეფიქრებულ იყო.

- მაინტერესებს, კირა, - უთხრა ყოყმანით, - წამომყვები? დავ-
ზვეროთ. იქნებ მხოლოდ ქარი ზუზუნებდა.

ქარი მართლაც არ ცხრებოდა. ხის ტოტები შენობას ეხეთქე-
ბოდა და ფოთლები ქვემოთ ტრიალ-ტრიალით მოფრინავდა.
თუმცა, ქარიშხლის ხმას არაფერი ჰქონდა საერთო მტირალი ბავ-
შვის ხმასთან.

- იქნებ ცხოველია? - ჰკითხა კირამ. - გამიგონია კატების ისე-
თი კნავილი, თითქოს ჩვილებს ჭვალი უვლით მუცელშიო.

- კატები? - გაიმეორა თომასმა იჭვნულად, - ჰო, შეიძლება.

- ან ციკანი? მათი ხმაც ტირილს ჰგავს.

თომასმა თავი გააქნია:

- ეს თხა არ იყო.

- ჰოდა, არავის უთქვამს, გარკვევა არ შეიძლებაო, - თქვა კი-
რამ, - ყოველ შემთხვევაში, ჩემთვის.

- არც ჩემთვის.

- კეთილი, მაშინ მოგყვები. დღევანდელი სინათლე მაინც არ
კმარა სამუშაოდ, - კირა წამოდგა, ბრანჩი მომლოდინედ იგრიხე-
ბოდა, - მატს რა ვუყოთ? ალბათ, თან უნდა წავიყვანოთ.

- სად უნდა წამიყვანოთ? - შემოსასვლელში გამოჩნდა მატ:
ნოტიო თმით, შიშველი ფეხებით, ნიკაპზე მიკრული პურის ნამცე-
ცებით და ჯემით მოთხვრილი ტუჩის კუთხეებით. თომასის ნაქსო-
ვი პერნაგი ეცვა, მეტისმეტად დიდი, - რამე ფათერაკი გველოდე-
ბა?

- მატ, - კირას გაახსენდა, რომ ეს უნდა ეკითხა, - ოდესმე გი-
ნახავს მხეცი? ნამდვილი და ცოცხალი?

ბიჭს სახე გაუნათდა.

- მილიონი და მილიონი!

მან მხეცის სახე მიიღო და კბილები დაკრიჭა. ღმუილიც ამო-
უშვა, ისე, რომ შეშინებული ძაღლი განზე გახტა.

კირამ თვალები დააბრიალა და თომასს შეხედა.

- მოდი, ბრანჩი, - მატმა მხეცის ნიღაბი ჩამოიხსნა და ძაღ-
ლთან ჩაცუცქდა, რომელიც ბიჭს მიუახლოვდა და დაყნოსა, - ვი-
ღაც ითხუპნება შენთვის.

იღიმებოდა, როცა ძაღლი საუზმის ნარჩენებს ულოკავდა სა-
ხიდან.

- ჰო, ჩვენ ხიფათის საძებნელად მივდივართ, - თქვა კირამ
და მანტიას ქსოვილი დააფარა, - ვიფიქრეთ, აქაურობა დავათვა-
ლიეროთ. არასოდეს ვყოფილვართ ქვედა სართულზე. მატს სი-
ამოვნებისგან თვალები გაუბრწყინდა.

- წუხელ ხმაური გავიგონე, - აუხსნა თომასმა, - ალბათ, არა-
ფერია, მაგრამ მაინც გადავწყვიტეთ, ვნახოთ.

- ხმაური არაფერია, - განაცხადა მატმა.

„მართალია,“ - გაიფიქრა კირამ.

- ალბათ, არაფერია მნიშვნელოვანი, - შეასწორა თომასმა.

- მაგრამ იქნებ საინტერესო იყოს! - თქვა მატმა მხიარულად.

სამივე, ძაღლიანად, დერეფანს გაუყვა კიბისკენ.

13

ჩვეულებრივ, ბრანჩი მკვირცხლად დახტოდა ხოლმე წინ და
უკან. წინ მიდიოდა, მერე ისევ ბრუნდებოდა, ამ დილით კი უფრო
ფრთხილი იყო და უკან მიჰყვებოდა მეგობრებს. შორს ცა ისევ გრუ-
ხუნებდა და დერეფანშიც ბინდბუნდი ჩამოწოლილიყო. წინ თომას
მიაბიჯებდა. ძაღლის თათ-ბრჭყალი შორენკეცზე მიბაკუნობდა,
მატის შიშველი ფეხები ჩუმად მოჰყვებოდა გვერდით. განსხვავე-

ბულ ბგერას კირას ჯოხი გამოსცემდა, ყრუდ რომ კაკუნობდა ყოველი ნაბიჯის გადადგმაზე, და მისი მოღრეცილი ფეხი, რომელსაც იატაკზე მიათრევდა.

ზედა სართულის მსგავსად, სადაც ისინი ცხოვრობდნენ, აქაც ცარიელი ღერეფანი იყო, რომლის გაყოლებაზე ჩამწკრივებულიყო ხის დაკეტილი კარები.

თომასმა კუთხეში შეუხვია და მაშინვე უკან გადმოხტა, როგორც რადაციით შეშინებული. სხვები - ძაღლიც კი - ადგილზე გაქვავდნენ.

- ჩჩჩ! - ანიშნა თომასმა ტუჩებთან მიტანილი თითით.

წინ, მოსახვევის იქით, ნაბიჯების ხმა გაიგონეს, მერე კაკუნი, კარის გაღება, ლაპარაკი. ეს ხმა და ინტონაცია - სიტყვები მკაფიოდ არ ისმოდა - კირას ეცნო.

- ჯემისონია, - გადაუჩურჩულა თომასს. იმან თავი დაუქნია და ღერეფნის კუთხიდან ფრთხილად გაიქცა.

კირამ გაიფიქრა, რომ ჯემისონ - მისი დამცველი - პასუხისმგებელი იყო მის ამ ახალ ცხოვრებაზე, ამიტომ ვერ ხვდებოდა, რატომ უნდა დამალულიყვნენ, თუმცა, მაინც შეშინდა.

ფეხისწვერებზე აიწია, თომასთან მივიდა და მის გვერდით დაიხარა. აქედან ჩანდა, რომ ერთ-ერთი კარი ღია იყო. შიგნიდან ხმები ისმოდა. ერთი ხმა ჯემისონისა იყო, მეორე - ბავშვის.

პატარამ წაიტირა კიდეც.

ჯემისონ ლაპარაკობდა.

მერე კი, მოულოდნელად, ბავშვი ამღერდა.

ნათელი, მაღალი ხმა ჰაერში ლივლივებდა. სიმღერას ტექსტი არ ჰქონდა, მხოლოდ ხმა ისმოდა, საკრავის მსგავსად წკრი-ალა. ის ნელ-ნელა ზემოთ იწევდა, მაღალ ნოტს მიაღწია და იქ ქანაობდა კარგა ხანს.

კირამ იგრძნო, რომ სამოსზე ვიღაც ეჭიდებოდა. ქვემოთ დაიხედა. თვალეზგაფართოებული მატ გვერდით ედგა და კაბაზე ექაჩებოდა. კირამ ანიშნა, ჩუმად იყავიო.

მერე სიმღერა უეცრად შეწყდა და ბავშვი ისევ ატირდა.

მოესმათ ჯემისონის ხმა. ამჯერად მკვანედ ლაპარაკობდა. კირას არასოდეს უნახავს ასე მოლაპარაკე ჯემისონი.

კარი ჯახუნით მიიკეტა და ხმებიც ჩაიხშო.

მატ ისევ ექაჩებოდა. კირა დაიხარა, რათა ბიჭს შესძლებოდა, ჩურჩულით ეთქვა, რის თქმაც სურდა.

- ეგ ჩემი მეგობარია, - თქვა სერიოზულად, - ნამდვილი მეგობარი არაა, რადგან მე და ჩემი ძმაკაცები ვერ ვიტანთ გოგოებს, მაგრამ მე ვიცნობდი მაგას. ფენში ცხოვრობდა.

თომასიც უსმენდა.

- ის, ვინც მღეროდა? - ჰკითხა მატს.

იმან დარწმუნებით დაუქნია თავი.

- მისი სახელია ჯო. ყოველთვის მღეროდა ფენში. არასოდეს მსმენია, ასე ეტიროს.

- ჩჩჩ! კირამ მატის გაჩუმება სცადა, მაგრამ ის ვერ ჩერდებოდა, - დავბრუნდეთ, - თქვა კირამ, - ჩემს ოთახში ვილაპარაკოთ.

ამჯერად წინ ბრანჩი მიდიოდა. ბედნიერი იყო, რომ ბრუნდებოდნენ და რაკი საუზმემ უკვე ჩაიარა, ახლა ზედმეტი საჭმლის მოლოდინი ახალისებდა. ფენაკრეფით აუყვანენ საფეხურებს.

კირას ბინაში უსაფრთხოდ თავდაგულებული მატ საწოლზე ჩამოჯდა, შიშველი ფეხები ააქანავა და მომღერალი გოგონას ამბავს მოჰყვა.

- ჩემზე ცოტათი უმცროსია, - ამ სიტყვებზე საწოლიდან ჩამოხტა და ხელი მხრის სიმაღლეზე დაიჭირა, - დაახლოებით ამსიმაღლე. ყველა ბედნიერი იყო ფენში მისი სიმღერით.

მერე ისევ საწოლზე აძვრა, ბრანჩიც აჰყვა და მრგვლად დაეხვია კირას ბალიშზე.

- მაგრამ აქ საიდან მოხვდა? - იკითხა საგონებელში ჩავარდნილმა კირამ.

მატმა დიდივით საქმიანად აიჩეჩა მხრები.

- ობოლია. მაგის დედიკო და მამიკო, ორივე მოკვდა.

- ორივე? ერთდროულად? - კირამ და თომასმა ერთმანეთს გადახედეს. ორივემ იცოდა, რაც იყო დანაკარგი. მაგრამ ნუთუ ეს უბედურება სხვა ბავშვსაც დაემართა?

მატმა სერიოზულად დაუქნია თავი. მოსწონდა ინფორმატირად ყოფნა.

- ჯერ დედა გაუხდა ავად. მერე მზიდავებმა დედამისი ველზე წაიყვანეს და მამამისი სულის სანახავად წავიდა...

კირა და თომასი თავის დაქნევით დაეთანხმნენ.

- ჰოდა, - განაგრძო მატმა, რომელმაც სევდიანი გამომეტყველება მიიღო, - მამამისი ისეთი დანადგლიანებული იყო ველზე, ისეთი, რომ თავისი წვეტიანი ჯოხი აიღო და გულში შეირჭო. რა ვიცი, ყველა ასე ამბობს, - თქვა ბიჭმა, რომელიც ხედავდა, მისმა ნაამბობმა როგორ გააოგნა ორივე.

- მაგრამ მას შვილი ჰყავდა! ჰატარა გოგონა! - თქვა კირამ, რომელსაც დაუჯერებლად მიაჩნდა, რომ მამას შეეძლო, ასეთი რამე ჩაედინა. მატმა ისევ აიჩეჩა მხრები და დაფიქრდა.

- იქნებ არ მოსწონდა თავისი გოგონა? - მეორე წამს კი შუბლი შეიჭმუნხნა და თქვა: - მაგრამ როგორ არ უნდა მოსწონებოდა, როცა ასე კარგად მდერის?

- როგორ მოხვდა აქ? - ჰკითხა თომასმა, - აქ რას აკეთებს?

- მითხრეს, რომ მიუციათ ვიდაცისთვის, ვისაც მეტი შვილები სჭირდებოდა, - აუხსნა მატმა.

კირა დაეთანხმა.

- ობლები მუდამ სხვასთან მიდიან.
- თუკი... - დინჯად წარმოთქვა თომასმა.
- თუკი რა? - კირა და მატ ერთად შეეკითხნენ.
- თუკი არ მღერიან, - ამოღერდა თომასმა.

* * *

როგორც ყოველთვის, ჯემისონ ახლაც შუადღის შემდეგ შემოვიდა კირასთან. გარეთ ისევ წვიმდა. უშიშარი მატ მაინც გავიდა ძაღლთან ერთად თავისი ამფსონების სანახავად. თომას-გრავიორი თავის ბინაში იყო სამუშაოდ წასული. კირაც, რომელმაც მომვლელს სხვა ლამაზების ანთებინა, თავის სამუშაოს მისჯდომოდა და ნაშუადღევს შემდეგ გულდასმით აგვირისტებდა. ჯემისონის კაკუნი გოგონასთვის შვება იყო - მან ცოტა ხანს მუშაობა შეწყვიტა. მომვლელმა ჩაი შემოიტანა და ისინი კომპანიონებივით დასხდნენ ოთახში, სანამ წვიმა ფანჯრებს ურახუნებდა.

როგორც ყოველთვის, ჯემისონმა ახლაც გულდასმით დაათვალიერა კირას ნამუშევარი. სახე ისეთივე დაფიქრებული და სასიამოვნო ჰქონდა, როგორც მთელი ამ კვირების მანძილზე, ხმა - თავაზიანი და მეგობრული, როცა ერთად აკვირდებოდნენ გაშლილი მანტიის ნაკეცებს.

მაგრამ ქვედა სართულის ოთახში ჯემისონის მწარედ ნაჩურჩულეები სიტყვების გახსენებამ დააბრკოლა კირა - ეკითხა მომღერალი ბავშვის შესახებ.

- ძალიან დახვეწილი ნამუშევარია, - უთხრა ჯემისონმა, რომელიც წინ გადაიხარა იმ ადგილის კარგად დასანახავად, რომელიც კირამ სულ ახლახან დაამთავრა და რომელშიც საგულდაგულოდ მიუსადაგა ერთმანეთს რამდენიმენაირი ყვითლის ფაქიზი ტონები, უკანა ფონი კი შეცვალა პაწაწინა კვანძებიანი გვირისტებით, რომლებმაც მტკიცე და ორიგინალური ფაქტურა შექმნა.

- უკეთესია, ვიდრე დედაშენის ნახელავი, თუმცა, ისიც ჩინებული იყო. დედამ გასწავლა გვირისტის კეთება?

კირამ თავი დაუკრა:

- ჰო, უმეტესობის.

ის აღარ უთქვამს, სხვა გვირისტები თითქმის უსწავლელად რომ ეკარნახა მის თითებს. ტრაბახი გამოუვიდოდა.

- და ანაბელა მღებავმაც, - განაგრძო კირამ, - ჯერაც ბევრ ძაფს ვიყენებ მისას, თუმცა, მეც ვღებავ, როცა მასთან ვარ.

- ყველაფერი იცის მოხუცმა, - თქვა ჯემისონმა, რომელმაც დაუფარავი წუხილით დახედა კირას ფეხს, ძალიან გიჟირს სიარული? ოდესმე აქვე გვექნება ცეცხლის ორმოც და ქვაბებიც შენთვის. ქვემოთ სათანადო ადგილის მომზადებას ვფიქრობ.

ჯემისონმა ფანჯრისკენ ანიშნა, შენობასა და ტყისპირს შორის ადგილზე.

- არა. ღონიერი ვარ... - კირა შეყოყმანდა.

- ჰოო?

- თუმცა, ზოგჯერ მეშინია იმ ბილიკზე, - უთხრა კირამ, - ტყე ისე ახლოა...

- იქ არაფერია საშიში.

- მხეცები მაშინებენ, - აღიარა კირამ.

- ეგ გასაგებია. ნურასოდეს გადახვალ ბილიკიდან. მხეცები ბილიკთან არ მოვლენ.

ჯემისონის ხმა ისეთივე გამამხნევებელი იყო, როგორც სასამართლო პროცესის დროს.

- ერთხელ ღრენა მომესმა, - გაანდო კირამ და აცანცანდა კიდეც ამის გახსენებაზე.

- არაფერია საშიში, თუ გზიდან არ გადახვალ.

- ანაბელამაც ეგ მითხრა, არაფერია საშიშიო.

- ის ოთხმარცვლიანი სიბრძნით ლაპარაკობს.

- მაგრამ, ჯემისონ... - რატომღაც კირას ეჩოთირებოდა ამის თქმა. იქნებ იმიტომ, რომ არ უნდოდა საეჭვო გაეხადა მოხუცი ქალის ცოდნა. მაგრამ ახლა, ჯემისონის ინტერესითა და ზრუნვით გამხნეებულმა, გაუზიარა მას გამოგნებელი რამ, ასეთი დარწმუნებით რომ უთხრა მოხუცმა მღებავმა: - ანაბელამ თქვა, მხეცები არ არსებობენო.

კაცმა უცნაურად შეხედა. მისი გამომეტყველება განცვიფრებისა და გულისწყრომის ნაზავი იყო.

- არ არსებობენო? ასე თქვა?

- მხეცები არ არსებობენო, - გაიმეორა კირამ, - ზუსტად ასე თქვა რამდენჯერმე.

ჯემისონმა მაგიდაზე დაუშვა მანტიის ის ფრაგმენტი, რომელსაც ათვალიერებდა.

- ანაბელა ძალიან მოხუცია, - თქვა მტკიცედ, - მისთვის საშიშია ასეთი ლაპარაკი. უკვე გონება ერევა.

კირამ იჭვნულად შეხედა. კვირების განმავლობაში დადიოდა მღებავთან. მცენარეთა ნუსხა, თითოეული მათგანის მრავალმხრივი დანასიათება, ღებვის პროცესის დეტალები - მან ყველაფერი ზუსტად იცოდა და კირას მისი ნათელი გონება აკვირვებდა კიდევ.

შეიძლებოდა თუ არა, მოხუც ქალს სცოდნოდა ისეთი რამ, რაც სხვამ - ჯემისონის სტატუსის მქონემაც კი - არ იცოდა?

- თქვენ თუ გინახავთ მხეცები? - ჰკითხა გოგონამ ჭოჭმანით.

- ძალიან, ძალიან ბევრჯერ. ტყეები სავსეა მხეცებით, - თქვა ჯემისონმა, - ნურასოდეს გასცდები სოფლის საზღვრებს. ნუ გადაუხვევ ბილიკს.

კირამ სახეში შეხედა. ძნელი იყო ჯემისონის გამომეტყველების ამოცნობა, მაგრამ ხმა - მტკიცე ჰქონდა და დამაჯერებელი.

- ნუ დაგავიწყდება, კირა, - განაგრძო მან, - მე ჩემი თვალით ვნახე, როგორ გაიტაცეს მამაშენი მხეცებმა. ეს ამაზრზენი იყო, საზარელი.

ჯემისონმა ამოიოხრა და თანაგრძნობით მოუთათუნა ხელი. მერე წასასვლელად შებრუნდა.

- მშვენივრად მუშაობ, - ისევ შეაქო.

- გმადლობ, - დაიჩურჩულა კირამ. როცა ხელი ჩაიყო ჯიბეში, სადაც საგანგებო ფთილა დაკეცილი ედო, ისევ გრძნობდა ჯემისონის შეხებას. მაგრამ ფთილის შეხებისას ნუგეში არ უგრძნია. როცა ჯემისონმა კარი გაიხურა, გოგონამ, ნუგეშისცემის მოლოდინში, ქსოვილს ხელი გადაუსვა, მაგრამ ის თითქოს გაერიდა კირას შეხებას - თითქოს აფრთხილებდა.

წვიმა უწინდებურად ასხამდა. შხაპუნის წიად, კირას სულ ერთი წამით მოეჩვენა, რომ ქვედა სართულიდან ბავშვის ქვითინი შემოესმა.

14

დილით მზე ჩახჩახებდა, მაგრამ კირა თავს ცუდად გრძნობდა მოუსვენარი ძილის შემდეგ. აღრიანად ისაუზმა და სანდლები საგულდაგულოდ შეიკრა ანაბელასთან წასასვლელად. იქნებ დილის ნათელ, წვიმისგან გაგრილებულ ჰაერს გოგონა გამოეცოცხლებინა და თავის ტკივილი გაეყუჩებინა.

თომასის კარი დაკეტილი დახვდა. ალბათ, გრავიორს ისევ ეძინა. არც ქვემოდან ისმოდა ხმა. კირა გარეთ გავიდა. შეხაროდა ნიავს, ნაავდრაღზე რომ უბერავდა და ჯერაც სველი, მოციმციმე ხეების არომატი მოჰქონდა. ამ სიომ თმა სახიდან გადაუყარა და უძილო ღამის სიმძიმეც ნელ-ნელა იკლო.

ხელჯოხზე დაყრდნობილი კირა მივიდა იმ ადგილამდე, სადაც, ჩვეულებრივ, სოფლიდან უხვევდა და ბილიკით შედიოდა ტყეში. საქსოვი ფარდული აქ ახლოს იყო.

- კირა! - დაუძახა ქალის ხმამ ფარდულიდან. მარლენა იყო, ნაადრევად გამოსულიყო დაზგასთან.

კირამ გაიღიმა, ხელი დაუქნია და გზიდან გადაუხვია ქალის მისასალმებლად.

- გვენატრები! ის ბავშვები, რომლებიც ახლა გვილაგებენ, ღმერთს არ უქნია. ძალიან ზარმაცები არიან, ერთმა კი გუშინ ლანჩი მომპარა, - მარლენამ სახე მოქუფრა გაცეცხლების ნიშნად და პედალს ფეხი ააცილა. კირამ იცოდა, რომ ამ ქალს ჭორაობა და ყბელობა უნდოდა.

- აი, ის საძაგელი ბავშვიც!

კირას ნაცნობი სველი ცხვირი შეეხო კოჭზე. გოგონა დაიხარა ბრანჩის მოსათათუნებლად და თვალი მოჰკრა მატს, რომელიც საქსოვი ფარდულის კუთხიდან უღიმოდა.

- ეი, შენ! - ბრაზიანად გასძახა მარლენამ და მატიც შეიმალა.

- მარლენა, ოდესმე ხომ არ იცნობდი ჰატარა გოგონა ჯოს? - ჰკითხა კირამ, რომელსაც გაახსენდა, რომ მქსოველი ქალი ფენში ცხოვრობდა.

- ჯო? - ქალი ისევ ფარდულის კუთხისკენ იყურებოდა იმ იმედით, რომ მას მოიხელთებდა და გალანძღავდა.

- ეი, შენ! - გასძახა ისევ, მაგრამ ონავარი ბიჭუნა ძალიან ჭკვიანიც იყო და რას გამოუჩნდებოდა!

- ჰო, მღეროდა.

- აა, ის მომღერალი ბავშვი! ჰო, ვიცნობდი, ოღონდ სახელი არ ვიცოდი. მაგრამ მის სიმღერას ყველა ვცნობდით! ჩიტვივით გალობდა.

- რა დაემართა?

მარლენამ მხრები აიჩეჩა და პედალზე ფეხი ისევ შეანელა.

- წაიყვანეს. მგონი, ვიღაცას მიაბარეს. დაობლდაო, მითხრეს.

წინ გადმოიხარა და ხმამაღლა აჩურჩულდა:

- ამბობენ, ჯადოქრობის წყალობით მღერისო, არავის უსწავლებია.

მარლენამ ფეხი გააჩერა და კირას ანიშნა, უფრო ახლოს მოდიო.

- გავიგე, რომ მისი სიმღერები ცოდნით სავსეა. ის სულ პატარა გოგოა, მაგრამ როდესაც მღერის, ისეთი რამის ცოდნას ამჟღავნებს, რაც ჯერ არ მომხდარა! მე თვითონ არასოდეს მომისმენია, მაგრამ ასე ამბობენ.

მარლენამ გაიცინა და ფეხები პედალზე აათამამა, რასაც დაზვის რიტმული მოძრაობა მოჰყვა. გოგონა დაემშვიდობა და ბილიკისკენ დაიძრა.

მატ ხის უკნიდან - თავისი სამალავიდან - გამოძვრა. კირამ უკან გაიხედა, მაგრამ მარლენა თავის დაზვას დაჰყურებდა და არც ერთი აღარ ახსოვდა.

- დღეს მომყვები? - ჰკითხა ბიჭს. - მეგონა, მოგბეზრდა მღებავის ქოხში ყოფნა.

- დღეს არ უნდა წახვიდე, - საზეიმოდ გამოუცხადა მატმა, მერე ძაღლს შეხედა და სიცილი აუტყდა: - უყურე! ბებერი ბრანჩი ხვლიკის დაჭერას ცდილობს!

კირამ გახედა და მასაც გაეცინა: ბრანჩი, რომელმაც პატარა ხვლიკს ხემდე მისდია, ახლა იმედგაცრუებული უყურებდა, როგორ ასრიალდა ის ძაღლისთვის მიუწვდომელ ადგილას. ხვლიკმა ქვემოთ ჩამოიხედა და სველი, ხანჯლისმაგვარი ენა წინ და უკან ააქანავა. კირამ ერთ წამს უყურა და ისევ მატს მოუბრუნდა.

- რატომ არ უნდა წავიდე? გუშინდელი დღე წვიმამ გამაცდენინა. მოხუცი მელოდება.

მატს საზეიმო იერი ედო.

- ის ვეღარავის დაელოდება. ველზე გავიდა მზის ამოსვლისას. მზიდავებმა წაიყვანეს. მე დავინახე.

- ველზე? რას ამბობ, მატ?! ის ვერ ივლიდა თავისი ქონიდან ველამდე. იქამდე ძალიან შორია, ის კი - ძალიან მოხუცი. არც ინდომებდა.

მატმა თვალები დაუბრიალა:

- მე არ მითქვამს, რომ იმას უნდოდა! ვთქვი, რომ წაიყვანეს! ის მკვდარია!

- მკვდარი? ანაბელა? როგორ? - კირა გაშტერებული იდგა. მოხუცი ორი დღის წინ ნახა. ჩაიც დალიეს ერთად.

მატმა კირას შეკითხვა პირდაპირი მნიშვნელობით გაიგო.

- როგორ და ასე! - ბიჭუნა მიწაზე დაენარცხა და გაშეშდა ხელებგაშლილი, თვალღია, ზემოთ მიმართული ცარიელი მზერით. ბრანჩმა ცნობისწადილით მიაღო ცხვირი ყელზე, მაგრამ ბიჭი არ განძრეულა.

კირა შეშინებული უყურებდა სიკვდილის ამ გროტესკულ, თუმცა, ზუსტ მიბაძვას.

- გეყოფა, მატ! - თქვა ბოლოს. - წამოდექი! ნუ შვრები მაგას!

მატ წამოჯდა და ძაღლი კალთაში ჩაისვა. მერე თავი გადახარა და ცნობისწადილით შეხედა კირას.

- ალბათ, მის რაღაცებს შენ მოგცემენ, - აუწყა.

- დარწმუნებული ხარ, რომ ეს ანაბელა იყო?

მატმა თავი დაუქნია.

- დავინახე მისი სახე, როცა ველზე მიყავდათ, - ისევ განასახიერა სიკვდილი ცარიელი მზერით.

კირამ ტუჩზე იკბინა და ბილიკს ზურგი აქცია. მატს სიმართლე უთქვამს: ახლა ტყეში არ შეისვლებოდა. აბა, სად წასულიყო? არც ეს იცოდა. წავალ და თომასს გავაღვიძებო, იფიქრა. მაგრამ რისთვის? მას არასოდეს უნახავს მოხუცი მღებავი.

ბოლოს მოტრიალდა და გამოხედა დიდი საბჭოს შენობას, რომელშიც ცხოვრობდა. კარი, რომლითაც შედი-გადიოდა, შენობის გვერდითა ფრთაში იყო. ფასადის დიდი კარიდან მხოლოდ იმ სასამართლო პროცესის დღეს შევიდა, რამდენიმე კვირის წინ. საბჭოს მეურვეებს დღეს, ალბათ, დიდ ოთახში, სადაც კირას პროცესი გაიმართა, შეხვედრა არ ექნებოდათ, მაგრამ ჯემისონ მაინც იქ იქნებოდა. მოვძებნიო, გადაწყვიტა კირამ. მას ეცოდინება, რა მოხდა, და მეტყვის, ახლა რა ვქნაო.

- არა, მატ, - უთხრა, როდესაც ის უკან აედევნა.

ბიჭს სახე წაუხდა, რადგან ეგონა, ფათერაკი იწყებოდა.

- წადი თომასთან და გააღვიძე, - უთხრა კირამ, - უამბე, რა მოხდა. უთხარი, რომ ანაბელა მოკვდა და მე ჯემისონის მოსაძებნად წავედი.

- ჯემისონის? ეგ ვინაა?

გოგონა გააოგნა მატის კითხვამ. ჯემისონ კირას ცხოვრების ისეთ მნიშვნელოვან ნაწილად იქცა, სულ გადაავიწყდა, რომ შეიძლებოდა, მატს ამ კაცის სახელი არ სცოდნოდა.

- ეს არის მეურვე და დამცველი, რომელმაც პირველმა მომიყვანა ჩემს ოთახში, აუხსნა კირამ, - გახსოვს? ძალიან მაღალი, შავტუხა კაცი? იმ დღეს შენც ჩვენთან იყავი.

- მუდამ დააქვს თომასის ერთ-ერთი გრავიურა, - დაამატა შემდეგ, - ძალიან კარგი გრავიურაა, ტოტებგაშლილი ხის ფორმის.

ამაზე მატმა თავი დაუქნია.

- ვნახე! - თქვა მგზნებარედ.

- სად? - კირამ მიიხედ-მოიხედა. თუ ჯემისონ სადმე ახლოს იყო და კირა მას იპოვიდა, საბჭოს შენობაში ძებნა აღარ დასჭირდებოდა.

- იქ იყო, უყურებდა, გვერდით მოყვებოდა, როცა მზიდავებმა მოხუცი მღებავი ველზე წაიყვანეს, - თქვა მატმა.

აჰ, ესე იგი, ჯემისონმა უკვე იცოდა.

* * *

დერეფნები, როგორც ყოველთვის, მშვიდი იყო და დაბინდული. თავიდან კირა ფრთხილად მიაბიჯებდა, ცდილობდა, შეძლებსამებრ უხმაუროდ ევლო, რაც მისი ხელჯოხითა და ათრეული ფეხით იოლი არ იყო. მერე თავის თავს შეახსენა, არ ვიმალები და არც საფრთხე მემუქრებაო. უბრალოდ, ეძებდა კაცს, რომელიც მისი დამრიგებელი იყო დედამისის სიკვდილის შემდეგ. თუ გადაწყვეტდა, სახელითაც კი შეიძლებოდა მოეხმო, იმ იმედით, რომ იგი გაიგონებდა და უპასუხებდა, მაგრამ ასე ძახილი შეუფერებელი იქნებოდა და ამიტომაც კირა ხმის ამოუღებლად განაგრძობდა გზას.

როგორც ელოდა, დიდი დარბაზი ცარიელი დახვდა. იცოდა, რომ ამ დარბაზს მხოლოდ საგანგებო შემთხვევებისთვის იყენებდნენ: წლიური შეკრებების, სასამართლო პროცესების (მათ შორის - მისი პროცესის) და სხვა ცერემონიებისთვის, რომლებიც კირას არასოდეს ენახა. დიდი კარი ოდნავ შეაღო, შეიჭყიტა და უკან გამობრუნდა სხვაგან მოსაძებნად.

მორიდებით დააკაკუნა რამდენიმე კარზე. ბოლოს ერთი კარის შიგნიდან ხმამ უხეშად უპასუხა:

- ჰო!

გოგონამ კარი შეაღო და დაინახა ერთ-ერთი მომვლელი კაცი, რომელიც ვერ იცნო და რომელიც რაღაცას საქმიანობდა მაგიდასთან.

- ჯემისონს ვეძებ.

იმან მხრები აიჩეჩა:

- აქ არ არის.

ამას კირაც ხედავდა.

- ხომ არ იცით, სად შეიძლება იყოს? - იკითხა თავაზიანად.

- ალბათ, ფლიგელში, - უთხრა მომვლელმა და ისევ თავის სამუშაოს ჩახვდა. როგორც ჩანდა, ფურცლებს ახარისხებდა.

კირამ იცოდა, რომ „ფლიგელი“ ერქვა შენობის იმ ფრთას, რომელშიც მისი საბინადროც იყო. შეიძლება მართლაც იქ იყო. ალბათ, ჯემისონიც ეძებდა კირას, რათა მისთვის მოხუცი ქალის სიკვდილის ამბავი ემცნო. ამ დილით ჩვეულებრივზე ადრე დაიწყო ყველაფერი, რაკი უნდოდა გუმინდელი წვიმის მიზეზით გაცდენილი დღე აენაზღაურებინა. თუ მოიცდიდა, შეიძლებოდა ჯემისონს ეპოვა, ეუწყებინა და აეხსნა ანაბელას სიკვდილის ამბავი და კირაც ადარ იგრძნობდა თავს ასე დაბნეულად და ასე მარტოდ.

- მაჰატიეთ, მაგრამ შემოიძლია, ისე გავიდე ფლიგელში, რომ გარეთ გასვლა ადარ დამჭირდეს ?

მომვლელმა აჩქარებით ანიშნა მარცხნივ:

- კარია ბოლოში.

კირამ მადლობა გადაუხადა, კაბინეტის კარი გამოიხურა და გრძელი დერეფნის ბოლოსკენ დაიძრა. ის კარი ჩაკეტილი არ იყო და როცა კირამ გააღო, ნაცნობი კიბე დაინახა. სწორედ მას ჩამოუყვავა ფეხაკრეფით თომასთან და მატთან ერთად გუმინდელი ქარიბხლის დროს. იცოდა: ეს კიბე აიყვანდა ზემოთ, თავის და თომასის ბინებამდე.

გაუნძრევლად იდგა და აყურადებდა. მომვლელმა თქვა, ჯემისონ სადმე ფლიგელში იქნებაო. მაგრამ აქ ჩამიჩუმი არ ისმოდა.

რატომდაც, იმის ნაცვლად, რომ კიბეს აჰყოლოდა თავისი ოთახისკენ, კირა პირველ სართულზე, იმ კუთხისკენ წავიდა, სადაც წინააღმდეგ თომასთან ერთად იმალებოდა და საიდანაც ორივენი

იჭყიტებოდნენ იმის დასადგენად, თუ საიდან მოდიოდა ბავშვის ტირილი. სიჩუმესა და სიცარიელეში კირამ კუთხეში შეუხვია და მიუახლოვდა კარს, რომელიც წინა ნაშუადღევს ღია იყო.

მიეყრდნო, ყური ხეს მიაღო და მიაყურადა, მაგრამ იქიდან არც ტირილი ისმოდა და არც სიმღერა.

ცოტა ხნის შემდეგ სახელური ჩამოსწია, მაგრამ კარი ჩაკეტილი აღმოჩნდა. ბოლოს - ძალიან ფრთხილად - დააკაკუნა.

შიგნიდან შრიალა ბგერა მოესმა, მერე - იატაკზე გადმოდგმული მსუბუქი ნაბიჯების ყრუ ხმა.

ისევ მიუკაკუნა ფრთხილად.

გაისმა სლუკუნი.

კირამ კარის წინ ჩაიმუხლა. მოღრეცილი მუხლით ძნელი იყო, მაგრამ მაინც დაიხარა, სანამ ჰირი ფართო გასაღების ჭრილს გაუთანაბრა და თბილად დაიძახა:

- ჯო!

- მე კარგად ვიქცევი, - უპასუხა ბავშვის შეშინებულმა, სასოწარკვეთილმა ხმამ, - ვვარჯიშობ.

- ვიცი, ვიცი, - უთხრა კირამ გასაღების ჭრილში. შიგნიდან მოკლე, მოცახცახე ქვითინი ისმოდა.

- მე შენი მეგობარი ვარ, ჯო. კირა მქვია.

- გთხოვ, დედიკო მინდა, - შეევედრა ბავშვი.

ძალიან ნორჩი ხმა ჰქონდა.

რატომღაც კირას გაახსენდა ბაკი, მის ძველ ნასახლარზე რომ აშენდა. ახლა იქ პატარებს ამწყვდევდნენ, ეკლიანი ბუჩქებით გარშემორტყმულებს. ეს სისასტიკეს ჰგავდა. თუმცა, ბავშვები მართო მაინც არ იყვნენ, ერთმანეთი ჰყავდათ, შეეძლოთ, გაეხედათ სქელ ფოთლიანში და გარშემო სოფლის ცხოვრება დაენახათ.

რატომ იყო ეს პატარა არსება ოთახში ჩაკეტილი სულ მართო?

- მე დავბრუნდები, - უთხრა კარს აქედან კირამ.

- დელიკოს მომიყვან? - ნორჩი ხმა გასაღების ჭრილთან ახლოს ისმოდა. კირა თითქმის გრძნობდა მის სუნთქვას.

მატმა უთხრა, ამ გოგონას დედ-მამა დაეხოცაო.

- დავბრუნდები, - გაუმეორა კირამ, - ჯო, მომისმინე.

ბავშვის სრუტუნი გაისმა. შორს, ერთი სართულით ზემოთ, კირამ კარის გაღების ხმა გაიგონა.

- უნდა წავიდე, - მტკიცედ ჩასჩურჩულა ჭრილში, - მაგრამ მომისმინე, ჯო, მე შენ დაგეხმარები, გპირდები. ახლა დამშვიდდი. არავისთან წამოგცდეს, რომ აქ ვიყავი.

კირა სწრაფად წამოდგა, ხელჯოხი ჩაბღუჯა და კიბესთან დაბრუნდა. როცა მეორე სართულზე ავიდა და კუთხეში შეუხვია, თავისი ოთახის გაღებულ კართან ჯემისონ დაინახა. იგი პირდაპირ კირასკენ წამოვიდა, თანაგრძნობით მიესალმა და ანაბელას სიკვდილის ამბავი აუწყა.

კირამ წინდახედულობა გამოიჩინა ქვედა სართულზე ნაპოვნი ბავშვი არ უხსენებია.

15

- შეხედე! შესაღებ ადგილს მიწყობენ.

შუადღე იდგა. კირა უჩვენებდა ადგილს ფანჯრის ქვემოთ - მიწის პატარა მონაკვეთს შენობასა და ტყისპირს შორის. თომას-გრავიორი ფანჯარასთან მივიდა და გადაიხედა. მუშებს ფარდული დაეღათ. მის ჭერქვეშ უკვე იდგა გრძელი ხელები, რომლებზეც დაეკიდებოდა გასაშრობი ძაფები და ნართები.

- ეს იმაზე უკეთესია, რაც მას ოდესმე ჰქონია, - ჩაიჩურჩულა კირამ, სევდით რომ იხსენებდა ანაბელას, - მომენატრება ხოლმე.

ეს ყველაფერი ძალიან სწრაფად მოხდა: ანაბელას სიკვდილი - ასეთი უეცარი; ახლა კი, სულ ერთი დღის შემდეგ, ახალი სამღებროს მშენებლობა...

- ის რა არის? - დაანახვა თომასმა. იქვე ახლოს მუშები არცთუ ღრმა ორმოს თხრიდნენ. დასაკიდებელი ქვაბებისთვისაც იქვე არჭობდნენ საყრდენს.

- ეგ ცეცხლისთვისაა. ყოველთვის უნდა გქონდეს მოგიზგიზე ცეცხლი, საღებავები რომ აღუღო... ოჰ, თომას! - კირა ოხვრით მოსცილდა ფანჯარას, - ვერასდროს გავიხსენებ, როგორ ვაკეთო ეს ყველაფერი.

- გაიხსენებ. ჩაწერილი მაქვს ყველაფერი, რაც შენ მითხარი. ჩვენ მხოლოდ გავიმეორებთ და გავიმეორებთ. შეხედე, რა მოაქვთ?

კირამ ისევ გადაიხედა და დაინახა გამხმარ მცენარეთა კონები, რომლებსაც მუშები ფარდულის გვერდით აწყობდნენ.

- როგორც ჩანს, წამოიდეს ყველაფერი, რაც ანაბელას ჭერის კოჭებზე ეკიდა. მაშ, ვიცი, საიდანაც დავიწყებ. მე მგონი, სახელეზიც მახსოვს, თუ ყველაფერი ერთმანეთში არ აურევიათ უცოდინრობის გამო.

მერე ჩაეცინა იმ მუშის შემხედვარეს, რომელმაც თავდახურული ქვაბი დადგა და ზიზღისგან დამანჭული სახე მიაბრუნა.

- ეს ფერს ამაგრებს, - აუხსნა კირამ, - საშინელი სუნი აქვს.

არ სურდა თომასისთვის უხეში სიტყვის თქმა, არადა, სწორედ ეს იყო, რასაც ანაბელამ თავისი შარდის ქოთანს უწოდა. მისი შიგთავსი ხომ საოცრად მნიშვნელოვანი ინგრედიენტი იყო საღებავებისთვის.

იმ დილით მუშებმა აღრიანად დაიწყეს მოსვლა. ქვაბები, მცენარეები, მოწყობილობა მოჰქონდათ, როცა ჯემისონ ისევ კი-

რას ოთახში იყო და წინააღმდეგობას აწინააღმდეგებდა. მისი ახსნით, მიხრწნილებაში გადამდგარი ადამიანები ხშირად იხრწნილებოდნენ ასე უეცრად. ანაბელამ წვიმიან დღეს ჩათვლიდა და აღარც გაუღვიძია. ეს იყო და ეს. არავითარი საიდუმლო აქ არ არის.

- შესაძლოა, იგრძნო, რომ თავისი ვალი ადასრულა კირას-თვის ცოდნის გადაცემით, - საზუიმიოდ წარმოთქვა ჯემისონმა. ზოგჯერ, მისი თქმით, სწორედ ასე მოდიოდა სიკვდილი: თანდა-თან გაილეოდი, როდესაც შენს საქმეს დაამთავრებდი, შენს ვალს მოიხდიდი.

- არც მისი ქონის დაწვავა საჭირო, - დაამატა მან, - რადგან სხეულება არ ჰქონია. ამიტომაც იქვე დარჩება, სადაც დგას. თუ მო-გინდება, შეგეძლება დასახლდე იქ მას შემდეგ, რაც შენს აქაურ საქმეს დაამთავრებ.

კირამ თავი მდუმარედ დაუქნია. მოხუცი ქალის სული ჯერაც მის სხეულში უნდა ყოფილიყო.

- მას მეთვალყურე დასჭირდება, - თქვა კირამ, - შემიძლია, წავიდე და გვერდით მივუჯდე? ასე მოვიქცევი დედაჩემთან.

მაგრამ ჯემისონმა უარი უთხრა: დრო ცოტაა, შეკრება ახ-ლოვდება, ოთხ დღეს ვერ დავკარგავთ, შენ მანტიასზე უნდა იმუ-შაო, სხვები გაუწევინ მეთვალყურეობას მოხუც მღებავსო.

მაშ, კირა მთლად ეულად იგლოვებს.

როცა ჯემისონი გავიდა, კირა მარტო დარჩა. ჩუმად იჯდა და იხსენებდა, რაოდენ მარტოხელა იყო ანაბელა, რაოდენ მოწყვე-ტილი სოფელს. და ახლად დაინტერესდა გოგონა: ვინ იპოვა ანა-ბელა? საიდან იცოდნენ, როგორ მოეძებნათ?

* * *

- თომას, მოსცილდი მაგ ფანჯარას. რაღაც მინდა გითხრა.

გრავიორი უხალისოდ მივიდა მაგიდასთან, სადაც გოგონა იჯდა, თუმცა, ეს უკანასკნელი მაინც მიხვდა ბიჭის გამომეტყველებით, რომ ის ისევ ქვემოთ მიმდინარე მშენებლობის ხმაურს უსმენდა. „ბიჭები, - გაიფიქრა კირამ, - მათ ყოველთვის აინტერესებთ ასეთი რამეები. მათ რომ აქ იყოს, ქვემოთ იქნებოდა, ფეხებში გაებლანდებოდა მუშებს მშენებლობაში დახმარების სურვილით.“

- ამ დილით... - დაიწყო კირამ, მერე კი, როდესაც მისი უყურადღებობა იგრძნო, შესძახა: - თომას! მომისმინე!

იმან გაიღიმა, მობრუნდა და ყური მიუგდო.

- ქვედა ოთახთან მივედი, იმასთან, საიდანაც ბავშვის ტირილი გავიგონეთ.

- და სიმღერა, - შეახსენა თომასმა.

- ჰო, და სიმღერა.

- მატის თქმით, გოგონას ჯო ჰქვია, - თქვა თომასმა, - ხედავ? მე ყურადღებით გისმენ. რატომ ჩახვედი იქ?

- თავიდან ჯემისონს ვეძებდი და იმ სართულზე აღმოვჩინდი, - აუხსნა კირამ, - ჰოდა, კართან მივედი. ვიფიქრე, შვიციტები და ვნახავ, როგორ არის პატარა-მეთქი. მაგრამ კარი დაკეტილი დამხვდა!

თომასმა თავი დააქნია. არაფერი გაჰკვირვებია.

- მაგრამ ჩემი კარი არასოდეს დაუკეტავთ, თომას.

- იმიტომ, რომ შენ აქ მოზრდილი მოგიყვანეს, უკვე ორმარცვლიანი. აი, მე კი პატარა ვიყავი, როცა მოვედი, ჯერაც თომ მერქვა და ჩემს კარს კეტავდნენ.

- ტყვედ ჰყავდი?

თომასმა გახსენებისას შუბლი შეჭმუნა.

- კაცმა რომ თქვას, არა. ეს ჩემივე უსაფრთხოებისთვის ხდებოდა. და ჩემთვის ყურადღების მოსაქცევადაც. პატარა ვიყავი და

არ მინდოდა სულ მუშაობა და მუშაობა, - გაიღიმა თომასმა, - ცოტათი მატს ვგავდი. მხიარული ბიჭი ვიყავი.

- უხეშად გექცეოდნენ? - ჰკითხა კირამ, რაკი ახსოვდა, ჯემისონი როგორ მიმართავდა გოგონას.

გრავიორი დაფიქრდა.

- მკაცრად, - თქვა ბოლოს.

- მაგრამ, თომას, ის ბავშვი, ქვემოთ... ჯო... ის ტიროდა, ქვითინებდა. დედა მინდაო, თქვა.

- მატის თქმით, დედამისი მოკვდა.

- გოგონამ ეს, მგონი, არ იცის.

თომასმა თავისი წარსულის გახსენება სცადა.

- მგონი, მითხრეს ჩემი მშობლების შესახებ, თუმცა - მაშინვე არა. ეს დიდი ხნის წინ მოხდა. მახსოვს, ვიდაცამ მომიყვანა და მიჩვენა, სად იყო ყველაფერი და როგორ მუშაობდა...

- სააბაზანო და ცხელი წყალი, - თქვა კირამ ირიბი ღიმილით.

- ჰო, ეგ. და ყველა იარაღი. იმ დროს მე უკვე გრავიორი ვიყავი. დიდი ხანია, ხეზე ვჭრი...

- ...ისევე, როგორც მე ვქარგავდი უკვე. და როგორც ის ბავშვი, ჯო...

- ჰო, როგორც მატმა თქვა, ის უკვე მომდერალი იყო.

კირა ფიქრობდა, თან კაბის ნაკეცებს ისწორებდა. მერე ნელა წარმოთქვა:

- ასე რომ, თითოეული ჩვენგანი უკვე იყო... არ ვიცი, რა დავარქვა ამას.

- ხელოვანი? - უკარნახა თომასმა, - აი, სიტყვა. არასოდეს მსმენია ვინმეს ბაგიდან, მაგრამ ზოგიერთ წიგნში შემხვდა. ეს ნიშნავს, ასე ვთქვათ, ადამიანს, რომელსაც რაღაც ლამაზის შექმნა შეუძლია. გამოდგება?

- ჰო, ვფიქრობ, გამოდგება. ჯო მდერის და ეს მშვენიერია.

- როცა არ ტირის, - თქვა თომასმა.

- ესე იგი, თითოეული ჩვენგანი ხელოვანია, თითოეული დაობლდა და სათითაოდ მოგვიყვანეს აქ. მაგრამ რატომ? გარდა ამისა, თომას, კიდეც არის რაღაც. რაღაც უცნაური.

გრავიორი უსმენდა.

- ამ დილით ველაპარაკე მარლენას, რომელსაც საქსოვი ფარდულიდან ვიცნობ. ის ფენში ცხოვრობს და ახსოვდა ჯო, თუმცა, სახელი არ იცოდა. ახსოვდა მხოლოდ მომღერალი ბავშვი.

- ფენში ყველას ეცოდინებოდა ასეთი ბავშვის შესახებ.

კირამ თავი დაიქნია:

- ასე თქვა... როგორ თქვა? - გოგონა შეეცადა, გაეხსენებინა მარლენას ნათქვამი, - თქვა, იმ ბავშვს ეტყობოდა, რომ ცოდნა ჰქონდაო.

- ცოდნა?

- ჰო, ასე თქვა.

- რას გულისხმობდა?

- თქვა: იმ ბავშვს ეტყობოდა, რომ ისეთი რამეები იცოდა, რაც ჯერ არ მომხდარიყო; რომ ფენის ბინადრები ამას მაგიად მიიჩნევდნენ. მარლენა, ცოტა არ იყოს, შეშინებულს ჰგავდა, როცა ამაზე ლაპარაკობდა. და, თომას...

- რა?

კირა ყოყმანობდა.

- ამან დამაფიქრა იმაზე, რა მოსდის ზოგჯერ ჩემს ქსოვილს. აი, ამ ფთილას.

გოგონამ გახსნა ყუთი, რომელიც თომასმა გაუკეთა და იქიდან ამოღებული ქსოვილის ნაფლეტი დაანახვა.

- ხომ გითხარი, მეჩვენება, რომ მელაპარაკება. ისიც მახსოვს, როგორ მიპასუხე, რომ შენც გაქვს ხის ნაჭერი, რომელიც თითქოს ასევე იქცევა...

- ჰო, ბავშვობიდან, როცა ის-ის იყო, ჭრას ვიწყებდი. თაროზე მიდევს. ხომ გაჩვენე.

- ნუთუ შეიძლება, რომ ეს იგივე იყოს? ფრთხილად ჰკითხა გოგონამ, - ნუთუ შეიძლება, ეს იყოს ის, რასაც მარლენამ ცოდნა უწოდა?

თომასმა შეხედა კირას და მის ხელში უმოძრაოდ ჩაყუჟულ ქსოვილს. შუბლი შეიკრა და ბოლოს ჰკითხა:

- რატომ მეკითხები?

ამ შეკითხვის პასუხი კირამ არ იცოდა.

- შეიძლება ეს ისეთი რამეა, რაც ხელოვან ადამიანებს აქვთ, - კირას მოსწონდა ამ ახალნასწავლი სიტყვის ჟღერადობა, - განსაკუთრებული მაგიური ცოდნა.

თომასმა თავი დაიქნია და მხრები აიჩეჩა.

- საბოლოოდ, ამას დიდი მნიშვნელობა არ აქვს. ახლა თითოეულ ჩვენგანს კარგი ცხოვრება აქვს, უკეთესი იარაღიც, ვიდრე უწინ გვქონდა. კარგი საკვები. ჩვენ-ჩვენი საქმე.

- მაგრამ ის ბავშვი ქვემოთ? სულ ქვითინებს და ქვითინებს. ისინი კი ოთახიდან არ უშვებენ, - კირას თავისი პირობა გაახსენდა, - თომას, ვუთხარი, რომ დავბრუნდებოდი და დავეხმარებოდი.

ბიჭს იჭვნეული იერი დაედო.

- არა მგონია, მცველებს ეგ მოეწონოთ. კირას გაახსენდა სიმკაცრე, რომელიც ჯემისონის ხმაში ისმოდა. გაახსენდა კარის მიჯახუნება.

- ჰო, არა მგონია, მოეწონოთ, - დაეთანხმა თომასს, - მაგრამ ღამით ჩავიპარები, როცა ჰგონიათ, რომ ყველას გვძინავს. მხოლოდ... - გოგონას სახე მოუდუნდა.

- მხოლოდ რა?

- ის კარი ჩაკეტილია. ვერანაირად ვერ შევალ შიგნით.

- შეხვალ, - უთხრა თომასმა.

- როგორ?
- გასაღები მაქვს.

* * *

ეს სიმართლე იყო. მის ოთახში რომ შევიდნენ, თომასმა გასაღები უჩვენა.

- ეს დიდი ხნის წინ მოხდა, - აუხსნა მან, ამ ოთახში ვიყავი ჩაკეტილი ყველა ამ დახვეწილ იარაღთან ერთად. ჰოდა, გასაღები გამოვთალე. ძალიან იოლი აღმოჩნდა. ამ კარს მარტივი საკეტი აქვს.

- თანაც, - განაგრძო თომასმა, რომელიც თითოს უსვამდა რთულად ჩახლართულ ორნამენტს ხის გასაღებზე, - ყველა კარს ერგება. ყველა საკეტი ერთნაირია. იმიტომ ვიცი, რომ ვცადე. ღამით გავდიოდი, დერეფნებში დავხეტიალებდი და კარს კარზე ვაღებდი. მაშინ ყველა ოთახი ცარიელი იყო.

გოგონამ თავი გააქნია:

- დიდი ონავარი ვინმე იყავი, არა?

თომასმა ჩაიღიმა:

- ხომ გითხარი. მატს ვგავდი.

- ამაღამ, - თქვა კირამ, უცბად დასერიოზულებულმა, - წამომყვები?

გრავიორი დათანხმდა:

- კეთილი. ამაღამ.

მოსაღამოვდა. კირა თომასის ფანჯრიდან გადასცქეროდა სოფლის სიდატაკეს და უსმენდა მის ბუბუნს. სხვადასხვა ფარდულის მუშები თავ-თავიანთ საქმეებს ამთავრებდნენ. შუკის ჩაყოლებაზე დაინახა, როგორ დაახეტა ყასაბმა წყლიანი ჭურჭელი

თავისი ქონის ქვის შესასვლელთან - ვითომ შედედებული სისხლი გადარეცხა. უფრო ახლოს ხედავდა ქალებს, რომლებიც გამოდიოდნენ საქსოვი ფარდულიდან, სადაც კირამ ბავშვობა გაატარა, როგორც დამხმარემ.

აინტერესებდა, თან ელიმებოდა: იყო თუ არა იქ მატ სამუშაო დღის განმავლობაში, წუთის წინ რომ დამთავრდა. დასუფთავება მატს და მის ძმაკაცებს ევალებოდათ, ის კი ყველაფერს ურევდა და ქალებს ნუზლს ჰპარავდა. ამ ფანჯრიდან კირა ვერც მატს ხედავდა და ვერც მის ძაღლს. დილიდანვე არსად გამოჩენილან.

ჩამობნელების შემდეგ, როცა მომვლელებმა მათი ლანგრები გაიტანეს, კიდეც დიდხანს იჯდა თომასთან. ბოლოს მთელ შენობაში სიჩუმემ დაისადგურა და სოფლის ღრიანცელიც მიწყნარდა.

- შენი ხის ნაჭერი წამოიღე, თომას, - შესთავაზა კირამ, - აი, ის, განსაკუთრებული. მე ჩემი ქსოვილი აქ მაქვს.

- კარგი, მაგრამ რისთვის?

- ზუსტად არ ვიცი, მაგრამ ვგრძნობ, რომ თან უნდა გვექონდეს.

თომასმა თავისი თილისმა მაღალი თაროდან ჩამოიღო და ჯიბეში ჩაიღო. მეორე ჯიბეში ხის გასაღები ედო.

ორნი გაუყვნენ მკრთალად განათებულ დერეფანს კიბის თავისკენ.

- ჩჩჩ! - დაიჩურჩულა წინ მიმავალმა თომასმა.

- მაპატიე! - ჩურჩულითვე უპასუხა კირამ, - ჯოხის ხმა ისმის, მაგრამ უამისოდ ვერ ვივლი.

- მოიცა ერთი წამით.

კედლის ჩირაღდანთან შეჩერდნენ. თომასმა პერანგის კიდე შემოიხნია და მოხერხებულად ამოაკრა კირას ხელჯოხის ბოლოს. ნაჭერმა ჩაახშო შორენკეციან იატაკზე ჯოხის კაკუნი.

წყვილი სწრაფად დაეშვა კიბეზე და მალე აღმოჩნდა იმ ოთახთან, რომელშიც ჯოს ეძინა. შეყოვნდნენ და მიაყურადეს. ჩამიჩუმე არ ისმოდა. ჯიბეში ჩამალული კირას ხელი თავისი ქსოვილისგან გაფრთხილებას ვერ გრძნობდა. გოგონამ თომასს თავი დაუქნია, იმანაც უხმაუროდ შეაცურა დიდი გასაღები კარის ღრიჭოში და გადაატრიალა.

კირამ სუნთქვა შეიკრა: ეშინოდა, ვაითუ, ღამდამობით ამ ოთახში მომვლელიც რჩება ბავშვის სადარაჯოდო, მაგრამ ფანჯრიდან შემოსული მთვარის მკრთალი სინათლით განათებულ ოთახში მხოლოდ ერთი საწოლი იდგა და ზედ ერთ პატარა, ღრმად ჩაძინებული გოგონა იწვა.

მე კართან დავრჩები სათვალთვალოდ, დაიჩურჩულა თომასმა, - ის შენ გიცნობს, ყოველ შემთხვევაში, ხმით მაინც. ჰოდა, გააღვიძე.

კირა საწოლთან მივიდა, კიდეზე ჩამოჯდა და ჯოხი იქვე მიაყუდა. მერე ნაზად შეეხო პატარა მხარს და ფრთხილად წარმოთქვა:

- ჯო!

გრძელ, აბურდულთმიანი პატარა თავი სწრაფად გადმობრუნდა. მერე ბავშვმა თვალები გაახილა და გაოგნებულ-დამფრთხალი მზერით მიაჩერდა კირას.

- არა, არა! - შესძახა და უცნობს ხელი ჰკრა.

- ჩჩჩ! დაიჩურჩულა კირამ, - გახსოვს, კარის აქეთ-იქიდან რომ ვისაუბრეთ? ნუ გეშინია.

- დედიკო მინდა, - ამოიკვნესა ბავშვმა.

ძალიან პატარა იყო, მატზე კარგა უმცროსი. ახალფეხადგმულ ბავშვზე დიდი ძლივს იქნებოდა. კირას გაახსენდა მისი ხმის ჟღერადობა და სახტად დარჩა - როგორ გამოსცემდა ასეთ ხმას ეს პაწაწინა, დამფრთხალი, უსასო არსება.

კირამ ხელში აიყვანა, დაარწია, წინ და უკან გააქან-გამოაქანა.

- ჩჩჩ! ჩჩჩ! არაფერია. მე შენი მეგობარი ვარ. იმას ხედავ იქ? მას თომას ჰქვია, ისიც შენი მეგობარია.

ნელ-ნელა ბავშვი დამშვიდდა და თვალები ფართოდ გაახილა, ცერათითი პირში ჩაიღო და დაილაპარაკა.

- მე შენ გისმენდი ნახვრეტში, - გაიხსენა.

- ჰო, გასაღების ნახვრეტში. ჩვენ ჩურჩულით ვილაპარაკეთ.

- ჩემს დედიკოს იცნობ? შეგიძლია, მოიყვანო?

კირამ თავი გააქნია:

- ვერა, სამწუხაროდ, ვერა, მაგრამ მე აქ ვიქნები. ზედა სართულზე ვცხოვრობ. თომასიც.

ამ დროს თომასიც მოვიდა და საწოლთან ჩაიჩოქა. ბავშვი იჭვნულად მიაჩერდა და კირას ჩაებღაუჭა. თომასმა ჭერისკენ ანიშნა:

- მე ზუსტად შენ ზემოთ ვცხოვრობ, - უთხრა თბილად, - და მესმის შენი ხმა.

- ჩემი სიმღერა გესმის?

თომასს გაეღიმა:

- ჰო. შენ საოცრად მღერი.

ბავშვი მოიქუფრა.

- სულ ახლებს მასწავლიან.

- ახალ სიმღერებს? - ჰკითხა კირამ.

ჯომ უბედურად დააკანტურა თავი.

- სულ ახლებს და ახლებს. ყველაფერს მამახსოვრებინებენ. ჩემი ძველი სიმღერები ყველა ვიცოდი, ახლა კი ახლებს მაჩეჩებენ და ეს საბრალო თავი საშინლად მტკივა.

ბავშვმა აბურღული თმა მოიქექა და ამოიოხრა. ამ უცნურად უფროსულმა ნათქვამმა კირას თანაგრძნობის ღიმილი მოჰგვარა.

თომასმა ოთახი მოათვალიერა. ისეთივე ავეჯი იდგა, როგორც ზედა სართულის ოთახებში: საწოლი, ხის მაღალი, უჯრებიანი კარადა, მაგიდა და ორი სკამი.

- კარგი მცოცავი ხარ, ჯო? - ჰკითხა ბავშვს მოულოდნელად.

გოგონამ შუბლი შეჭმუნხა და ცერათითი პირიდან გამოიღო.

- ზოგჯერ დავცოცავდი ფენში, მაგრამ დედიკო მცემს ხოლმე, როცა ამას ვშვრები, მეუბნება, ფენებს მოიმტვრევ და მერე ველზე წაგიყვანენო.

თომასმა სწრაფად დაუქნია თავი:

- ჰო, ალბათ, ეგრეა. დედაშენს კი არ უნდა, რომ გეტკინოს.

- როცა მზიდავები ველზე წაგიყვანენ, ვედარასოდეს დაბრუნდები. მხეცები მოგიტაცებენ, - ცერათითი ისევ პირში გაუჩინარდა.

- მაგრამ შეხედე, ჯო: თუ იქამდე აცოცებას შეძლებ... - თომასმა უჯრებიანი კარადის თავი დაანახვა.

ფართოდ გახელილი თვალები თომასის თითს მიჰყვნენ და ბავშვმა თავი დაუქნია.

- თუ იქ მთელ სიმაღლეზე გაიმართები და ხელშიც რამე გეჭირება, ჭერს მისწვდები, მიარტყამ და მე გავიგონებ.

ბავშვს გაეღიმა.

- ეს ხანდახან უნდა ქნა, - სწრაფად დაამატა თომასმა, - მხოლოდ მაშინ, თუ ნამდვილად დაგჭირდებით.

- შეიძლება ვცადო? - ხალისიანად იკითხა ჯომ. კირამ იატაკზე დასვა. ბავშვი რომელიღაც მოქნილი ცხოველივით სკამიდან მაგიდაზე აძვრა, მაგიდიდან კარადის თავზე, იქ კი გამარჯვებულვით აღიმართა. ნაქსოვი ღამის პერანგის ქვეშიდან ორი შიშველი, გაჩხიკული ფეხი გამოჩნდა.

- რამე იარაღი გჭირდება, - დაიჩურჩულა თომასმა და ირგვლივ მიმოიხედა.

კირას თავისი საბინადროდან რაღაც გაახსენდა და სააბაზანოში შევიდა. როგორც ელოდა, ნიჟარის გვერდით, თაროზე, აქაც სქელი, ხისტარიანი სავარცხელი დახვდა.

- ეს ნახე, - თქვა და ბავშვს ააწოდა.

გაღიმებულმა პატარა მომღერალმა სავარცხელი ზემოთ აიშვირა და ტარით ჭერს მიართვა.

თომასმა ქვემოთ ჩამოიყვანა და ლოგინში ჩააწვინა.

- ჰოდა, ეგრე. თუ დაგჭირდებით, აი, სიგნალიც, ჯო. ოღონდ, სახუმაროდ არასოდეს უნა ეს. მხოლოდ მაშინ, როცა დახმარება დაგჭირდება.

- მაინც მოგინახულებთ, რომც არ მოგვიკაკუნო, - დაამატა კირამ, - როცა მომვლელები წავლენ.

მერე ბავშვს საბანი შემოუკეცა.

- აჰა, თომას, ისევ იქ დადე, კარგი? - და კირამ სავარცხელი მიაწოდა.

- ახლა კი უნდა წავიდეთ, - უთხრა ჯოს, - ხომ უკეთ ხარ, როცა იცი, რომ ზემოთ მეგობრები გყავს?

ბავშვმა თავი დაუქნია. ცერათითიც პირში შებრუნდა. კირამ დასაფარებელი გაუსწორა.

- აბა, ღამე ნებისა.

ერთი წამით შეყოვნდა, იჯდა და იხსენებდა კიდეც რაღაცას, რაც ახლა უნდა გაეკეთებინა, რაღაც ისეთს, რაც მის ბავშვობაში ხდებოდა, როცა ასე აწვედნენ ლოგინში.

უნებურად დაიხარა პატარა გოგონასკენ. რას შვრებოდა ხოლმე დედა, როცა კირა პატარა იყო? ტუჩები შუბლზე მიადო ჯოს. უცნობი ქესტი იყო, თუმცა - კარგი შეგრძნება.

პატარა გოგონას ტუჩებმა კირას სახესთან უცნაური ბგერა გამოსცა.

- პატარა კოცნუნია, - ჩაიჩურჩულა, - როგორც დედიკოსთან.

კირა და თომას ზედა სართულის დერეფანში დაშორდნენ ერთმანეთს და თავ-თავიანთი ოთახებისკენ წავიდნენ. გვიანი იყო. როგორც ყოველთვის, დილით უნდა ემუშავათ და გამოძინება სჭირდებოდათ.

დასაწოლად რომ ემზადებოდა, კირა მარტო დარჩენილ, შეშინებულ ბავშვზე ფიქრობდა. ნეტავ რა სიმღერების სწავლას აიძულებდნენ? ან რატომ იყო აქ? დაობლებულ ბავშვს ხომ სხვა ოჯახში გზავნიდნენ.

ამაზე თომასსაც ელაპარაკა წინაღღეს. პასუხად მათ დაასკვნეს: სამივენი - ჯო, თომას და კირა - ხელოვანები იყვნენ: მომღერალი, გრაფიკორი, მქარგველი. და რადგან ისინი ქმნიდნენ ხელოვნებას, დიდი მნიშვნელობაც ჰქონდათ, რომელიც კირას არ ესმოდა, მაგრამ რომლის გამოც სამივენი აქ იყვნენ: კარგად იკვებებოდნენ, კარგ ბინაში ცხოვრობდნენ, კარგ აღზრდას იღებდნენ.

თმა დაივარცხნა, კბილები გაიხეხა და დაწვა. ფანჯარა ღია იყო და ნიავი უბერავდა. ქვემოთ მოჩანდა ნახევრად დასრულებული კონსტრუქციები, რომლებიც მალე იქცეოდა კირას სამღებრო ბაღად, საცეცხლე ორმოდ და ფარდულად. ოთახის მეორე მხარეს, სიბნელეში, თავის სამუშაო მაგიდაზე ხედავდა დაკეცილ-დახურულ ნივთს - მომღერლის მანტიას.

უეცრად კირა მიხვდა, რომ, მართალია, ამ ოთახის კარს არავინ უკეტავდა, მაგრამ მაინც არ იყო თავისუფალი. მისი ცხოვრება შემოისაზღვრა ამ საგნებით და ამ საქმით. იგი კარგავდა სიხარულს, რომელიც მაშინ იგრძნო, როცა კაშკაშაფერებიანმა ძაფებმა მის ხელებში ფორმის მიღება იწყო, როცა ქარგა თვითონ მოვიდა მასთან და მის საკუთრებად იქცა. მანტია მას არ ეკუთვნოდა, თუმცა, მუშაობის კვალდაკვალ სწავლობდა მის ისტორიას. უკვე თითქმის შეეძლო მოეთხრო ეს ისტორია, რაკი თითები შეახო და

ამდენი დღე შეალია მის განახლებას, მაგრამ ეს არ იყო ის, რასაც მისი გული და ხელები მიეღებოდა.

თომასმაც, თუმცა, ჩივილი არ სჩვეოდა, ახსენა თავის ტკივილი, რომელიც უტევდა საათობით მუშაობის შემდეგ, ეს ხდებოდა პატარა მომღერლის თავსაც იქ, ქვემოთ. ახალ რამეებს მაჩეჩებენო, სლუკუნებდა ბავშვი. მას სურდა თავისუფლება, უნდოდა, ემღერა საკუთარი სიმღერები, როგორც უწინ მღეროდა.

კირასაც ეს სურდა. სურდა, მანტიისთვის ხელი მოეშორებინა, რათა საკუთარი ქარგები შეექმნა. უცებ მოუნდა, მიეტოვებინა ეს ადგილი, აქაური კომფორტის მიუხედავად, და უწინდელ ცხოვრებას დაჰბრუნებოდა.

სახე საბანში ჩარგო და სასოწარკვეთისგან პირველად აქვითინდა.

17

- მთელი დღია თავაუღებლად ვიმუშავე, თომას, შენც. ხომ არ გამოიხსივინებ ჩემთან ერთად? რაღაცის ნახვა მინდა.

შუადღე იდგა. ლანჩი ორივემ მიირთვა.

- გინდა, ჩახვიდე და ნახო, რას აკეთებენ მუშები? წამოგყვები.

თომასმა გვერდზე გადადო წამის წინ აღებული საჭრეთელი. გოგონამ კიდევ ერთხელ შენიშნა აღტაცებით, რაოდენ ჩახლართულ ორნამენტებს კვეთდა იგი მომღერლის კვერთხზე. ჯერ ძველი, გაცვეთილი ორნამენტების პატარ-პატარა ხარვეზებს ასწორებდა, ზედაპირს აგლუვებდა, მერე თავიდან გამოჰყავდა პაწაწკინტელა კიდები და კლაკნილები. ეს ძალიან ჰგავდა კირასთვის მიცემულ დავალებას მომღერლის მანტიის შეკეთებას. კვერთხის თავი მთლიანად გლუვი ხე იყო, ზუსტად ისევე, როგორც მხრების

ადგილი მანტიაზე. კირას სამუშაო უახლოვდებოდა ამ მოუქარგავ სივრცეს, და კირა ხედავდა, რომ - თომასის სამუშაოც.

- რა უნდა ამოჭრა მანდ? - ჰკითხა გოგონამ და კვერთხის ცარიელ თავზე მიუთითა.

- არ ვიცი. გეტყვითო, მითხრეს.

კირა თვალს ადევნებდა, როგორ ფრთხილად დაასვენა თომასმა კვერთხი მაგიდაზე.

- თუ მართლა გინდა ნახო, რას აკეთებენ მუშები, მოგვიანებით წამოგყვები. ახლა სხვა რატაცას ვაპირებ.

- ჯერ იქ წამომყვები, სადაც მე მინდა?

თომასმა ღიმილით დაუქნია თავი:

- სად?

- ფენში, - მიუგო კირამ.

ბიჭმა გაოცებით შეხედა:

- მაგ სადაგელ ადგილას? იქ რა გინდა?

- არასოდეს ვყოფილვარ. მინდა, ვნახო, სად ცხოვრობდა ჯო.

- და დღემდე სად ცხოვრობს მატ, - შეახსენა თომასმა.

- ჰო, მატ. მაინტერესებს, სად დაიკარგა, თომას, - კირა ნირწამხდარი იყო, - უკვე ორი დღეა, არ მინახავს. შენ?

თომასმა თავი გააქნია.

- იქნებ საკვების სხვა წყარო იპოვა, - თქვა სიცილით.

- მატს ეცოდინება, სად ცხოვრობდა ჯო. იქნებ იქიდან რამე წამომეღო კიდეც ბავშვისთვის. იქნებ სათამაშოებიც ჰქონდა. შენი რამეები შემოგატანინეს, როცა აქ მოხვედი, თომას?

ბიჭმა თავი გააქნია:

- მხოლოდ ხის ნაჭრები. ყურადღება გაგეფანტებაო.

კირამ ამოიოხრა:

- ის ძალიან პატარაა. სათამაშო სჭირდება. იქნებ ერთი თოჯინა გამოგეთალა? მე კი პატარა კაბას შეუუკერავდი.

- გამოვთლი, - ბიჭი დათანხმდა და კირას ხელჯოხი მიაწო-
და, - წავიდეთ. მატს საღმე გზაში ვიპოვით, ან ის გვიპოვის.

ორნი ერთად გავიდნენ შენობიდან, მოედანი გადაჭრეს და
ხალხმრავალ შუკას ჩაუყვინენ. საქსოვ ფარდულთან კირა შეჩერდა,
ქალებს მიესალმა და მატის ამბავი იკითხა.

- არ გვინახავს! და მით უკეთესი! - უპასუხა ერთ-ერთმა მუშამ.
- უსარგებლო არამზადა!

- როდის დაგვიბრუნდები, კირა? - ჰკითხა მეორემ. - შენი დახ-
მარება გჭირდება. თანაც, უკვე დიდი ხარ და დაზგასთანაც დაჯ-
დებოდი! უღედოდ დარჩენილს სამუშაო გჭირდება!

თუმცა, სხვა ქალმა ხმამაღლა გაიცინა და კირას ახალ, სუფ-
თა სამოსზე მიუთითა:

- მას ჩვენ აღარ ვჭირდებით!

დაზგები ამოძრავდა და ახმაურდა. კირა მიტრიალდა.

უცებ ახლოდან მოესმა ნაცნობი, შემაკრთობელი ხმა: ყრუ
ღრენა. სწრაფად შემობრუნდა იმის მოლოდინით, რომ კბილებ-
დაკრეჭილ ძაღლს ან უფრო უარესს დაინახავდა, არადა, ხმა საყას-
ბოს ახლოს შეგროვილი ქალების გუნდიდან მოდიოდა. ქალებს
ხარხარი აუტყდათ მათკენ მომზირალი კირას დანახვაზე. მათ შუ-
აში ვანდარა იდგა. სახენაიარევი ქალი შეტრიალდა და გოგონამ
კიდევ ერთხელ გაიგონა ღრენა: მხეცის ხმის ადამიანური მიბაძვა.
კირამ თავი დახარა და კოჭლობით გასცდა ქალებს და მათ დაუნ-
დობელ სიცილს.

თომასს წინ გაესწრო. კირამ საყასბოდან გვარიანად გამან-
ძილებული დაინახა, ტალახში მოთამაშე ჰატარა ბიჭების გუნ-
დთან შეჩერებულიყო.

- რა ვი! - ამბობდა ერთი, როდესაც კირა მიუახლოვდა. - ხურ-
და მომე და იქნებ ვიპოვო!

- მატზე ვკითხე, - აუხსნა თომასმა კირას, - არ გვინახავსო, მითხრეს.

- ხომ შეიძლება, ავადაა? - ჰკითხა აწრიალებულმა კირამ, - ცხვირიდან მუდამ ცინგლი სდის. იქნებ არ უნდა დაგვებანა. მიჩვეული იყო ჭუჭყის სქელ ფენას.

ბიჭები ფეხებს ტალახში ატყაპუნებდნენ და უსმენდნენ.

- მატ ძლიერზე უძლიერესია! - თქვა ერთმა, - არასოდეს ხდება ავად!

უფრო პატარა ბიჭმა ხელის ზურგი გაისვა წვინტილიან ცხვირზე.

- დედამისი უყვიროდა. მე გავიგონე. ქვაც ესროლა. ის კი იცინოდა და გაიქცა!

- როდის? - ჰკითხა კირამ წვინტილიან ბიჭს.

- რა ვი. შეიძლება ორი დღის წინ.

- ეგრე იყო! - მეორე ბიჭიც მუახლოვდათ, - ორი დღის წინ! მეც დავინახე. დედამისმა ქვა ესროლა, რადგან მატმა საჭმელი აიღო! სამოგზაუროდ მივდივარო, თქვა!

- მატს არაფერი უჭირს, კირა, - გაამხნევა თომასმა და გზა განაგრძეს, - ის უკეთესად ზრუნავს თავის თავზე, ვიდრე უფროსების უმრავლესობა. აქ... მგონი, აქ უნდა გავუხვიოთ.

ორივემ გაუხვია უცნობ, ვიწრო შუკაში. აქ ქოხები უფრო ახლო-ახლოს იდგა ერთმანეთთანაც და ტყისპირთანაც, ისე, რომ გოგო და ბიჭი ხეების ჩრდილში მოექცნენ. ნესტის და ნემომპალას სუნიც იგრძნეს. მერე რაღაც მყრალსუნიან ღელესთან მივიდნენ და შიგ ჩაყრილი კუნძების სრიალა, სახელდახელო ხილზე შეაბიჯეს. თომასმა კირას ხელი ჩასჭიდა და გადასვლაში მიეხმარა. კირას ეშინოდა: ასეთი ფეხით, ვაითუ, დავსხლტე და წყალში ჩავვარდეთ. ღელე თავთხელი იყო, თუმცა - ბინძური.

ღელის მეორე მხარეს, ოლენდრის ხშირი, მხამიანი ბუჩქების მიღმა, ასეთ საშიშროებას რომ უქმნიდა ბავშვებს, ფენად წოდებული მხარე მოჩანდა. ზოგიერთი რამით ის ჰგავდა ადგილს, რომელსაც კირამ უწოდა შინ: ერთმანეთზე მიჯრილი პატარა ქოხები, ჩვილების განუწყვეტელი ზღუქუნი, მხრჩოლავი ცეცხლის სიმყრალე, გაფუჭებული საჭმელი და დაუბანელი ადამიანები. მაგრამ აქ, ხშირფოთლიანი ხეების ქვეშ, უფრო ბნელოდა და ირგვლივ სინესტისა და ჯანმრთელობისთვის მავნე ოხშივარი ტრიალეებდა.

- რატომ უნდა არსებობდეს ასეთი საზარელი ადგილი? - გადაუჩურჩულა კირამ თომასს, - რა აიძულებთ ადამიანებს, ასე იცხოვრონ?

- რას იზამ, - უპასუხა მან შუბლის ჭმუხვით, - ეს ყოველთვის არსებობდა.

კირას მოულოდნელი ხილვა გაუკრთა: მანტია. მანტია გადმოსცემდა, რა ხდებოდა. რაც თომასმა თქვა, არ იყო სიმართლე.

- ყოფილა ეპოქები - უჰ, რაოდენ დაშორებული აქედან! - როცა ადამიანთა ცხოვრება მწვანე და ოქროსფერი იყო. რატომ არ შეიძლებოდა მათი განმეორება? - ახლა ამის თქმა დაიწყო თომასისთვის.

- მე და შენ ცარიელი ადგილები უნდა შევავსოთ, თომას, - მიანიშნა კირამ, - იქნებ ეს სხვანაირად გვექნა?

მაგრამ გოგონამ დაინახა, რომ ბიჭი სკეპტიკურად უყურებდა.

- რას ამბობ? - თომასმა ვერ გაიგო. იქნებ ვერასოდეს გაეგო.

- არაფერს, - მიუგო კირამ თავის გაქნევით.

მიაბიჯებდნენ. ირგვლივ ავბედითი სიჩუმე მეფობდა. უცერად კირამ ვიღაცის მზერა იგრძნო. ქალები დაჩრდილულ წინკარებში იდგნენ და იჭვნეულად გამოსცქეროდნენ. კირა კოჭლობით

მიდიოდა და ცდილობდა, გვერდი აევლო ბილიკზე ჩამდგარი, ნაგვით სავსე გუბეებისთვის. იცოდა, რომ აზრი არ ჰქონდა უმიზნოდ სიარულს ამ უცნობ, ავად გასუდრულ გარემოში.

- თომას, უნდა ვიკითხოთ ვინმე.

ბიჭი შეჩერდა და კირაც შეჩერდა მის გვერდით. ასე იდგნენ ბილიკზე.

- აქ რა გინდათ? გამოსძახა ფანჯრიდან ხრინწიანმა ხმამ. კირამ გაიხედა და დაინახა მწვანე ხვლიკი, რომელიც რაფაზე აცოცებულ სუროს ფოთლებში გასრიალდა. სველ, მოცახცახე ფოთლებს შორის გამხდარი ქალი იდგა, ხელში ბავშვი ეჭირა და გარეთ იყურებოდა. კაცები არსად ჩანდნენ. კირა მიხვდა, რომ ისინი - უმეტესწილად მზიდავები ან მთხრელები - ახლა სამუშაოდ იქნებოდნენ წასული და გულზე მოეშვა, რადგან ახსოვდა, როგორ ჩაბდუჯა ერთ-ერთმა იარაღის დანაწილების დღეს.

კირამ გზა გაიკვლია ეკლიან ბუჩქნარში და ფანჯარასთან ახლოს მივიდა. ქოხში სიბნელე იყო. შიგნით კიდევ რამდენიმე ნახევრად შიშველი ბავშვი იდგა და უაზრო თვალებით შიშნეულად გამოსცქეროდა კირას.

- ბიჭს ვეძებ, მატ ჰქვია, - თავაზიანად უთხრა ქალს, - იცით, სად ცხოვრობს?

- რას მომცემ მაგისტრის?

- რას მოგცემთ? მაპატიეთ... - ამ კითხვამ კირა დააბნია, - არაფერი მაქვს მოსაცემი.

- ცოტა საჭმელი?

- არა, მაპატიეთ, - კირამ ხელები გამოსწია და დაანახვა, რომ ცარიელი ჰქონდა.

- მე ვაშლი მაქვს, - თქვა უცებ თომასმა, მოუახლოვდა და ჯიბიდან წითელი ვაშლი ამოიღო, - ლანჩიდან შემომრჩა, - ჩაულაპარაკა კირას ხმადაბლა, ვაშლი კი ქალს გაუწოდა.

მისი გამხდარი მკლავი ღია ფანჯრიდან გამოიშალა და ვაშლი ჩაბღუჯა. მეორე წამს ჩაკბიჩა და მიბრუნდა.

- მოიცადეთ! - მიაძახა კირამ. - სად ცხოვრობს მატ? იქნებ მიგვასწავლოთ?

ქალი მოტრიალდა სავსე პირით.

- ცოტა იქით, - თქვა ხმაურიანი ღეჭვით. ჩვილმა ხელები წაატანა ნაკბეჩ ვაშლს, მაგრამ ქალმა მყის მოიშორა. მერე თავით. ანიშნა: - გადატეხილი ხე დგას წინ.

კირამ თავი დაუქნია.

- და კიდევ ერთი რამ, თუ შეიძლება: რამე იცით ბავშვზე, სახელად ჯო?

ქალს გამომეტყველება შეეცვალა და კირას გაუჭირდა მისი ამოცნობა. ერთი წამით სინარულის სხივმა გადაურბინა დამჭკნარ, გამწარებულ სახეს. მერე ის უიმედობამ შეცვალა.

- პატარა მომღერალი გოგო, - თქვა ქალმა ხრინწიანი ჩურჩულით, - წაიყვანეს. იმათ წაიყვანეს.

სწრაფად მიბრუნდა და ქოხის ჩაბნელებულ ინტერიერში გაუჩინარდა. მისი შვილები აღნავლდნენ და საჭმლისთვის კალთაზე ჩამოეკიდნენ.

* * *

თითქმის მიწამდე ჩაპობილი და ლპობაშეპარული კოჟრებიანი ხე ხმებოდა. შეიძლება ოდესღაც ხილიც ესხა, ახლა კი ტოტები უცნაურად მომტვრეოდა და აქა-იქ შემთხვევით შემორჩენილ ყავისფერ ფოთლებს ქარი უქანავებდა.

ხის უკან მდგარი პატარა ქოხი მიგდებულს ჰგავდა, მაგრამ შიგნიდან გამოდიოდა უხეში ხმა ქალისა და ბრაზიან-ღვარძლიანი შეპასუხება ბავშვისა, რომელიც ქალს ელაპარაკებოდა.

თომასმა დააკაკუნა. ხმები მიჩუმდა და მერე კარი ოდნავ გაიღო.

- ვინ ხარ? - იკითხა ქალმა მოკლედ.
- მატის მეგობრები ვართ. აქ არის? ხომ კარგადაა?
- ვინ არის, დედიკო? - დაიძახა ბავშვის ხმამ.

ქალს არ უპასუხია, უსიტყვოდ მიაჩერდა თომასს და კირას. ბოლოს თომასმა ბავშვს დაუძახა:

- მატ შინ არის?

- რა ჩაიდინა ამჯერად? რისთვის ეძებთ? - იკითხა ქალმა, რომელსაც თვალები უნდობლად უელავდა.

- გაიქცა! და საჭმელიც თან წაიღო! - გამოსძახა ბავშვმა, რომლის აბურღული, დაუფარცხნელი თმა ქალის გვერდით გამოჩნდა. მან კარი უფრო ფართოდ გააღო.

კირამ შიშით შეიხედა ქოხის სიბნელეში. მაგიდაზე, რაღაც სქელ სითხეში, გადაყირავებული დოქი ეგდო და ზედ მწერები დაცოცავდნენ. ბავშვმა ერთი თითი ცხვირში შეიყო, მეორით მოიფხანა და მოსულებს მიაჩერდა. დედამისმა სველად ამოახველა და რაღაც ამოაფურთხა იატაკზე.

- თუ იცით, სად წავიდა? - ჰკითხა კირამ, რომელიც ცდილობდა, არ შესტყობოდა, რა დღეში იყო მათი მდგომარეობის შემხედვარე.

ქალმა თავი გააქნია და ისევ დაახველა.

- ჯანდაბამდის გზა ჰქონია, - თქვა, ბავშვი გვერდზე მიაგდო და ხის მძიმე კარი მოხურა.

კირა და თომას მიტრიალდნენ და წასვლა დააპირეს. ზურგს უკან კარი გაიღო.

- მის! მე ვიცი სად წავიდა მატ! - თქვა ბავშვის ხმამ. დედამისის ლანძღვის მიუხედავად, ბიჭუნა ქოხიდან გამოვიდა და მათ მიუახლოვდა. აშკარად მატის ძმა იყო. ისეთივე ნათელი, ონავრული თვალები ჰქონდა.

ისინი ელოდნენ.

- რას მომცემთ? - თითი ისევ ცხვირში იტაკა.

კირამ ამოიოხრა, ფენში ცხოვრება გაცვლების სერია იყო. რა გასაკვირი იყო, რომ მატ ასეთ გონიერ მანიპულატორად და საქმოსნად იქცა. კირამ უმწეოდ გადახედა თომასს.

- არაფერი გვაქვს შენთვის მოსაცემი, - აუხსნა ბავშვს.

ბიჭუნა გამომცდელად უყურებდა.

- მაგაზე რას იტყვი, მის? თითი კირას ყელზე თასმით დაკიდებულ გაპრიალებულ ქვას მიაშვირა.

- არა, - უთხრა ბიჭს და თითებიც მფარველურად შემოახვია ქვას, - ეს დედაჩემისა იყო და ვერ მოგცემ.

მისდა გასაკვირად, ბიჭუნამ თავი დააქნია, თითქოს გაიგო, რა უთხრეს.

- მაშინ ეგ! - თმაზე მიუთითა კირას. გოგონას გაახსენდა, რომ თმა ამ დილით უკან გადაიწია, როგორც ხშირად შვრებოდა, და უბრალო ტყავის თასმით შეიკრა. მკვირცხლად მოიხსნა თასმა და ბიჭს გაუწოდა. იმანაც ხელიდან გამოსტაცა და ჯიბეში ჩაიჩურთა. ეს დამაკმაყოფილებელი ანაზღაურება აღმოჩნდა.

- დედაჩვენმა მაგრად სცემა მატს, სულ გაასისხლიანა. ჰოდა, ის და ბრანჩი სამოგზაუროდ წავიდნენ და ადარ მოვლენ, არც ფენში, - აუწყა ბავშვმა, - მატმა იშოვა მეგობრები, რომლებიც კარგად ზრუნავენ მასზე, არასოდეს სცემენ და საქმელსაც აძლევენ.

თომასმა ჩაიცინა და დაამატა:

- და აბანავებენ კიდევაც.

თუმცა, ბავშვი უსიტყვოდ მიაჩერდა, რაკი ამ სიტყვის მნიშვნელობას ვერ მიხვდა.

- მან ჩვენ გვიგულისხმა! - თქვა კირამ. - სწორედ ჩვენ ვართ მისი მეგობრები!

გოგონა შეწუხებული იყო.

- თუ ჩვენთან წამოვიდა, მაშინ ახლა სად არის? ორი დღის წინ მიატოვა აქაურობა და მას შემდეგ აღარავის უნახავს. გზა იცოდა...

მატის ძმამ შეაწყვეტინა:

- ის და ბრანჩი ჯერ სხვაგან წავიდნენ. საჩუქარი უნდა იშოვოს თავისი მეგობრებისთვის. ეს შენ ხარ, მის? და შენ? - ბიჭუნამ თომასს შეხედა.

მათ თავი დაუქნიეს.

- მატმა თქვა, რომ საჩუქარი შენნაირ ადამიანს ყველაზე უკეთესს გახდის.

კირამ ამოიოხრა:

- არა, ეგრე არ არის საჩუქარი. - მერე დანებდა, - კარგი, არა უშავს. გვითხარი, სად წავიდა.

- ის ცოტაოდენ ლურჯს მოგიტანს.

- ლურჯს? რას გულისხმობ?

- რა ვი, მის. მაგრამ ეს მატმა თქვა. იქ ლურჯი აქვთო, თქვა. წავიდა, რომ მოგიტანოთ.

ღია კარში ისევ გამოჩნდა ქალი. მკვიანა ბრაზიანი ხმით დაუძახა ბავშვს და ისიც შინ შებრუნდა. თომასს და კირას ისღა დარჩენოდათ, მიბრუნებულიყვნენ და უკანვე გამოჰყოლოდნენ სოფლისკენ მომავალ ტალახიან ბილიკს. მდუმარე მოთვალთვალეები ისევ მიჰფარებოდნენ თავიანთ კარ-შესასვლელს. გარშემო ისევ მყრალი სინოტივე იდგა.

- როცა მატ გაქრა, ვიფიქრე, იქნებ ისიც ისევე წაიყვანეს, როგორც ჯო-მეთქი, - ჩასჩურჩულა კირამ თომასს.

- ასე რომ წაიყვანათ, გვეცოდინებოდა მისი ადგილსამყოფელი, უთხრა თომასმა, - ჩვენთან ერთად იქნებოდა საბჭოს შენობაში.

კირა დაეთანხმა:

- ჩვენთან და ჯოსთან. თუმცა, ჯოსავით, ისიც შეიძლებოდა ჩაეკეტათ. მატ ამას ვერ აიტანდა.

- იპოვიდა გზას, როგორ გაპარულიყო, - თქვა თომასმა და კირას დაეხმარა, შემოევლო გუბისთვის, რომელშიც მკვდარი ვირთხა ეგლო, - თუმცა, მას არ წაიყვანდნენ. ჩვენც მხოლოდ ჩვენი ოსტატობისთვის ვჭირდებით, იმას კი ასეთი არაფერი შეუძლია.

კირა ფიქრობდა ამ ჭინკა-ბიჭუნაზე, მის სიკეთესა და მხარულ სიცილზე, მის ერთგულებაზე პატარა ძაღლისადმი. ფიქრობდა მასზე და მის სურვილზე, მეგობრებისთვის საჩუქარი მოეტანა.

- ოჰ, თომას, - თქვა კირამ, - მან იცის, როგორ გაგვაცინოს.

ამ საშინელ ადგილას კი არაფერი იყო ისეთი, რაც მის არსებობას გაგახსენებდათ. კირა მიარღვევდა აქაურ სიდატაკეს და იხსენებდა მატის გადამდებ ფრუტუნს. ფიქრობდა პატარა მომღერლის წკრიალა ხმაზე და ხვდებოდა, რომ ეს ორი ბავშვი აქ სიხარულის ერთადერთი წყარო იყო. ჯო უკვე წაიყვანეს. ახლა მატიც გაუჩინარდა.

აინტერესებდა, სად შეიძლებოდა წასულიყო მატი - მარტოდმარტო, ძაღლთან ერთად - ლურჯის ძიებაში.

18

შეკრების დღე ახლოვდებოდა. მისი სიანხლოვე უკვე იგრძნობოდა სოფელში. ადამიანებმა რაღაცები დაამთავრეს, ახალი რამეების დაწყებას კი აყოვნებდნენ. კირამ შეამჩნია, რომ საქსოვ ფარდულში ქსოვილები დაკეცეს და ააკოკოლავეს, მაგრამ დაზგებში ახალი ძაფები აღარ ჩაუწყვიათ.

ხმაურმა იკლო, თითქოს ადამიანები მზადებამ გაიტაცა და ჩვეულებრივ კინკლაობაში ღროის ფლანგვა არ სურდათ.

ზოგი რეცხავდა.

თავის ოთახში თომას-გრავიორი საგულდაგულოდ აპრიალებდა მომღერლის კვერთხს, კიდევ და კიდევ. იყენებდა სქელ ზეთებს, რომლებსაც რბილი ნაჭრით უსვამდა მერქანს და ისიც - გლუვი და ოქროსფერი - მბზინვარე და სურნელოვანი ხდებოდა.

მატ არ დაბრუნებულა. არაერთი დღე გავიდა მისი გაქრობიდან. დამით, ძილის წინ, კირა იჭერდა ქსოვილის ფთილას, ასე ხშირად რომ დაუცხრია მისი შიში და ზოგჯერ შეკითხვაზეც უპასუხია. თითებზე შემოიხვევდა და მატზე ფიქრობდა. წარმოიდგენდა მოცინარ ბიჭს და ცდილობდა, ეგრძნო, სად შეიძლებოდა ყოფილიყო და უსაფრთხოდ იყო თუ არა. ფთილის გამხნევებას, ნუგეშისცემას გრძნობდა, მაგრამ პასუხი არ ესმოდა, დროდადრო, დღის განმავლობაში, მათ ყურამღე აღწევდა ჯოს - პატარა მომღერლის - ხმა. ტირილი შეწყდა. ხშირად ესმოდათ გამეორებული სიმღერა, ერთი და იგივე ფრაზები, თუმცა, ზოგჯერ - თითქოს ჯო მარტო დატოვესო - მაღალი ლირიკული ხმა მღეროდა მელოდიებს, რომელთა გაგონებაზე კირას შიშნარევი მოწიწებისგან სუნთქვა ეკვროდა.

დამღამობით გასაღებს იღებდა და ბავშვთან ჩადიოდა. ჯო ადარ კითხულობდა დედას, ახლა კირას ეხუტებოდა სიბნელეში. ისინი ჩურჩულით ჰყვებოდნენ პატარ-პატარა ისტორიებს და ხუმრობდნენ. კირა თმას ვარცხნიდა.

-შემიძლია, სავარცხლით მოვაკაკუნო, როცა მომინდება, - შეახსენა ჯომ და ჭერს ახედა.

- ჰო, და ჩვენც მოვალთ, - კირამ ხელი ჩამოუსვა რბილ ლოცაზე.

- გინდა, შენთვის სიმღერა მოვიგონო? - ჰკითხა ჯომ.

- სხვა დროს, - უთხრა კირამ, - ახლა არა. ნუ ვიხმაურებთ დამით. ჩვენს საიდუმლოდ უნდა დარჩეს, რომ აქ მოვდივარ.

- მე მოვიფიქრებ სიმღერას, - თქვა ჯომ, - და ერთხელ ძალიან ხმამაღლა გიმღერებ.

- კარგი, - გაიცინა კირამ.

- მალე შეკრება იქნება, - თქვა ჯომ სერიოზულად.

- ჰო, ვიცი.

- მე სულ წინ ვიქნები, ასე ამბობენ.

- ძალიანაც კარგი! ესე იგი, ყველაფერს დაინახავ, - უთხრა კირამ, - დაინახავ მომღერლის ლამაზ მანტიას. მე ბევრი ვიმუშავე მის აღსადგენად. საოცარი ფერები აქვს.

- როცა მომღერალი გავხდები, - გაანდო ბავშვმა, - მერე ჩემს სიმღერებს დავწერ. ძველ სიმღერებს კარგად ვსწავლობ.

* * *

როცა ჯემისონ მოვიდა, კირამ უჩვენა მანტია - შეკეთებულ-განახლებული. ის ამკარად ნასიამოვნები დარჩა ნამუშევრით. ერთად გაფინეს მანტია მაგიდაზე, გადაატრიალეს, ნაკეციები და მანქეტები გაშალეს, შეამოწმეს რთული გვირისტები და სცენები, რომლებიც შექმნეს.

- მშვენივრად გიმუშავია, კირა, განსაკუთრებით აქ, ჯემისონმა მიუთითა ადგილზე, რომლის გაკეთებაც - კირამ გაიხსენა - ძალიან რთული იყო. ზომით ჰაწაწინა, როგორც ყველა სხვა ამოქარგული სცენა, ეს ადგილიც რთული ნაქარგი იყო - მაღალი, რუხ-ჩრდილებიანი შენობები სათითაოდ ინგრეოდა ცეცხლოვანი აფეთქებების ფონზე. კირამ შეარჩია სხვადასხვა ტონალობის წითელი და ნარინჯისფერი, იპოვა სხვადასხვაგვარი ნაცრისფერი კვამლისა და შენობებისთვის, მაგრამ ამოქარგვა ერთობ გაუძნელდა, რადგან არაფერი იცოდა ამ შენობებზე - აქამდე ხომ ასეთი არაფერი ენახა. საბჭოს შენობა, რომელშიც ცხოვრობდა და მუშაობდა, კირასთვის ერთადერთი დიდი ნაგებობა იყო, თუმცადა პატარა ამ შენობებთან შედარებით. სანამ ჩამოინგრეოდა, ის ძველი

შენობები თვალშეუდგამ სიმაღლეზე იტყორცნებოდა ცისკენ, ყველაზე მაღალ ხეზე უფრო მაღლა.

- ეს ყველაზე ძნელი აღმოჩნდა, - უთხრა ჯემისონს, - ძალიან, ძალიან ძნელი. იქნებ, ცოტა უფრო მეტი რომ მცოდნოდა ამ შენობებზე, რა დაემართა მათ.

გოგონა შეცბუნებული იყო.

- წლიდან წლამდე უფრო მეტი ყურადღებით უნდა მომესმინა ნგრევის სიმღერა, - აღიარა, - დასაწყისი ყოველთვის ძალიან მადელვებდა, მაგრამ მერე გონება მეფანტებოდა, გულდასმით ვედარ ვუსმენდი.

- პატარა იყავი, - შეახსენა ჯემისონმა, - სიმღერა კი ძალიან, ძალიან გრძელია. ვერავინ უსმენს გულდასმით ყველა ნაწილს, განსაკუთრებით - ბავშვები.

- წელს მოვუსმენ! - უთხრა კირამ. - ამჯერად საგანგებო ყურადღებით მოვეკიდები, რადგანაც ასე კარგად ვიცნობ სცენებს. გამორჩეულად მივაყურადებ ამ სცენას, შენობები რომ ინგრევა.

ჯემისონმა თვალეები დახუჭა. კირამ დაინახა, როგორ აამოძრავა ტუჩები ჩუმად და აღიღინდა. გოგონამ ამოიციწო სიმღერის ერთი ნაწილის მელოდია. მერე ჯემისონ ხმამაღლა ამღერდა:

დაიწვი, დასჯილო ქვეყნიერებავ,

გაშმაგებულ ღუმელო,

უწმინდურო ჯოჯოხეთო...

თვალეები გაახილა და თქვა:

- მგონი, ეს ნაწილია. მერე გრძელდება და გრძელდება, მომდევნო სიტყვები დამავიწყდა. მაგრამ ეს ის მომენტი, როდესაც შენობები ინგრევა. რასაკვირველია, სიმღერა შენზე მეტჯერ მომისმენია.

- ვერ წარმომიდგენია, როგორ ახსოვს მომღერალს ყველაფერი! - თქვა კირამ. ერთი წამით იფიქრა, ქვედა სართულზე დატყვევებულ ბავშვზე ვკითხავ, მომავლის მომღერალზე, რომელსაც აიძულებენ, ეს დაუსრულებელი სიმღერა ისწავლოსო, მაგრამ შეყოყმანდა და ვედარ მოასწრო.

- კვერთხი მეგზურობას უწევს, რასაკვირველია, - თქვა ჯემისონმა, - სწავლაც მთლად ბავშვობიდანვე დაიწყო. ეს ძალიან დიდი ხნის წინ იყო. თან გამუდმებით იმეორებს. სანამ მანტიას უმზადებდი, ის ამ წლის სიმღერას იმეორებდა. რა თქმა უნდა, ტექსტი არასოდეს იცვლება, მაგრამ ის, ვფიქრობ, ყოველ წელს თავიდან წყვეტს, რომელი ადგილები გამოკვეთოს. მთელი წლის განმავლობაში მეცადინეობს და რეპეტიციებს ატარებს.

- სად?

- საგანგებო ბინა აქვს ამ შენობის სხვა ნაწილში.

- სიმღერის შესრულების გარდა არასოდეს მინახავს.

- არა. ის განცალკევებით ცხოვრობს.

ისევ მანტიას დაუბრუნდნენ. თითოეულ ადგილს ამოწმებდნენ, ხომ არაფერი გამორჩენოდა კირას. მომვლელმა ჩაი შემოიტანა და ისინი ერთად დასხდნენ. საუბრობდნენ მანტიაზე და მის ნაამბობ ისტორიაზე, ნგრევამდელ დროზე. ჯემისონმა თვალები დახუჭა და წაიმღერა:

მოისრა ყველა:

ბოგო ტაბალ.

ტიმორ ტორონ,

აწ გაქრა ტოტუც...

კირამ იცნო ეს სტრიქონები, მისი რჩეულთაგანი, თუმცა, შინაარსი არ ესმოდა. ბავშვობაში ეს რიტმული ბგერები უფანტავდა მოწყენილობას, რომელიც ხშირად ეუფლებოდა დაუსრულებელი

სიმღერის მოსმენისას. ზოგჯერ წაუმღერია კიდეც თავისთვის: „ბოგო ტაბალ, ტიმორ ტორონ...“

- რას ნიშნავს ეს მონაკვეთი? - ჰკითხა ამჯერად ჯემისონს.

- ვფიქრობ, დაკარგული ადგილებია ჩამოთვლილი.

- ნეტავ როგორ გამოიყურებოდა ეგ ადგილები. ტიმორ ტორონ. მომწონს ეს ბგერები.

- ეს შენი საქმის ნაწილია, - შეახსენა ჯემისონმა, - შენ იყენებ ძაფებს, რათა შეგვასვენო, როგორი იყო გამქრალი ადგილები.

კირამ თავი დაუქნია და კიდეც ერთხელ გაასწორა მანტია. იპოვა ნანგრევებად ქცეული ქალაქები და შიგადაშიგ გაფანტული რბილმწვანე მდელოები.

ჯემისონმა ჩაის ჭიქა მაგიდაზე დადგა, ფანჯარასთან მივიდა და ქვემოთ ჩაიხედა.

- მუშებმა დაამთავრეს. შეკრებისა და ამ წლის სიმღერის შემდეგ, შეგეძლება, დაიწყო ახალი ძაფების ღებვა მანტიისთვის.

შეშინებულმა კირამ ახელა იმ იმედით, რომ ჯემისონის გამომეტყველება მის ხუმრობას დაუდასტურებდა, მაგრამ ჯემისონს საზეიმო იერი ჰქონდა. კირას არაერთხელ უფიქრია, რომ როცა ამ საქმეს დაამთავრებდა, საკუთარ სურვილებს ახდენდა, უფაქიზეს ქარგებს შექმნიდა, ჯერ მხოლოდ გონებაში რომ ხელავდა და გრძნობდა. ზოგჯერ თითებიც კი უთრთოდა იმ სურათების შექმნის სურვილით.

- ნუთუ ისე დაზიანდება მანტია სიმღერის დროს, რომ ისევ შეკეთება დასჭირდება? - შეეკითხა ჯემისონს, თან ცდილობდა, არ დაენახვებინა, რაოდენ დამთრგუნველი იყო ეს აზრი მისთვის. უნდოდა, ეამებინა ამ კაცისთვის. ის ხომ მისი დამცველი იყო. მაგრამ არ სურდა სამუდამოდ ამ საქმის მსახურად დარჩენა.

- არა, არა, - თქვა ჯემისონმა გამამხნეველად, - დედაშენი პატარ-პატარა ადგილებს აახლებდა ყოველ წელს. შენ კი ძალიან

კარგად შეაკეთე ყველა ადგილი, რომლებსაც რესტავრაცია სჭირდებოდა. ამ წლის სიმღერის შემდეგ, ალბათ, რამდენიმე გაწყვეტილი ძაფი გექნება აღსადგენი.

- მერე? - იკითხა შეფიქრიანებულმა კირამ.

ჯემისონმა ხელი მანტიისკენ გაიშვირა და ცარიელი, უორნამენტო მონაკვეთი უჩვენა მხრების გაყოლებაზე.

- აქ არის მომავალი. და შენ გვამცნობ მას შენი თითებითა და ძაფებით, - თქვა მან გამჭოლი, აგზნებული მზერით.

გოგონამ სცადა, დაემალა თავისი გაოგნება.

- ასე მალე? - ჩაიჩურჩულა მან. ჯემისონმა უწინაც ახსენა ეს უსასრულო სამუშაო, მაგრამ კირას ეგონა, ამას მხოლოდ მაშინ მოჰკიდებდა ხელს, როცა ასაკში შევიდოდა, როცა ოსტატობა, ცოდნა დაუგროვდებოდა...

- ჩვენ დიდხანს გელოდით, - უთხრა ჯემისონმა და მტკიცედ შეხედა, თითქოს უარის სათქმელად იწვევდა.

19

ყველაფერი აღრიხანად დაიწყო. გამთენიისას კირამ გაიგონა ხმაური - თავისი ოთახიდანაც კი, რომელიც შენობის მეორე მხარეს იყო. ადამიანებმა თავმოყრა იწყეს. სწრაფად ჩაიკვია, სავარცხელი თმაში გაიყარა და თომასს მიაშურა ღერეფნის მეორე მხარეს. იქიდან შეეძლოთ, გადაეხედათ მოედანზე, სადაც ყველა დიდი შეკრება იმართებოდა.

ნადირობის დღისგან განსხვავებით, ახლა ხალხი მორჩილად იქცეოდა. პატარა ბავშვებიც კი, ასეთი უწესრიგობები, დედების ხელებს ჩაჰფრენოდნენ და მშვიდად იცდიდნენ. ხმაური, რომელმაც კირა გააღვიძა, არც ყვირილი იყო, არც არეულობა, ეს იყო ნაბიჯების ხმა - ადამიანები ვიწრო შუკებით მოეშურებოდნენ და

შენობაში შესვლის წინ ერთიანდებოდნენ. ფენის ბილიკიდან უხმო ნაკადად მოაბიჯებდნენ იქაურობის ბინადრები, რომლებსაც ჩაბღუჯული მოჰყავდათ თავიანთი ბავშვები. საპირისპირო მხრიდან, სადაც უწინ კირა და დედამისი ცხოვრობდნენ, მოდიოდნენ სხვები და მან თავისი ძველი მეზობლები იცნო. მათ შორის იყო დედამისის დაქვრივებული ძმა და მისი ვაჟიშვილი, დენ. პატარა ქალიშვილი მარკი არ ჩანდა. შეიძლება სხვებს მისცეს.

ჩვეულებრივ დღეებში ოჯახები გაფანტულები იყვნენ, ბავშვები უმეტესადაა ურთოდ დარბოდნენ, მშობლები მუშაობდნენ, მაგრამ დღეს ქმრები ცოლების გვერდით იდგნენ, ბავშვები - თავთავიანთ ოჯახებთან. ხალხი დღესასწაულს ელოდა.

- კვერთხი სად არის? - იკითხა კირამ, როდესაც გრავიორის ოთახში მზერა მოატარა.

- გუშინ წაიღეს.

კირამ თავი დააქნია.

- მანტიაც გუშინ წაიღეს.

დაღალა ამ სამუშაომ, მაგრამ მისი წაღების შემდეგ ოთახი მაინც დაპატარავებული ეჩვენა.

- უნდა ჩავიდეთ? - ჰკითხა თომასს, თუმცა, სულაც არ ეხატებოდა გულზე ხალხში გარევა.

- არა. ჩვენ მოგაკითხავთ, თქვეს. მომვლელს ვკითხე, საუზმე რომ შემომიიტანა.

- შეხედე! - დაანახა თომასმა. - აგერ იქ, უკან, ხესთან, საქსოვი ფარდულის წინ! ის ქალი ხომ მატის დედაა?

გოგონამ თვალი გააყოლა თომასის თითს და დაინახა ისევ ის გამხდარი ქალი, მატის საძებრად მისულებს იჭვნეულად რომ გამოსცქეროდა თავისი ტატაკი ქოხიდან. დღეს იგი დაბანილი და მოწესრიგებული იყო. გვერდით ედგა მის ხელს ჩაჭიდებული ბიჭუ-

ნა, ასე რომ ჰგავდა მატს. ეს ორნი მთელი ოჯახივით იდგნენ. მეორე ბავშვი არ ჩანდა. მატ აქ არ იყო. მწუნარების ტალღამ დაუარა კირას... დანაკარგის ტკივილმა...

დასცქეროდა ხალხის ზღვას მოედანზე და აქა-იქ ვიდაცებს სცნობდა: მქსოველ ქალებს, ამჯერად - ცალ-ცალკე მდგომთ, თითოეულს - თავის ქმარ-შვილთან; ყასაბს, დღეს მასაც სუფთას, თავის ფაშფაშა ცოლითა და ორი მაღალი ვაჟით. მთელი სოფელი აქ იყო, რამდენიმე დაგვიანებულიდა მოიჩქაროდა შუკებში.

მოდრაობის მცირე ტალღა აგორდა და ადამიანები წინ მოაწყდნენ. ხალხი ისე აჭავლდა, როგორც წყალი - მდინარის ნაპირთან მორის ჩამოცურებისას.

- ალბათ, კარი გაიღო, - თქვა თომასმა და წინ გადაიხარა დასანახავად.

ისინი უყურებდნენ, როგორ შევიდა შენობაში მთელი სოფელი. ბოლოს, როდესაც გარეთ თითქმის აღარავინ დარჩა, ქვემოდან გაიგონეს ჩურჩული და ნაბიჯების ხმა შენობის შიგნით. თომასის კარში მომვლელი გამოჩნდა და ანიშნა:

- დროა.

იმ ნაშუადღევს გარდა, წამით რომ შეიჭყიტა ოდნავ გამოღებულ კარში ჯემისონის ძებნისას, მრავალი თვის წინ ჩატარებული მისი სასამართლო პროცესის შემდეგ კირას ერთხელაც არ შეუხედავს მეურვეთა საბჭოს დარბაზში. მაშინ გამოქვაბულივით ოთახში შეაბიჯა და კოჭლობით გაუყვა ცენტრალურ გასასვლელს - მარტოდმარტო, მშვიერი და სიკვდილის მომლოდინე, ახლა კი აქ სხვაგვარი გარემო დახვდა.

დღესაც, მაშინდელივით, ხელჯოხს ეყრდნობოდა, თუმცა, ამჯერად სუფთა, ჯანმრთელი და არცთუ დამფრთხალი იყო. ის

და თომას-გრაჯიორი გვერდითი შესასვლელიდან შეიყვანეს სცენასთან ახლოს, რათა მათკენ მომზირალი სახეების დანახვა შესძლებოდათ.

მომვლელი წაუძღვა მარცხენა მხარეს, სცენის ქვემოთ, ხალხის პირდაპირ, სამი ხის სკამისკენ. კირამ დაინახა, რომ მარჯვენა მხარესაც იდგა სკამების უფრო გრძელი რიგი და იცნო მეურვეთა საბჭოს წევრები, რომლებიც უკვე იქ ისხდნენ, მათ შორის - ჯემისონიც.

კირამ შეახსენა თავის თავს აქაური წესი და სწრაფად დაუხარა თავი თავყვანისცემის ობიექტს სცენაზე. მერე თომასს გაჰყვა და ერთად დასხდნენ თავ-თავიანთ სკამებზე. შეკრებილთ ჩურჩულმა გადაუარა და კირამაც იგრძნო, როგორ წამოჭარხლდა შეცბუნებისგან. არ მოსწონდა ასე გამორჩეულად ყოფნა. არ უნდოდა წინ ჯდომა. ახსოვდა ერთ-ერთი მქსოველი ქალის დამცინავად ნათქვამი რამდენიმე დღის წინ: „მაგას ჩვენ აღარ ვჭირდებით!“

„ეგრე არ არის. მე თქვენ ყველანი მჭირდებით. ჩვენ ვჭირდებით ერთმანეთს.“

უყურებდა თავმოყრილ ხალხს და ახსენებოდა მრავალი გარდასული წელი, მოვალეობის გრძნობით რომ მოდიოდა შეკრებაზე დედასთან ერთად. ყოველთვის უკან სხდებოდნენ, საიდანაც კირა ვერაფერს ხედავდა და არაფერი ესმოდა, ამიტომაც ბეზრდებოდა და მოუსვენრად წრიალებდა. ზოგჯერ მუხლებით დგებოდა სკამზე, რათა მაყურებლების მხრებზემთ გაეხედა და მომღერლისთვის თვალი მოეკრა. ახსოვდა: დედამისი ყოველთვის ყურადღებით იჯდა და კირას აოკებდა, როცა ის სკამზე იგრიხებოდა. მაგრამ შეკრება და სიმღერა დიდხანს გრძელდებოდა და ბავშვებისთვის ძნელი გასაძლები იყო.

შეკრებილი სოფლელები, რომლებიც, პატივისცემით აღვისილნიც კი, სკამებზე ცმუკავდნენ და ჩურჩულდებოდნენ, კირას და

თომასის შემოსვლისთანავე გაჩუმდნენ და თავიანთ ადგილებს მიაშურეს. ყველა ელოდა. ბოლოს, საყოველთაო ღუმელში, ოთხმარცვლიანი მთავარი მეურვე, რომელიც კირას არ ენახა თავისი სასამართლო პროცესის შემდეგ და რომლის სახელს ისევ ვერ იხსენებდა (ბართოლომე ხომ არ ერქვა?) მოპირდაპირე მხარეს სკამიდან წამოდგა, სცენის წინ გამოვიდა და დაიწყო რიტუალი, რომლითაც მუდამ იწყებოდა ეს ცერემონია.

- შეკრება იწყება, - გამოაცხადა მან.

- ჩვენ ვეთაყვანებით ობიექტს, - ხელი გაიშვირა სცენისკენ და პატივისცემით თავი დახარა. შეკრებილებმა მაშინვე მას მიჰბადეს და ხის პატარა გადაჯვარედინებული კონსტრუქციისადმი პატივისცემის ნიშნად თავები დახარეს.

- მე წარმოვადგენ მეურვეთა საბჭოს, თქვა შემდეგ და თავი დაუკრა კაცების მწკრივს, სადაც იჯდა ჯემისონიც. ისინი ერთად წამოდგნენ. ნერვიულობის გამო კირამ ვერ გაიხსენა, უნდა დაეკრა თუ არა მაყურებელს ტაში ამ მომენტში, მაგრამ გარშემო სიჩუმეს დაესადგურებინა და ხალხი გასუსული იჯდა, მხოლოდ რამდენიმე თავი პატივისცემით უკრავდა კვერს მეურვეთა საბჭოს.

- პირველად წარმოგიდგენთ მომავლის გრავიორს, - და ხელი გაიშვირა თომასისკენ, რომელსაც სახეზე გაურკვეველი გამომეტყველება ადბეჭდოდა.

- ადექი, - ჩასჩურჩულა კირამ, რომელიც აღდგოთი გრძნობდა, რომ ეს რიგიანი ქცევა იქნებოდა. თომას მოუქნელად წამოდგა და ფეხი მოინაცვლა. რამდენიმე თავი ისევ პატივისცემით დაკანტურდა. ბიჭი ისევ დაჯდა.

კირამ იცოდა, რომ ახლა მას დაასახელებდნენ და სკამზე მიყუდებული ჯოხი ჩაბღუჯა.

- პირველად წარმოგიდგენთ მანტიის მქარავს, მომავლის გამომსახველს.

კირა წამოდგა - შეძლებისამებრ გაიმართა წელში, შეკრებილთა თავის დაქნევას მანაც თავის დაქნევით უპასუხა და დაჯდა.

- პირველად წარმოგიდგენთ მომავლის მომღერალს. ერთხელაც ის ჩაიცვამს მანტიას.

სოფლელთა მზერა გვერდითა კარს მიაჩერდა. კარი ღია იყო და კირამ დაინახა ორი მომვლელი, რომლებიც ჯოს თავისუფალი სკამისკენ უბიძგებდნენ. ბავშვი, რომელსაც ახალი, მაგრამ უბრალო და უსამკაულო კაბა ეცვა, შეცბუნებული და დაბნეული ჩანდა, თუმცა, მისმა თვალებმა კირას თვალები იპოვა. კირამ ღიმილით მოუხმო და ჯომაც ღიმილით მიაშურა თავის სკამს.

- ჯერ არ დაჯდე, - უჩურჩულა კირამ, - იდექი და ხალხს უყურე. ამაყად!

მორცხვი ღიმილით, ერთი ფეხის კოჭზე მოხაზუნე მეორე ფეხით, მომავლის მომღერალი ხალხს შეჰყურებდა. მისი ღიმილი - თავიდან მოყოყმანე - სწრაფად გადაიქცა თავდაჯერებულად და გადამდებად, კირა ხედავდა, როგორ პასუხობდნენ ჯოს ღიმილს ღიმილით.

- ახლა შეგიძლია დაჯდე, - ჩასჩურჩულა კირამ.

- მოიცა, - ჩურჩულით უპასუხა მან, ხელი ასწია და ხალხს თითები აუთამაშა. დარბაზს ხალისიანი სიცილის ჭავლმა გადაურბინა.

მერე ჯო შებრუნდა და სკამზე მუხლებით შესკუპდა.

- ცოტათი ხელი დაუქნიე, - გაანდო კირას.

- დაბოლოს, წარმოგიდგენთ ჩვენს მომღერალს, რომელსაც მანტია მოსავს, - გამოაცხადა მთავარმა მეურვემ, როდესაც ხალხი ჩაწყნარდა.

მომღერალი, რომელსაც დიდებული მანტია ეცვა და მარჯვენა ხელში კვერთხი ეჭირა, მეორე მხრიდან შემოვიდა. ხალხმა

ერთხმად ამოიგმინა. რასაკვირველია, ისინი ყოველ წელს ხელავდნენ ამ კაცსაც და მის მანტიასაც, მაგრამ წლევეანდელი წელი განსხვავდებოდა კირას ნამუშევრით, რომლითაც მან ძველი ნაქარგობა გაახალისა. როცა მომღერალი სცენისკენ წავიდა, მანტიის ნაკეციები ჩირადდნების შუქზე აციმციმდა, ნატიფად ამოქარგული სცენების ფერებმა ყველას თვალი მიიზიდა. ოქროსფერი, მფეთქავ ნარინჯისფრად ქცეული ღია ყვითელი, წითელი - უფერმკრთალესი ვარდისფრიდან უმუქეს სისხლისფრამდე, მწვანე - ერთი სიტყვით, ყველა ფერი და ტონალობა თავ-თავის რთულ ქარგაში გადმოსცემდა ქვეყნიერებისა და მისი ნგრევის ისტორიას. როცა ის შებრუნდა, რომ სცენისკენ რამდენიმე საფეხური აევლო, გამოჩნდა ფართო თეთრი მონაკვეთი მომღერლის ზურგსა და მხრებზე, ანუ სიცარიელე, რომელიც კირას უნდა შეევსო. შეევსო მომავლით, რომლის შესაქმნელადაც ის ამოირჩიეს.

- რა ხმაურია? - დაიჩურჩულა თომასმა.

კირას ყურადღება გაფანტვოდა მანტიის ცქერით, მაგრამ ახლა მანაც გაიგონა ლითონის ყრუ, წყვეტილი ჟღერიალი, დახშული ჟღარუნი, რომელიც წამით შეწყდა და ისევ გაისმა.

- არ ვიცი, - ჩურჩულით უპასუხა თომასს.

მომღერალმა ოდნავ დაუკრა თავი სცენის შუაგულში აღმართულ თაყვანისცემის ობიექტს, მერე კი შემობრუნდა და ხალხს შეხედა. თილისმასავით მოსინჯა კვერთხი, თუმცა, მისი მეგზურობა მხოლოდ მერე დასჭირდებდა. გამომეტყველება უდრტვივნველი და არაფრისმთქმელი ჰქონდა. მერე თვალები დახუჭა და ღრმად ჩაისუნთქა.

იღუმალი ბგერა ადარ ისმოდა. კირამ გაფაციცებით მიაყურადა, მაგრამ ყრუ ჟღარუნი გამქრალიყო. თომასს შეხედა, მხრები აიჩეჩა და საზურგეს მიეყრდნო მოსასმენად. ერთხელ გახედა ჯოს:

იმასაც დაეხუჭა თვალები და ბაგეებს აყოლებდა პირველ სიტყვებს.

მომღერალმა ცალი ხელი ასწია და კირაც - მანტიის მისეული ცოდნის წყალობით - მიხვდა, რომ იგი ყველას უჩვენებდა სახელოს, რომელზეც გამოსახული იყო ქვეყნიერების დასაბამი: წყლისა და ხმელეთის გამიჯვნა, თევზების და ფრინველების გაჩენა. ეს ყველაფერი, პაწაწკინტელა გვირისტებად აკინძული მარცხენა სახელოს კიდზე, ახლა ზემოთ აზიდულიყო. კირა გრძნობდა ადამიანთა ადფრთოვანებას. ისინი შეხაროდნენ წელს პირველად გამოჩენილ მანტიას და მან თავისი შრომით მოგვრილი სიამაყე იგრძნო.

მომღერალმა ძლიერი, მდიდარი ბარიტონით დაიწყო. თუმცა, ეს ჯერ მელოდია არ იყო. სიმღერა დაიწყო ჰიმნით. სხვადასხვა მელოდია თანდათან შემოვავო, გაიხსენა კირამ. ნელა მოლივლივე ლირიკულ ფრაზებს შეენაცვლება სწრაფი რიტმის უფრო მკაცრი პასაჟები. სიმღერა ნელ-ნელა იბადებოდა, როგორც ქვეყნიერება.

დაიწყო მრავალზე მრავალი საუკუნის წინ ქვეყნიერების შექმნის ამბავი.

- თავდაპირველად...

20

თომასმა იდაყვი გაჰკრა და თავით ანიშნა. კირამ მოიხედა და ჯოს დანახვაზე გაეღიმა. ცოტა ხნის წინ ის დიდი მონღომებით იგრინებოდა, ახლა კი ღრმად ჩასძინებოდა, დიდ სკამზე მიყუჟულს.

გვიანი დილა იყო. უკვე რამდენიმე საათი იყო, სიმღერა გრძელდებოდა. ალბათ, ამხელა დარბაზში ბევრ ბავშვს ეძინა ჯოსავით.

კირა გაკვირვებული იყო, რომ არც მოჭბუზრებია და არც ჩას-
ძინებია. მისთვის სიმღერა იყო მოგზაურობაც ნაქარგებიან ნაკე-
ცებში: როცა მომღერალი მღეროდა და მანტიის შესაბამის ნაწი-
ლებს ზემოთ სწევდა, გოგონას ახსენდებოდა თითოეული სცენა
და მუშაობის დღეები, ზუსტად შესატყვისი ტონალობების ძებნა
ანაბელას ძაფებში. ყურადღებით კი უსმენდა, მაგრამ ხანდახან მა-
ინც გონებით უბრუნდებოდა საქმეს, რომელიც სამომავლოდ ელო-
და. ახლა, როდესაც მოხუცი მღებავის ძაფები თითქმის გამოილია
და ქალიც ცოცხალი აღარ იყო, კირამ იგრძნო, როგორ გაცოცხლდა
მის არსებაში იმედი, რომ სხვის დაუხმარებლად გაიხსენებდა და
შექმნიდა ფერებს. თომასიც ერთთავად ტვინს უხვრეტდა თავისი
ჩანაწერებით.

მართალია, კირას ეს არავისთვის უთქვამს, თომასისთვისაც
კი, მაგრამ ცოტა ხნის წინ მოულოდნელად გააცნობიერა, რომ ბევ-
რი სიტყვის წაკითხვა შეეძლო. როცა თვალს ადევნებდა თომასის
თითს, ამჩნევდა, რომ სიტყვები ოქროსფერი და მომწვანო, ერ-
თნაირი მოყვანილობის ფიგურებით იწყებოდა და მთავრდებოდა.
ეს ჰგავდა თამამს - ნიშნების პოვნას, რომლებიც სიტყვებს ქმნიდა.
რასაკვირველია, ეს აკრძალული თამაში იყო, მაგრამ კირა, თომა-
სის მზერისგან მალულად, მაინც ცდილობდა მისთვის თვალის
დევნებას. და საიდუმლომაც თანდათან იწყო გამჟღავნება.

ამჯერად მომღერალი უშფოთველ ეპიზოდზე ჰყვებოდა,
ისეთ ხანაზე, რომელიც მოჰყვა დიდ მსოფლიო კატასტროფას,
როცა ყინულმა - მისმა თეთრმა და ნაცრისფერმა ფენებმა, შექ-
მნილმა პატარ-პატარა გვირისტებით, რომელთაც ძრწოლის მომ-
გვრელი, მოციმციმე სიგლუვე ჰქონდა - სოფლები შთანთქა. კირას
ყინული იშვიათად უნახავს, მხოლოდ ყველაზე ცივ თვეებში, რო-
დესაც სოფელში თოვლი მოდიოდა, ხეებს ტოტებს უმტვრევდა და
მდინარეც იყინებოდა ნაპირებთან, მაგრამ ახსოვს ყინულისგან

განცდილი შიში და გაპარტახება, როცა ამ მონაკვეთზე მუშაობდა, და სიხარული, როცა - გამყინვარების შემდეგ - ისევ მოდიოდა სიმწვანე და მშვიდი ხანა ნაყოფიერებისა.

ამჯერად მომღერალმა მელოდიურსა და დამამშვიდებელ მწვანე ნაწილში შეცურა. ეს იყო შვება, რომელიც მოჰყვა ყინულოვან გაჩანაგებას, რაზეც მანამდე მჭახე და მკაცრი ხმით მღეროდა.

თომასმა კიდევ ერთხელ წაჰკრა იდაყვი კირას. გოგონამ ჯოს გადახედა, მაგრამ ბავშვს გაუნძრევლად ეძინა.

- სკამებს შორის გასასვლელს შეხედე, მარჯვენა მხარეს, - ჩასჩურჩულა თომასმა.

კირამ გაიხედა, მაგრამ ვერაფერი შენიშნა.

- თვალი არ მოაცილო, - ისევ დაიჩურჩულა თომასმა.

მომღერალი კვლავ მღეროდა. უეცრად კირამ დაინახა - რაღაც მოძრაობდა მალულად, ნელა, დროდადრო ჩერდებოდა და იცდიდა, მერე ისევ წინ მოცოცავდა.

თავები ხედვას უშლიდა და კირა ოდნავ მარჯვნივ გადაინარა, გვერდიდან დანახვა სცადა, თან ისე, მეურვეთა საბჭოს არ შეემჩნია, რომ წესრიგი ირღვეოდა. თვალი გააპარა, მაგრამ ისინი ყურადღებით უსმენდნენ და უყურებდნენ მომღერალს.

ის რაღაც კი ისევ მოძრაობდა და ამჯერად კირამ დაინახა, რომ ეს იყო ადამიანი, პატარა და ოთხზე დამდგარი, როგორც უჩუმრად ადევნებულის მხეცი. ისიც შენიშნა, რომ გასასვლელის კიდეზე მსხდომთაც დაინახეს, თუმცა, მზერა მაინც სცენისკენ ჰქონდათ მიპყრობილი. მხოლოდ ოდნავ შეირხნენ, თავები მიაბრუნეს, მესყუელად გახედეს და სახეზე გაკვირვება გამოეხატათ.

როცა ის მოახლოვდა, კირას უფრო გაუადვილდა თვალის ღევენება, რადგანაც მისი სკამი ხალხის პირდაპირ იდგა. ბოლოს,

როდესაც დარბაზში შემოპარული არსება პირველ რიგამდე მოვიდა, ოთხზე ცოცვა შეწყვიტა, ჩაცუცქდა და ღიმილით შეხედა სცენას - კირას, ჯოს და თომასს. კირას გული შეუხტა.

მატ!

ხმამალლა თქმა ვერ გაბედა, მხოლოდ ჩუმად წარმოთქვა ეს სიტყვა.

ბიჭმა თითები აათამაშა.

მომღერალმა კი თითები ნელა ააყოლა კვერთხს, ადგილი მოსინჯა და განაგრძო.

მატმა ღიმილით გაშალა ერთი ხელი რაღაცის საჩვენებლად, მაგრამ დარბაზში ბინდი იდგა და კირამ ვერ დაინახა, რა ეჭირა ბიჭს. მან ეს რაღაც ცერა და საჩვენებელ თითებში მოიქცია, ზემოთ შემართა და მნიშვნელოვანი გამომეტყველებით დაანახვა კირას. გოგონამ თავი ოდნავ გააქნია იმის სანიშნებლად, რომ ვერ არჩევდა, რას უჩვენებდნენ. მერე ყურადღების ამ ხანმოკლე მოღუნების გამო თავი დამნაშავედ იგრძნო და ისევ სცენას და მომღერალს მიუბრუნდა. იცოდა: მალე იქნებოდა შესვენება ლანჩისთვის და სწორედ მაშინ მოიხელთებდა მატს, ნახავდა, რა მოიტანა და ატაცებულიც დარჩებოდა.

კირა უსმენდა მომღერლის ხმას. ის მღეროდა მშვიდად უხვ მოსავალსა და სადღესასწაულო ნადიმებზე. სიმღერის ეს ნაწილი თითქოს კირას გრძნობებს მიესადაგა - ახლა ისიც შვებასა და სიხარულს განიცდიდა, რომ მატს არაფერი უჭირდა.

უკან გაიხედა, მაგრამ ბიჭი ისევ გაცოცებულიყო და რიგებს შორის გასასვლელში ადარავინ ჩანდა.

* * *

- შეიძლება, პატარა მომღერალმა ჩემთან და თომასთან ერთად ისაუბროს?

შუადღის შესვენება იყო შეკრებაზე - ხანგრძლივი პაუზა ჭამისა და დასვენებისთვის. მომვლელმა აწონ-დაწონა კირას შეკითხვა და დათანხმდა. ჯოსთან ერთად, რომელიც ძილისგან ვერ გამორკვეულიყო და ამთქნარებდა, ის და თომას ისევ გვერდითა კარიდან გავიდნენ და კირას ოთახში ასულები ლანჩის მოტანას დაელოდნენ. გარეთ, მოედანზე, ხალხი თავის მოტანილ საკვებს მიერთმევდა და სიმღერაზე ლაპარაკობდა. ახლა მომდევნო ნაწილს ელოდნენ - ომის, კონფლიქტისა და სიკვდილის პერიოდს. კირას გაახსენდა სისხლის მბზინავი შხეფები ხასხასა წითელ ძაფებში. თუმცა, ახლა ეს გონებიდან განდევნა.

სანამ თომას და ჯო ლანგრით შემოტანილ დიდ ლანჩს შეექცნენ, კირა გაეშურა თომასის ოთახში, რათა ფანჯრიდან გადაეხედა და მოედანზე შეგროვილ ხალხში სახედაუბანელი ბიჭუნა და კუდმოკვნიტილი ძაღლი ეპოვა.

მაგრამ ფანჯრიდან მათი ძებნა აღარ დასჭირდა - ორივე თომასის ოთახში დახვდა.

- მატ! - შესძახა კირამ, ჯოხი გვერდზე მიდო, საწოლზე ჩამოჯდა და ბიჭი ჩაიხუტა. მის ფეხებთან ბრანჩი დახტოდა და ცნელი დრუნჩით და ენით კოჭებს უნამავდა.

- ძალიან დიდხანს ვიმოგზაურე, - უთხრა მატმა ამაყად.

კირამ ამოისუნთქა და გაიღიმა.

- და არ დაგიბანია, ერთხელაც კი, სანამ წასული იყავი.

- ბანაობის დრო არ იყო, - ჩაიცინა მატმა.

- საჩუქარი მოგიტანე, - უთხრა კირას მგზნებარედ, ანცად მოელვარე თვალებით.

- რა დამანახვე შეკრებაზე? ვერ გავარჩიე შორიდან.

- ორი რაღაც მოგიტანე. დიდი და პატარა. დიდი ჯერ კიდევ გზაშია. პატარა ჯიბეში მაქვს.

ერთი ხელი ღრმად ჩაიყო ჯიბეში, ერთი პეშვი თხილი ამოიღო და ერთიც მკვდარი კალია ამოაყოლა.

- არა, მეორე მხარეს, - თქვა და კალია იატაკზე დადო ბრანჩისთვის, რომელმაც მწერი კბილებში მოიქცია და ისეთი ხრაშუნით გადასანსლა, რომ კირა ზიზღისგან მოიბუზა. თხილები საწოლის ქვეშ შეგორდა. მატმა ხელი მეორე ჯიბეში ჩაიყო და ტრიუმფით ამოიღო რაღაც.

- აი, შენ! - და კირას გადასცა.

გოგონამ ცნობისწადილით მოაცილა ხმელი ფოთლის ნარჩენები და ჭუჭყი. ბიჭი სიამოვნებით და სიამაყით აღვსილი სახით უყურებდა, როდესაც კირამ შეფუთული საგანი გახსნა და ფანჯრის სინათლეზე გახედა: დასვრილ-დაჭმუჭნილი ქსოვილის ნაფლეთი, სხვა არაფერი. და მაინც: ეს იყო ყველაფერი.

- მატ! - შესძახა მოწიწებისა და შიშისგან გაოგნულმა კირამ, - შენ ლურჯი იპოვე!

ბიჭუნა ასწივებდა.

- იქ იყო, სადაც იმან თქვა.

- ვინ?

- იმან. მოხუცმა ქალმა, ფერებს რო აკეთებდა. იმან თქვა, ლურჯი იქ იქნებაო, - აგზნებული მატ ადგილს ვერ პოულობდა.

ანაბელამ? ჰო, მახსოვს. ასე თქვა, - კირამ ნაჭერი მაგიდაზე დადო და გაასწორა, თან უკვირდებოდა. ლურჯი ფერი მდიდარი იყო და თანაბარი, ცის და მშვიდობის ფერი.

- მაგრამ საიდან იცოდი, სად უნდა გეძებნა, მატ? საიდან იცოდი, სად წასულიყავი?

იმან მხრები აიჩეჩა.

- მახსოვს, თითი რო გაიშვირა. მეც იქით წავედი, სადაც იმან გვიჩვენა. იქ ბილიკი იყო. მაგრამ ძალიან, ძალიან შორსაა.

- და სახიფათოც, მატ! ის ბილიკი ტყეებში მიდის!

- არაფერია საშიში იმ ტყეებში.

„მხეცები არ არიანო, თქვა ანაბელამ.“

- მე და ბრანჩმა ბევრი დღე ვიარეთ. ბრანჩმა და ხოჭოებმა. მე ცოტაოდენი საჭმელი მქონდა...

- დედაშენს მოჰარე...

მატმა თავი დააქნია დამნაშავეს იერით.

- მაგრამ ეს არ იყო საკმარისი. როცა გამითავდა, თხილზე გადავედი. ხოჭოებსაც შევჭამდი, თუ საჭირო გახდებოდა, - დაამატა ტრაბახით.

კირა ცალი ყურით უსმენდა მატის ნაამბობს, ხელით კი კვლავ ქსოვილს ასწორებდა. ის ხომ ასე მიელტვოდა ლურჯს! ახლა ლურჯი აქ იყო, მის ხელში.

- როცა იქ მივედი, იმ ხალხმა საჭმელი მომცა. ბევრი საჭმელი ჰქონდათ.

- ოღონდ აბაზანა - არა, - შეუღიტირა კირამ.

მატმა ღირსეულად მოიფხანა ჭუჭყიანი მუხლი და ხუმრობა ყურებში გაატარა.

- ძალიან გაუკვირდათ, რომ დამინახეს. მაგრამ ბევრი საჭმელი მომცეს. ბრანჩსაც. მოეწონათ ბრანჩი.

კირამ ძაღლს დახედა, ახლა მის ფეხებთან რომ ჩასძინებოდა და სიყვარულით მიარტყა სანდლის ცხვირი.

- მოეწონებოდათ, რა თქმა უნდა. ყველას უყვარს ბრანჩი. მაგრამ, მატ...

-რა?

- ვინ არიან ისინი? ის ხალხი, ვისაც ლურჯი აქვს?

ბიჭმა თხელი მხრები ასწია და შუბლი შეჭმუნა არცოდნის ნიშნად.

- არ ვიცი. ყველა დამტვრეულია, ის ხალხი. მაგრამ ბევრი საჭმელი აქვთ. იქ სიმშვიდეა და კარგია.

- რას ნიშნავს დამტვრეული?

მოღრეცილ ფეხზე მიუთითა:

- შენსავით. ზოგი კარგად ვერ დადის. ზოგი სხვანაირად არის დამტვრეული. ყველა არა, მაგრამ ბევრი. შენი აზრით, იმიტომ არიან მშვიდები და კარგები, რომ დამტვრეულები არიან?

ასეთი აღწერით საგონებელში ჩავარდნილ კირას არაფერი უპასუხია. ტკივილი გაძლიერებდა, უთქვამს დედამისს. არ უთქვამს, მშვიდს ან კარგს გხდისო.

- ასე თუ ისე, მათ ლურჯი აქვთ. ამას წყალი არ გაუვა, - თქვა მატმა.

- წყალი არ გაუვა, - გაიმეორა კირამ.

- ალბათ, ახლა უფრო მოგწონვარ, ჰა? - მატმა გაუღიმა, კირამ კი გადაიკისკისა და თქვა, ყველაზე მეტად მომწონხარო.

ბიჭუნა გამოეცალა და ფანჯარასთან მივიდა. ფეხისწვერებზე მდგარმა აათვალიერ-ჩაათვალიერა მოედანი. ხალხი ისევ იქ იყო, მაგრამ ბიჭუნა თითქოს სხვა რამეს ეძებდა მათ მიღმა. მოიღუშა.

- მოგწონს ლურჯი? - ჰკითხა კირას.

- მატ, მე მიყვარს ლურჯი, - უთხრა მან მგზნებარედ, - გმადლობ!

- ეს პატარა საჩუქარია. დიდი კი მალე ჩამოვა, - ამას რომ ეუბნებოდა, თან ფანჯარას თვალს არ ამორებდა, - ოღონდ ჯერ არა.

მერე მობრუნდა.

- საჭმელი გაქვს? თუკი დავიბან?

* * *

შეკრებაზე წასულებმა ბიჭი და ბრანჩი თომასის ოთახში დატოვეს.

ამჯერად ისინი მიაცილეს თავიანთ სკამებამდე, სადაც უკვე თამამად და მოხერხებულად მოკალათდნენ. მთავარ მეურვეს აღარ დასჭირვებია მათი წარდგენა სოფლის მკვიდრთათვის,

თუმცადა, მომღერალმა, აშკარად გახალისებულმა ლანჩისა და შესვენების შემდეგ, ცერემონიული დასაწყისი გაიმეორა. სცენის ძირში მდგარს კვერთხი მოემარჯვებინა, ხალხი კი ტაშს უკრავდა დილის შესანიშნავი წარმოდგენის მოწონების ნიშნად. მისი გამომეტყველება არ შეცვლილა. არც ამაყი ღიმილი ეტყობოდა სახეზე, უბრალოდ, იდგა და უყურებდა ხალხს, რომლისთვისაც სიმღერა მთელი ისტორია იყო, მათი მრავალი აღზევების, დაცემისა და შეცდომის მატიანე, ახალი გზისა და იმედის ძიება. კირა და თომასი ტაშს უკრავდნენ და ჯოჯ - მათი ცქერითა და მიბაძვით - ენთუზიაზმით უტყაპუნებდა ხელს ხელზე.

აპლოდისმენტების ხმაურში, როცა მომღერალი შებრუნდა და სცენისკენ ამავე კიბეს აუყვა, კირამ თომასს გახედა. ახლა მანაც გაიგონა ლითონის ყრუ, გაწელილი ღრჭიალი. ეს ხმა მათ დღითაც მოესმათ, სიმღერის დაწყებამდე.

შეფიქრიანებულმა კირამ მიიხედ-მოიხედა. წყვეტილი, მძიმე ხმაური თითქოს სხვას არავის გაუგონია. სოფლის მკვიდრნი უყურებდნენ მომღერალს, რომელიც დაწყებამდე ღრმად სუნთქავდა. მერე სცენის შუაგულში დადგა, თვალები დახუჭა და კვერთხის საჭირო ადგილი მოძებნა. თან ოდნავ ქანაობდა.

აი! კირამ კვლავ გაიგონა. მერე კი, თითქმის შემთხვევით, სულ ერთი წამით, თვალის მოჰკრა... და უეცრად მან გააცნობიერა ეს საშინელება, მიხვდა, რისი ხმაც ესმოდა. მაგრამ ახლა უკვე სიჩუმე იდგა. შემდეგ სიმღერა გაგრძელდა.

- რა მოხდა, კირა? მითხარი!

თომას კიბეზე ამავეალ კირას მიჰყვებოდა. შეკრება დასრულდა. ჯო მომვლელებმა წაიყვანეს, თუმცადა - მხოლოდ გოგონას ტრიუმფის შემდეგ.

გრძელი ნაშუადღევის ბოლოს, როცა ხალხი ფეხზე იდგა და მომღერალთან ერთად მღეროდა ტრიუმფალურ „ამენ. მაშ, ასე იყოს!“ რითიც ყოველთვის გვირგვინდებოდა სიმღერა, მომღერალმა ანიშნა პატარა ჯოს, მოდიო. მართალია, ამდენი საათის განმავლობაში ბავშვი წრიალებდა და ეძინა კიდეც, მაგრამ ახლა მგზნებარედ შეჰყურებდა მომღერალს და როცა მან უხმო, ჯო სკამიდან ჩამოხტა და სცენისკენ გაიქცა. იქ - მომღერლის გვერდით მდგარი - კმაყოფილი იღიმებოდა და ჰაწია ხელს იქნევდა, სანამ შეკრებილნი - ამჯერად უკვე დაღლილნი - მისალმების ნიშნად უსტვენდნენ და ფეხებს აბაკუნებდნენ.

კირა უყურებდა და ხმას არ იღებდა, გაოგნებული თავისი ახალი ცოდნითა და მძიმე განცდით, რომელშიც ზაფრა მწუხარებას შერთოდა.

ეს შიში და სევდა თან მიჰქონდა, როცა დაქანცული მიკოჭლაობდა კიბეზე, თომას კი უკან მიჰყვებოდა და დაჟინებით სთხოვდა, აეხსნა, რა ხდებოდა. კირამ ღრმად ჩაისუნთქა და თავისი ცოდნის გასაზიარებლად მოემზადა.

მაგრამ კიბის თავზე მათ მატ დახვდათ, რომელიც კირას ოთახის ღია კართან იდგა, გულიანად იღიმებოდა და ცმუკავდა.

- აქ არის! - გამოსძახა კირას. - დიდი საჩუქარი!

* * *

კირა ოთახში შევიდა და კართანვე შეჩერდა. ცნობისწადილით მიაჩერდა უცნობს, რომელიც მის სკამზე ჩამომჯდარიყო. სტუმარი დაქანცული ჩანდა. ამ კაცის გრძელი ფეხების შემხედვა-

რე გოგონას შეეძლო ეთქვა, რომ იგი ტანმაღალი იყო. თმაში ჭაღარა ერია, თუმცა, მოხუცი არ ეთქმოდა. სამი მარცვალი იქნებო, გაიფიქრა კირამ, რომელიც ცდილობდა, იგი რომელიმე კატეგორიისთვის მიეკუთვნებინა, რომ მისი აქ ყოფნა აეხსნა. ჰო, სამი მარცვალი იქნება, როგორც ჯემისონ, შეიძლება დედაჩემის ძმის ასაკისო, გადაწყვიტა გოგონამ.

- შეხედე, - იდაყვი წაჰკრა და ჩასჩურჩულა თომასს, თან უცნობის პერანგზე მიუთითა: - ლურჯი!

დაუპატიჟებელი სტუმარი წამოდგა და მისი ხმის გაგონებაზე კირასკენ შემობრუნდა. გოგონას გაუკვირდა, უცნობი ჩემი შესვლისთანავე რატომ არ წამოდგაო. ეს ხომ მოსალოდნელი იყო ყველაზე უყურადღებო თუ მტრულად განწყობილი სტუმრისგანაც კი, ეს კაცი კი მეგობრულიც ჩანდა და თავაზიანიც. ოდნავ იღიმებოდა. მაგრამ კირამ ახლავდა შენიშნა, რომ მოსული ბრმა იყო. ნაიარვეები დაკბილულ ხაზებად უსერავდა და უმანინჯებდა სახეს შუბლიდან ცალ ლოყამდე. თვალეებზე ლიბრი გადაჰკვროდა. აქამდე კირას არასოდეს ენახა მზერადაშრეტილი ადამიანი. გაგონილი ჰქონდა, რომ ასეთი რამეები ნამდვილად ხდებოდა უბედური შემთხვევის ან სნეულების დროს, მაგრამ დამახინჯებული ადამიანები უსარგებლონი იყვნენ და ყოველთვის ველზე გაჰყავდათ.

რატომ იყო ცოცხალი ეს უსინათლო კაცი? სად იპოვა მატმა?
და რატომ იყო აქ?

მატ ისევ მოლოდინით დახტოდა.

- მე მოვიყვანე! - გამოაცხადა მხიარულად, თან ხელზე შეეხო კაცს და დადასტურება სთხოვა, - ხო მე მოგიყვანე?

- შენ მომიყვანე, - თქვა კაცმა და მის ხმაში ბიჭუნასადმი სიყვარული გაისმა, - ჩინებული მეგობრი ადმოჩნდი. თითქმის მთელი გზა შენ გამომატარე.

- მთელი გზა მე ვატარე, იქიდან! - თქვა მატმა და კირას და თომასს მიუბრუნდა: - თუმცა, სულ ბოლოს თვითონ ისურვა მარტომ წამოსვლა. მე ვუთხარი, დამხმარედ ბრანჩს დაგიტოვებ-მეთქი, მაგრამ მაინც მარტომ არჩია. ჰოდა, მან მომცა ნაგლეჯი პირველ საჩუქრად. ხედავთ? - მატმა კაცს პერანგზე მოქაჩა და კირას უკანა მხარეს უჩვენა კიდე, საიდანაც ქსოვილი ჩამოხია.

- მაპატიეთ, - თავაზიანად უთხრა გოგონამ სტუმარს. მის გვერდით თავს უხერხულად და დაბნეულად გრძნობდა, - პერანგი დახეული გაქვთ.

- სხვებიც მაქვს, - თქვა კაცმა ღიმილით, - ისე ძალიან სურდა თქვენთვის საჩუქრის ჩვენება, მე კი მჭირდებოდა, რომ გზა მარტოს გამომეგნო. აქ ნამყოფი ვარ, თუმცა, დიდი ხნის წინ.

- ამას შეხედეთ! - მატ ახალფენადგმული ბავშვივით თუ თოჯინასავით აგზნებულად დახტოდა ირგვლივ. სკამთან დადებული ჩანთა აიღო და ელვა-შესაკრავი გაუხსნა.

- ახლა წყალი დაგვჭირდება, - თქვა და ფრთხილად ამოიღო რამდენიმე მიმჭნარი მცენარე, - ესენი კარგად გახდებიან. გამოცოცნლდებიან, სასმელს რო მივცემთ.

- მაგრამ შენ ვერასოდეს მიხვდები! - მატ ბრმა კაცს მიუბრუნდა და სახელოზე მოქაჩა, რომ მას ყურადღებით მოესმინა.

- რას? - ცნობისმოყვარედ იკითხა კაცმა.

- წყალი პირდაპირ აქა აქვს! შენ შეიძლება ფიქრობდი, რომ ეს მცენარეები მდინარესთან უნდა წაგვეღო, მაგრამ ამ კარს თუ გავხსნი, წყალი გადმოჩუხჩუხდება.

ბიჭი კარს ეცა და გამოაღო.

- მაშინ აიღე ეს მცენარეები, მატ, და მორწყე, - ურჩია კაცმა.

მერე კირას მოუტრიალდა და გოგონა მიხვდა, რომ სტუმარმა იცოდა, როგორ ეგრძნო მისი არსებობა თავის წყვდიადში.

- ურო მოგიტანეთ. ამ მცენარეს ჩემი ხალხი იყენებს ლურჯი საღებავის მისაღებად.

- თქვენი ლამაზი პერანგი... - ჩაიჩურჩულა კირამ, კაცმა კი ისევ გაიღიმა.

- მატმა მითხრა, რომ ეს ისეთივე ფერია, როგორიც ცას აქვს ზაფხულის დასაწყისის მზიან დილას, - თქვა მან.

კირა დაეთანხმა:

- ჰო, ზუსტად ეგრეა.

- თითქმის ისეთივე, როგორიც დილის დიდების⁴ ყვავილს აქვს, - თქვა კაცმა.

- ჰო, ეგრეა! მაგრამ როგორ...

- დაბადებიდან ბრმა არ ვარ. მახსოვს ეს საგნები.

გამდინარი წყლის ჩხრიალი გაისმა.

- მატ! არ ჩაახრჩო ეგ მცენარეები! - გასძახა კაცმა. - დიდი ხნის მოგზაურობა დაგჭირდება კიდევ მოსატანად!

და კირას მოუბრუნდა.

- რასაკვირველია, ბედნიერი ვიქნებოდლი, რომ მეტი მომეტანა, მაგრამ, მე მგონი, აღარ დაგჭირდება.

- გთხოვთ, დაჯდეთ, - უთხრა გოგონამ, - ახლა საჭმელს ამოგვიტანენ. სადილის დროა.

კირა შეცბუნებულად კი ცდილობდა, თავაზიანობა არ დავიწყებოდა. სტუმარმა უძვირფასესი საჩუქარი ჩამოუტანა. მაგრამ რატომ? ამის გაგებას კირა, ალბათ, კარგა ხანს ვერ შეძლებდა. ვერც იმის, რაოდენ მძიმე უნდა ყოფილიყო ამხელა მანძილის გამოვლა უთვალეობდ და უმეგზუროდ, ერთი მოუსვენარი ბიჭის და კუღწაკვნიტილი ძაღლის ამარა.

⁴ დილის დიდება (*morning glory*) - მცოცავი მცენარე, რომლის საყვირისებრი ყვავილები დილით იშლება და შუადღისას ქვდება.

ბოლოს კი, როდესაც მატ წინ გამოიქცა თავის სასაჩუქრე ლურჯი ნაგლეჯით, ბრმა კაცმა მარტომ გამოაგრძელა გზა. ეს როგორ შეძლო?

- მომვლელებს დავუძახებ და ვეტყვი, - თქვა თომასმა.

კაცი გაოცდა და შეწუნდა.

- რა ხდება? - იკითხა, რაკი პირველად გაიგონა თომასის ხმა.

- მე დერეფნის ბოლოში ვცხოვრობ, - აუხსნა თომასმა, - მე გამოკვეთე მომღერლის კვერთხი, სანამ კირა მის მანტიას ქარგავდა. შეიძლება თქვენ არ იცით შეკრების ამბავი, მაგრამ ის სულ ახლახან დამთავრდა და ეს ნამდვილად მნიშვნელ...

- ვიცი, - გააწყვეტინა კაცმა, - შეკრების შესახებ ყველაფერი ვიცი. გთხოვთ, ნუ მოატანიებთ საჭმელს, - დაამატა მტკიცედ, - არავინ არ უნდა შეიტყოს, რომ აქ ვარ.

- საჭმელს? - იკითხა სააბაზანოდან გამოსულმა მატმა.

- ჩემს ოთახში მოვატანიებ და ვერავინ შეიტყობს, - თქვა თომასმა, - ყველანი ვისადილებთ. ყოველთვის საჭიროზე მეტია ხოლმე.

კირა თავის დაქნევით დაეთანხმა და თომასიც ოთახიდან გავიდა მომვლელების დასაძახებლად. მატ უკან დაედევნა, ჭამის მოლოდინით გახალისებული.

კირა მარტო დარჩა ლურჯპერანგიან უცნობთან. სახეზე ეტყობოდა, რომ კაცი ძალიან დაღლილი იყო. გოგონა სტუმრის პირდაპირ ჩამოჯდა საწოლის კიდეზე და გონება დაძაბა მისთვის რამის სათქმელად, საჭირო კითხვების დასასმელად.

- მატ კარგი ბიჭია, - თქვა წუთიერი ღუმილის შემდეგ, - თუმცა, თავისი სიცელეე მნიშვნელოვან რამეებს ავიწყებს. ჩემი სახელი არ უთქვამს თქვენთვის. კირა მეცია.

- ვიცი, თავი დააქნია ბრმა კაცმა, - ყველაფერი მითხრა შენ შესახებ.

გოგონამ შეიცადა. ბოლოს თქვა:

- მას ჩემთვის არ უთქვამს თქვენი ვინაობა.

კაცი თავისი უსინათლო თვალებით კირას გადაღმა იყურებოდა. მერე ხმა ამოიღო, თითქოს ენა დაება, ჩაისუნთქა და გაჩუმდა.

- სადამოკდება, - თქვა ბოლოს, - ჩემ წინ ფანჯარაა და ვგრძნობ დღის სინათლის ცვლას.

- ჰო.

- ასე გამოვაგნე გზა აქამდე მას შემდეგ, რაც მატმა სოფლის განაპირას დამტოვა. ჩვენ დაგეგმილი გვქონდა, დაგვეცადა და დამით მოვსულიყავით, სიბნელეში, მაგრამ ირგვლივ არავინ ჩანდა, ამიტომაც უფრო უსაფრთხოდ დღისით შემოსვლა მივიჩინეთ. მატ მიხვდა, რომ შეკრების დღე იყო.

- ჰო, დღით ძალიან აღრიანად დაიწყო, - თქვა კირამ, თან გაიფიქრა, ჩემს კითხვაზე პასუხის გაცემას არ აპირებსო.

- მახსოვს შეკრებები. ბილიკიც მახსოვდა. ამასობაში ხეები გაზრდილა, რა თქმა უნდა. ჩრდილებს ვგრძნობდი, ვგრძნობდი ჩემს სავალს ბილიკის შუაგულში იმის მიხედვით, როგორ მეცემოდა სინათლე.

ღიმილმა დაუბრია ტუჩები:

- საყვასბოს სუნი მეცა.

კირამ ჩაიციხა და თავი დააქნია.

- და როცა საქსოვ ფარდულს მივუახლოვდი, იქ დაკეცილ-დაწყობილი ქსოვილები ვიყნოსე, დაზგების მერქანიც კი. ქალებიც რომ ყოფილიყვნენ, დაზგის ხმასაც ვიცნობდი.

მან სასაზე მიღებული ენით მიჰბადა მაქოს მონოტონურ დაგადუგს, მერე - ძაფების შრიალს ქსოვილად ქცევისას.

- ასე მოვადწიე აქამდე სრულებით მარტომ. მერე მატ შემხვდა და შენს ოთახამდე მომიყვანა.

კირამ შეიცადა. მერე იკითხა:

- რატომ?

კაცმა ხელი მიიღო სახეზე, ნაიარევებზე გადაიტარა, ნაწიბურები მოისინჯა, მერე უსწორმასწორო კანს ჩამოუყვია ლოყაზე, ყელზე. ბოლოს ლურჯ პერანგამდე ჩამოვიდა და წინ წამოიღო ტყავის თასმა, რომელიც ყელზე ეკიდა. მის ხელისგულზე კირამ გაპრიალებული ნახევარქვა დაინახა - მისი ნახევარქვის ტოლსწორი.

- კირა, - ხმა ამოიღო კაცმა, თუმცა, ეს აღარც იყო საჭირო, რადგან გოგონამ უკვე იცოდა, - კრისტოფერ მქვია. მე მამაშენი ვარ.

დარეტიანებული გოგონა კაცს მიშტერებოდა. შეჰყურებდა მის დაშრეტილ თვალებს და ხედავდა, რომ ამ თვალებსაც ძალუძდა ტირილი.

22

სტუმარმა დაიძინა სადღაც, მალულ ადგილას, სადაც მატმა ღამით გაიყვანა, მაგრამ დასაძინებლად წასვლამდე კირას თავისი ამბავი უამბო.

- არა, ეს მხეცებს არ უქნიათ, - უთხრა კირას პირველი კითხვის პასუხად, - ეს კაცებმა ქნეს.

- იქ მხეცები არ არიან, - ეს ისეთივე ურყევი ხმით თქვა, როგორი ხმითაც ანაბელა ლაპარაკობდა. არც ერთი მხეცი.

- მაგრამ... - კირას უნდოდა შეეწყვიტინებინა და ეთქვა, რა უთხრა ჯემისონმა - მე დავინახე, როგორ გაიტაცეს მამაშენი მხეცებმაო, მაგრამ თავი შეიკავა და მოსმენა არჩია.

- რასაკვირველია, ტყეში ნადირი ბინადრობს. ჩვენ ვნადირობდით საკვების მოსაპოვებლად. ახლაც ვნადირობთ ირემზე, ციყვზე, ბოცვერზე, - ამოიოხრა კაცმა, - იმ დღეს დიდი ნადირობა

გველოდა. კაცები იარაღის დასანაწილებლად შეიკრიბნენ. მე მქონდა შუბი და ჩანთა ნუზლისთვის. კატრინამ მომიძუადა, როგორც ყოველთვის.

- ჰო, ვიცი, - ჩაიჩურჩულა კირამ.

კაცს თითქოს არ გაუგონია. მისი ცარიელი თვალები წარსულში იყურებოდნენ.

- ის ბავშვს ელოდა, - თქვა დიმილით, ხელით კი რკალი შემოივლო მუცლის ზემოთ. კირამ სიზმარივით წარმოიდგინა საკუთარი პაწაწინა სხეული მოხრილი თითებით მოხაზული რკალის, დედამისის ხსოვნის შიგნით.

- იმ დღესაც ჩვეულებრივად წავედით: თავიდან ერთად, ჯგუფებად, მერე - წყვილებად, ბოლოს თითო-თითოდ, ნაკვალევს ან ხმებს მიღევნებულები ტყის სიღრმეში.

- გეშინოდათ? - ჰკითხა კირამ.

მან თავი გააქნია და უფრო თამამად განაგრძო:

- არა, არა. საფრთხე არ იყო. მე გამოცდილი მონადირე ვიყავი, ერთ-ერთი საუკეთესო. არასოდეს შემშინებია ტყეში.

მერე შუბლი დაეღარა.

- არადა, ფრთხილად უნდა ვყოფილიყავი. ვიცოდი, რომ მტრები მყავდა. მათ მუდამ შურდათ ჩემი. ასე ცხოვრობდნენ აქ. შეიძლება ახლაც ასე არიან.

კირამ თავი დააქნია. მერე გაახსენდა, რომ კაცი ამას ვერ დაინახავდა და ხმამაღლა თქვა:

- ჰო, ახლაც ასეა.

- მალე უნდა ავეყვანე მეურვეთა საბჭოში, - განაგრძო მან, - ამ სამსახურს დიდი ძალა ჰქონდა. მაგრამ სხვებს სურდათ ეს თანამდებობა. აქ იმთავითვე არსებობდა მტრობა, ავი სიტყვა. დიდი ხანია, აღარ მიფიქრია ამაზე, ახლა კი მახსენდება ქიშპი და რისხვა იმ დილასაც, როცა იარაღი განაწილდა...

- ეგ ამას წინათაც მოხდა, - უთხრა კირამ, - ნადირობის დასაწყისში. მე შევესწარი კინკლაობას და კამათს. ყოველთვის ასეა. ასე იქცევიან კაცები.

სტუმარმა მხრები აიჩეჩა.

- მაშ, არაფერი შეცვლილა?

- როგორ უნდა შეცვლილიყო? ყოველთვის ასეა. ამას ასწავლიან ბავშვებსაც - წართმევას და დაჯაბნას. ადამიანები მხოლოდ ასე ეწევიან საწადელს. მეც ასე მასწავლიდნენ, რომ არა ჩემი ფეხი.

- შენი ფეხი?

კაცმა არ იცოდა. ან საიდან ეცოდინებოდა?

კირა შეცბუნდა, მიხვდა, ამის თქმა მოუწევდა.

- ფეხი გამრუდებული მაქვს. ასეთი დავიბადე. მათ სურდათ, ველზე გავეყვანე, მაგრამ დედამ უარი თქვა.

- მათ დაუპირისპირდა? კატრინა? - კაცს სახე აენტო და ღიმილი გადაეფინა. - და გაიმარჯვა!

- მამამისი ჯერაც ცოცხალი იყო. პატივსაცემი კაცი იყო, დედამ მითხრა. ამიტომაც მე დამტოვეს. ალბათ, იფიქრეს, მაინც მოკვდებაო.

- მაგრამ შენ ძლიერი აღმოჩნდი.

- ჰო, დედამ მითხრა, ტკივილმა გაგაძლიერაო, - ამას ეუბნებოდა უკვე არა შეცბუნებული, არამედ ამაყი და სურდა, რომ კაცსაც ეამაყა.

მან ხელი გამოიწოდა და კირამაც ხელი შეაგება.

მისი ამბის გაგრძელების მოსმენა სურდა. უნდა სცოდნოდა, რა მოხდა. და უცდიდა.

- ზუსტად არ ვიცი, რომელი იყო, - განაგრძო კაცმა, - თუმცა, ვხვდები. ვიცოდი: მას ყველაზე მეტად შურდა ჩემი. როგორც ჩანს, უკნიდან მომეპარა, როცა ირემს ჩავუსაფრდი, ნაკვალევს აღევნე-

ბული, და თავს დამესხა. ჯერ კეტი ჩამართყა თავში, რომ გავებრუებინე, მერე დანაზე გადავიდა და მერე იქვე დამტოვა სასიკვდილოდ.

- მაგრამ შენ გადარჩი. შენ ძლიერი იყავი, - კირამ ხელი მოუჭირა ხელზე.

- ველზე მოვედი გონს. ვფიქრობ, მზიდავებმა წამიყვანეს და იქვე დამტოვეს, როგორც შვრებიან ხოლმე. ყოფილხარ ველზე?

კირამ თავი დაუქნია. მერე მისი სიბრმავე გაახსენდა და ხმა-მადლა თქვა:

- ჰო.

ეტყოდა, როდის მოხვდა იქ და რატომ. მაგრამ ჯერ - არა.

- იქ უნდა მოვმკვდარიყავი, როგორც ისინი ფიქრობდნენ. ვერც ვინძრეოდი, ვერც ვხედავდი. გაბრუებული და მძიმედ დაჭრილი ვიყავი. სიკვდილი მსურდა. მაგრამ იმ დამეს ველზე უცნობები მოვიდნენ. მთხრელები მეგონენ. ვცადე, მეთქვა, ცოცხალი ვარ-მეთქი, მაგრამ ამასობაში დაილაპარაკეს და მივხვდი - უცნობები იყვნენ. ისინი ჩვენს ენაზე ლაპარაკობდნენ, მაგრამ განსხვავებული კილოთი, შეცვლილი რიტმით. სასიკვდილოდ დაჭრილმაც კი შევძელი განსხვავების შემჩნევა. ეს დამამშვიდებელი ხმები იყო, სითხე მომიტანეს პირთან, რაღაც ბალახების ნაყენი, ამან ტკივილი ჩამიცხრო და ძილი მომგვარა. მერე სქელი ტოტებისგან შეკრულ საკაცეზე დამაწვინეს...

- ვინ იყვნენ ისინი? - თავი ვერ შეიკავა კირამ.

- არ ვიცოდი. ვერ ვხედავდი. თვალები დათხრილი მქონდა და ტკივილისგან ვბოდავდი. მაგრამ მესმოდა მათი მანუგეშებელი ხმები. ჰოდა, დავლიე სითხე და მათ მივინდე.

კირა გაოგნებული იყო. სოფელში ცხოვრების მანძილზე არასდროს შეხვედრია ადამიანი, რომელსაც ასეთი რამ ჩაედინოს. არავის იცნობდა ისეთს, ვინც მოინდომებდა მძიმედ დაჭრილის

დამშვილებას, ნუგეშისცემას და დახმარებას, ან ვისაც ეცოდინებოდა, როგორ ექნა ეს.

მატის გარდაო, გაიფიქრა, როცა გაახსენდა, როგორ მოუარა ბიჭმა დაშავებულ ძაღლს და სიცოცხლისკენ შემობარუნა,

- ძალიან შორს მატარეს ტყეში, - განაგრძო მამამ, - რამდენიმე დღე მივდიოდით. მე ვიღვიძებდი, ვიძინებდი, ისევ ვიღვიძებდი. ყოველ გაღვიძებაზე მელაპარაკებოდნენ, მბანდნენ, წყალს და აბებს მასმევდნენ ტკივილის შესამსუბუქებლად. ყველაფერს ბუნდოვნად ვხედავდი. აღარ მახსოვდა, რა მოხდა და რატომ. მაგრამ მათ მომარჩინეს, როგორც ჩემი მორჩენა შეიძლებოდა და სიმართლეც არ დამიმალეს: მე ვედარასდროს დავინახავდი. თუმცა, ისიც მითხრეს, რომ დამეხმარებოდნენ თვალისჩინის გარეშე ცხოვრებაში.

- მაგრამ ვინ იყო ეს ხალხი? - ისევ შეეკითხა კირა.

- ვინ არიან-თქო, - დაუზუსტა მამამ, - ისინი ჩემნაირები არიან: ადამიანები, რომლებიც დაშავდნენ, რომლებიც სასიკვდილოდ გაიმეტეს.

- ვინც ჩვენი სოფლიდან ველზე გაიყვანეს?

მამამ გაიღიმა.

- არა მხოლოდ აქედან. არის სხვა ადგილებიც. ყველა მხრიდან მოვიდნენ ისინი, ვინც დაჭრეს. ზოგი არა მხოლოდ სხეულშია დაჭრილი, არამედ - სხვანაირადაც. ზოგიერთმა ძალიან შორი გზა გამოიარა. საოცარი მოსასმენია მძიმე მოგზაურობის ამბები. ხოლო მათ, ვინც მიაღწიეს ადგილს, სადაც მე მიმიყვანეს, საკუთარი თემი შექმნეს, რომელიც ახლა ჩემი თემიცაა...

კირას გაახსენდა მატის აღწერილი ადგილი, სადაც „დამტვრეული“ ადამიანები ცხოვრობდნენ.

- ისინი ერთმანეთს ეხმარებიან, - განმარტა მამამ, - ჩვენ ვეხმარებით ერთმანეთს. ვისაც თვალები აქვს, ისინი მე მმეგზურობენ. არასოდეს ვარ დამხმარის გარეშე. ვისაც სიარული არ ძალუძს, იმათ ატარებენ.

კირამ გაუცნობიერებლად მოისრისა დაზიანებული ფეხი.

- ყოველთვის არის ვინმე, ვისაც დაეყრდნობი, - უთხრა მამამ, - ან წყვილი ღონიერი ხელი მათთვის, ვისაც შემწე არ ჰყავს.

- სამკურნალო სოფელი კარგა ხნის წინ დაარსებულა, - აუხსნა კირას, - დაჭრილი ადამიანები დღემდე მოდიან. მაგრამ ვითარება იცვლება, რადგან ბავშვები გაჩნდნენ და იზრდებიან. ასე რომ, ჩვენ ღონიერი და ჯანმრთელი ადამიანებიც გვირევიან. გვყავს სხვებიც, რომლებმაც გვიპოვეს და ჩვენთან დარჩნენ, რადგან ჩვენთან ცხოვრება ისურვეს.

კირამ ამის წარმოდგენა სცადა.

- მაშ, ეგეც სოფელია, როგორც ეს?

- თითქმის. ჩვენ გვაქვს ბაღები, სახლები, ოჯახები. თუმცა, იქ მეტი სიმშვიდეა, ვიდრე აქ. არავინ დაობს და კინკლაობს. ადამიანები იყოფენ, რაც მოეპოვებათ, ეხმარებიან ერთმანეთს. ჩვილები იშვიათად ტირიან. ბავშვებზე განსაკუთრებულად ზრუნავენ.

კირამ ლურჯ პერანგზე დასვენებულ ქვის სამკაულს შეხედა და თავის ცალს შეეხო.

- იქ თუ გყავს, ოჯახი? - ჰკითხა ყოყმანით.

- მთელი სოფელი ჩემთვის ოჯახივითაა, კირა. მაგრამ არც ცოლი მყავს და არც შვილი. ამას გულისხმობდი?

- ჰო.

- ჩემი ოჯახი აქ დავტოვე: კატრინა და ბავშვი, რომელიც უნდა დაბადებულიყო, შენ, - გაიღიმა კაცმა.

კირამ იცოდა, რომ ახლა ეს უნდა ეთქვა:

- კატრინა...

- ვიცი. დედაშენი მკვდარია, მატმა მითხრა.

კირამ თავი დააქნია და ამდენი თვის განმავლობაში პირველად ატირდა. როდესაც დედა მოუკვდა, კირას არ უტირია. ნებელობას მოუხმომ, რომ მტკიცედ მდგარიყო, გადაეწყვიტა, რა ექნა და რასაც გადაწყვეტდა, განეხორციელებინა კიდეც. ახლა კი ცხელმა ცრემლებმა ლოყები დაუსველა და გოგონამ სახეზე ხელები აიფარა. ქვითინებდა და მხრები უთრთოდა. მამამისმა ხელები გამალა გულში ჩასაკრავად, მაგრამ კირა შებრუნდა.

- რატომ არ დაბრუნდი? - ჰკითხა ბოლოს, თან სიტყვები ყელში ეჩხირებოდა, რადგან ტირილის შეწყვეტას ლამობდა.

თვალეებზე აფარებულ თითებს შორის გაიხედა და შენიშნა, რომ ამ კითხვამ მამას გული ატკინა.

- დიდი ხნის განმავლობაში არაფერი მახსოვდა. თავში ჩარტყმას უნდა მოვეკალი, მაგრამ გადავრჩი, ეგაა, მეხსიერება წამართვა. ვინ ვიყავი? რატომ ვიყავი იქ? ჩემი ცოლი? ჩემი სახლი? არც ერთი კითხვის პასუხი არ ვიცოდი, მერე ძალიან ნელა გამოვჯანმრთელდი და სიცოცხლისკენ შემობრუნება დავიწყე. გავიხსენე რადაცები წარსულიდან: დედაშენის ხმა, სიმღერა, რომელსაც მღეროდა: „ღამე მოდის და ფერები ქრება, ცა ქრება, რადგან ლურჯი ვერასოდეს დარჩება...“

ნაცნობი იავნანით შეძრული კირა თვითონაც მოჰყვა ამ სიტყვების ჩურჩულს.

- ჰო, ეგ მეც მახსოვს, - თქვა გოგონამ.

- და რომც მეპოვა უკან დასაბრუნებელი გზა, ეს ჩემს სიკვდილთან მომიყვანდა. ისინი, ვისაც ჩემი სიკვდილი სურდა, ისევ ცოცხლები იყვნენ აქ. ბოლოს დავრჩი. ვგლოვობდი ჩემს დანაკარგს, მაგრამ დავრჩი და ახალი ცხოვრება დავიწყე. უდედაშენოდ. უშენოდ.

- მერე კი, - სახე გაუნათდა კაცს, - ამდენი წლის შემდეგ, ბიჭი გამოჩნდა. არაქათგამოცლილმა და მშვირმა მოალწია ჩვენამდე.

- მას მუდამ შია, - ოდნავ გაიღიმა კირამ.

- თქვა, ამხელა გზა იმიტომ გამოვიარე, რომ გავიგე, ლურჯი გქონიათო. ეს ფერი უნდოდა თავისი გამორჩეული მეგობრისთვის, რომელსაც ყველა სხვა ფერის დამზადება ესწავლა. როდესაც შენზე მომიყვა, კირა, ვიცოდი, რომ ჩემს ქალიშვილზე მიაბობდა. ვიცოდი, რომ ბიჭისთვის ჩემი აქ მოყვანის საშუალება უნდა მიმეცა.

ის ოდნავ გაიზმორა და დაამთქნარა.

- როცა დაბრუნდება, ბიჭი უსაფრთხო ადგილს მიჰოვის დასაძინებლად.

კირამ მამამისის ხელი აიღო. ხელზეც კი ნაიარევები ჰქონდა.

- მამა, - ეს სიტყვა ეჩოთირა, რადგან აქამდე არასდროს წარმოეთქვა, - ახლა არაფერს დაგიშავებენ.

- არა, საიმედოდ დავიძალეები. და როცა დავისვენებ, ჩვენ გავიპარებით - მე და შენ. ბიჭი დაგვეხმარება სამოგზაუროდ საჭმლის შეფუთვაში. შენ ჩემი თვალები იქნები შინისკენ მიმავალ გზაზე, მე - შენი ღონიერი ფეხები.

- არა, მამა! - ამჯერად კირა აღელდა, - შეხედე! - და თავის მყუდროდ მოწყობილ კომფორტულ ოთახზე მიუთითა. მერე კი შეცბუნებული შეყოვნდა: - მაპატიე. ვიცი, რომ ვერ ხედავ. მაგრამ ხომ შეგიძლია, იგრძნო, რაოდენ მყუდროდ ვცხოვრობ. დერეფნის გაყოლებაზე სხვა ასეთი ოთახებიც არის. ყველა ცარიელია, ჩემი და თომასის ოთახების გარდა. ერთის მომზადება შენთვისაც შეიძლება.

კაცმა თავი გააქნია:

- არა.

- შენ არ იცი, მამა, რადგან აქ არ იყავი. მე საგანგებო მისია მაკისრია. და სწორედ ამიტომ მყავს საგანგებო მეგობარიც მეურვეთა საბჭოში. მან შემინარჩუნა სიცოცხლე და ახლაც მპატრონობს. ძალიან ბევრია ასახსნელი და, ვიცი, რომ დაღლილი ხარ, მაგრამ, მამა, არც ისე დიდი ხნის წინ მე დიდი საფრთხე დამემუქრა. ქალს, სახელად ვანდარას, ჩემი გაძევება სურდა ველზე. მერე გაიმართა სასამართლო და...

- ვანდარა? მახსოვს ეგ ქალი. სახენაიარევი, არა?

- ჰო, ეგ, - დაეთანხმა კირა.

- საშინელება დაემართა. მახსოვს, რაც მოხდა. თავის შვილს ადანაშაულებდა. ბიჭს სველ ქვებზე ფეხი დაუსხლტა და დედას კაბაში ჩაეჭიდა ისე, რომ ის დაეცა და ნიკაპიცა და ყელიც ბასრ ქვაზე გაისერა.

- მაგრამ მე მეგონა...

- ის პატარა ბიჭუნა იყო, დედამისი კი ადანაშაულებდა. მოგვიანებით, როდესაც ბიჭი ოლეანდრისგან გარდაიცვალა, ეჭვი გაჩნდა. ვიდაც-ვიდაცები ფიქრობდნენ, რომ... - კაცი შეყოვნდა და ამოიოხრა, - მაგრამ დანაშაულის მტკიცებულება არ არსებობდა. საერთოდ კი, შეუბრალებელი ქალია, - დაამატა, - მაშ, გადაგემტერა და მერე სასამართლო შედგა?

- ჰო, მაგრამ მე დარჩენის უფლება მომცეს. საპატიო საქმეც კი ჩამაბარეს. სასამართლოში დამცველი მომიჩინეს, მეურვე ჯემისონ. ახლა ის კაცი მპატრონობს კიდევ, მამა, და თვალს ადევნებს ჩემს მუშაობას. ვიცი, რომ გიპოვის აქ ადგილს!

კირამ სიხარულით მოუჭირა ხელი მამას ხელს და მამასთან ერთად მომავალ ცხოვრებაზე დაფიქრდა, მაგრამ ოთახში თითქოს ჰაერი შეირხა. მამას სახე მოექუფრა, ხელი, რომელიც კირას ეჭირა, გაქვავდა და გოგონას ხელიდან გასხლტა.

- შენი დამცველი? ჯემისონ? - მამა კიდეც ერთხელ შეეხო თავის ნაიარევ სახეს, - ჰო, მან უწინაც სცადა, ადგილი ეპოვა ჩემთვის. სწორედ ჯემისონმა დამიპირა მოკვლა.

23

მთვარიანში კირა მარტო ჩავიდა მღებავის ბაღში, ასე გულ-მოდგინედ რომ მოამზადეს მისთვის. იქ ურო დარგო და გარშემო ნაზად შემოუტკეპნა მიწა. „შეაგროვე უროს ერთწლიანი რტოს ახალი ფოთლები და რბილი წვიმის წყალი და მიიღებ ლურჯს“, - გაიმეორა ანაბელას სიტყვები. ფარდულში მდგარი ჭურჭლით წყალი მოიტანა და ახალდარგულ მყიფე მცენარეებს გარშემო მიწა დაუღობო. დიდი ხანი გავიდოდა პირველი წლის რტოს ამოზრდამდე.

მცენარეები რომ მორწყა, დაჯდა, მუხლები ნიკაპთან მიიტანა და წინ და უკან რხევა დაიწყო. მანამდე იჯდა, სანამ ცის აღმოსავლეთ კიდეზე პირველი ვარდისფერი ლაქა არ გამოჩნდა. სოფელი ისევ ღუმდა. კირამ სცადა, გონებაში ყველაფრისთვის თავი მოეყარა, მოსმენილი გაეაზრებინა.

მაგრამ არაფერი გამოუვიდა.

დედას სიკვდილი: უეცარი, უკურნებელი სენი. ასეთი რამეები იშვიათად ხდებოდა. ჩვეულებრივ, სოფელს ატყდებოდა სნება, რომელიც ბევრ სიცოცხლეს იტაცებდა.

იქნებ დედა მოწამლეს?

რატომ?

იმიტომ, რომ კირას ხელში ჩაგდება სურდათ.

რატომ?

რათა ტყვეობაში გამოეყენებინათ მისი უნარი - ძაფებთან ურთიერთობის ნიჭი.

თომას? მისი მშობლებიც დახოცეს? ჯოს მშობლებიც?
რატომ?

რათა მათი ნიჭი ერთად დაეტყვევებინათ.

სასწარკვეთილი კირა ბაღში შემონათებულ რიჟრაჟს მის-
ჩერებოდა. მცენარეები სიოსგან კრთოდნენ და ირხეოდნენ, ზოგი
ისევ ყვავილობდა. ახლა, როგორც იქნა, სხვებს უროც მიემატა, რა-
თა ნანატრი ლურჯი მიეცა კირასთვის, მაგრამ, მის ნაცვლად ვიღაც
სხვა მოწყვეტდა პირველ ფოთლებს.

სადღაც ახლოს მამამისს ეძინა და იკრებდა ძალას, რათა
თავის ძლივს ნაპოვნ ქალიშვილთან ერთად დაბრუნებულიყო სო-
ფელში, სადაც გამოჯანმრთლების გზაზე დამდგარი ხალხი ჰარ-
მონიულად ცხოვრობდა. ისინი ერთად გაიპარებოდნენ კირას სამ-
ყაროდან. მოუთმენლად ელოდა ამ მოგზაურობას. არ მოენატრე-
ბოდა სიდატაკე და ქაოსი, რომელსაც უკან მოიტოვებდა.

მაგრამ მოენატრებოდა მატ და მისი ონავრობა. მოენატრე-
ბოდა თომასიც, ასეთი სერიოზული და ერთგული.

და ჯო. კირას გაედიმა იმის გახსენებაზე, თუ როგორ ამაყად
დაუქნია ხელი ჯომ ხალხს შეკრების ბოლოს.

ჯოზე ფიქრში კირას რაღაც გაახსენდა. მამის ჩამოსვლით
შეცბუნებულსა და ადელვებულს ეს ამბავი მთლად ამოუვარდა გო-
ნებიდან. ახლა ეს ცოდნა და შიში უკან დაბრუნდა და კირას სუნ-
თქვა შეუკრა.

თითქოს ისევ ესმოდა ყრუ ჟღერიალი, რომელმაც საგონე-
ბელში ჩააგდო დღესასწაულის დროს! ლითონის ჩხარუნი ისევ ჩა-
ესმოდა. თვალის კი მოჰკრა ამის მიზეზს სიმღერის მეორე ნაწი-
ლის დაწყებისას. მერე, როცა წლის რიტუალი მთავრდებოდა და
მომღერალმა პატივით მიიღო თანასოფლელთა აპლოდისმენტე-
ბი, ბედნიერი ჯო კი სცენიდან ჩამოხტა, კაცი კიბისკენ წავიდა, რა-

თა ჩამოსულიყო და რიგებს შორის გასასვლელს გაჰყოლოდა. კიბის თავზე მან მანტია ოდნავ აიწია და სცენის კიდეზე მჯდომმა კირამ მომღერლის ფეხებს მოჰკრა თვალი: შიშველსა და დეფორმირებულს.

მის კოჭებს ღრმა ნაიარევები აჩნდა. საბრალოს ფეხები უფრო დასახიჩრებული ჰქონდა, ვიდრე კირას მამას - სახე. შედეგებული სისხლი ზედ შეხმობოდა, ახალი სისხლი კი პაწია რუებად მოწვეთავდა ტერფებზე. კირამ ამის მიზეზიც დაინახა - მომღერალს ფეხებზე ბორკილი ედო. სქელი სალტეები, რომლებსაც მომღერალი მძიმედ მიათრევდა ჩამოსასვლელი კიბისკენ, ჯაჭვით მიებათ ერთმანეთზე.

მერე მანტია დაეშვა და კირას აღარაფერი დაუნახავს. ხომ არ მომეჩვენაო, გაიფიქრა, მაგრამ ისევ გაიგონა ჯაჭვის ჩხარუნი, იატაკზე კი, მომღერლის ნავალზე, სისხლის ჩაშავებული ნაკვალავი რჩებოდა.

და ახლა, ამის გახსენებისას, კირამ ნათლად გააცნობიერა, რას ნიშნავდა ეს ყველაფერი!

სამივე - პატარა მომღერალი, რომელიც ოდესმე დაბორკილ მომღერალს შეცვლიდა, თომას-გრავიორი, რომელიც თავისი დახვეწილი იარაღით ქვეყნიერების ისტორიას წერდა და კირა, რომელიც ამ ისტორიას აფერადებდა - ხელოვანი იყო, რომლებსაც მომავლის შექმნა ხელეწიფებოდათ.

კირა თითისწვერებში გრძნობდა უნარს - ერთმანეთში ჩაეწნა ჩაექსოვა ფერები და ამოექარგა განსაცვიფრებელი სილამაზის სურათები. პირველი ნაქარგი მან მარტოდმარტომ შექმნა მანამდე, სანამ მანტიას მიანდობდნენ. თომასმა უთხრა, რომ ოდესღაც მანაც ამოჭრა ხეში განსაცვიფრებელი გრავიურები, რომლებიც თითქოს ხელებში უცოცხლდებოდა. კირას ახლაც ჩაესმოდა ყურში ჯოს ნამღერი დაუვიწყარი, თავანკარა მელოდია, მაგრამ მერე

ბავშვს სხვა ყველაფრის მღერა აუკრძალეს და თავიანთი სიმღერის სწავლა აიძულეს.

მკაცრსახიან მეურვეებს არ ჰქონდათ შემოქმედებითი ნიჭი, მაგრამ ჰქონდათ ძალა და მოხერხება, რათა მოეპარათ და თავიანთ სასარგებლოდ გამოეყენებინათ სხვა ადამიანთა ტალანტი. ისინი აიძულებდნენ ბავშვებს, დაეხატათ ისეთი მომავალი, როგორიც მათ - მეურვეებს - სურდათ, და არა ისეთი, როგორიც შეიძლებოდა ყოფილიყო,

კირა უყურებდა ბაღს, რომელიც ძილში იშმუშნებოდა და ირხეოდა. ხედავდა ახალდარგულ უროს, მყუდროდ და სათუთად დაბინავებულს ყვითელი ენდრონიკას გვერდით. „ძირითადად, პირველი ყვავილობის შემდეგ კვდება, - უთხრა ანაბელამ, - თუმცა, ხანდახან ახალ ამონაზარდებსაც უპოვი.“

სწორედ ეს ამონაზარდები დარგო ახლა და გულის სიღრმეში სჯეროდა, რომ ისინი იზარებდა. ახლა კირამ სხვა რამეც იცოდა. სწორედ ამ ცოდნით ფრთაშესხმული წამოდგა ნოტიო ბალახიდან, რათა შესულიყო შიგნით, ეპოვა მამა და ეთქვა - მე ვერ ვიქნები შენი თვალები, აქ უნდა დავრჩეო.

* * *

მატ წაიყვანდა კრისტოფერს შინ.

გვიან ღამით მათ თავი მოიყარეს სოფლიდან გამავალ ბილიკთან, რომელიც მიუხვ-მოუხვევდა, ანაბელას მდელოს ჩაუვლიდა და მანამდე გაგრძელებოდა, სანამ, დღეების შემდეგ, გამოკეთების გზაზე დამდგარი ხალხის სოფელში ჩავიდოდა. მატ მოუთმენლად დახტოდა ამ მოგზაურობის მოლოდინში, ეამაყებოდა მეგზურად ყოფნა. ბრანჩსაც ერთი სული ჰქონდა, როდის დაიწყებოდა თავგადასავალი და მოუსვენრად მიმორბოდა და დასუნსულებდა.

- ვიცი, რო ძალიან მოგენატრები, - თქვა მატმა, - მეც შეიძლება დიღხანს ვეღარ ჩამოვიდე, რადგან შეიძლება იმათ უნდოდეთ, რო დავრჩე.

მერე კრისტოფერს მიუბრუნდა:

- იმათ ხო ბევრი საჭმელი აქვთ ყოველთვის? სტუმრებისთვისაც და ძაღლებისთვისაც?

კრისტოფერმა ღიმილით დაუდასტურა.

მერე მატმა კირა განზე გაიყვანა და მნიშვნელოვანი საიდუმლო ჩასჩურჩულა:

- ვიცი, რომ ქმარი ვერ გეყოლება შენი კოჭლობის გამო, - უთხრა ხმადაბლა, მობოდიშების კილოთი.

- ეგ არაფერია, - გაამხნევა კირამ.

მატმა ძლიერად მოქაჩა სახელოზე:

- მინდოდა შენთვის მეთქვა, რო ის სხვა ადამიანები, აი, ის, დამტვრეულები, ისინი ქორწინდებიან ხოლმე. იქ მე ვნახე ერთი ბიჭი, ორმარცვლიანი, არც დამტვრეულია და არაფერი, დაახლოებით შენხელა. ნიძლავს ჩამოვდივარ, რომ შეგეძლო, ცოლად გაყოლოდი იმას - და საზეიმო ხმით დაამატა, - თუ გინდა.

კირამ გულში ჩაიკრა.

- გმადლობ, მატ, - უპასუხა ჩურჩულით, - არ მინდა.

- საოცრად ლურჯი თვალები აქვს, - თქვა მატმა განსაკუთრებული ინტონაციით, თითქოს ეს შეიძლებოდა, გადამწყვეტი ყოფილიყო.

მაგრამ კირამ გაიღიმა და თავი გააქნია.

თომასმა მოიტანა ფუთაში შეხვეული ნუზლი, რომელიც მათ დაზოგეს. იქ, ბილიკის დასაწყისში, ფუთამ კრისტოფერის ღონიერ ზურგზე გადაინაცვლა. მერე ორმა კაცმა ხელი ჩამოართვა ერთმანეთს.

კირა ჩუმად იცდიდა.

მამას არ სწყენია მისი გადაწყვეტილება.

- მოხვალ, როცა შეძლებ, - უთხრა ქალიშვილს, - მატ წავა-წავა-მოვა ხოლმე. ის ჩვენი კავშირი იქნება. ერთხელაც ჩამოგიყვანს.

- ერთხელაც ჩვენი სოფლები გაიცნობენ ერთმანეთს, - დარწმუნებით უთხრა კირამ, - მე ვგრძნობ ამას.

და ეს სიმართლე იყო. კირა ხელებით შეიგრძნობდა მომავალს. ხელები აგრძნობინებდა, როგორი მომავალი უნდა შეექმნა. გრძნობდა, როგორ ელოდა მას დიდი, თეთრი სიცარიელე მანტიის მხრებზე.

- საჩუქარი მაქვს შენთვის, - უთხრა მამამ.

კირამ დაბნეულად შეხედა. ეს კაცი ხელცარიელი მოვიდა და რამდენიმე დღის განმავლობაში მალვით ცხოვრობდა, ახლა კი რაღაც რბილი ჩაუდო ხელში, რაღაც ისეთი, რაც ნუგეშს ასხივებდა.

კირა გრძნობდა, მაგრამ ამ სიბნელეში ვერ ხედავდა, რა იყო.

- ძაფია? - იკითხა მან, - ძაფის გორგალი?

მამამ გაიღიმა:

- დრო მქონდა, სანამ მარტო ვიჯექი და დაბრუნებას ველოდი. ხელები კი ძალიან გონიერი მაქვს, უთვალეზოდ ისწავლეს რაღაცების კეთება. ჰოდა, ნელ-ნელა ჩემი ლურჯი პერანგი დავშალე. ბიჭმა სხვა ჩასაცმელი მიპოვა.

- ავწაპნე, - გამოაცხადა მატმა მშრალ ფაქტად.

- ასე რომ, ლურჯი ძაფი გექნება, - განაგრძო მამამ, - სანამ შენი მცენარეები გაიფურჩქნება.

- ნახვამდის! - ჩაიჩურჩულა კირამ და მამას ჩაეხუტა.

იდგა და სიბნელეში გასცქეროდა ბრმა კაცს, დაუდევარ ბიჭსა და კუდმოკვნიტილ ძაღლს, რომლებიც ბილიკს გაუყვნი. მერე, როდესაც მათ ვედარ ხედავდა, კირა მოტრიალდა და უკან წამოვიდა, ან წინ - მომავლისკენ. მან იცოდა, რაც ელოდა. ლურჯი ხელთ

ჰქონდა. გოგონა გრძნობდა მის თრთოლას, თითქოს ძაფი სუნ-
თქავდა და ახალ ცხოვრებას იწყებდა.